1829 წელს ალექსანდრე პუშკინმა ამიერკავკასიაში იმოგზაურა და მოგვიანებით დაწერა დღიური „მოგზაურობა ერზრუმში“ (1836). როგორც სათაური მიგვითითებს, ის რუსეთიდან წამოვიდა, ამიერკავკასია გამოიარა და საბოლოოდ მიიღწია ერზრუმს, სადაც რუსეთ-ოსმალეთის ომის ფრონტი იყო. თუმცა, ჭირის საშიშროების გამო პუშკინმა ერზრუმში მალე დატოვა და უკან, რუსეთისკენ გაემგზავრა. პუშკინი ჭირზე შემდეგნაირად წერს:

Возвращаясь во дворец, узнал я от Коновницына, стоявшего в карауле, что в Арзруме открылась чума. Мне тотчас представились ужасы карантина, и я в тот же день решил оставить армию. [...]

Любопытство, однако ж, превозмогло; на другой день я отправился с лекарем в лагерь, где находились зачумленные. Я не сошел с лошади и взял предосторожность стать по ветру. Из палатки вывели нам

больного; он был чрезвычайно бледен и шатался как пьяный. Другой больной лежал без памяти. Осмотрев чумного и обещав несчастному скорое выздоровление, я обратил внимание на двух турков, которые выводили его под руки, раздевали, щупали, как будто чума была не что иное, как насморк. Признаюсь, я устыдился моей европейской робости в присутствии такого равнодушия и поскорее возвратился в город (კუმკინი 1978: 474-475).

როცა სასახლეში ვბრუნდებოდი, კონონიციისგან, რომელიც ყარაულზე დგებოდა, გავიგე, რომ ერზრუმში ჭირი გავრცელდა. მაშინვე კარანტინის საშინელება წარმოვიდგინე და იმდღესვე გადავწყვიტე, ჯარი დამეტოვებინა [...].

თუმცა, ცნობისმოყვარეობამ გაიმარჯვა; მეორე დღეს ექიმთან ერთად ბანაკისკენ გავემართე, სადაც ჭირით დაავადებულები იმყოფებოდნენ. ცხენიდან არ ჩავედი. სიფრთხილე გამოვიჩინე და ქარის მიმართულებით დავდექი. კარავიდან ავადმყოფი გამოგვიყვანეს; ძალიან ფერმკრთალი იყო და მთვრალივით ირყეოდა. მეორე ავადმყოფი უგონოდ იწვა. უბედურ ჭირიანს დათვალიერების შემდეგ მალე გამოჯანმრთელობას დავპირდი და მერე ყურადღება მივაქციე იმ ორ თურქს, რომლებმაც ეს კაცი ხელით მოიყვანეს, გახადეს და ისე გასინჯეს, თითქოს ჭირი სურდო ყოფილიყო. ვაღიარებ, შემრცხვა ჩემი ევროპული გაუბედაობის გამო და მალევე ქალაქში დავბრუნდი.

კუმკინის მოგზაურობიდან ორი წლის შემდეგ, გრ. ორბელიანმა რუსეთში მოგზაურობის დეტალები თავის დღიურში – „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“ (1831-1839) – აღწერა. ეკატერინოგრადში ჩასვლისას ორბელიანი წერს:

24-სა. – გამოვლეთ 12-ი ვერსი და მოვედით ეკატერინოლრადს კარახტინში. კარებში მოგვეგება ერთი ბებერი წითელცხვირა სალდათი რკინის მაშით, რომლითაც გვართმევდა ბილეთებს საქართველოდამ მოსულთა და არ გვეკარებოდა, რათა არა შეგვეხეს, ეშინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი. – მაშაში ვედარ დაეტოვა მრავალი ბილეთები, რომლისაცა ნახევარი გასცვინდა მიწაზე, – წითელცხვირამ აკრიფა მიწიდან შიშველის ხელით ბილეთები და ისევ მაშაშივე ჩააწყო და მით დაიცვა

და დაამტკიცა კანონი და რეჟული კარახტინისა. ბევრი ვიცინეთ ამგვარს მის სიფრთხილეზე (ორბელიანი 2013: 110).

რთული გასაგები არაა, რომ ორბელიანის დღიურში მოთხრობილი რუსი „სალდათის“ საქციელი პუშკინის ზემოხსენებულ აღწერას ეხმიანება; პუშკინი დღიურში წერს, რომ ჭირის ემინოდა და ავადმყოფისგან შორს იდგა, რათა „კონტაქტი“ არ ჰქონოდა. თუმცა, როდესაც გაიგო, რომ თურქებს ჭირის არ ემინოდათ, საკუთარ სიფრთხილეს „ევროპული გაუბედაობა“ უწოდა. რასაკვირველია, ამ ევროპული გაუბედაობის საპირისპიროდ დასახულია აზიური „უყურადღებობა“, რომელიც პუშკინის დღიურში ევროპულ გაუბედაობასთან შედარებით დადებითადაა შეფასებული. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა იმ ფაქტსაც დაუკავშირდეს, რომ სწორედ ამ უყურადღებობის გამო აზიაში ავადმყოფობაა გავრცელებული და ეს უარყოფითი განწყობა, დღევანდელი სიტყვით, ორიენტალიზმად შეიძლება აღვიქვათ. ჩვენ ვხედავთ, რომ ორბელიანის დღიურში ეს უარყოფითი მხარე კარგადაა გამოხატული: ერთი მხრივ, ორბელიანი რუსი სალდათის გაუბედაობას დასცინის („ბევრი ვიცინეთ ამგვარს მის სიფრთხილეზე“); მეორე მხრივ კი, რუსი სალდათის ერთგვარი დისკრიმინაციული მიდგომა გამჟღავნებული („ემინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი“). ყოველ შემთხვევაში, ამ ორი ნაწარმოების მიხედვით, ამიერკავკასიაში ჭირის გავრცელების თაობაზე სხვადასხვა მიდგომა ჩანს სქემებში – „რუსეთი/საქართველო“ ანდა „ევროპა/აზია“. ამ ორ სუბიექტს შორის ხდება „კონტაქტი“, რის გამოც ავადმყოფობა ვრცელდება.

რასაკვირველია, „კონტაქტი“ მხოლოდ ფიზიკურ შეხებას არ ნიშნავს. ადამიანთა კონტაქტს, რა თქმა უნდა, მოჰყვება კულტურული კონტაქტიც. ამ თემას სხვადასხვა მკვლევარი აშუქებს. მაგალითად, ლიტერატურათმცოდნე პლატი (იმპერიალისტურ პირობებში აღწერილ სამეზავრო ჟანრის სხვადასხვა ლიტერატურაზე მსჯელობისას) იმ ადგილს, სადაც რომელიმე კულტურა (და მისი მატარებელი მოგზაური) მეორე კულტურას ეხება, უწოდებს „საკონტაქტო ზონას“, „რომელსაც მე ვიყენებ, რათა იმპერიული შეხვედრის სივრცე აღვწერო; სივრცე, სადაც გეოგრაფიულად და ისტორიულად განცალკევებული ადამიანები ერთმანეთთან კონ-

ტაქტში შედიან და ურთიერთობებს აყალიბებენ, რომლებიც ჩვეულებრივ მოიცავს იძულებით პირობებს, რადიკალურ უთანასწორობასა და ძნელად დასამშვიდებელ კონფლიქტებსაც“ (პლატი 2008: 8).

მკვლევარმა ტერმინი „საკონტაქტო ზონა“ იმ ენათმეცნიერული ცოდნის გათვალისწინებით შეარჩია, რომ იმპერიულ ან კოლონიურ პირობებში ჰიბრიდული ლინგვისტური მოვლენები არსებობს (მაგალითად, კრეოლური ენა). მკვლევარ უსენის აზრით, ერთგვარი ჰიბრიდული იმპერიული შეხვედრის მაგალითად შეგვიძლია კიდევ აღვიქვათ პუშკინის დღიურის ის ეპიზოდი, რომელშიც პუშკინის შეკითხვაზე ერთმა ქართველმა სწორი პასუხის – გრიბოდოვის – ნაცვლად, რუსულად „გრიბოედა“ („Грибоеда“) უპასუხა (უსენი 2020: 104-105). ყოველ შემთხვევაში, დღიურებში ორივე მგზავრს – პუშკინს, რომელმაც ერზრუმში (იმპერიის ცენტრიდან პერიფერიაში) იმგზავრა და ორბელიანს, რომელიც – პირიქით, პერიფერიიდან იმპერიის ცენტრში ჩავიდა – ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობათა ან რუს სოლდათთან ფიზიკური ურთიერთობა, რომელსაც პანდემიის გამო ტექსტში ცხადად და ხაზგასმით აღწერეს. ამავდროულად, ასეთი შეხებების აღწერა აგვიხსნის კონტაქტის, როგორც „იმპერიული შეხვედრების“ რაობასაც. ის მდგომარეობები, რომლებიც ორმა მოგზაურმა საკუთარი სივრციდან, თავის დროს, საკუთარი პოზიციიდან დაინახა და აღწერა, საერთო ჯამში, შეიძლება კავკასიაში ერთ საკონტაქტო ზონად მივიჩნიოთ.

მ. ბახტინი ნაშრომში „დროისა და ქრონოტოპოსის ფორმები რომანში“ წერს, რომ რომანში „გზა“ წარმოდგენილია, როგორც საკონტაქტო ზონა:

რომანში შეხვედრა ჩვეულებრივად „გზაში“ ხდება. „გზა“ – შემთხვევითი შეხვედრების უპირატესი ადგილია. გზაზე („შარაგზაზე“) დროისა და სივრცის ერთ წერტილში განსაკუთრებით მრავალფეროვანი ადამიანების – ყველა ფენის, სტატუსის, სარწმუნოების, ეროვნებისა და ასაკის წარმომადგენელთა დრო-სივრცული გზები იკვეთება. აქ შემთხვევით შეიძლება შეხვდნენ ისინი, ვინც ჩვეულებრივ სოციალური იერარქიითა და სივრცითი მანძილით განცალკევებული არიან. აქ შეიძლება ნებისმიერი

კონტრასტი შედგეს, სხვადასხვა ბედი დაეჯახოს ერთმანეთს და გადაენასკვოს (ბახტინი 2012: 490).

ბახტინი მიგვითითებს: რადგან „გზაში“ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ეროვნების ადამიანები ერთმანეთს შემთხვევით ხვდებიან, მე-19 საუკუნის (და მანამდე) რომანში სხვადასხვა მოვლენები სწორედ „გზაში“ ვითარდება. აქ კიდევ მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის იმპერიას კოლონიად არ ჰქონდა შორეული ტერიტორიები (როგორც, მაგალითად, ბრიტანეთსა და საფრანგეთს), არამედ თავისი მეზობელი ტერიტორიები – მკვლევარი ეტკინდის სიტყვით, „შინაგანი კოლონიზაცია“ (“Internal colonization”) (ეტკინდი 2011). ამიტომ აქ გზა იმპერიის ცენტრსა და კოლონიას აკავშირებს და მასში „სოციალური ეგზოტიკა“ უფროა წარმოჩენილი, ვიდრე ბუნებრივი ან ეთნოგრაფიული. ბახტინის აზრის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც რადიჩევიდან ნეკრასოვამდე რუსულ (და არარუსულ) რომანშია გამოხატული, არის რუსეთის იმპერიის ფარგლებში არსებული სოციალური განცალკევებულობა-გათიშულობა, რაც „სხვების“ შესახებ მრავალფენოვან წარმდგენას ქმნის.

რასაკვირველია, ბახტინის ეს მოსაზრება მიესადაგება ქართულ ლიტერატურასაც. ორბელიანის ზემოხსენებული მაგალითის გარდა, გვახსენდება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიც“. ნაწარმოებში ქართველი ნარატორი „მე“ (ანუ, ილია) გზაში ხვდება რუს მეეტლესა და რუს ოფიცერს, და ასევე ფრანგს. ეს, რასაკვირველია, სხვა ეროვნების ადამიანებთან შემთხვევითი შეხვედრებია. ამაზე მეტად საინტერესოა ლელთ ღუნისასთან შეხვედრა; მთხრობელი ილია რუსეთში განათლებამიღებული ინტელიგენტია, ხოლო ლელთ ღუნია – ადგილობრივი ღარიბი გლეხი, რომელიც თავის სილატაკუზე ჰყვება. ილიას კი ქართველი ხალხის ასეთი უბედური ცხოვრების შესახებ საერთოდ არაფერი სცოდნია. ამას შემდეგი წინადადებებიდან შევიტყობთ:

- კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.
- არაა გონჯაი: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.
- ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.
- ჰმ! – ჩაიცინა მოხვევმ.
- რას იცინი?

– საცინალს ვიციანი. ცარიალ სტვამაქი მაგნით ვერ გაძღების (ჭავჭავაძე 1937: 258).

ამგვარად, ლელთ ღუნია ილიას გულუბრყვილო მოსაზრებაზე იცინის. საუბარში ჩანს საქართველოს რეგიონების განცალკევებულიობაც. ასეთი მაგალითები მჭევრ-მეტყველებს, რომ ილიასა და ლელთ ღუნის შორის არსებობს სოციალური, რეგიონული, სტატუსის, ასაკობრივი განსხვავება. ანთროპოლოგი პოლ მანინგი ფიქრობს, რომ ტექსტში გამოხატული ილიასა და ღუნის შორის ასეთი განსხვავებები საბოლოოდ საერთო „ქართველობაში“ შეირწყმის:

კავკასიასა და საქართველოს შორის პარალელურად მემკვიდრეობითი გეოპოეტიკური დაპირისპირება ამოიშლება, როცა მთიელი ლელთ ღუნია და ბარში მცხოვრები ჭავჭავაძე აღმოაჩენენ საერთო მნიშვნელოვან ქართველობას, რომელიც ჩაცმულობისა და დიალექტის განსხვავებებათა მიღმა დგას (მანინგი 2012: 46).

კიდევ საყურადღებოა, რომ აქამდე მოყვანილი მაგალითები გულისხმობს მგზავრობას ერთი ადგილიდან მეორეზე (იმპერიის ცენტრიდან – პერიფერიაში/ პერიფერიიდან – ცენტრში). თუ ასეთი მგზავრობა იმპერიალიზმზე დაფუძნებული მოდერნული ნარატივია (მაგ. უცნობ ადგილებში თავგადასავალი ან ამ ადგილების დაპყრობა), პოსტმოდერნულ ნარატივში მგზავრობა უკვე გაბნეულია. მაგალითად აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“ მოვიშველიოთ; რომანში ყარაბაღი არაა მთავარი პერსონაჟის მოგზაურობის დანიშნულების ადგილი. ეს ის ადგილია, სადაც შემთხვევით თავი აღმოაჩინა. ყარაბაღში ყოფნისას თბილისში დაბრუნება პერიოდულად იქცევა მის მიზნად, თუმცა იმის შემდეგ, რაც თბილისში დაბრუნდა და ეს მიზანი განხორციელდა, მაინც უკმაყოფილო დარჩა. აქ არ არის ერთი ადგილიდან მეორეზე ცალმხრივი მოძრაობა, გზა გაბნეულია, აქ გზიდან გადახვევაა (მორჩილაძე 2004).

ხალხთა მიმოსვლა თანდათან ვითარდებოდა და მე-19 საუკუნის რომანში დახატული სახმელეთო „გზის“ ნაცვლად მოგვიანებით ხშირად საჰაერო „გზა“ ჩნდება. დიდი ხანია, თვითმფრინავით მგზავრობა ჩვეულებრივი ადამიანისთვისაც ხელმისაწვდომია, რამაც კოვიდ-19 უსწრაფესად გაავრცელა მთელ მსოფლიოში. თუმცა,

ვიმეორებთ, რუსეთის იმპერიას არ ჰქონდა ზღვის იქით კოლონიები, არამედ მეზობელი ერები დაიპყრო. და შემდეგ იმპერიის ცენტრი და პერიფერია სწორედ „გზის“ საშუალებით დააკავშირა. როდესაც მიმოვიხილავთ მე-19 საუკუნის ქართული და იმ ერების ლიტერატურას, რომლებიც რუსეთის იმპერიის ფარგლებში იყვნენ, ამგვარი მოსაზრებების გათვალისწინებით ცხადად ვხედავთ, რომ „გზის“ მნიშვნელობა ძალიან ფართო და დიდია – არა მხოლოდ პანდემიის კონტექსტში.

დამოწმებანი:

ბახტინი 2012: Бахтин, М.М. *Собрание Сочинений*, Т.3. М. 2012.

ჭავჭავაძე 1937: ჭავჭავაძე, ი. *თხზულებანი სრული კრებული ხუთ ტომად*. ტ.1. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1937.

ეტკინდი 2011: Etkind, Al. *Internal Colonization: Russia's Imperial Experience*. Cambridge: Polity Press, 2011.

მანინგი 2012: Manning, P. *Stranger in a Strange Land: Occidentalists Publics and Orientalist Geographies in Nineteen-Century Imaginaries*. Boston: Academic Studies Press, 2012.

მორჩილაძე 2004: მორჩილაძე, ა. *მოგზაურობა ყარაბაღში*, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004.

ორბელიანი 2013: ორბელიანი, გრ. *ერთტომეული*, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2013.

პლატი 2008: Platt, M. L. *Imperial Eyes: Travel Writing and Transculturation*, 2nd Ed., NY and London: Routledge, 2008.

პუშკინი 1978: Пушкин, А.С. *Полное собрание сочинений в десяти томах*. Т. 6. Л.: 1978).

უსენი 2020: Ussen, B. “Writing Russia, Building Empire: Pushkin’s Journey to Erzurum,” *Репуха*, 10(1), 2020, pp. 94–112.

Merab Ghaghanidze

Tbilisi, Georgia

University of Georgia

**„The Machine Stops“ by Edward Morgan Forster:
The Dystopian World of Total Isolation**

Summary

„The Machine Stops“, a dystopian short story by Edward Morgan Forster, describes a picture of the future when the people are not allowed to appear on the surface of the Earth and are forced to spend their lives in the isolated rooms under the ground where they are provided with food, light and distant connection.

The writer made the pandemic and the situation following it a metaphor, which turned out to be a very impressive foretelling, particularly in terms of the present-day experience.

Key words: dystopy, isolation.

მერაბ ღაღანიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

**ედვარდ მორგან ფორსტერის „მანქანა ჩერდება“:
საყოველთაო იზოლაციის დისტოპიური სამყარო**

ბრიტანელი მწერლის, ედვარდ მორგან ფორსტერის (E. M. Forster, 1879-1970), დისტოპიური მოთხრობა „მანქანა ჩერდება“ („The Machine Stops“, 1909), რომელიც პროზაიკოსის, – თუმცა იმჟამად ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროზაიკოსის, – სამწერლო ნაყოფიერებისა და შემოქმედებითი აღმავლობის ხანაშია დაწერილი, აღწერს მომავლის სურათს, როცა დედამიწაზე ყოფნა ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათოდ იქნა მიჩნეული, რის გამოც მსოფლიოს მთელ მოსახლეობას აეკრძალა ხმელეთის ზედაპირზე

ამოსვლა; უკვე რამდენიმე თაობის განმავლობაში ადამიანები თავიანთ ცხოვრებას ატარებენ მიწისქვეშეთში, – ცალკეულ, დახშულ, ექვსკუთხედ ოთახებში, – სადაც ყველა იქ მცხოვრები უზრუნველყოფილია საკვებით, ტანსაცმლითა თუ სინათლით და, ასევე, შორეული ტექნიკური კავშირით სხვა ადამიანებთან (მათ შორის, საკუთარი ოჯახის წევრებთან), ხოლო ამ კავშირის მეშვეობით ისინი, სურვილის შემთხვევისას, მარაგდებიან ინტელექტუალური ან ესთეტიკური საზრდოთიც.

ნაწარმოები, ერთი მხრივ, ატარებს პარაბოლურ შინაარსს: აჩვენებს, ზოგადად, ადამიანის მდგომარეობასაც არათავისუფალ გარემოში და ზოგიერთი ცალკეული ადამიანის პირად სწრაფვასაც თუ უნარსაც, დაადწიოს თავი ამ გარემოს; ხოლო, მეორე მხრივ, მოთხრობა ასახავს მწერლისეულ მცდელობას, განჭვრეტილი იქნეს ცივილიზაციის სამომავლო ტექნოლოგიური თუ პოლიტიკური სახე: ტექსტში, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ წლებშია შექმნილი, ნაწინასწარმეტყველებია ტელევიზიაც, მობილური ტელეფონიც, ინტერნეტიც, სკაიპიც, სოციალური ქსელებიც, დისტანციური შეხვედრებიცა და ლექცია-კონფერენციებიც, მაგრამ, ასევე, ნაჩვენებია ვითარება, როცა საერთოდ დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომ დედამიწაზე ცხოვრება მომაკვდინებელი გამხდარა, პრაქტიკულ შედეგად მოჰყოლია პლანეტის მმართველთა მიერ ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამუდამოდ დაწესებული საყოველთაო კარანტინი. ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიჩნეულია მკაცრი იზოლაცია, რის გამოც არა მარტო სრულიად შეზღუდულია, არამედ, ფაქტობრივად, გაუქმებულია პირადი ადამიანური ურთიერთობანი.

ფორსტერმა ცხადად და შთამბეჭდავად დახატა ის ერთიანად მართული გარემო, რომელიც უჩინარმა მთავრობამ, სახელდებულმა ცენტრალურ კომიტეტად, ავტორიტარულად დაუწესა დედამიწის შიგნით – და არა მის ზედაპირზე – მცხოვრებ მოსახლეობას. თუმცა საქმე ისაა, რომ, საყოველთაოდ, შეუქვავებლად დაწერგილი აზრის მიუხედავად, დანამდვილებით არავინ იცის, მართლა რა ხდება ზემოთ, სუფთა ჰაერზე, თავისუფალ სივრცეში, რომელიც ხელისუფლებამ გამოაცხადა ბიოლოგიურად საშიშ

ადგილად: მიწისქვეშეთში მყოფ ადამიანებს მყარად აქვთ ჩაგონებული, რომ ქვესკნელიდან ამოსვლისას მათი სიცოცხლე უთუოდ დაილუპება. ეჭვი იმის გამო, თუ რამდენად სწორია ამგვარი თვალსაზრისი, როგორც ჩანს, ცოტა ვინმეს თუ უჩნდება, ხოლო თუკი ვინმეს დაებადება, – ზოგიერთ, იშვიათ დაუმორჩილებელ მოქალაქეს, – მათთვის ყველაზე შემზარავ სასჯელად გამოცხადებულია გამოძევება მათი სამუდამო სამყოფლიდან, ანუ გასტუმრება ხელისუფლების მიერ მიჩენილი ექვსწახნაგოვანი საცხოვრებლიდან ზემოთ, ცის ქვეშ, ხმელეთზე.

მწერალი ხედავს და ასახავს მომავლის სურათს, როცა ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა მმართველ ძალას, დაკმაყოფილებულიყო ადამიანების ფიზიკური მოთხოვნილებანი და უზრუნველყოფილიყო მათი ფიზიკური უსაფრთხოება, რაც, ფაქტობრივად, განხორციელდა მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების მთლიანად შემოწმებისა და დამორჩილების ფასად.

ცხადია, რომ ფორსტერი, მის თანამედროვეთაგან განსხვავებით, მოდერნიზმის ხანაში დამკვიდრებული შეხედულების საპირისპიროდ, ღრმა ეჭვით უყურებს ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა ზრდას და არ მიიჩნევს მას უებარ საშუალებად ადამიანთა ცხოვრებისა თუ თანაცხოვრების გასაუმჯობესებლად. ის, რაც ნაწარმოებიდან გამოვლინდება, აჩვენებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა წინსვლამ ხელი კი არ შეუწყო ადამიანების უფრო მეტ თავისუფლებას, მათს მეტ განვითარებასა და სულიერ-ინტელექტუალურ ზრდას, არამედ მოიტანა დამორჩილება, შეზღუდულობა და სიმარტოვე.

მოთხრობაში „მანქანა ჩერდება“ აღწერილია დედამიწის შიგნით განსახლებული მარტოხელა ადამიანების ცხოვრება, რომელიც ერთსახოვნად მიედინება; თითოეული მათგანის ყოველდღიურობა დიდად არაფრით განირჩევა ერთმანეთისაგან და საცხოვრებელი პირობებიც ყველას ერთნაირი აქვს, მაგრამ კანონზომიერია, რომ იქ, სადაც ყველა უზრუნველყოფილია თანაბარი უფლებებითაც და თანაბარი მოვალეობებითაც, აუცილებლად უფულებელყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებული სახასიათო თვისებები, – ის, რითაც ერთი ადამიანი განსხვავდება მეორისაგან. შედეგად,

ნებისმიერ სხვადასხვაგვარ გამოვლინებათა შესაძლებლობას სრულიად დაუკარგავს რამე მნიშვნელობა, რაკი, სახელმწიფოებრივ-საზოგადო მიდგომით, „ყურადღება აღარ ექცევა გამოხატულების ელფერს“. საქმე ისაა, რომ სწორედ ეს გამორჩეული გამოხატულება მკაფიოდ ასახავს ადამიანის შინაარსს, მის ბირთვს, მის პიროვნებას, რომელიც ამგვარი მმართველობის პირობებში სრულიად გაუქმებულია: პიროვნების სრული უგულვებელყოფის ფასად, ღირებული ხდება კოლექტივი, ერთიანობა, ხალხი. ასეთი დამოკიდებულება კი გამოვლინდება იმით, რომ საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებულია მხოლოდ „ზოგადი იდეა ხალხის შესახებ, – იდეა, რომელიც სავსებით საკმარისია ყოველგვარი პრაქტიკული მიზნისათვის“. ბუნებრივია, ყველა ის სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც არაფრად მიიჩნევს ცალკეული ადამიანის ღირებულებასა თუ განსაკუთრებულობას, შესაბამისად, გადამწყვეტ ფასს ანიჭებს მოქალაქეთა ერთიანობას, მათს განუყოფელ მთლიანობას, რაც წარმოშობს მოთხოვნას, რომ ყოველი ერთეული ადამიანის სურვილი თუ სწრაფვა განპირობებული უნდა იყოს ამ მთლიანობის, ანუ ხალხის გამოცხადებულ საჭიროებათა მიხედვით. შემთხვევითი არაა, რომ მოთხოვნის ფინალში, როცა მომხდარ კატასტროფას – მანქანის გაჩერებას – მოჰყვება ადამიანების კოლექტიური ცხოვრება შეწყვეტა, მათ უკვე აღარ გააჩნიათ არანაირი უნარი, გადაირჩინონ საკუთარი თავი და, ცალკეულ მცდელობათა მიუხედავად, სავსებით გარდაუვალი ხდება შედეგი: კოლექტიური ცხოვრება მთავრდება კოლექტიური სიკვდილით.

კიდევ ერთი: რაც უფრო ძლიერდება ავტორიტარული მმართველობა, მით უფრო უჩვეულო და მიუღებელი ხდება ახლებური, მანამდე გამოუხატავი, ორიგინალური აზრების გაჩენა თუ გამოთქმა. ერთი „მოწინავე“ ლექტორი პირდაპირ გამოდის მოწოდებით: „ერიდეთ ორიგინალურ აზრებს!“. ასეთი მოთხოვნა განპირობებულია უწინარესად იმ ბუნებრივი ვითარებით, რომ ახალი თვალსაზრისის წარმოშობას განაპირობებს უშუალო შეხება, უშუალო განცდა და, რაც მთავარია, უშუალო ადამიანური ურთიერთობა, რაც შეუძლებელი გამხდარა იქ, სადაც ადამიანები ჩაკეტილი არიან თავიანთ ექვსკუთხედებში. ამიტომაც ეს

„პროგრესული“ ლექტორი ამგვარად მოუწოდებს თავის შორეულ, ფიზიკურად მიუწვდომელ მსმენელებს: „ისარგებლეთ მეორადი იდეებით და თუკი შესაძლებელია, მიიღეთ ისინი მეთაე ხელიდან, რადგან ამ შემთხვევისას ისინი უფრო მეტად იქნება დაშორებული ისეთი დამაბრკოლებელი საწყისიდან, როგორცაა უშუალო დაკვირვება“. ამ ლექტორს იმედი აქვს, რომ „მოვა თაობა, რომელიც საბოლოოდ მოსწყდება ფაქტებს, მოსწყდება შთაბეჭდილებებს; მოვა სრულიად უფერული თაობა, რომელიც, სერაბიმთა მსგავსად, თავისუფალი იქნება პიროვნულობის მანკისაგან“. რა თქმა უნდა, უარის თქმა პიროვნებაზე და, შესაბამისად, პიროვნულობაზე, ანუ განსაკუთრებულობასა და განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე არა მარტო განაპირობებს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი უნარების საყოველთაო დაშრეტასა თუ ამოწურვას, არამედ საჯაროდ აუცილებელიც კი ხდება ყოველგვარი სიახლისა და მით უმეტეს, იდეურად რამეგვარი უჩვეულოს უარყოფა. როდესაც ყველა თანაბარი და ერთნაირია, გამორჩეულობა უკვე უხერხულია; სადაც ყველა ერთნაირად ცხოვრობს და ფიქრობს, სხვაგვარობა ცხადად გამოძწევია. ამ დროს არა მარტო ობიექტურად დამდგარა ბერწი ხანა, როცა შემოქმედება თანდათანობით სულს დაფავს ან როცა შექმნა-შემოქმედების უნარი ხილულად იწრიტება, არამედ სწორედ ეს მდგომარეობა გადაქცეულა ცხოვრების წესად და ცხოვრებისეულ მოთხოვნად.

მაინც, ცალკეული ადამიანების სწრაფვა ინტელექტუალური საზრდოს მოსაპოვებლად მიწისქვეშეთში კმაყოფილდება მოკლე და ზერელე ლექციებით, რომლებიც დაახლოებით ათ წუთს გასტანს ხოლმე და სრულიად სხვადასხვა საკითხის შესახებ აწვდის შორეულ მსმენელს მეტად მწირ ცნობებს. ეს მსმენელები ლექტორ-მიმომხილველთა მხოლოდ გამოსახულებას ხედავენ და მხოლოდ მათს ხმას ისმენენ. მასწავლებელსა და მოწაფეს შორის პირადი კავშირის საშუალება, ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის განუმეორებელი შესაძლებლობის პირობები წარსულს ჩაჰბარებია. კიდევ, ლექციების გარდა, მოქალაქეებს მუდმივად მიეწოდება მექანიკურად ჩართული მუსიკა, რომელთანაც მათ არაფერი პირადული ისევ არ აკავშირებთ, თუმცა

ადამიანის უმცირესი ესთეტიკური მოთხოვნილება თუნდაც ამგვარად კმაყოფილდება.

ამას გარდა, ქვესკნელში ჩასახლებული ადამიანი სხეულებრივად იმყოფება სრულიად მარტო, რაკი იგი გამიჯნულია ყველა სხვა ადამიანისაგან, რომლებთანაც, – თავისნაირებთან, – მას ფიზიკური სიახლოვის, მათთან მიკარების არანაირი შესაძლებლობა აღარ დარჩა, რადგან „ადამიანები აღარ ეხებოდნენ ერთმანეთს. ეს ჩვეულება – მანქანის გამოისობით – უკვე გადავარდნილიყო“. ამ გარემოში მიწისქვეშეთის მოქალაქეები ურთიერთობენ მხოლოდ ტექნოლოგიურად (და არა პიროვნულად, სულიერად, ემოციურად, ან თუნდაც ფიზიკურად!), ხოლო, რაკი მათ სხვებთან დაკავშირების ეს ერთადერთი არხი მოუპოვებათ, ისიც ადვილად აეწყობა, რომ დაუბრკოლებლად გამრავლდეს სწორედ ტექნოლოგიურ ნაცნობთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი ათასობით ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს არც არასოდეს შეჭხვედრიან პირადად (ამ შემთხვევისასაც ფორსტერი წინასწარმეტყველებს ფეისბუკისა თუ ინსტაგრამ-ტვიტერის ტიპის სოციალური ქსელების საჯარო ურთიერთობებს): „იგი იცნობდა რამდენიმე ათას ადამიანს, – ადამიანური ურთიერთობები, გარკვეული მიმართულებით, უზომოდ წავიდა წინ“. მაგრამ ეს წინსვლა, ნაცნობთა რაოდენობრივი ზრდა სულაც არ გულისხმობს პირად, პირისპირ, ერთეულად განდობილ კავშირს, რაკი ამ ჩაკეტილ სივრცეში მარტოდ ყოფნა და მხოლოდ საკუთარ თავთან დარჩენა, საერთოდ, შეუძლებელს ხდის ნამდვილ მეგობრობას ადამიანთა შორის. ქვესკნელში მცხოვრებს შორეული კავშირი აქვს ათასობით სხვასთან, მათთან ყოველგვარი შეხების გარეშე, მაგრამ იგი – ამიტომაც – ნამდვილად სრულიად მარტოა. მოქალაქეები აღარც ხვდებიან ერთმანეთს და აღარც იკრიბებიან ერთად: „ადამიანების საჯარო თავყრილობათა ტლანქი სისტემა კარგა ხანია გაუქმდა“. ამდენად, ექვსკუთხედში მყოფს ორი არჩევანი დაჰრჩენია: იგი ან არის ყველასთან, ჩართული საჯარო ქსელში, ან არის ეულად, რაკი იგი ყოველმხრივ შეზღუდულია მიჩენილი ფარგლებით – ირგვლივ განლაგებული მყარი კედლებით. მტკიცედ ჩამოყალიბებული ასეთი ვითარებისას ორი ადამიანური არსების ფაქიზი და იღუმალი კავშირი, ერთი მათგანის მიერ საკუთარი

სასიხარულოსა თუ საკუთარი საწუხარის მეორე მათგანისათვის, მხოლოდ გულითადი ახლობლისათვის გაზიარების გამორჩეული შესაძლებლობა უკვე სავსებით გამქრალა. ის ფაქიზი ცვლილებანი და განწყობათა მონაცვლეობა, რაც თვალთ უხილავია, მაგრამ რაც მხოლოდ ახლობელი ადამიანისათვისაა ხილული, უკვე მოძველებულ გადმონაშთადაა აღიარებული. არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭება გარეშე მზერისათვის „მეუმჩნეველ შეგრძნებებს, რომელთაც ყავლგასული ფილოსოფია ადამიანურ ურთიერთობათა ნამდვილ არსად აცხადებდა“. მოკლედ, წარმოსახული კავშირები მრავლდება, მაგრამ თვალსაწიერიდან გამქრალა ნამდვილი, ხელშესახები მეგობარი. თვით მშობლისა და შვილის ურთიერთკავშირი, ფაქტობრივად, მთავრდება მაშინვე, როცა იბადება თოთო ჩვილი, რომელსაც ხელისუფლება დაუყოვნებლივ ჩამოართმევს დედას და რომელიც მაშინვე მიეკუთვნება დადგენილ სახელმწიფოებრივ მზრუნველობას: „მშობელთა მოვალეობა წყდება ბავშვის დაბადების უმაღლეს“. მოთხრობის მიხედვით, ამიტომაც ცხადია, რომ მოქალაქეობრივად სანიმუშო ვაშტი სრულიად გულგრილია საკუთარი შვილის მიმართ, ხოლო მმართველობის წინააღმდეგ ამბოხებული და სხვათაგან – მათ შორის, საკუთარი დედისაგან – განსხვავებული კუნო მეტად ღირებულ გრძნობად რაცხს თავის ემოციურ მიჯაჭვულობას საკუთარი დედის მიმართ, რომელთანაც ახლოს ყოფნა და რომლის რჩევა თუ დახმარება, როგორც თავად მიიჩნევს, მას ნამდვილად სჭირდება და გამოადგება. რა თქმა უნდა, ხელისუფალთა თვალსაზრისითაც, ადამიანების ასეთი დაშორიშორება აშკარად ხელსაყრელია მათ მიმართ მეთვალყურეობის დასაწესებლადაც და მათი ქმედებების სამართავადაც.

თუმცა, რაკი მოქალაქეთა გადამწყვეტი უმრავლესობა, როგორც ჩანს, სულაც არ უპირისპირდება დამკვიდრებულ წესწყობილებას, საფიქრებელია, რომ ამგვარი ცხოვრება მათთვის არა მარტო სავსებით ჩვეულებრივი გამხდარა, – მოსახერხებელიც და მისაღებიც, – არამედ ეს ვითარება მათ სიმშვიდესა და კმაყოფილებას ანიჭებს: ისინი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი არიან სხეულებრივი უსაფრთხოებით, ხოლო, მეორე მხრივ, მათ თავი დაუღწევიათ როგორც თავისუფალი არჩევანისა და საკუ-

თარი, პირადი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისაგან, ისე ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ყოველგვარი საშიში რისკისაგან.

ადამიანის ცხოვრება ბოლოს და ბოლოს მოწესრიგებული, მაგრამ ერთფეროვანი და ყოველგვარი მოულოდნელობისაგან დაცული გამხდარა: „მან ჩააქრო სინათლე ოთახში და დაიძინა; მან გაიღვიძა და ანთო სინათლე; მან შეჭამა და აზრები გაუცვალა თავის მეგობრებს, და მან მოუსმინა მუსიკას და დაესწრო ლექციებს; მან ჩააქრო სინათლე ოთახში და დაიძინა“.

სამყაროშიც კი აღარაფერია ახალი, ახლებური, განსხვავებული, რასაც შეეძლებოდა, გაეღვივებინა რამეგვარი ცნობისწადილი, რადგან ყველგან იქ, სადაც მოქალაქის შორეული მზერა მისწვდება, არა მარტო ადამიანები და მათი ცხოვრებაა სრულიად მსგავსი, არაფრით გამორჩეული, არამედ მთელი ბუნებრივი გარემოც კი ერთნაირი გამხდარა: „მეცნიერების განვითარების წყალობით, ქვეყნიერება ყველგან ზუსტად ერთნაირი იყო“.

ამიტომ აღარც ადამიანს იზიდავს, თუ რა ხდება მისგან მოშორებით და იგი სავსებით სჯერდება საკუთარი ექვსკუთხედის შეზღუდულ, მაგრამ დაზღვეულ სივრცეს. უფრო მეტი, მას აღიზიანებს კიდევ იმის ცოდნა ან ნახვა, თუ რა ხდება მისი ამ შეჩვეული გარემოს მიღმა. მას აძრწუნებს შეხება არა მარტო სხვასთან („იგი მოიქცა ბარბაროსულად, გაუწოდა მას ხელი დაცემისაგან შესაკავებლად. „როგორ ბედავთ?!“, შესძახა მგზავრმა, „თავი შეიკავეთ!““), არამედ პირისპირ, უშუამავლოდ დარჩენაც გარემომცველ სინამდვილესთან, რაც უკვე ქცეულა „უშუალო გამოცდილების ძრწოლად“, ან „უშუალო გამოცდილების საშინელებად“. შესაბამისად, აღარც არავის სწადია მოგზაურობა და რამე ახლის ან უცნობის შემეცნება საკუთარი სურვილით („ცოტა ვინმე თუ მოგზაურობდა იმ დროს“). ადამიანი გაურბის მზისა და ცის, ზღვისა და მთების უშუალოდ ნახვას (და, სხვათა შორის, არც თვითმფრინავის სარკმლიდან დანახული კავკასიონის მთები იზიდავს მას: „არავითარი აზრი არა აქვს“, – ჩაიბურტყუნა ვაშტიმ და კავკასიონი რკინის ფარდით დამალა“).

მართალია, მიწისქვეშეთში ყველა გადაწყვეტილებას იღებს და ახორციელებს ცენტრალური კომიტეტი, რომლის ძალაუფლე-

ბა სულ უფრო ყოვლისმომცველი ხდება, მაგრამ ის, ვინც მიწის-ქვეშეთის ცხოვრებას წარმართავს, – ის, ვინც უზუნაესი მმართველია, – მექანიკური მანქანაა, რომელიც თავის დროს შექმნილია ადამიანთა მიერ („ადამიანებმა შექმნეს ის [...]. დიადმა ადამიანებმა, თუმცა მაინც ადამიანებმა“). თანდათანობით სწორედ მანქანამ შეძლო ადამიანთა ყველა სხეულეზრივ-ნივთიერი საჭიროების დაკმაყოფილება, თუმცა, ამასთანავე, მანქანამვე შეძლო ყოვლისგამჭოლი მეთვალყურეობის დაწესება ყველა მოქალაქის ყოველდღიური საქმიანობის სათვალთვალოდ. მანვე განსაზღვრა მიწისქვეშეთში მცხოვრებთა ცხოვრების წესი და დაუდგინა შესაბამისობა ფასეულობათა ასათვლეღად („ეს ეწინააღმდეგება დროის სულს“, მტკიცედ განაცხადა მან. „რას გულისხმობ, ეწინააღმდეგება მანქანას?“). მანქანა მსჭვალავს ყოველივეს და არასოდეს ტოვებს ადამიანს, ყოველთვის მასთანაა. მანქანის მუდმივ თანყოფნას გამოხატავს მისი გუგუნი, თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ დაბადებიდანვე მუდამ თანამდევი: „მის ზემოთ, მის ქვეშ, მის ირგვლივ მარად გუგუნებდა მანქანა; იგი ვერ ამჩნევდა ხმას, რადგან ეს ხმა მას დაბადებიდან ესმოდა ყურებში“.

ადამიანმა თავადაც სრული ნდობა გამოუცხადა მანქანას და მას მიანდო მთელი ცხოვრების გაძღოლა, მას ჩააბარა გადაწყვეტილების მიღების ნება და საკუთარი ყოველდღიური ყოფნის სრულად წარმართვის უფლება, – დაბადებიდან სიკვდილამდე, თვით სიკვდილის დროის დადგენამდე („იგი ხანდახან ითხოვდა, მიეცათ მისთვის ევთანაზიის უფლება. მაგრამ სიკვდილიანობა არ უნდა გადამეტებოდა შობადობას, რაც აკრძალული იყო, რის გამო მანქანა ჯერჯერობით უარყოფით პასუხს იძლეოდა“).

მანქანამ ჩამოაყალიბა ახლებური, სხვაგვარი სამყარო, განსხვავებული იმისაგან, სადაც მანამდე ადამიანი სახლობდა, – სამყარო ზეცისა და ხმელეთის გარეშე, ადამიანთა შეხვედრისა და შეხების გარეშე, მუდმივ ძიებათა თუ ახალი ცოდნის მოპოვების სწრაფვის გარეშე.

პლანეტის მმართველთა მიერ ადამიანებს შორის დამკვიდრებული საყოველთაო შიში დედამიწის ზედაპირის მომაკვდი-

ნებელი გარემოს გამო, ასევე, შიში მეორე ადამიანთან შეხვედრისა თუ შეხების გამო და ამ შიშის შედეგად დამყარებული საყოველთაო იზოლაციის მდგომარეობა ედვარდ მორგან ფორსტერმა თავის მოთხრობაში „მანქანა ჩერდება“ აქცია მეტაფორად, რომელიც მეტად შთამბეჭდავი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, მით უმეტეს, ამჟამინდელი, ოცდამეერთე საუკუნის მესამე ათწლეულის დასაწყისის მცხოვრებთა უჩვეულო და მწარე გამოცდილების გათვალისწინებით.

პანდემია – ტექსტის თემა
Pandemic as a Core theme of the Text

Liana (Lia) Basheleishvili

Russia, Moscow

Moscow State University

**Christian Perspectives on Alexander Pushkin's
„Feast in Time of Plague“**

Summary

Pandemics have been regarded as a manifestation of God's wrath since ancient times, including late Middle Ages. "Feast in Time of Plague" – this masterpiece of A. Pushkin has already become a metaphor, a trope, and perhaps more of an oxymoron, created by the seemingly incompatible unity of two mutually exclusive concepts-contexts: "Feast" and "Plague". This masterpiece of the cycle of "Minor Tragedies" has in fact rallied against a number of Christian virtues. The protagonist Walsingham and his companions try to dispel the memory of death and eliminate the fear of death from the heart and mind. According to John Sinaites, "remembrance and fear of death" is one of the main Christian virtues that Christians must strive to perpetuate. Pursuing these virtues helps the sinful to exercise self-control and innocence. To avoid the fall. Pushkin describes the amazing attempts to disregard death in the realm of death itself, when the "Fourth Knight" of Apocalypse has already disappeared and the seal has been unraveled.

Key words: A. Pushkin, "Minor Tragedies", "Fourth Knight".

ლიანა(ლია) ბაშელიშვილი

რუსეთი, მოსკოვი

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ალექსანრდე პუშკინის „Пир во время чумы“-ს ქრისტიანული რაკურსები

ჟამიანობა, შავი ჭირი, ქოლერა, როგორც სიკვდილის თანმხლები ტოპოსები თითქოსდა ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს ახალი დროის ლიტერატურაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას, მედიცინის წინსვლას უნდა დაეძლია ათასწლეულების განმავლობაში დაღექილი მისტიკური შიში, რომელიც როგორც პანდემიის „თანმდევი სული“ გასაოცარ სიცოცხლისუნარიანობას ავლენდა ამგვარ პირობებში. „ლხინი ჟამიანობის დროს“ – ა. პუშკინის ეს შედევერი უკვე თავადაა ქვეული მეტაფორად, ტროპად და ალბათ უფრო ოქსუმორონია, რომელიც ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება-კონტექსტის – „ლხინისა“ და „ჭირიანობის“ თითქოსდა შეუთავსებელი ერთიანობით შეიქმნა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლხინი და ნადიმი არ გახლავთ მხოლოდ ტრაპეზის აღმნიშვნელი ცნებები და საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში მას უკვე ღრმად სიმბოლური დატვირთვა გააჩნია, რომლის ფესვებიც არა მხოლოდ პლატონის „ნადიმსა“ და ბიბლიურ „საიდუმლო სერობაშია“ სამიბეული, არამედ მთლიანად კულტურაში, როგორც ასეთში. ლხინი, ნადიმი ხომ რიტუალიზირებული გართობა და სიამოვნებაა, რომელიც ხელს უწყობს კავშირის და ერთიანობის შეგრძნების ჩამოქნას თანამეინახეთა შორის, საზოგადოების შეკვრას, აგრესიის მინავლებასადაა. შ.ნადიმის სიცოცხლის ზეობაა სიკვდილზე, რომლის თანმდევი მოვლენებია სიხარული, სიამოვნება, თრობა, სიტყვიერი, კოდად ქვეული ფორმულების თანხლებით. მაგრამ... როგორ თავსდება ლხინი და ნადიმი სიკვდილთან? არის თუ არა ეს ორი მცნება შეუთავსებადი და ურთიერთგამომრიცხავი?! ნებისმიერი ომი ნადიმით მთავრდებოდა, ასე რომ სიკვდილის ტოპოსი ლიტერატურაში ხშირად უკავშირდებოდა ლხინს. ამიტომაცაა, რომ

პუშკინის ამ ტექსტში ლხინს, ნადიმს ონტოლოგიური მეტაფორის ფუნქცია გააჩნია.

ა. პუშკინმა მცირე მოცულობის ეს პოემა ბოლდინოს შემოდგომის პერიოდში დაწერა, ანუ 1830 წელს, იმ დროს, როცა რუსეთში და კერძოდ მოსკოვში ქოლერა მძვინვარებდა. პუშკინი სამედიცინო სიზუსტით არ მიჯნავს ერთმანეთისაგან შავი ჭირისა და ქოლერის სახელწოდებებს. ვიდრე ალექსანდრე პუშკინის ამ პოემის ქრისტიანულ რაკურსებზე ვისაუბრებთ, მინდა შევეხო პანდემიის კონტექსტს პუშკინის თანამედროვეთა დღიურებსა და მემუარებში, იმდროინდელ პრესასა და სამედიცინო ბიულეტენებში. ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ეპიდემია იყო დიდი ტრავმა და საზოგადოება ცდილობდა მას გამკლავებოდა სხვადასხვა მეთოდით – ხშირად ცინიზმით, ტრავმის ნაწილობრივი თუ სრული დავიწყებით, შეგუებით, შიშით, ბრმა რწმენით, ხალასი რწმენით, ღვთის განგებულების გამოხით და ა. შ. რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, სწორედ ასეთ სიტუაციებში იბადებოდა ახალი აგიოგრაფიული სიუჟეტები რუსულ მწიგნობრობასა და ლიტერატურაში, რომლებშიც გადამწყვეტ როლს ორი ცნება „თევოს და პარადოქსოს“ ანუ ქართველთათვის კარგად ნაცნობი სიტყვათმეხამება „უცხო და საკვირველი“ თამაშობდა. ეს უცხო და საკვირველი პარადოქსოგრაფიის ტოპოსს უკავშირდება რუსულ ლიტერატურაში.

შავი ჭირის და ქოლერის თემა რუსულ სინამდვილეში ქართული ღვთისმშობლის ხატთან და მის კულტთან ასოცირდება და ამ ხატის ისტორია ჩვენთვის, ქართველთათვის განსაკუთრებით საცნაურია. შაჰ აბასის მიერ გატაცებულმა სიწმინდემ საბოლოოდ რუსულ სავანეებში დაიდო ბინა. რუსეთში გავრცელებული ქართველი ღვთისმშობლის ხატის კულტი სწორედ რომ ჟამიანობას უკავშირდება, რადგან ამ ხატს მიაწერენ მოსკოველთა გადარჩენას შავი ჭირისაგან, საგალობელში პირდაპირაა ხაზგასმული, რომ ქართული ღვთისმშობელი იცავს მათ „ჟამიანობის, წყლულისა და მომწამლავი ქარებისაგან“ („от мора, язвы и тлетворных ветров“). მას უკავშირდება არა მხოლოდ სასწაულების აგიოგრაფიული სიუჟეტი, არამედ 1772 წლის დიდი სახალხო ჯანყიც, რომელიც ისტორიაში „чумной бунт“-ის სახელითაა ცნობილი. ამ ჯანყს

ემსხვერპლა არქიეპისკოპოსი ამბროსი, რომელიც გავეშებულმა ბრბომ სარზე წამოაგო დონის მონასტრის კარებთან, რადგან ქართველი ღვთისმშობლისადმი შეწირული ფულის ქურდობაში და ხატის გადამალვაში დასდეს ბრალი. მოსკოვში 1870 წელსაც, ისევე როგორც ადრე, ასი წლის წინათ, „ჩუმნოი ბუნტის“ დროს, კარანტინი იყო გამოცხადებული. ქოლერამ შეცვალა ქალაქელთა ცხოვრების წესი და იგი საზოგადოების ყველა ფენას შეეხო. შეიცვალა სამყარო, დაიკეტა ყველა სახლის კარი, შეწყდა მისვლა-მოსვლა, გამოჩნდნენ ნიჰილისტებიც, რომლებთაც ეჭვი შეჰქონდათ ქოლერის არსებობაშიც კი და თვლიდნენ, რომ მოსკოვში 30 კაცი ყოველდღე უქოლეროდაც კვდებოდა. ეპიდემიამ თავდაყირა დააყენა ყველა ფასეულობა და გააცამტვერა მატერიალური სიკეთის გაზვიადებული ხიბლი, შეცვალა ცხოვრების ჩვეული წესი – კვების სისტემიდან დაწყებული ტანსაცმელით დამთავრებული. ა.ბულგაკოვის და ნ.ვიაზემსკის მემუარებსა და ეწერილებში ბევრ საინტერესო ჩანაწერს შევხვდებით დეზინფორმაციების გავრცელებასა და მითების თხზვასთან დაკავშირებით. მითები რომ ეპიდემიების თანხმლები მოვლენა გახლდათ ამაზე ნათლად მეტყველებს იმდროინდელი პრესა და მწვავე დიკუსიები, რომლებშიც საზოგადოების ყველა ფენა იყო ჩათრეული. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი საფრთხე მოსკოვში მცხოვრებ უცხოელ ექიმებს ემუქრებოდათ, რადგან ნებისმიერი ეპიდემიის დროს გავეშებული ბრბო სწორედ მათში ეძებდა განტევების ვაცს: „Ежели доктора-немцы не перестанут морить русский народ, то мы их головами вымостим Москву!“ Булгаков затрудняется определить, были ли это происки неблагонамеренных людей или вредный розыгрыш. ბოლდინოში გამოკეტილი პუშკინი სხვა გზას ეძებს ქოლერისგან მიყენებული ტრავმის დასაძლევად. იგი განუწყვეტლივ წერს, მაგრამ ხშირად მიმართავს სიუჟეტური გაუცხოების ხერხს. იგი ცდილობს შავი ჭირის, როგორც ღვთის რისხვის გააზრებას, ოღონდ რომანტიზმის დოქტრინის თვალსაწიერიდან, რომელიც ჩანასახშივე ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მსოფლადთქმას.

„მცირე ტრაგედიების“ ციკლის ამ შედეგმა ფაქტობრივად გაილაშქრა მთელი რიგი ქრისტიანული სათნოებების წინააღმდეგ. მთავარი გმირი ვალსინგამი და მისი თანამეინახენი ჟამიანობის

დროს ცდილობენ განაგდონ სიკვდილის ხსოვნა და აღმოფხვრან გულიდან და გონებიდან სიკვდილის შიში. იოანე სინელის თანახმად კი, „სიკვდილის ხსოვნა და შიში“ ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული სათნოებაა, რომლის დაუნჯებისათვის ქრისტიანი უნდა იღვწოდეს მუდამჟამს. ამ სათნოების დაუნჯება ეხმარება ცოდვითდაცემულ ადამიანს თავშეკავებასა და უვნებელობის მიღწევაში. გემოთმოყვარეობის დათრგუნვაში. პუმკინი კი აღწერს სიკვდილის უგულველყოფის საოცარ მცდელობებს თავად სიკვდილის საუფლოში, როცა აპოკალიფსის „მეოთხე მხედარი“ უკვე დაჰქრის და ბეჭედიც ახსნილია. ეს ის დროა, როცა დაკარგულია ყოველგვარი რწმენა და იმედი მხოლოდ უსარგებლო სიცრუედ გვეჩვენება, აზრი ქარწყლდება და ქრება, ღვთაებრივი ცეცხლი ტოვებს მას, საზოგადოება იხრწნება და ცივ სასოწარკვეთაში მყოფი შეიგრძნობს თავის წინ უფსკრულს და მზადაა მასში ჩავარდეს. სიცოცხლე იხრჩობა უმიზნოდ. მომავალში აღარაფერია... ყველაფერი მიდის სხეულში, ყველაფერი ვარდება სხეულებრივ გახრწნილებაში... თვითგადარჩენის გრძნობაც კი ქრება», – წერს ფ.დოსტოევსკი პუმკინის სხვა, არა ამ ნაწარმოების შესახებ, მაგრამ წერს ზუსტად იმას, რაც ამ პოემასაც ესადაგება (დოსტოევსკი 1973 : 79) პოემის პირველივე პასაჟი უკვე სიმბოლურია. ლხინი ქუჩაშია, ქუჩაში კი დაუმარხავი მიცვალებულები ყრია. ქუჩაში არ სუფევს ღმერთი, რადგან ღვთაებრივი იკონომია გულისხმობს სახლს, სადგომში, თავშესაფარში ყოფნას. ამიტომაც ემუდარება მღვდელი მენადიმეებს, რომ სახლებს დაუბრუნდნენ. ვალსინგამი უარზეა, მას არ სურს სახლში დავრუნება, რადგან სახლში სევდა და უიმედობაა გამეფებული, ახალგაზრდობას კი, მისი თქმით, სიხარული უყვარს. რა უნდა სიკვდილის საუფლოში სიხარულს?! ნუთუ სიკვდილის დავიწყება შესაძლებელია სიკვდილის ასეთი ზეობის ჟამს? ეს გამოწვევა და ჯანყია, რომლის აპოთეოზს ვალსინგამის მიერ წარმოთქმული შავი ჭირის ჰიმნი აგვირგვინებს. შავი ჭირის ჰიმნი რომანტიკული სულითაა გაჟღერებული და ადამიანის თავისთავადობის, მისი უკვდავების საგალობელია. ეს უკვდავება მხოლოდ ადამიანის თავისმყოფობას ეფუძნება და გამორიცხავს ღმერთში სასოებას და მის შემწეობას, რადგან ღმერთი იმას აკეთებს, რაც მას თავად სურს და აკეთებს ისე, როგორც მას სურს.

ეს კი მიუღებელია ვალსინგამისა და მისი თანამეინახეებისათვის. ვალსინგამი ადამიანის სიამაყეს და მისი სულის სიმამაცეს, სულის თავისუფლებას უძღვნის ამ ჰიმნს, თავისუფლების რომანტიკული აბსოლუტიზაცია ხომ ხიბლში ჩავარდნაა ქრისტიანული თვალსაწიერიდან. ასე გაგებული თავისუფლება უნაყოფოა, მას არაფერი მოაქვს, ნუგეშინისცემის მადლსაც კი არ ფლობს.

„Есть упоения в бою
И бездны мрачной на краю,
И в разъяренном океане
Средь грозны волн и бурной тьмы,
И в аравийском урагане
И в дуновение чумы.
Итак, хвала тебе чума
Нам не страшна могила тьма
Нас не смутить твое призванье
Бокалы пеним дружно мы
И девы розы пьем дыхание
Быть может... полное чумы“.

პოეტს კიდევ ერთი პერსონაჟი შემოჰყავს ტრაგედიაში. ეს მღვდელია, რომელიც ცდილობს ვალსინგამში ღვთის შიში გაადვივოს. იგი ამხილებს მოქეიფეებს უღვთო ნადიმსა და უღვთო სიგიჟეს, სასულიერო პირი შეძრწუნებულია მათი ღრეობით, მიცვალებულთა შეურაცხყოფით, რომელთაც წესის აუგებლად ერთ დიდ ორმოში ყრიან. იგი ჯვარცმული მაცხოვრის სახელით ემუდარება ვალსინგამს დაუბრუნდეს სახლს და გაემიჯნოს ეშმაკს. ეს სიტყვა მაინც გაისმის პოემაში, ამ პერიოდის პუშკინის შემოქმედებაში. პოეტი ცდილობს დასძლიოს იგი. საშინელება, რომელიც ხდება, სასოწარკვეთასა და უიმედობას იწვევს რეალურ ყოფაში. რეალურ ენაზე იგი ასე ჟღერს – რატომ უშვებს ღმერთი ამას? ვალსინგამი გაოგნებულია ახლობლების დაკარგვის გამო გამოწვეული ტკივილით, იგი ვერ უმკლავდება უსასოობასა და უიმედობას და ამიტომაც გმობს უკვე ხსნის იდეასაც კი და კრულავს ყველას, ვინც გაჰყვება მღვდელს. ფინალი, როგორც პუშკინს სჩვევია რამდენიმე კონტექსტს შეიცავს:

Отец мой, ради бога
Оставь меня.
Спаси тебя Господь
Прости меня сын мой.

ადამიანს უჭირს ღვთის გარეშე, როცა იგი სიკვდილის საცეცებს გრძნობს, მაგრამ თავისუფლების რომანტიკული გაგება გამორიცხავს ღვთის განგებულების მიღებას. ეს დიდებულად გვიჩვენა ა. პუშკინმა იმით, რომ პოემის გმირებს უარი ათქმევინა თეოდიცეაზე. თუ რატომ, ამაზე პუშკინის ეს პოემა პასუხს არ იძლევა.

დამოწმებანი:

დოსტოევსკი 1973: Достоевский Ф. М. *Полное собрание сочинений*. Т. 5. Л.: 1973.

იოანე სინელი 1980: იოანე სინელი. *კლემასი. რომელი არს კიბე*. თბილისი: საეკლესიო კალენდარი, 1980.

Tamar Barbakadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Reception of Pandemic Fear (G. Tabidze’s “Fear” and B. Kharanauli’s “The Blackbird Cannot Find its Feelings”) Frygt. Angst. Vers libre. Fear.

Summary

The Danish philosopher and theologian Soren Kierkegaard distinguishes between two types of fear: Frygt (fear of something specific) and Angst (senseless fear, anxiety, excitement), i.e. fear is empirical and etaphysical.

Galaktion Tabidze's collection of poems "Artistic Flowers" consists of 86 poems. The poem "Fear" is titled by the poet under the number LXXXV. It illustrates the immense fright caused by the "cholera" epidemic throughout the city.

Besik Kharanauli's metapoetic book will make modern readers think in a new way about the essence of fear and death.

Despite the pandemic fear, the evil // death and goodness // starting with Homer's Iliad, continue to struggle with poetry.

Key words: Frygt, Angst, fear, Vers libre.

თამარ ბარბაქაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პანდემიური შიშის რეცეფცია

**(გალაკტიონ ტაბიძის „შიში“. ზესიკ ხარანაულის
„ბოლოშემართული შაშივი გრძნობას ვერ აგნებს“)**

Frygt. Angst. Vers libre. Fear.

შიშისა და სიკვდილის ტანდემი უხსოვარი დროიდან ასაზრდოებს მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების შედეგებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებაც სიკვდილის დამარცხების ჟინით, მარადისობის წიაღში შესვლის სურვილით იკვებება; ამიტომაც უწოდა გალაკტიონმა თავისი ლექსების II კრებულს: „თავის ქალა არტისტული ყვევილებით“ (1919). ვიზიარებთ თეიმურაზ დოიაშვილის ახსნას წიგნის სათაურის თაობაზე: „...ანტონიმებს შორის (სიკვდილი – ხელოვნება) დაპირისპირება კი არ არის, არამედ საპირისპირო ცნებათა შერიგება: „თავის ქალა არტისტული ყვევილებით“ ოქსიმორონია, რომელიც ერთიანობაში წარმოსახავს სინამდვილესა და ხელოვნებას. ეს მოდერნიზებული რომანტიკული „მშვენიერი ტანჯვა“, რომელიც შობს ხელოვნების ყვევილებს, მშვენიერებას და, მასთან ერთად, მარადისობასთან კონტაქტის პერსპექტივას“ (დოიაშვილი 2016: 185).

დანიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი სიორენ კირკეგორი განასხვავებს ორგვარ შიშს. პირველი – ეს არის Frygt – შიში რაღაც კონკრეტულის, ემპირიულის მიმართ და Angst – უსაგნო შიში, შფოთვა, მღელვარება, „თავბრუსხვევა თავისუფლებისაგან“. ს. კირკეგორის თხზულებები: „შიში და თრთოლვა“, „შიშის ცნება“, „სატანჯველის სახარება“ თანამედროვე მკითხველს საინტერესოდ ამოგზაურობს ცნობიერი თუ არაცნობიერი შიშის სამყაროში.

პანდემიის დროს კი, როგორც მოსალოდნელიცაა, შიშის საზოგადო ცნება კონკრეტულ სიკვდილს – ემპირიულს, ყოფის, ყოველდღიურ მოვლენას – უწყვილდება: ეპიდემიის დროს შიში სიკვდილის სახეს ენაცვლება: „ქოლერას“, „შავ ჭირს“, „ყვავილს“, „ჭლეუს“, „კოვიდ-19“-ს („კორონა“) და ა.შ. [იწყება „მედიკალიზაციის ტრიუმფი, ანუ „შებრუნებული სიკვდილი“ (La mort inversée). ვიმოწმებთ ქართველი მკვლევრის რუსუდან ლაბაძის წიგნში „ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი“ (თბ., 2006)] განხილულ, 1977 წელს პარიზში დასტამბულ, ფ. პრიერის მონოგრაფიას, რომლის მიხედვით, სიკვდილისადმი დამოკიდებულების შეცვლის პროცესში კაცობრიობამ ხუთი ეტაპი განვლო: 1) „ყველა მოკვდება!“ ანუ „მოშინაურებული სიკვდილი“ (La mort apprikoisée). სწორედ ამ დროს სიკვდილის იკონოგრაფიაში ჩნდება „სიკვდილის ცეკვა“, ე.წ. „დანს მაკაბრე“ (danse macabre); 2) „განსაწმენდელის დაბადება“ – საიქიოს ნაწილი, ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შორის შუალედური ადგილი (გრიგოლ დიდი, დანტე ალიგიერი); 3) შორეული და ახლობელი სიკვდილი (La mort langue et proshe) – აღორძინებიდან იწყება და XVII ს.-მდე გაგრძელდა. იკონოგრაფია ისევ სიკვდილის ცეკვის სახეებით იკვებება; 4) „შენი სიკვდილი“ (La mort de toi). ფ. არიესის აზრით, იგი ახლობლების, ოჯახის წევრების გარდაცვალებით აღძრულ ტრაგიკულ განცდებს უკავშირდება, თვითონაც ნეტარებით მოელის სიკვდილს (არიესი 1992: 343-357); 5) „მედიკალიზაციის ტრიუმფი“ – ასე უწოდა ისტორიკოსმა მეხუთე ეტაპს და გვიჩვენა, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ადამიანის სიკვდილი ექიმების საქმედ იქცა, საზოგადოების ემოციები კი შესუსტდა ამ ფენომენის მიმართ. ფ. არიესის ეს მონოგრაფია თითქმის ნახევარი საუკუნის წინ გამოვიდა,

დრომ კი აჩვენა, რომ პანდემიამ გააქარწყლა ცნობილი მეცნიერის ოპტიმიზმი: შიში და სიკვდილი, ისევე აქტუალური და მტკივნეულია, როგორც საუკუნეების წინათ.

როგორც 2019 წლიდან დაწყებულმა პანდემიამ გვიჩვენა, გასული საუკუნეების დიდი ეპიდემიები უკვალოდ არ გამქრალა და სიკვდილი კვლავ ახლობელია მსოფლიოსათვის. ამიტომაც ასი წლის მერე კვლავ გავიხსენებთ გალაკტიონის 1919 წელს დაწერილ ლექსს: „შიში“.

გალაკტიონ ტაბიძის „არტიტულ ყვავილებში“ 86 ლექსია. მათგან მხოლოდ ექვსია ვერლიბრი: „სამრეკლო უდაბნოში“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ვინ არის ეს ქალი“, „ფარდების შრიალი“, „ჩვენი საუკუნე“ და „შიში“. ბოლო ლექსს, „დომინოს“, წინ უძღვის LXXXV (85-ე) ნომრით საანალიზოდ წარმოდგენილი პოეტური თხზულება, რომელიც „ხოლერის“ ეპიდემიით მოგვრილი შიშის ემოციას აკონკრეტებს ქალაქის მასშტაბით. გალაკტიონის „შიში“ „არტიტულ ყვავილებში“ ასე დასათარებული „შიში ხოლერას გამო“ (ტაბიძე 2016: 267). ამ ვერლიბრში ეპიდემია მოულოდნელი ზეციური სასჯელი, სტიქიური უბედურება და დაღუპვის აუცილებელი წინაპირობაა. მოქალაქეთა სიკვდილ-სიცოცხლეს მკაცრად აკონტროლებენ მთავრობა და ექიმები, მიწიერი, ამქვეყნიური მსაჯულები კი ამ დროს ფუნქციას კარგავენ.

ვერლიბრი (Vers libre) „შიში“ მოკლესაზომიანი (3/3) კატენით იწყება; ორი წინადადებისაგან შედგენილი სტროფი მოვლენას, ფაქტს აღწერს და მის ემოციურ, მიზეზშედეგობრივ ახსნასაც გვთავაზობს: ა) „ქალაქში შიშია“ და ბ) „ქუჩებს და მოედნებს ბურჟედ და მოლიერად მოედო ხოლერა“. შიშის საფუძველია ცოდვაც და ექიმების ოინებიც, ექიმების უცოდინრობა და მოქალაქეების უნდობლობა მათ მიმართ. პოლ ბურჟეს (1852-1935), ცნობილი ფრანგი მწერლის, რომანისტიცა და დრამატურგის სახელი ქართველი მკითხველისათვის 1886 წლიდან იყო ცნობილი. ილიას გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა გრიგოლ ყიფშიძის მიერ თარგმნილი რომანი „ცოდვა სიყვარულისა“, რომელიც 1894 წელს წიგნად გამოვიდა. პოლ ბურჟეს პოპულარული სიტყვები: „...ეცადე, სული არ მოკვდეს შენში შენზე უწინ!“ – ეპიდემიის შიშით შეპრწყუნებული მოსახლეობისათვის სიკვდილთან ბრძოლის

ერთი ძლიერი იმპულსი უნდა ყოფილიყო. ცოდვით აღსავსე, არმან დე კერნის მსგავსი, ცბიერი კაცები, ზნეობრივად დაღუპულნი, უზნეო და უმიზნო ადამიანები ფიზიკური არსებობის შეწყვეტის მერე სამუდამოდ ქრებიან: მათი სიკვდილი გარდაცვალებას არ მოასწავებს. ეპიდემია, ხოლერა ფიზიკურად სპობს და ანადგურებს ბურჟეს რომანის პერსონაჟის მსგავს არსებებს. ბურჟესა და მოლიერის სახელების ხსენებაც არ უნდა იყოს მოულოდნელი: ცოდვა და ექიმი, რომელსაც გარემოება აიძულებს მოქალაქეთა გადარჩენას, ერთნაირად აუძლოურებს და ბოლოს უღებს მსხვერპლს.

საგულისხმოა ფონოლოგიური ეფექტიც: „ბურჟედ“ აკუსტიკურად დაკავშირებულია სიტყვასთან: „ქუჩებს“ („უ“-ს ალიტერირება), ხოლო „მოლიერი“ დაწყვილებულია „მოედნებთან“ და „მოედო“. ხმოვნების გააქტიურება, ვოკალური ბგერების სიხშირე, თითქოს, უბედურების მომასწავებელი შემახილ-შორისდებულებს გვახსენებს. საინტერესოა კიდევ ერთი პარალელიც: საანალიზო ლექსში შიშის ადგილად, ტოპოსად, მონიშნულია ქალაქის ქუჩები, მოედნები, ასევე შიშს დაუსადგურებია გალაკტიონის შედეგრის „ი.ა.“ დასაწყისში: „ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი“ (აქაც „მტვერში“, „ბავშვი“, თითქოს, შიშის ფონიკური აღქმის შთაბეჭდილებას ტოვებს). შეიძლება, გავიხსენოთ ლია სტურუას XX ს. 90-იან წლებში დაწერილი ცნობილი ლექსის ტაეპები: „გავდივარ ქუჩაში, როგორც ემიგრაციაში, ვბრუნდები სახლში, როგორც სამშობლოში“. პანდემიის დროს ქუჩაში შიშია, შინ კი – ერთგვარი დაცვა, უშიშარი ადგილი, სამშობლო, გვეგულება (ამიტომაც გვირჩევენ პანდემიის დროს: „დარჩი სახლში!“).

მომდევნო ორი კატრენი სტროფული ანჟამბემანით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

... მე მიფიქრია

ამნაირ დღეებზე ჩუმად და

ცბიერად.

ცხედრები, ცხედრები...

ხოლერა, ხოლერა.

(ტაბიძე 2016: 159)

მეორე სტროფის ხუმარცვლიანი ტაეპი, პროკლიტიკური, ერთმარცვლიანი მიჯნით („მე“), განსაკუთრებულ სიღრმეს ანიჭებს ზმნას: „მიფიქრია“. „აისბერგის პრინციპი“ გვიკარნახებს, რომ კონტექსტი გაჯერებულია „საშინელი სამსჯავროს“ მოლოდინით, რომელიც ლირიკულ გამირსაც ახასიათებს ისე, როგორც ყველას. გვჯერა, რომ ღვთიური სამართალი ხშირად ეპიდემიად, ავადმყოფობად, სიკვდილად მოველინება მოკვდავთ. დაქტილები: „ცხედრები“, „ხოლერა“ – ერთმანეთს უწყვილდება: ეპიდემია სიკვდილია, გაქრობაა, როგორც „ცბიერება“, მოულოდნელი გაფიქრება სამაგიეროზე, ბედ-მდევარზე: ეპიდემია „ცა – იერად“, მოულოდნელი, სტიქიურ თავდასხმად, თქეშად, წვიმად, წარღვნად მოედო მოსახლეობას.

საგულისხმოა, რომ ლექსიკური ერთეული „ცბიერად“ უკეთ ერთმემა მომდევნო, IV სტროფის იმერიზმს „ცა – იერად“, ვიდრე თავისსავე წყვილს (ცბიერად – ხოლერა, ცა – იერად). „...როგორც მხედრები“, ე.წ. „ჰაერის მცველი ანგელოზები“, მიუძღვებიან საიქიოსკენ „მეწყერად, სამუშად“ ჭირისაგან დახოცილთ. „შავი მზე“ და ხოლერით ავსებული ნიავი ფიზიკური თავისუფლების შეგრძნებასაც კი ზღუდავს: გადაგვარებულია შემოქმედებითი სივრცეც:

მთვარესაც ედება
ბაცილა!
ფანჯრებზე ფარდები
არ შეირხევიან.

ვერლიბრში „შიში“ სპორადულად რითმაც გვხვდება. ცნობილია, რომ „ვერლიბრის ფორმაზე შემდგომი მუშაობისას გალაკტიონი რითმასაც იშველიებს, დროდადრო ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე ჩართავს მას სტრიქონებში, თანაც დასძენს: რითმა ვერლიბრს ხელს არ უშლისო“ (ხინთიბიძე 1987: 228).

კონსონანსური რითმა: ედება – ფარდები დისპარმონიის ფორმისეული, სტრუქტურული დასტურია. ასეთი სიკვდილი, პოეტის აზრით, ხელოვნურ, არტისტულ, სცენაზე გათამამებულ აღსასრულს უთანაბრდება:

არტისტი გადადგამს ერთ ნაბიჯს
სრულიად ცოცხალი
და უცებ ეცემა
ოპერაში
მე ვხედავ გადასძვრათ
მსმენელებს ტყავები.

პოეტისეული რემარკა („ეს ხდება უეცრად“) კიდევ უფრო შემზარავს ხდის ამ „არტისტული სიკვდილის“ ტრაგიზმს.

მეტრულად უჩვეულოდ არის აწყობილი შემდეგი სტროფი:

ქალაქს დაღუპვა ელის!	5/2
ამაოდ გული	5
აევსება წინათგრძნობით.	4/5
დადგება სიჩუმე	3/3

დატეხილი თოთხმეტმარცვლედით (5, 4/5) პოეტი ქოლერის, სტიქიური სიკვდილის, დროს ინტუიციის, გულისა და ემოციების ამაოებას უსვამს ხაზს: სიკვდილი გარდაუვალია, ჩვენს ფანტაზიას აღარ ემორჩილება მისი წარმოჩენა, დროც კი აღარ რჩება საკუთარი სიკვდილის წარმოსახვისათვის, ისეთი უეცარი, მოულოდნელი გამხდარა იგი!

თუ ადრე სიკვდილი სიბერესთან ასოცირდებოდა, ახლა უკვე ქალაქს დაბერება, ანუ სიკვდილის გამრავლება, აფითრებს

...ქალაქი ფითრდება...
მან შეამჩნია, რომ ბერდება,

ძლიერ ბერდება,
იქ ყველამ იცის
რომ დღეს თუ ხვალ
შეუერთდება მქროლავობას
და
შეჩერდება.

ნეოლოგიზმი, სახელწმინა, საწყისი: „მქროლავობას“ – იმ ზუსტად მიგნებულ სიტყვათა რიგს უერთდება, გალაკტიონის პოეტურ არსენალს რომ განეკუთვნება: „მოიაიავებს“, „გიადონა“ და ა.შ. „მქროლავობა“ – სულთა ამალღებას, გაქროლებას, გაქრობას, გაუჩინარებას და ა.შ. პოლისემანტურობით, ნაირგვარი ინტერპრეტაციით „ლურჯა ცხენებისა“ და „მთაწმინდის მთვარის“ ქროლასაც კი გაგვახსენებს, სიკვდილის გზისკენ სწრაფ სვლას დაგვანახვებს.

შიშის კონკრეტიზაცია ამ ლექსში სტატისტიკად გადაქცეული მასების სიკვდილის ფონზე, ერთი, ჩვეულებრივი, „რიგითი კაცის“ ტრაგიკული აღსასრულიც გვიჩვენა:

ჩემს მკერავს, რომელსაც
თითი არ სტკენია –

მთავრობამ ზედ კარზე
კირი მიუყარა!
და შემდეგ (ჯანმრთელი)
გაგზავნა... იმ ეტლით!

„ტანჯული ექიმის“ „მსაჯულად“ (სპორადული რითმა ამ ლექსში სემანტიკურად ახლობელი, შინაარსობრივად აუცილებელ სიტყვებს აწყვილებს მხოლოდ: ტანჯულად – მსაჯულად. არავინ მოვა, უსამართლობა კი მზესაც აშავებს, აღარსად არის „მზე სიმართლისა“, კნინდება უფლის რწმენა: „ნიავიც სავსეა ხოლერით!“ „მთვარესაც ედება ბაცილა!“ „ხეებიც ხმებიან!“ რადგანაც ერთ დღეს სიკვდილი, ეპიდემიის სახით, ყველას ეწვევა...

გალაკტიონ ტაბიძის ვერლიბრი „შიში“, როგორც ვთქვით, „არტისტული ყვავილების“ ერთ-ერთი ფინალური ლექსია. ცნობილია, რომ ამ კრებულის მთავარი სათქმელი და სტრუქტურა შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“ უკავშირება. ფრანგი სიმბოლისტის ლექსების ამ კრებულში LXXXV ლექსს „კედლის საათი“ ჰქვია. შარლ ბოდლერი ამ ლექსში ინგლისური და ესპანური სიტყვებით: „Remember! და „Esto memor!“ – საათი ყველას შეახსენებს სიკვდილის მოახლოებას („ყველა ენაზე რკინისხორხა ჩემი ბაასობს“):

მალე დრო დაჰკრავს, როს შემთხვევა – ცის საჩუქარი,
როცა სიქველე – ცოლი შენი, ქალწული ჯერაც
როდესაც თავად სინანული – ეს ბოლო კერაც,
სუყველა გეტყვის: მოკვდი, მხდალო, აწ გვიან არი!
(ბოდლერი 1992: 131)

Иначе проживаются обычные явления природы, связаны со сменой времен года (дождь, снег, мороз, оттепель и т. д.), которые теперь определяют намерения человека согласно цикличности сезонов. Примечательны эпизоды с грозой, сначала в долине, а потом высоко в горах, сопоставление их с городскими – незаметными, безобидными и уютными за толстым стеклом окон. Здесь стихия накрывает с головой, когда после кромешной тьмы „вдруг на целую минуту все стихло, это было еще хуже раскатов грома. Чудилось, над нами стоит великан, расставив ноги и размахивая огненным молотом, и как саданет им по нашему игрушечному домику” (Haushofer 2005: 79). В целом героиня постепенно и достаточно умело выстраивает нужные модели поведения, пытается выжить в непривычных для нее условиях.

Вынужденная отрешенность от людской суеты ставит перед протагонисткой ряд традиционных онтологических и эсхатологических вопросов, о которых она раньше не особо задумывалась. В данном случае записи заменяют возможность привычного общения и становятся одной из форм изолированной коммуникации индивидуума с гипотетическим собеседником либо со своим скрытым Я: „Иногда пытаюсь вести себя как робот: сделай то, пойдти туда, не забудь сделать это. Но помогает только на короткое время. Плохой из

меня робот, я все еще человек, мыслящий и чувствующий, ни от того ни от другого мне не отучиться. Поэтому вот сижу и пишу обо всем, что произошло, и нет мне дела, съедят ли мыши мои записки или нет. Мне важно писать, уж если не с кем больше поговорить, приходится вести бесконечную беседу с самой собой. Больше я никогда ничего подобного не напишу, ведь, когда все допишу до конца, в доме не останется больше ни клочка бумаги, на котором можно писать” (Haushofer 2005: 183-184).

Женщина мыслит в аспекте архаических мифологических категорий – бинарных оппозиций (начало-конец, жизнь-смерть), создает космос из хаоса прошлой жизни (Бокшань 2020: 8). „Иногда ясно осознавала свое состояние и состояние всего нашего мира, но не могла вырваться из этой скверной жизни. Скука, часто нападавшая на меня, была скукой скромного любителя роз на машиностроительном конгрессе. Я провела на этом конгрессе почти всю жизнь, удивительно, как это в один прекрасный день я не умерла от тоски” (Haushofer 2005: 192). Здесь М. Гаусгофер говорит и о проблемах общества потребителей (Strigl 2004). Рефлексия нарратора конкретизируются опытом и отстраненным взглядом извне, без обычной спешки, из чего следует, что жизнь – игра людей без реализации подлинных стремлений, с иллюзией внутренней свободы и самообманом.

Результаты самоанализа героини касаются и определения своего гендера и возраста. Естественно, иной ритм жизни с преобладанием тяжелого физического труда и однообразного питания на фоне внутренних переживаний экстраситуации – все в комплексе – сказывается на телосложении и восприятии телесности. Женственность округлости форм заменили худощавость и мускулистость, кудри и украшения – бесформенная стрижка и мозолистые руки, тело трансформировало циклы; к удивлению женщины, она стала выглядеть моложе. Изменения на уровне физиологии повлекли за собой расплывчатость идентификации: „Иногда я была ребенком, собирающим землянику, потом – пилящим дрова юношей, а сидя на скамейке с Жемчужинкой на тощих коленях и глядя на заходящее солнце – очень старым, бесполом существом” (Haushofer 2005: 72). Постоянный контакт с природой и фактор асоциальности позволили

соотнести себя с деревом: „Я не безобразна, но и не привлекательна, похожа скорее на дерево, чем на человека, на жилистый коричневый ствол, изо всех сил цепляющийся за жизнь” (Haushofer 2005: 72). Появилась осознанность своего пути, когда бремя ответственности (согласно инструкциям социальных институций) с хаосом в голове и внутренней неудовлетворённостью индивидуума становится излишними и смешными. Сравнивая себя с дилетанткой из прошлой жизни, она искренне надеется использовать шанс познать свое Я.

Кульминационный момент внутренней метаморфозы героини романа происходит во второе лето „за стеной” на альпийских лугах. Такой прием позволяет М. Гаусгофер подчеркнуть координаты антиномии „верх – низ” и „цивилизация – природа”. Именно высоко в горах после монотонной работы героиня часто погружается в свой внутренний мир. Состояние медитации корреспондирует с пространством над миром людей, когда женщина отождествляется с отстраненным зрителем человеческих игр в имитацию. „Время на скамейке перед хижинкой было настоящей жизнью, личным опытом, хоть и не полностью. Мысли почти всегда опережали глаза и искажали истинную картину” (Haushofer 2005: 182) – к такому противоречивому умозаключению приходит повествователь. Очевидно, женщину пугает слишком глубокое автопогружение, которое может усилить меланхолию и чувство одиночества. Онирические моменты в тексте усиливают полубредовое состояние женщины, когда от реальности с застывшими по ту сторону стены людьми и зверьми не спасает надежда о благополучном исходе, а сны наяву либо ночные кошмары лишь усугубляют эмоциональный настрой, не давая ответы на мучительные вопросы.

Помимо терапевтической фиксации на бумаге происходящего (Battiston 2010), гаусгоферской отшельнице помогают выжить животные. К примеру, Ш. Гербрехтер предлагает взглянуть на текст, плавно переходя от звериного и экологического письма (*écriture animale* и *écriture écologique*) к экографии (*Ökographie*) (ср. Arlaud 2019: 75-92 и Herbrechter 2004). При отсутствии „человеческой” персониферы животные выполняют функцию замещения и являются основными персонажами наряду с безымянной женщиной-

повествователем. „Мне бросилось в глаза, что я нигде не назвала своего имени. Я почти забыла его, да будет так! Никто меня этим именем не зовет, значит, его больше нет. И не хочу, чтобы оно когда-нибудь появилось в глянцевого журналах победителей” (Haushofer 2005: 39). К. Шмидейлл указывает на первоначальное наличие у героини имени Иза (Isa), исходя из рукописного варианта условно первой части романа (Bosse 2000: 46-49).

Однако безымянность центральной фигуры романа может стирать грань между ней и автором, отчасти акцентируя внимание на автобиографичной практике интерпретации текста. Вместе с тем, автономность нарратора является константой повествования, поскольку способствует поляризации автора и персонажей, автора и читателя, а также коррелирует антропологическую направленность текста (Мацевко-Бекерська 2010: 202-204). Кроме того, в нашем случае подчеркивается антропологический инструментарий исследования мира животных (Геллер 2005: 7-16, Кпáрек 2019, Фесенко 2011: 3), образы которых детально прописаны.

„Со мной остались только животные, и я потихоньку начала чувствовать себя главой нашей диковиной семейки” (Haushofer 2005: 42). Постоянную компанию протагонистке составляют корова Белла (символ материнства и витальности) и Кошка (символ женской непокорности и самостоятельности), гармонично дополняя друг друга. Позже к ним на время присоединятся котята Жемчужинка и Тигренок, а потом и Бычок. Они появятся в жизни женщины из-за стены, в поисках защиты у человека. Еще одного члена постапокалиптического сообщества (Рысь) она знает из былой жизни и с он стает ее поводырем (на образе собаки подробнее остановимся дальше).

Выбор представителя бестиария со стороны писательницы не был случайным и сводится к домашним животным. „Красивая корова, изящная, кругленькая, серо-коричневая. Почему-то она производила впечатление веселого молодого животного. Ее манера поворачивать голову, ощипывая с кустов листья, напоминала движение грациозной кокетливой молодой женщины, глядящей через плечо влажными карими глазами. Я сразу полюбила корову, так радовала она мой

глаз” (Haushofer 2005: 32). Белла становится и даром (кормилица), и тяжелым испытанием для повествователя, ибо требует постоянного трудоемкого ухода (от ежедневной дойки до рождения теленка). Женщина неизменно тревожится о будущем „сестры” в случае своей смерти, и эта мысль мотивирует ее не сдаваться.

Появление на свет Бычка становится вызовом для неподготовленной женщины, но дальнейшее состояние блаженства двух матерей (животного и человека) компенсирует все сполна. „Он был исключительно красивым и сильным животным, и очень добродушным. Порой клал тяжелую голову мне на плечо и сопел от удовольствия, когда я почесывала ему лоб. Может, позже он и стал бы диким и насупленным. Но тогда был просто огромным теленком, доверчивым, игривым и всегда не прочь наестся досыта. Полагаю, он был не так умен, как мать, да и зачем ему быть умным” (Haushofer 2005: 230).

Приблудившаяся кошка, поначалу очень недоверчива, будет постоянно демонстрировать свой независимый нрав (эпизод с горными лугами), присущий ее природе: „Она продолжала шипеть на Рыся, такая худющая, серая в черную полоску деревенская кошка, мокрая и голодная, но всегда наготове защищаться зубами и когтями” (Haushofer 2005: 43); привлекая внимание своей внешностью: „когда она обсохла, я поняла, что зверек красив, невелик, но изящен. Красивее всего были глаза – большие, круглые и янтарные” (Haushofer 2005: 43). Родившаяся от нее пушистая кошечка Жемчужинка с великолепной белой шерстью и более покладистым характером – „роскошное сказочное существо” (Haushofer 2005: 94) – изначально была обречена на погибель. Оставшийся из следующего приплода Тигренок также недолго будет умилять женщину: „совершенно не похож на мать: необузданный, требующий любви и внимания проказник. Его страстью был театр, роли же оставались неизменными: злобный хищник, отвратительный и ужасный; маленький котенок, беспомощный и вызывающий жалость; задумчивый мыслитель, чуждый всего обыденного (эту роль он ни разу не выдержал более двух минут), и глубоко оскорбленный, уязвленный в своем мужском достоинстве кот” (Haushofer 2005: 167). Старая кошка окажется более

живучей, по сравнению со своими детенышами, и станет другом человеку: „в действительности она больше нужна мне, чем я ей. Я могу разговаривать с ней, гладить, ее тепло передается через мою ладонь и, проникая в тело, утешает меня. Не верю, что я ей нужна так же, она мне” (Haushofer 2005: 45). Возможно, смерть молодого поколения, не знавших жизни вне гетто, свидетельствует о неприспособленности живых существ к новым реалиям.

Самым близким для героини является охотничья (баварская легавая) по кличке Рысь, с темной рыжевато-коричневой шерстью и добрыми карими глазами. Свое странное имя он получил по местному обычаю: именно так здесь принято называть всех охотничьих собак. Внимательный слушатель, неутомимый спутник вылазок в лес, жизнерадостный утешитель и добродушный защитник, он становится настоящим другом и источником оптимизма для своей по природе невеселой хозяйки: „Я никогда не видела его угрюмым более трех минут. Он просто не мог противиться радоваться прелестям жизни. ... Одной из самых замечательных сторон его натуры было то, что он считал правильными и замечательными все мои начинания, но тут таилась и опасность: при его поддержке я часто решалась на неразумные и рискованные поступки” (Haushofer 2005: 101, 147). Поэтому гибель собаки из-за встречи с незнакомцем не является очередной потерей, а приравнивается к катастрофе: „Теперь нет больше Рыся, нет моего друга и стража, а желание раствориться в белом покое, где не будет боли, иногда очень велико. ... Он был моим шестым чувством. Когда он умер, у меня словно что-то ампутировали. У меня что-то отняли, и отняли навсегда. ... Хуже всего, что без Рыся я чувствую себя на самом деле одинокой” (Haushofer 2005: 129-130). В целом собака – сквозной образ в прозе М. Гаусгофер, он часто сопоставляется с образом мужчины-партнера (Brüns 1998: 77-80) и не демонизируется, как это часто встречается в мировой литературе (Геллер 2005: 143).

Чужак разрушает своим неожиданным появлением хрупкий мирок, построенный на доверии и любви, в котором женщина чувствует ответственность за прирученных зверей. Она болезненно переносит потерю своих домашних питомцев и диких зверей, но

отчетливо осознает: „Выхода нет, ведь пока в лесу есть хоть одно живое существо, которое я могу любить, я буду любить его; а если когда-нибудь действительно никого не останется, я перестану жить” (Haushofer 2005: 140). Героиня пытается понять Чужого, возможно, еще одного случайно выжившего, и приходит к выводу: „сочувствие – единственная форма любви, что сохранилась у меня к людям” (Haushofer 2005: 197)..

Следует также учитывать антипатриархальную направленность творчества М. Гаусгофер, когда фигура мужчины зачастую приравнивается к виновнику и убийце (ср. Brüns 1998, Frei Gerlach 1998, Lange-Kirchheim 2007). На наш взгляд, вынужденное убийство незнакомца обостряет скрытую мизантропию отшельницы, которую она постепенно осознает и окончательно принимает. Антропоцентризм замещается биоцентризмом: человек не просто становится в один ряд с другими живыми существами, а теряет свой статус сверхсущества (ср. дет. про эволюцию философских взглядов „животное – человек” от Аристотеля через Гегеля до Хайдеггера: Тимофеева 2017). Поэтому животное у автора приравнивается к партнеру, причем эмпатичному и разумному, в отличие от не всегда здравомыслящего человека (Кнáрек 2019: 57-58).

Нарратор позиционирует себя миролюбивой особой, домоседкой-фаталисткой. Женщина с отвращением охотится на диких зверей в лесу, прежде всего Рысь и отчасти она, нуждаются в мясе при таком скудном рационе: „чувствовала себя больной. Я знаю, это оттого, что все время приходится убивать. Попыталась представить себе, что может чувствовать тот, кому убийство в радость. Не получилось. Волоски на руках встали дыбом, а во рту от отвращения пересохло. Видимо, таким надо было родиться. Мне удалось научиться проделывать это по возможности быстро и ловко, но никогда к этому не привыкнуть. Долго лежала без сна в потрескивающей темноте и думала о маленьком сердце, которое в кладовке над моей головой превратилось в кусок льда” (Haushofer 2005: 122). В романе отчетливо распознается призыв: „Не убивать”, что является одним из лейтмотивов творчества писательницы. Поэтому тезис о том, что „нет более разумного чувства, чем любовь. Она делает жизнь более

сносной и любящему, и любимому. Да только нам следовало бы своевременно понять, что это была наша единственная возможность, единственная надежда на лучшую жизнь” (Haushofer 2005: 206) стирает границы между человеком и животными, радикально перематривая традиционные формы взаимодействия между ними.

Не менее важный образ в тексте М. Гаусгофер – белая ворона. Птица корреспондирует со своей семантической окраской, поэтому приравнивается к изгюю среди остальных черных сородичей. Также она связана с погибшей Жемчужинкой, когда белый цвет кошки смертельно опасен в дикой природе (Predoiu 2016: 84). Поначалу протагонистка романа относилась к воронам с пренебрежением, так как в городе они встречались лишь на свалках и вызывали отвращение. Здесь они заменили женщины часы, поскольку ее наручные и будильник пришли в негодность, а птицы прилетали в точно обозначенное время и ждали еду: „Вероятно, они рассматривали меня как некое шикарное учреждение, что-то вроде социального обеспечения, и делались день ото дня все ленивее” (Haushofer 2005: 136). Подкармливая санитаров леса, она восхищается их мегатерпением: „почти не на что надеяться и просто ждать, быть готовым принимать и добро, и зло” (Haushofer 2005: 207) и мысленно примеряет на себя роль стойка. Таким образом коммуникация с птицами помогает человеку выдержать испытания в лесном гетто.

Возвращаясь к вороне-альбиносу, следует подчеркнуть ее образ Чужого для стаи. Писательница создает аналогию восприятия Другого, когда быть иным – равно опасность для остальных „нормальных”. Из-за несхожести с большинством белая ворона крайне близка нарратору, своего рода его alter ego: „Не понимаю, почему другие вороны не любят ее. Для меня она – особенно красивая птица, но для представителей ее вида – отвратительна. Я вижу, как она сидит одна-одинешенька на своей елке и глядит на лужайку, грустное недоразумение, которого и быть-то не должно, белая ворона. ... Она всегда будет такой отверженной и одинокой, что боится человека меньше, чем своих черных собратьев. Наверное, они до того ее презируют, что брезгают даже насмерть заклевать. Каждый день жду белую ворону и приманиваю ее, а она внимательно глядит на меня красноватыми

глазами” (Haushofer 2005: 218). В аллегорической форме М. Гаусгофер изображает отстраненность и одиночество человека-маргинала в современном социуме среди фальшивой общности одинаковых особ.

Обособленность для изгоев означает шанс на приспособление к новой реальности, когда многое зависит не от общества как институции контроля, а от них самих. Й. Хофанец, применяя теорию третьего пространства Э. Сояя (Э. Соджа), рассматривает изоляцию нарратора в качестве инструмента интеграции, а деконструкцию границ между людьми и животными пространством общности между ними при осознании их природной дифференциации (Chovanec 2014).

Записи женщины заканчиваются фразой о белой вороне, которая ждет человека. Мы полагаем, что птица-альбинос олицетворяет надежду, ведь она появляется в третью осень, когда героя внутренне смиряется с факторами, независимыми от нее, и начинает просто жить, несмотря на будущие трудности: „Я очень мало могу для нее сделать. Возможно, остатки моих продуктов продлевают жизнь, продлевать которую не следует. Но я хочу, чтобы белая ворона жила, а иногда мечтаю, что в лесу заведется еще одна и они найдут друг друга. Я в это не верю, просто очень хочу” (Haushofer 2005: 218).

Проанализированный роман М. Гаусгофер являет собой необычный вариант адаптации человека к новой реальности в условиях катастрофы и/либо постапокалипсиса в хронотопе австрийских Альп середины XX века. Метафора стены позволяет писательнице обозначить границу между социумом и индивидуумом, цивилизацией и природой. Тотальная изоляция дает возможность по-новому взглянуть на шаблонные взаимоотношения людей и животных, которые не противопоставляются, а кардинально пересматриваются с позиции коммуникации на равных. Поэтика повседневности с (ретроспективной) саморефлексией анонимного женского нарратора раскрывает механизмы и модели приспособления живых существ в аспекте литературоведческой антропологии.

Литература:

Arlaud ... 2019: Arlaud, Sylvie, und Lacheny, Marc, und Lajarrige, Jacques, und Cardonnoy du, Éric Leroy (Hg.). *Dekonstruktion der symbolischen Ordnung bei Marlen Haushofer: „Die Wand“ und „Die Mansarde“*. Berlin: Frank und Timme, 2019.

Battison 2010: Battison, Régine. „*Marlen Haushofer: écrire pour transcender sa condition de femme*“. *Germanica* 46, 2010: 61–72.

Bosse... 2000: Bosse, Anke, und Ruthner, Clemens (Hg.): „*Eine geheime Schrift aus diesem Splitterwerk enträteln...*“ *Marlen Haushofers Werk im Kontext*. Tübingen, Basel: Francke Verl., 2000.

Brüns 1998: Brüns, Elke. *Außenstehend, un gelenk, kopfüber weiblich. Psychosexuelle Autorpositionen bei Marlen Haushofer, Marieluise Fleißer und Ingeborg Bachmann*. Stuttgart, Weimar: J.B. Metzler, 1998.

Chovanec 2014: Chovanec, Johanna. „*Marlen Haushofers die Wand*“ als Third Space. *Sprachkunst. Beiträge zur Literaturwissenschaft* 45 (1), 2014:15-30.

Duden ... 1986: Duden, Anne u.a. (Hg.). „*Oder war da manchmal noch etwas anderes?*“ *Texte zu Marlen Haushofer*. Frankfurt/Main: Neue Kritik, 1986.

Frei Gerlach 1998: Frei Gerlach, Franziska. *Schrift und Geschlecht. Feministische Entwürfe und Lektüren von Marlen Haushofer, Ingeborg Bachmann und Anne Duden*. Berlin: Erich Schmidt, 1998.

Haushofer 2005: Haushofer, Marlen. *Die Wand*. Roman. St. Pölten-Salzburg: Residenz Verlag, 2005.

Herbrechter 2014: Herbrechter, Stefan: „*Nicht, daß ich fürchtete, ein Tier zu werden...*“ *Ökographie in Marlen Haushofers Die Wand*. *Figurationen* 15, H. 1, 2014: 41-55.

Knápek 2019: Knápek, Pavel. *Marlen Haushofer: „Die Wand“ unter der Perspektive der Cultural and Literary Animal Studies*. *Acta Facultatis Philosophicae Universitatis Ostraviensis. Studia germanistica*. V. 25, Is. 1, 2019: 53-61.

Lange-Kirchheim 2007: Lange-Kirchheim, Astrid. „*Zur Konstruktion von Männlichkeit bei Autorinnen: Marlen Haushofer, Ingeborg Bachmann, Elfriede Jelinek*“. *Männer und Geschlecht*. Penkwit Meike (Hg.). Freiburg: Jos Fritz, 2007: 255–280.

Morrien 1996: Morrien, Rita. *Weibliches Textbegehren bei Ingeborg Bachmann, Marlen Haushofer und Unica Zürn*. Würzburg: Königshausen, Neumann, 1996.

Predoiu 2016: Predoiu, Graziella. *Raumkonstellationen in Marlen Haushofers „Die Wand“*. *Germanistische Beiträge* 38, Hermannstadt, 2016: 66-88.

Roeb ling 1989: Roeb ling, Irmgard. „*Ist Die Wand von Marlen Haushofer eine weibliche Robinsonade?*“ *Diskussion Deutsch* 20, H. 105, 1998: 48–58.

Strigl 2000b: Strigl, Daniela. *Marlen Haushofer. Die Biographie*. München: Claassen, 2000.

Strigl 2000a: Strigl, Daniela. „Eine große Lüge”. *Anmerkungen zur Biographie Marlen Haushofers*. Wespennest 119, 2000: 31–34.

Strigl 2004: Strigl, Daniela. „Die Wand” (1963) – *Marlen Haushofers Apokalypse der Wirtschaftswunderwelt*. Internet-Zeitschrift für Kulturwissenschaften. Nr. 15. Juli 2004, zugänglich unter https://www.inst.at/trans/15Nr/05_16/strigl15.htm (18.11.2021).

Torke 2011: Torke, Celia. *Die Robinsonin. Repräsentationen von Weiblichkeit in deutsch- und englischsprachigen Robinsonaden des 20. Jahrhunderts*. Göttingen: V & R unipress, 2011: 191–241.

Белобратов 1994: Белобратов, Александр. *Послесловие*. Хаусхофер М. Стена: роман; пер. с нем. Е. Крепак. Санкт-Петербург: Фантак, 1994: 279–286.

Бокшань 2020: Бокшань, Галина. *Міфологічні сценарії в романі Марлен Гаусгофер „За стіною”*. Збірник тез за матеріалами Міжнародної науково-практичної конференції „Філософські обрії сьогодення” 19 листопада 2020 р. Херсон: ДВНЗ „ХДАЕУ”, 2020: 7–9.

Гаусгофер 2020: Гаусгофер, Марлен. *За стіною*: роман; пер. з нім. Наталі Іваничук. Львів: Вид-тво Старого Лева, 2020.

Геллер 2005: Геллер, Леонид (ред.). *Утопия звериности. Репрезентация животных в русской культуре*. Труды Лозаннского симпозиума 2005. Лозанна-Дрогобыч: Коло, 2007.

Мацевко-Бекерська 2010: Мацевко-Бекерська, Лідія. *Наратив як форма антропологізації літературного твору*. Питання літературознавства. Вип. 80, 2010: 199–210.

Попов 2004: Попов, Юрій. *Робінзонада: традиційна сюжетна модель*. Традиційні сюжети та образи. Чернівці: Місто, 2004: 247–264.

Тарнашинська 2009: Тарнашинська, Людмила. *Літературознавча антропологія: новий методологічний проект у дзеркалі філософських аналогій*. Слово і час. №5, 2009: 48–61.

Тимофеева 2017: Тимофеева, Оксана. *История животных*. Москва: Новое литературное обозрение, 2017.

Улюра 2020: Улюра, Ганна. *Жінка за стіною. Режим доступу* <https://nspu.com.ua/novini/ganna-uljura-zhinka-za-stinoju/> (18.11.2021).

Фесенко 2011: Фесенко, Валентина (гол. ред.) *Сучасні літературознавчі студії. Топос тварин як антропологічне дзеркало*. Збірник наукових праць. Київ: Вид. центр КНЛУ, 2011.

Salome Kenchoshvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Pandemic Theme in Gabriele D'Annunzio's Novella
„The War for the Bridge“. Fragment of the Pescara Chronicle**

Summary

The theme of cholera epidemic in Gabriele D'Annunzio's novella "The War for the Bridge. Fragment of the Pescara Chronicle" manifests that the epidemic has a negative impact not only on the economic condition of people, but also on their way of life. In certain segments of the population pandemic promotes the spread of baseless conspiracy theories, syndrome of searching for the guilty, disbelief and doubts about the actions of authorities. Along with a certain psychological and social similarities between the reactions towards cholera epidemic in D'Annunzio's novella and the current pandemic of Covid-19, some fundamental differences are as well obvious.

Key words: D'Annunzio, pandemic, conspiracy theories.

სალომე კენჭოშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პანდემიის თემა გაბრიელე დ'ანუნციოს ნოველაში
„ბრძოლა ხიდთან“. პესკარას ქრონიკა**

უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე ლიტერატურა კვლავ და კვლავ უბრუნდება ეპიდემიების გავრცელებისა და მათი საშინელი შედეგების თემას.

კოვიდ 19-ის გავრცელებამ, რომელმაც პანდემიის სახე მიიღო, მისმა თანმხლებმა დიდმა სიკვდილიანობამ, მძიმე ეკონომიკურმა, სოციალურმა და ფსიქოლოგიურმა შედეგებმა თანამედროვე ჟღერადობა, ახალი განზომილება და ცხოველმყოფელობა შესძინა

სხვადასხვა ეპოქაში შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიების ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებს.

დღევანდელ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გაცნობიერებას, თუ როგორ იაზრებდნენ საუკუნეთა მანძილზე ლიტერატურაში ეპიდემიის პრობლემას, როგორ პასუხობდნენ ადამიანები მწვავე ინფექციურ დაავადებათა გავრცელებას, რაა საერთო და განმასხვავებელი ამ ნაწარმოებებში ყოველივე იმასთან, რაც დღევანდელი პანდემიისთვისაა დამახასიათებელი.

მწვავე დაავადებათა გამოჩენა და გავრცელება ანტიკური ხანის მწერლებს ღმერთების განრისხების გამოვლინებად მიაჩნდათ. ეს რწმენა კიდევ უფრო განამტკიცა ქრისტიანობამ, რომელიც ეპიდემიას ამქვეყნიური ცოდვებისათვის ღვთაებრივ სასჯელად აცხადებდა. მხოლოდ რენესანსის დროიდან, მეცნიერული აზრის განმტკიცებასთან ერთად, მკვიდრდება ის აზრი, რომ დაავადებათა გავრცელება არა ზეადამიანური, არამედ კონკრეტული ბუნებრივი მიზეზებითაა განპირობებული.

სხვადასხვა ეპოქათა მხატვრულ ლიტერატურაში ეპიდემიის ასახვისა და გააზრების შესწავლა ხელს უწყობს მასობრივი კრიზისების დროს წამოჭრილი პრობლემების გააზრებას და, როგორც ეს ნაჩვენებია ალბერ კამიუს რომანში „შავი ჭირი“, იმის გაცნობიერებას, რომ ეპიდემიასთან და ნებისმიერ სხვა უკეთურ საწყისთან საბრძოლველად აუცილებელია საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა. ლიტერატურულ ნაწარმოებში ეპიდემიის თემა ნათელყოფს, რომ ნებისმიერ ეპოქაში ეპიდემია ზეგავლენას ახდენდა კაცობრიობის ისტორიაზე, მის დემოგრაფიაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, ცხოვრების რიტმსა და ადამიანთა შორის ურთიერთობებზე.

იტალიურ ლიტერატურაში ეპიდემიის თემასთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ნიმუშებია ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“, რომელშიც თავისებური გამოძახილი პოვა მეთოთხმეტე საუკუნის ევროპაში გამეფებულმა შავი ჭირის ეპიდემიამ და ალესანდრო მანძონის ისტორიული რომანი „დაწინდულები“, რომელშიც აღწერილია იმავე ეპიდემიის მძვინვარება მილანში 1629-1631 წლებში.

იტალიურ ლიტერატურაში პანდემიის ამსახველ მცირე ეპიკურ ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იქცევს გაბრიელე დ'ანუნციოს ნოველა „ბრძოლა ხიდთან, პესკარას ქრონიკა“ (1884), რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ განეკუთვნება ვრცელი მოცულობის ნოველათა რიგს, მასში საკმაოდ ცხადად იჩენს თავს ეპიდემიებით განპირობებული ვითარების ამსახველი მხატვრული ტექსტებისათვის დამახასიათებელი არაერთი საკვანძო მოტივი: შიში და პანიკა, უსაფუძვლო ჭორებისა და მოსაზრებების გავრცელება, უნდობლობა ხელისუფლებისადმი, ეკონომიკური ზარალი, ცხოვრების ჩვეული რიტმის მოშლა, ეპიდემიით შექმნილი განწყობის უარყოფითი ზემოქმედება ადამიანთა შორის ურთიერთობებზე, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევაზე.

გაბრიელე დ'ანუნციოს ნოველა „ბრძოლა ხიდთან, პესკარას ქრონიკა“ დაკავშირებულია მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში ქოლერის რიგით მეხუთე ეპიდემიის გავრცელებასთან ჯერ სამხრეთ და შემდეგ ცენტრალურ იტალიაში 1884-1886 წლებში, რომელიც განსაკუთრებით ნეაპოლში მძვინვარებდა. ამ მოვლენას, სხვა ქვეყნების მსგავსად, იმდროინდელი ქართული პრესაც ეხმაურებოდა. ასე, მაგალითად, 1884 წლის 1 სექტემბერს გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „ნეაპოლში ხოლერა მეტად ძლიერდება. გუშინ გახდა ავად 346 და მოკვდა 11 კაცი. სხვა ხოლერიან ადგილებში კიდევ 122 კაცი გახდა ავად და 54 მოკვდა“.

ნოველაში „ბრძოლა ხიდთან, პესკარას ქრონიკა“ ქოლერით გამოწვეული პერიპეტეები ორ მეზობელ დაბას შორის ხიდით სარგებლობის უფლებისათვის გაჩაღებული ლამის ხელჩართული ბრძოლის ფონზე ვითარდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების საგანს ქოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებული სიუჟეტური ხაზი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში არაა მოცემული არც პროტაგონისტი და არც მეტ-ნაკლებად ვრცლად გამოკვეთილი ინდივიდუალური ხასიათები. ყურადღება მთლიანად გარკვეული ტოპოსისათვის დამახასიათებელი მასობრივი ცნობიერებისადმია მიპყრობილი.

გაბრიელე დ'ანუნციო გვიჩვენებს, თუ როგორ მიიღო ცნობა ქოლერის ეპიდემიის შესახებ იმხანად იტალიის ერთ-ერთი ჩამორჩენილი მხარის, აბრუცოს, გლეხობამ. ნოველაში თვალნათლივ ჩანს, რომ მოსახლეობის რეაქციას ქოლერის მიმართ უმ-

თავრესად ორი ფაქტორი განაპირობებდა: ცრუმორწმუნეობა და ხელისუფლების ინსტიტუტებისადმი უკიდურესი უნდობლობა.

როდესაც გლეხებისათვის ცნობილი ხდება, რომ ნეაპოლში, სადაც ქოლერის ეპიდემია განსაკუთრებულად მძვინვარებდა, „ქრისტიანები ბუზებივით იხოცებიან“, სოფლად სწრაფად ვრცელდება ქოლერის შეუსაბამო შეფასებები და უსაფუძვლო შეთქმულების თეორიები.

გლეხებს არ სჯერათ ქოლერის არსებობა და ცნობა მის შესახებ მთავრობის მზაკვრულ გეგმად მიაჩნიათ. მათ ღრმად სწამთ, რომ ხელისუფალნი ქოლერის საბაბით ხალხს მიზანმიმართულად წამლავენ, რათა მომრავლებულ ღარიბთა რიცხვი შეამცირონ: „ქმნიდნენ და ერთმანეთს სხვადასხვაგვარად გადასცემდნენ ათასგვარ მითქმა-მოთქმას. ამბობდნენ, გამგეობაში ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი შხამის შვიდი ყუთი ინახება სოფლებში გასავრცელებლად და მარილთან შესარევად [...]. იმასაც ამბობდნენ, რომ ხელისუფლება სოფლის განმგებელს ყოველ მიცვალებულში ხუთ დუკატს ჰპირდებაო. მოსახლეობა მეტისმეტად მომრავლდა და ღარიბები უნდა მოკვდნენო. განმგებელი უკვე ადგენსო სიებს“. აქ შეიძლება გავიხსენოთ დავით კლდიაშვილის მოთხრობაში, „სამანიშვილის დედინაცვალი“, პლატონის სიტყვები: „ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ერთობ ცუდი დრო! ხალხიც მომრავალდა. ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა...“.

ნოველაში ქოლერის მძვინვარების მომაკვდინებელი და შემამრწუნებელი ვითარების მოწმენი ვხდებით. როგორც კი მოსაღამოვდებოდა დაბებსა და სოფლებში „მდინარის სიგრილესთან ერთად სიკვდილის შიში ისადგურებდა [...]. ეპიდემია მდინარის გაყოლებით იკლავებოდა და სანაპირო სოფლების დაბალ ქოხებში იჭრებოდა“.

ქოლერით გამოწვეულ სიკვდილს სოფლების მკვიდრნი რეალური მიზეზით როდი ხსნიან. მაგალითად, ერთ-ერთი ქალის გარდაცვალების ასეთ გარემოებას ასახელებენ: ქალაქში ნაყიდი მაკარონი უჭამია, რომელიც უთუოდ მოწამლული იყო, და ამიტომ მოკვდაო. გლეხებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ქვეყნის მმართველები ყოველ ღონეს ხმარობენ ღარიბთა რიცხვის შესამცირებლად. გლეხების ღრმა რწმენით, „გაიძვერა“ და „ნადირალა“ განმგებელი ყოველ გარდაცვლილში დუკატებს იღებს.

დ'ანუნციოს ნოველაში გლეხების წარმოდგენაში განმტკიცებული რწმენა, რომ ხელისუფლება ბოროტებისა და ღარიბთა მიმართ მტრულად განწყობილი ძალის განსახიერებაა, ბუნებრივია, თავის დადს ასვამს სოფლის მოსახლეების როგორც ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ასევე მათ ცხოვრების წესსა და შრომისუნარიანობას. ვინაიდან გლეხებს სჯერათ, რომ ხელისუფალთ მიზნად აქვთ დასახული მათი ჭირნახულისა და საარსებო საშუალებათა მოწამვლა შხამით. როგორც დ'ანუნციოს შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ, დ'ანუნციოს ნოველა ამ მოტივით გარკვეულ პარალელს პოულობს ალესანდრო მანძონის რომანთან „დაწინდულები“, რომელშიც მილანელების აზრით, შავ ჭირს კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფი განზრახ ავრცელებს სახლების კარებსა და კედლებზე საწამლავის წასმის საშუალებით.

ნოველაში „ბრძოლა ხიდთან. პესკარას ქრონიკა“ გლეხებს იმდენად სჯერათ მათ წინააღმდეგ შეთქმულების, რომ ისინი დღე-ღამე შეიარაღებულები დარაჯობენ ხეხილს, ვენახს, ბაღებს, ყანებს, ჭებსა და აუზებს. ამასთანავე სულ უფრო ხშირად და მძლავრად გაისმის წყევლა-კრულვა და ზოგჯერ – თვით აჯანყებისკენ მოწოდების სახელდახელოდ შექმნილი სიმღერები.

დ'ანუნციოს ნოველაში ჩანს აგრეთვე, რომ მასობრივ სტრესულ ვითარებაში თავს იჩენს წარსულის მოვლენათა და გახსენებათა ცრუ კოდირება და უარყოფითი განწყობის გამძაფრება.

ქოლერის გავრცელებასთან ერთად სულ უფრო ხშირად გაისმის ცრუ მითქმა-მოთქმა და ჭორები იმის შესახებ, რომ ხელისუფალნი წარსულშიც კლავდნენ ადამიანებს შხამითა და საწამლავებით. „მოხუცებმა დაიწყეს ადრე მომხდარი ეპიდემიების გახსენება და იმ რწმენის განმტკიცება, რომ ხალხს ნამდვილად წამლავენ. ამბობდნენ, ერთხელ, 54 წელს, ფონტანელაში, ყურძნის კრეფის დროს ლედვის ხის კენწეროზე კაცი შეამჩნიეს, აიძულეს ჩამოსულიყო და დაინახეს, რომ იგი ყვითელი მალამოთი სავსე წამლის შუშას მალავდა. მუქარით აიძულეს, მთლიანად გადაეყლაპა მალამო, რის შემდეგაც ეს კაცი (იგი პადუანელი იყო) ძირს გაიშხვართა, მიტკლის ფერი დაედო, თვალები გადმოკარკლა, კისერი გაუშემდა და პირზე ქაფი მოადგა. როგორც კი სპოლტორეში 37 წლის მჭედელ-

მა ზინიკემ ქალაქის მოედანზე კანცლერი, დონ ატონიო რაპინე, მოკლა, ჟამიანობას უცებ მოელო ბოლო და ქვეყანა გადარჩა“.

როგორც თანამედროვე გამოცდილება ცხადყოფს, კოვიდის პანდემიით განპირობებული შეზღუდვებისა და აკრისადმი საზოგადოების არაერთგვაროვანი, ხოლო ზოგ შემთხვევაში აგრესიული დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ხარისხზე. რაც უფრო ნაკლებია ნდობის ხარისხი, მით უფრო არაადეკვატურ ხასიათს იძენს ეპიდემიის მართვისა და მისი შედეგების თავიდან აცილების პროცესი. ასეთი უნდობლობის ვითარების მოწმენი ვართ დაწუნციოს ნოველაში.

იმდენად ძლიერია ღარიბთა რწმენა, რომ ხელისუფლებას მიზნად აქვს დასახული მათი რიცხვის შემცირება შხამ-საწამლაკების საშუალებით, რომ გლეხები ქალაქში აღარაფერს ყიდულობენ. ერთადერთ რამეს, რასაც ქალაქის მაღაზიებში იძენდნენ, მარილი იყო და იმასაც გამოსაცდელად ჯერ კატებსა და ძაღლებს ასინჯებდნენ. მოწამვლის შიშით არც თავიანთი ჭირნახული გაჰქონდათ ქალაქში გასაყიდად. ამიტომ მტევნები ვენახში ხელუხლებლად რჩებოდა, ხოლო სიმწიფეში შესულ ლეღვსა და ყურძენს აღარავინ კრეფდა.

ქველმოქმედთა მიერ დაბებში უპოვართათვის მოწყობილი საზოგადოებრივი სასადილოები მათხოვრებს შხამიან ნივთიერებათა ლაბორატორიად მიაჩნდათ და ამჯობინებდნენ შიმშილისათვის გაეძლოთ, ვიდრე იქ მომზადებული კერძი მიეღოთ. განსაკუთრებით ერთი კაცი ამლიერებდა საერთო უნდობლობას. იგი სასადილოების ირგვლივ დაეხეტებოდა და მჭევრმეტყველად აცხადებდა: „მე თქვენ მანდ ვერ შემიტყუებთ!“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთმა მათხოვარმა ქალმა სძლია თავის შიშს, გასინჯა იქ მომზადებული ხორციანი კერძი და კმაყოფილება გამოთქვა, დამშეული ღარიბები რიგში ჩადგნენ სასადილოს საკვების მისაღებად.

პანდემიები დაკავშირებულია არა მხოლოდ სიკვდილიანობის ფაქტორთან, არამედ აგრეთვე ცხოვრების ჩვეული წესისა და შრომითი განრიგის მოშლასა და გარემოს პოზიტიური აღქმისა და განწყობის გაუარესებასთან. ასეთივეა დაწუნციოს მიერ ნაჩვენები მასობრივი შიშით შეპყრობილ გარემოში მყოფ ადამიანთა გან-

წყობა: „სადღა იყო ის ხალისი, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს ხოლმე ახალი ღვინის დაყენებას; ნაკლებად ნახავდი საწნეხელში ჩამდგართა ბუქნას და იშვიათად ისმოდა ქალების სიმღერა“.

როგორც ცნობილია, თვით ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში არაიშვიათად იჩენს თავს გარკვეული უნდობლობა ვაქცინაციისადმი და ზოგჯერ თვით სამედიცინო ღონისძიებებისადმი. ამ მხრივ დ'ანუნციოს ნოველაში გაცილებით უფრო მძიმე ვითარების მოწმენი ვართ. ქოლერით დაავადებულთაგან თითქმის ყველა კვდებოდა, „რადგან ყოველგვარი წამლის მიღებაზე უარს ამბობდნენ. მათზე არავითარი ახსნა-განმარტება არ მოქმედებდა. კუზიანმა ანიზაფინემ, ჯარისკაცებისთვის ანანასიან წყალს რომ ჰყიდდა, როგორც კი წამლის შუშა დაინახა, ტუჩები მაგრად მოკუმდა და თავი გაიქნია უარის ნიშნად. ექიმი ცდილობდა, დაეთანხმებინა, ამიტომ ნახევარი წამალი ჯერ თვითონ მოსვა და ამის შემდეგ თითქმის ყველა იქ მყოფი შეეხო ენის წვერით წამლის შუშის თავს. მაგრამ ანიზაფინე უარის ნიშნად კვლავ იქნევდა თავს. – ხომ ხედავ, – წამოიძახა ექიმმა, – ჩვენ ხომ უკვე დავლიეთ წამალი! – ჰა, ჰა, ჰა!- გაეცინა ანიზაფინეს, – განა არ ვიცი, რომ როდესაც წახვალთ, შხამსაწინააღმდეგო წამალს მიიღებთ“.

ნოველაში მოსახლეობის დაბალი ფენების რეაქცია ქოლერის მიმართ და ეპიდემიის თანმხლები უარყოფითი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მხარეები ცალკეული ნიშნებით გარკვეულწილად ჰგავს კოვიდ 19-ით შექმნილ თანამედროვე ვითარებას.

გაბრიელე დ'ანუნციოს „ბრძოლა ხიდთან“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეპიდემიის გავრცელებისა და შესაბამისად, მასობრივი ფსიქოლოგიური კრიზისის დროს ხელისუფლების ინსტიტუტების მოქმედებასა და მათ მიმართ ხალხის ნდობის ხარისხს. ამასთანავე უდავოა ისიც, რაოდენ დიდ პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ ეპიდემიების შესახებ ცრუმორწმუნეობაზე დამყარებულ შეხედულებათა დაძლევისა და ხალხისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების საკითხში მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ.

Nestan Kutivadze

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Literary Aspects of the Epidemic

Summary

History can provide us with the specific facts about epidemics. Numerical data and geographical areas have been specified as accurately as possible, while art and fiction have preserved the emotional aspects and human feelings of these fateful events. Today, this material enables us to see the society of that time from the centuries-old perspective, to conceptualize the artistic markers of literary interpretation, the connotative fields of these markers – their direct and metaphorical meanings. In this regard, Georgian thinking space is no exception. It is natural that Georgian fiction does not ignore this difficult social event and creates many memorable literary characters and stories. The texts created at the turn of the XIX-XX centuries distinguished by the individual style of writing skillfully depict the social picture caused by the epidemic, a changed way of life, a locked-down, isolated village completely gripped by fear of death, and an astonishing spiritual fortitude and inner strength of people in need.

Keywords: Vazha-Pshavela, Aragvispireli, Kldiashvili, Literary interpretation.

ნესტან კუტივაძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეპიდემიის ლიტერატურული ასპექტები

კაცობრიობა თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მრავალ განსაცდელს გამკლავებია, შეუჩერებია განადგურებელი საფრთხეები, გადაუტანია არაერთი მომაკვდინებელი ეპიდემია, რომლებიც პერიოდულად მთელი თავისი სისატიკით თავს ატყდებოდა სამყაროს და ხშირად გაცილებით

მეტ ადამიანს იწირავდა, ვიდრე დიდი ომები. ისტორიამ იცის ეპიდემიათა შესახებ კონკრეტული ფაქტები, შემდგომისდაგვარად დაზუსტებული რიცხობრივი მონაცემები და გეოგრაფიული არე-ალეები, მაგრამ ხელოვნებამ, მხატვრულმა ლიტერატურამ შემო-ინახა ამ საბედისწერო მოვლენების ემოციური მხარეები, ადამი-ანური განცდები. დღეს ეს მასალა შესაძლებლობას იძლევა სა-უკუნეთა გადასახედიდან დავინახოთ მაშინდელი საზოგადოება, გავიაზროთ ლიტერატურული ინტერპრეტაციის მხატვრული მარკერები, ამ მარკერების კონოტაციური ველები – პირდაპირი თუ მეტაფორული მნიშვნელობები.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორები (ჰომეროსი, სოფოკლე, ლუკრეციუსი, ვერგილიუსი...) გვიამბობდნენ მომაკვდინებელი შა-ვი ჭირის შესახებ. სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები (ბოკაჩო, შექსპირი, დანიელ დეფო, თომას მანი, ედგარ პო, კამიუ, მარკესი...) განსხვავებული მხატვრული ფუნქცი-ით იყენებენ ეპიდემიას თავიანთ ტექსტებში. ამ თემაზე შექმნი-ლი მხატვრული ნაწარმოებები არამხოლოდ ასახავს, არამედ ცდი-ლობს ფილოსოფიური ახსნა მოუძებნოს შექმნილ რეალობას, და-აფიქროს ადამიანი საკუთარი დანიშნულების, ზოგადად, წარმავა-ლისა და მარადიულის შესახებ.

ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართული სააზროვნო სივრცეა. ქართულმა ფოლკლორმა შემოინახა ეპიდემიის დროს სიკვდილის წინაშე მდგომი ადამიანების გამბედაობის არაჩვეულებრივი ნი-მუშები, განსაცდელისას ერთმანეთის მიმართ ადამიანთა პასუხის-მგებლობის შთამბეჭდავი მაგალითი ასახა ლეგენდამ ხევსურთა აკლდამების შესახებ. ქართული მხატვრული ლიტერატურაც, ბუ-ნებრივია, გვერდს არ უვლის ამ მძიმე სოციალურ მოვლენას და არაერთ დასამახსოვრებელ მხატვრულ სახესა თუ ამბავს ქმნის.

XIX საუკუნეში რამდენიმე ეპიდემიური აფეთქებაა ცნობილი. 1890-იანი წლებიდან საქართველოში გამომავალ პერიოდულ პრე-საში აქტუალურია ეპიდემიოლოგიური ვითარება. როგორც ირ-კვევა, ამ პერიოდში ინფექციური დაავადებები საკმაოდ გავრცე-ლებული ყოფილა, სპარსეთსა და თურქეთშიც, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ქოლერას, არსებულ სიტუაციას. გაზეთი „ივერია“ 1892 (№124) წელს მკითხველს აწვდის ცნობებს იმის შესახებ, რამდენი ადა-

მიანია „ხოლერიტ“ ავად ბაქოში, თბილისსა და სხვა ადგილებში, რამდენი გარდაიცვალა, რამდენს აქვს ავადმყოფობის მხოლოდ ნიშნები და ჯერ დადგენილი არ არის და ა. შ. ამასთან, გაზეთი იუწყება თბილისის „სასანიტარო კომისიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ბაქოდან მომავალი მატარებლების შემოწმების შესახებ და მოსახლებას, განსაკუთრებით კი მედუქნიეებს, აწვდის რჩევებს დაავადების თავიდან ასაცილებლად.

აქვე დაბეჭდილია გიორგი ბადრიძის ვრცელი სტატია სათაურით – „ხორველა“ (შესამჩნევია, რომ იმდროინდელ პრესაში ხშირად მიმართავენ „ქოლერის“ დიალექტურ ფორმებს: ხოლერა, ხორველა, მეტიც, სამედიცინო-პოპულარული ხასიათის სტატიის სათაურადაც კი დიალექტური ფორმაა გამოყენებული), რომელშიც აღწერილია დაავადების გაჩენის, ასევე, ავადმყოფობის გავრცელების ხელშემწყობი პირობების, მისი სიმპტომების, მასთან ბრძოლის გზებისა და წამლის შესახებ, მოცემულია რეკომენდაციები საკვებთან დაკავშირებითაც.

ამავე ნომერში დაბეჭდილია, ასევე, ცნობა ხუნაგის – დიფტერიის – შემთხვევისა და ერთი გარდაცვლილი ბავშვის შესახებ სოფელ გურჯაანში.

ზემო აღნიშნული მაშინდელ საქართველოში არსებულ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

ეს რეალობა, ბუნებრივია, აირეკლა მხატვრულ ლიტერატურაშიც. პრესის ფურცლებიდან მოსახლეობისათვის მიცემული რჩევებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, მძიმე სოციალური ვითარების, მოსახლეობის ფართო ფენების დაბალი განვითარების გამოც და ზოგადადაც, ეპიდემია არცთუ იშვიათად ღვთის რისხვად იყო აღქმული და, შესაბამისად, ღვთის ნებად ჩანდა გადარჩენა-არგადარჩენაც. მართალია, ამ ხასიათის მასალა დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ იმ თხზულებებმა, რომლებიც ქოლერის მიერ შექმნილ ვითარებას ასახავს, კარგად შემოინახა ჩვეულებრივი ადამიანის ბრძოლა მისთვის აუხსნელ და ძალიან საშიშ მოვლენასთან.

შიო არაგვისპირელის „მამას მიწა მივაყალეთ!..“ სავარაუდოდ 1892 წელს უნდა იყოს დაწერილი. ავტორი სათაურის ქვემოთ ურთავს შენიშვნას – სურათი. ამით ყურადღებას ამახვილებს, რომ ტექსტი არაა ვრცელი, მრავალთემიანი თხზულება, რომელშიც

დასრულებული ხასიათებია მოცემული, არამედ ფრაგმენტული ამბავია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ნაწარმოებში მოთხრობილი მძიმე ისტორია მოკლებულია განზოგადების შესაძლებლობას. თხზულებაში რამდენჯერმე აქცენტირებულია სიტუაციის ჩვეულებრივობა. სწორედ ეს ჩვეულებრივობა, რომელზეც მინიშნება, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული მხატვრული დატვირთვის არმქონე ფრაზებით კეთდება, სინამდვილეში ასახავს სოციუმის უმძიმეს ვითარებას საყოველთაო კრიზისის – ეპიდემიის დროს.

სოფელში შექმნილ ერთგვარ ჰუმანურ კატასტროფაზე მიგვაწინიშნებს ნოველის პირველი წინადადებები: „გუშინ თითონ უშველა ორ მესაფლავეს თავის ქმრის გამოტანა და ურემზე დადება. ისე, უკუბოდ, უმღვდლოდ, უხარჯოდ და შენდობის უთქმელად, ლეიბიანად გამოტოლი შეუდეს ურემზე სოსიკა და შეზარხოშებულმა მესაფლავებმა ღიღინით შეატარეს სოფელი და სამარის კარამდის მიიტანეს...“ (არაგვისპირელი 1947: 91), – აქ აღწერილი შემზარავი ვითარება საყოველთაო შიშსა და უბედურებას გამოხატავს. ის ფაქტი, რომ მესაფლავეები „შეზარხოშებულებიც“ არიან და თან „ღიღინებენ“ საკმაოდ დრამატული, დამთრგუნველი მდგომარეობის გახშირებასა და გაუბრალოებას უსვამს ხაზს.

სოფლის ეპიდემიასთან ბრძოლა ბევრი რამით ჰგავს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს, რომელშიც ყველა დამოუკიდებლად ცდილობს სიცოცხლის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, გადარჩენის გზად გაქცევა და განმარტოებაა მიჩნეული. „მომეტებული ნაწილი – კი სოფლელებისა დიდი ხანია თავ-ზარ-დაცემული გავარდა და ტყესა და მინდორს მოხვდა“ (არაგვისპირელი 1947: 91). როგორც ჩანს, პანდემიების დროს საცხოვრებელი ადგილიდან გახიზვნა საკმაოდ გავრცელებული იყო და მას XIX საუკუნის ბოლოსაც აქტიურად მიმართავდნენ.

სოფელში არსებულ უმძიმეს ვითარებას კარგად აჩვენებს ოთხი წლის გოგოსთან ერთად მარტოდ დარჩენილი მართიკო, რომლის მეუღლესაც ხოლერა შეეყარა, „იმისმა მაზღამაც, როცა ქმარი ავად გაუხდა, თავი დაანება და თავისი ცოლშვილი მინდორში გახიზნა“ (არაგვისპირელი 1947: 91). ასეთი ნაბიჯი – მომაკვდავი ძმის ოჯახის მიტოვება – არა იმდენად თანაგრძნობის ნაკლებობისა და გულქვაობის მაჩვენებელია, რამდენადაც ზოგადი უმეცრების, რის

გამოც განსაკუთრებით მძიმე ყოფაში ვარდებიან ისედაც უსუსურ მდგომარეობაში მყოფი ქალები და პატარა ბავშვები.

ნოველაში ეპიდემიის გამო შექმნილ ჰუმანურ კრიზისს, ემოციურ გადაწვას, გამოხატავს მესაფლავეების მხატვრული სახეები. მათი გაუხეშებული ხასიათი განსაზღვრულია, ერთი მხრივ, გახშირების გამო სიკვდილის გაუბრალოებით, მეორე მხრივ კი, შესაძლებლობის ზღვრამდე მისული შრომით. მათთვის მნიშვნელობა აღარ აქვს როგორაა დასაფლავებული მათივე თანასოფლეელი, აღარც ჭირისუფლის მდგომარეობა აინტერესებთ. „–დავიღალენით, შე დალოცვილი შვილო, ასე გონია ალა-ლაობა იყოს! ჩვენც ადამიანისშვილები ვართ. დღეს ეს მესამე საფლავი გაგვითხრია და მესამე მიცვალებული გაგვიტანია...“ (არაგვისპირელი 1947: 92), – ეუბნება ერთ-ერთი მესაფლავე ისედაც სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფ ქალს. მათ მიერ ნაკარნახევი გამოსავალიც შემზარავია თავისი გულგრილობით, რაც ვითარების სიმძიმესა და არაჰუმანურობას ამჟღავნებს და ამძაფრებს კიდევ. „...წადი და ახლა შენ მოუარე შენ მიცვალებულს“ (არაგვისპირელი 1947: 92), – ასე მიმართეს ახალგაზრდა ჭირისუფალს, ქალს, რომელმაც ისედაც მარტომ დაიტირა თავისი ქმარი, ახლა კი ისევ მარტო უნდა მიხედოს ნახევრად მიწამიყრილი ქმრის საფლავს.

შექმნილ ვითარებაში თანაგრძნობას, უფრო მეტად პასუხისმგებლობას, აჩვენებს ნოველის ერთადერთი პერსონაჟი ქალი. ახალგაზრდა ქმარი ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ცოლს და, როგორც მწერალი ამბობს, „თავგანწირულობით უვლიდა და მორიდება თავში არ მოსვლია“ (არაგვისპირელი 1947: 91), – მაგრამ ვერც ქმარი გადაარჩინა და თავადაც დაავადდა. მწერალი აღწერს ტანჯვას ქოლერისაგან დაავადებული ქალისას, რომელსაც ამჯერად დედის თავგანწირვა აძლებინებს. უკანასკნელ ძალებს იკრებს შვილის დასაცავად, მოურჩენელი სენის შეყრისაგან მის გადასარჩენად. ამ შემთხვევაში უკვე წინა პლანზე დედაშვილობის ასპექტები წამოიწევეს. დედისათვის სატანჯველად ქვეულა იმის განცდა, რომ, მისი სიკვდილის შემთხვევაში, უდედმამო გოგონას აღარავინ ეყოლება, ვინც გაზრდის და უპატრონებს. ეს ვითარებაც ეპიდემიის ერთ-ერთი შემზარავი და ტრაგიკული მხარეა.

თხზულების ფინალში ჩნდება მაზლი, მინდორში ჭორად გაგებული ამბის დასაზუსტებლად მოსული. ეს დეტალიც ასეთი განსაცდელის ჟამს ადამიანის მარტოობას უსვამს ხაზს, მაგრამ, ამის მიუხედავად, პატარა გოგონას ბიძის გამოჩენასთან დაკავშირებული სიხარული, ოპტიმიზმს აჩენს. სწორედ ბიძის რიტორიკული კითხვის პასუხია ბავშვის გაუმართავი ენით ნათქვამი ფრაზა – „მამას მიწა მივაყალეთ! (არაგვისპირელი 1947: 93), რომელიც არაგვისპირელს ნაწარმოების სათაურად აქვს შერჩეული, რითაც წინა პლანზე ბავშვის გაუცნობიერებელი ემოციაა წამოწეული. ბავშვთა დაუცველობისა და მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ამ გზით ჩვენება, ასევე, მწერლის მიერ ეპიდემიის ოსტატურად დაჭერილი ერთ-ერთი წახნაგია.

თხზულების მიმე განწყობილებას რამდენადმე ამსუბუქებს ბიძა, რომელიც, სავარაუდოდ, დედის გარდაცვალების შემთხვევაში გოგონას პატრონი გახდება, ქალის სიკვდილიც ღიად რჩება. ამ დეტალებს თხზულების საერთო მიმე განწყობილებაში ერთგვარი შემამსუბუქებელი შტრიხები შეაქვს, თუმცა საერთო დრამატულ სურათს, რა თქმა უნდა, ვერ ცვლის.

ნოველაში მოქმედება ერთ დღეს ხდება, თუმცა ნოველის ქრონოტოპი ორ დღეს მოიცავს, წინა დღე ქალის მოგონებაში, განცდაში აღდგება. ავტორი ასეთ მოკლე დროსა და ამბავში რეალურად სოფელში მძვინვარე ეპიდემიის შედეგად შექმნილ მომაკვდინებელ ვითარებას საკმაოდ სრულყოფილად აღწერს, აქ ერთადაა ბუნებრივად არსებული სიკვდილის შიში და ამისაგან გამოწვეული სტიგმა, უმძიმესი განსაცდელის წინაშე მარტოდ დარჩენილი, მიტოვებული ადამიანები, სასოწარკვეთილება, რომლითაც მთლიანადაა მოცული გარემო, გამოკვეთილია ფსიქოლოგიური ნიუანსები.

არაგვისპირელის ნოველაში „ვცხოვრობთ!“ (1898) უკვე გავლილი ეპიდემია სახალისო ამბად ინტერპრეტირდა. ამით, ამ ნაწარმოების ქრონოტოპიც დროის ორ მონაკვეთად გაიყო – ეპიდემიის და მის შემდგომ პერიოდებად. ტექსტის მიხედვით, სოფლის ნაცვალი, საკუთარი მეტსახელის, „ხორველის ანგელოზის“, შერქმევის ისტორიას უამბობს თანამეინახე სტუმრებს და ჰყვება, როგორ შეექცეოდა შიშის გამო ტყეში გახიზნული თანასოფლელების მიერ დატოვებულ სურსათ-სანოვაგეს და როგორ მოახერ-

ხა ისე, რომ უკან დაბრუნებულებს პასუხი ვერ მოეთხოვათ ამისათვის. ნოველის ეს იუმორისტულ-ირონიული რაკურსი სინამდვილეში ხერხია, რომ ადამიანის დაცემას გაუსვას ხაზი მწერალმა. „დაღალული გონება მკაფიოდ აღარ ასურათებდა მოქმედ პირებს. თან-და-თან ფერი, პიროვნება ეკარგებოდათ“ (არაგვისპირელი 1947: 348), – ამბობს ავტორი. ნოველის მსუბუქი განწყობილება ფინალში სატირად გარდაიქმნება. მწერალი აზოგადებს ამ ქცევას: თუ ერთ შემთხვევაში, ხოლერა ამ ფორმით ავლენს ადამიანთა უსულგულობას, სხვა დროს განსხვავებული, მაგრამ არსით მსგავსი – „მაგვარსავე ამბით“ გამოჩნდება. ამით აქცენტი ადამიანის ნაკლოვან ბუნებაზე კეთდება, რაც მთლიანად თანხვედება არაგვისპირელის სხვა თხზულებებში გამოვლენილ მსოფლმხედველობრივ სკეპსს.

მხატვრული ლიტერატურა საყოველთაო განსაცდელის დროს მხოლოდ მძიმე რეალობის ამსახველ სურათებს არ ქმნის, არ ინახავს მხოლოდ დრამატულ მოვლენებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყოფის უმთავრესი მახასიათებელი ხდება კრიზისულ პერიოდებში. როგორც ცხოვრებაში, უბედურებასთან ერთად ყოველთვის თანაარსებობს კეთილი, ასეთ დროსაც ბედნიერების დღეებს ხალისი შეაქვს ნაცრისფერ ყოველდღიურობაში, იმედს უსახავს დანარჩენებს და გასაჭირის გადატანის ენერგიას აძლევს ადამიანებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას, ასევე, 1892 წელს შექმნილი მოთხრობა – „ხოლერამ მიშველა“.

მოთხრობას ფონად ხოლერას ეპიდემიის გამო შექმნილი ვითარება გასდევს, უმწეოდ დარჩენილი სოფელი შეშინებულია და ტყეში გახიზვნიტ ცდილობს გასაჭირს დააღწიოს თავი, ღვთის იმედად დარჩენილები საშველად მას მიმართავენ. „ღმერთო დალოცვილო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულ კაცს, დაიხსენი ყველა ჭირიდან, ბოროტებიდან, ღმერთო, გადმოგვხედე ერთი მადლიდან, შენი სახელის ჭირიმე, ერთი შენებურად უბძანე ამ ოხერ ხორველას, მოგვწყდე თავიდან!“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 264), – ეპიდემიის დასრულებას შესთხოვს უფალს მედუქნე გასპარა.

აღსანიშნავია, რომ მწერალი ერთად შეყრილი, ტყეში გახიზნული სოფლის ჟრამულზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ავტორი აქვე ახსენებს სასაფლაოს უმოძრაობასა და მდუმარებას, რომელთანაც ასოცირდება მოსახლეობისაგან დაცარიელებული

და მიტოვებული სოფელი. „მის მნახავს შამეცოდა ჩემი თავი, გული ამომიჯდა; თვალზე ცრემლები მომადგა: ეს რა უბედურება უნდა იყოს მეთქი, რომ თავის ნებით თავის სახლ-კარს კაცი ღვთის ანაბრობაზე თავს ანებებდესო...“; – ამბობს ბერუა, ამბის მოხრობელი (ვაჟა-ფშაველა 1964: 208).

მოთხრობას საერთო ფონად გასდევს აღსასრულის მოახლოებით გამოწვეული განწყობა, მისი ბუნებრივი შიში. ნაწარმოებში სიკვდილის მოახლოებით არაერთი კეთილი ქმედება აიხსნება, მაგალითად, მედუქნი გასპარის „გაპურადება“, როგორც აღნიშნავს ვაჟა.

ბუნებრივია, სიკვდილის მოახლოება ტყეში გახიზნულ სოფელს აშინებს, აფიქრებს, პანიკაშიც აგდებს, რაც მსუბუქი იუმორისტული პასაჟითაა გადმოცემული. აღსანიშნავია, რომ ერთად შეყრილი გლეხები საყოველთაო ჟრიამულებას ეძლევიან, მხიარულ ვახშამს მართავენ. რაც სხვა არაფერია, თუ არა აღსასრულის ჟამს თავდავიწყების ძიება.

დიდი განსაცდელი გაბედულებას მატებს ბერუაზე შეყვარებულ სოფოს, რომელიც სწორედ ამ ვითარების გამო მამის ნების წინააღმდეგ მიდის. შეყვარებული წყვილი დაქორწინდება და დაცილილ სოფელს შეაფარებს თავს. „ხოლერა რომ არ მოსულიყო, ჩვენ ხომ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გაგებდავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოებამ კი გაგვაბედინა. სოფლელების საარაკო სალაპარაკო დღეს მე და სოფო ვართ; დაავიწყდათ ხოლერა, დღეს ჩვენა ვართ ხოლერა“, – წერს ვაჟა-ფშაველა (ვაჟა-ფშაველა 1964: 213). ბოლო ფრაზაში მეტაფორული შინაარსი აქვს ლექსემა ქოლერას, ოღონდ ამ შემთხვევაში მის გააზრებაში მსუბუქი ირონიანარევი სასიყვარულო განცდა და მიუღებელი ქორწინება მოიაზრება.

აღსანიშნავია, რომ მწერალმა ამ პრობლემას გაცილებით ღრმა მეტაფორული გააზრება მოგვცა წერილში – „ფიქრები ხორველის გამო“, მაგრამ ამჯერად კვლევის საგანი მხატვრულ ლიტერატურაა.

აშკარაა, რომ ვაჟა-ფშაველამ ამ პატარა მოთხრობაში ჟამიანობის დროს მოლხენის მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი კარგად ნაცნობი მოტივი გამოიყენა და ოპტიმიზმით აღსავსე ნაწარმოები შექმნა.

თითქმის ერთსა და იმავე დრო შექმნილი ტექსტები, ავტორთა რადიკალურად განსხვავებულ ხელწერასა და მსოფლხედვასთან

ერთად, მკაფიოდ ავლენს მხატვრული ლიტერატურის ბუნებას – მრავალი რაკურსით აჩვენოს ესა თუ ის ხდომილება ისე, როგორც თავად ცხოვრებაა მრავალფეროვანი, ბედნიერებითა და დრამატიზმით ერთნაირად მოცული.

კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელსაც გვინდა შევეხოთ არის დავით კლიდიაშვილის „მიქელა“, რომელიც პირდაპირ არ ასახავს ეპიდემიის გამო შექმნილ ტრაგიკულ რეალობას, თუმცა მასში უკურნებელი სენი, სახადი ხდება განვითარებული მოვლენების მთავარი ფაქტორი. მოთხრობა გლახკაცის მძიმე ყოფის შემზარაობასა და მათ გამომწვევ მიზეზებს მკაფიოდ აჩვენებს კლდიაშვილისათვის დამახასიათებელი ოსტატობით. გადარჩენის ვნებას სოციალურად დაბეჭავებულ, გაუნათლებელ საზოგადოებაში შეპყრობილი ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე მიჰყავს ერთ დროს უწყინარი გლეხი, რომლის ცდა, შეცვალოს ვითარება, კიდევ უფრო მძიმე შედეგებს იწვევს.

შიში, რომელიც მთლიანად წარმართავს მთავარი გმირის მოქმედებას დიდი უბედურებითაა გამოწვეული. „უბედურ მოხუცებულობას შეესწრო მიქელა გიორგაძე. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილი-შვილი და დაქვრივებული რძალი მაია“ (კლდიაშვილი 2007: 317), – ასე იწყებს დავით კლდიაშვილი თავის თხზულებას. არც დასაწყისში და არც შემდგომ არსად აკონკრეტებს მწერალი, რამ გამოიწვია ასეთი თავზარდამცემი ტრაგედია. აღნიშნავს, რომ კაცია უბედურება მოთმინებით მიიღო, როგორც ღვთის ნება, გადარჩენილი ორი შვილიშვილი კი მორჩილების გამო ღვთისაგან ნაბოძებ საჩუქრად მიიჩნია.

მიქელას ასეთი სულიერი მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა, როდესაც მისი 20 წლის შვილიშვილი სპიდონა მოულოდნელად ავად გახდა, საიქიოდან ერთი წლით გამოაბრუნეს და მოხუცის ერთადერთ იმედად მეორე შვილიშვილი – 10 წლის ნესტორა – დარჩა. „ეს მოხუცებული ახლა სრულიად გამოიცვალა, სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქო გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა – თავისი გრძნობითა და წადილებით“ (კლდიაშვილი 2007: 318). როგორც ირკვევა, მიქელას გრძნობა და სურვილი მთლიანად ნესტორას გადარჩენისაკენაა მიმართული. „ამოკვეთის,

ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა, შიშმა, რომ ამდენ მიცვალებულთ სულის მოსამსახურედ აღარავინ დარჩეს ოჯახში“ (კლდიაშვილი 2007: 318) მთლიანად დაატყვევა მოხუცის გონება და დაუკარგა საღად აზროვნების უნარი.

სოციუმი მეზობლის ოჯახში მომხდარ ამბავს ისე ხსნის და ებრძვის, როგორც შეუძლია, ცრურწმენითა და მასზე აღმოცენებული ქცევის წესებით.

თავად ოჯახის გადარჩენილი წევრებისთვისაც იგივეა ქცევის მოდუსი. მიქელას რძალს ეშინია ნათესავებში გადამალული შვილიშვილის სანახავად წასულმა მამამთილმა რამე არ გაიყოლოს. „–ტანისამოსი დაგებერტყათ, ბატონო!.. არაფერი გაგყვით! – მიადახა ქალმა“ (კლდიაშვილი 2007: 320). მძახლის სახლთან მისული მოხუციც ზედმიწევნით ასრულებს რძლის დანაბარებს. „მეჩერდა, გაიხადა ჩოხა... მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალამნები, გაბერტყა ესენი, ჩაიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შედგა ფეხი მოყვრის ეზოში“, – ამბობს მწერალი (კლდიაშვილი 2007: 321).

მოთხრობაში სახელი ვერ ერქმევა მიქელას თავს დატრიალებულ უბედურებას, მაგრამ მოქმედ გმირები ეძებენ გამოსავალს იმაზე დაყრდნობით, რაც არსებული მოარული ამბებიდან ხდება მათთვის ცნობილი. მძახალი – გაბრიელი – მიქელას ურჩევს სახლი გადაიტანოს ან გაწმინდოს. „სახლის გაწმენდა გაგანთავისუფლებს... შენს ადგილზე სახლს გადავდგამდი, თუ არა, გავწმენდდი მაინც... დავარღვევდი და ისე გავწმენდდი! (კლდიაშვილი 2007: 323). ამ გზას, როგორც გადარჩენის გარანტიას, კიდევ უფრო ამყარებს მოთხრობაში ნახსენები თედორეს შემთხვევა. მასაც მიქელასავით უკვდებოდნენ ოჯახის წევრები, მაგრამ, რაც „მოინაცვლა სამოსახლო, გაწმინდა, გაასუფთავა სახლი“ (კლდიაშვილი 2007: 323), მას შემდგომ ყველა კარგად ჰყავს.

სახლის გაწმენდა არ არის მარტივი ოჯახისათვის, რომლის მდგომარეობა შოკში აგდებს ირგვლივ მყოფ ადამიანებს, რომლებიც, თავის მხრივ, განზე გადგომით იცავენ თავს. „მეზობლები ახლაც არ გვეკარებიან“ (კლდიაშვილი 2007: 324),– ამბობს მიქელას რძალი. მარტო დარჩენილი ოჯახი ჟამგამოვლილი ადამიანის იმედად რჩება. მოთხრობის მიხედვით, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია „თავის გამეტება“. მწერალი ჟამისაგან გადარჩენილს ორი სიტყვით ასე ახასიათებს: „რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა

ქამს გამოვლილი ალექსი, სახენაყვავილევი, ცალთვალწამხდარი კაცი“ (კლდიაშვილი 2007: 325). იდიომური ფრაზა „თავის გამეტება“ აუხსნელ სენტან მარტოდ დარჩენილი ადამიანების დამოკიდებულებას აჩვენებს თანაგრძნობით გამსჭვალული სოფლელეების მიმართ.

შემაშფოთებელია, რომ სახლის გაწმენდის (რაც გულისხმობს სახლის დაშლას, მორების სათითაოდ დაფხეკასა და დადუღვრას) შემდეგ მოხუცი გაურბის, შორდება შვილიშვილს, როგორც მძიმე გადამდები სენის მქონეს. უაღრესად მძიმეა სიკვდილის პირას მყოფი ბიჭის სულიერი მდგომარეობა, ის ზედმიწევნით ზუსტად გრძნობს ბაბუის გაუცხოებას. „თავდაპირველში ძლიერ ეოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა – თითქო იგი ჭირიანი ყოფილიყო, მაგრამ მერე ამასაც მოურიგდა. იგი მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა, მისგან რამე არ გაჰყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა“ (კლდიაშვილი 2007: 328). მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი ცდილობს გამართლება მოუძებნოს მის მიმართ გამოჩენილ სასტიკეს, ასეთი უგულობა, ბაბუას უკარგავს ადამიანურ სახეს. ამასთან ერთად, კარგად ჩანს აუხსნელი და სასიკვდილო მოვლენის პირისპირ ცრურწმენის იმედად დარჩენილთა არამხოლოდ არსებობისთვის თავგანწირული ბრძოლა, არამედ ადამიანის არსის რღვევაც.

მიქელა ვერ აცნობიერებს, როგორ იქცა საკუთარი შვილიშვილის მკვლელად. მეტიც, ბიჭის დატანჯვის გამო მღვდლის მუქარაზე თავსაც იმართლებს, რომ იმ ერთადერთ შვილიშვილს, ამოწყვეტისაგან რომ უნდა ეხსნა ოჯახი, ვერ შეიყვანდა გაუწმენდავ სახლში, „არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო“ (კლდიაშვილი 2007: 332), – ეუბნება მღვდელს ბაბუა, რომლის პასუხი, რა თქმა უნდა, დეკუმანიზებული ადამიანის სიტყვებია, მაგრამ სხვაგვარი გამოსავალი მან ვერ იპოვა, ეს არ ყოფილა მისი წინასწარგანზრახული და ნაფიქრი გადაწყვეტილება, ამიტომ ვერ გრძნობს დანაშაულს, მოვლენის დრამატულობას. მისი განწყობის, ცნობიერების წარმმართველი შვილიშვილის გადარჩენის გამო გაჩენილი დადებითი იმპულსია. კიდევ უფრო მკაფიოდ ეს ჩანს ნაწარმოების ფინალში. მიქელა მზადაა საერთოდ არ მოესწროს ბიჭის შინ დაბრუნებას, მზადაა მისი ჭირის სანაცვლო იყოს, ოღონდ სულის მაცხოვრებელი ჰყავდეს (კლდიაშვილი 2007:

333). სწორედ ამგვარი ფინალი მიქელას დრამას გაუნათლებლობის სიბზნელით მოცული ადამიანის ტრაგედიადა აქცევს და არა სასტიკ დანაშაულად, არც მიქელაა ცივისსიხლიანი დამნაშავე. მოხუცის შეუპოვრობა მოდგმის გადარჩენის ჟინითაა ნაკარნახევი და არა მკვლელის ინსტინქტით. „სადამდე შეიძლება იყოს ცრუმორწმუნეობით დაბნელებული ადამიანის გონება. რა საშინელი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მიამიტობამ და უმეცრებამ. ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლელი გახდა. და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ – ჯიშის, მოდგმის გადარჩენის სახელით“, – წერს აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე 2004: 406).

ცნობილია, რომ კლდიაშვილის „საიქიოს ნამყოფ“ გმირებს ჰყავდა პროტოტიპი მწერლის მეზობელი გლეხი – ლევან სირბილაძე, მაგრამ „მიქელაში“ გადმოცემულ ამბავში შთამომავლობის გაქრობის შიშით შეპყრობილი ადამიანის ხასიათის ის შტრიხებია ასახული, რომელმაც მხოლოდ ძალზე იშვიათად, დიდი სულიერი კატაკლიზმების დროს შეიძლება იჩინოს თავი, რაც ამ შემთხვევაში ყოფით დონეზე საყოფაცხოვრებო შიშის (სიკვდილის, დაავადების და სხვ. – ფროიდი) ფორმით გამოვლინდა ღარიბ, გაუნათლებელ, ცრურწმენებით მოცულ საზოგადოებაში, რომელიც ამგვარად ირეაგირებს ყოველთვის, როდესაც ის გონებრივად და სულიერად ვერ გაუმკლავდება უცნობ მოვლენას, ავადმყოფობას, ეპიდემიას ან მის მსგავს სენს, რაც არაერთი მინიშნებით ამ ტექსტშიც აისახება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილმა ამ თხზულებებმა თითოეული ავტორისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ხელწერით მხატვრულად ასახა პანდემიის დროს მაშინდელ საქართველოში შექმნილი ვითარება, ოსტატურად აჩვენა ეპიდემიით გამოწვეული სოციალური სურათი, მისი მარკერები, რომლებიც ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად მსგავსია. ესაა: მსხვერპლი, ინტენსიური უარყოფითი ემოცია, ადამიანთა შეცვლილი ყოფა, უკონტაქტობა, ჩაკეტილობა, სიკვდილის შიში, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების სულიერი სიმტკიცე, შინაგანი ძალა და ბრძოლა სიცოცხლის გასაგრძელებლად.

დამოწმებანი:

არაგვისპირელი 1947: არაგვისპირელი შ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1947.

ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა. თხზულებანი. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, „ლომისი“, 2004.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. ტ. V. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

კლდიაშვილი 2007: დავით კლდიაშვილი. ქართული მწერლობა. ტ. 30. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 2007.

Tatiana Megrelishvili

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

“...a Thinking Person is Restless and Worried about the Future”: Premonitions in Three Boldin Poems by A. S. Pushkin

Summary

Three poems by A. S. Pushkin, created during the Boldino autumn, are marked by a single mood: concern for the future, a premonition of interference in the fate of the poet by destructive evil forces. These are the well-known works “Demons” (September 7, 1830), “Elegy” (“The Faded Fun of Mad Years...”) (September 8, 1830) and “Poems composed at Night during Insomnia” (October 1830).

The paper, having studied and analyzed the above texts and the letters from Boldino, highlights the sources and artistic dominants in which the poet finds his expression of the premonition of future, as well as philosophical deliberations inscribed in the context of his poetry and in the creative quest of his contemporaries.

Key world: Boldino, A. S. Pushkin, artistic dominants, philosophical deliberations, the context of his poetry.

Татьяна Мегрелишвили

Грузия, Тбилиси

Грузинский технический университет

**«...человек мыслящий беспокоен и волнуем будущим»:
предчувствия в трех болдинских стихотворениях
А.С.Пушкина**

Три стихотворения А.С.Пушкина, созданные в период Болдинской осени, отмечены единым настроением: обеспокоенностью будущим, предчувствием вмешательства в судьбу поэта разрушительных злых сил. Это известные произведения «Бесы» (7 сент. 1830), «Элегия» («Безумных лет угасшее веселье...») (8 сент. 1830) и «Стихи, сочиненные ночью во время бессонницы» (октябрь 1830). Произведения созданы в Болдинскую осень – период, когда поэт, запертый на холерный карантин в имении Большое Болдино, оказался вынужденным затворником, приехав туда накануне своей свадьбы уладить некоторые деловые и финансовые вопросы. Обстоятельства личной жизни поэта оказались нарушены карантинными ограничениями, и он задержался в Болдино на три месяца. Это время стало самым продуктивным в творческой биографии Пушкина и одновременно своеобразным подведением итогов. В то же время оно отмечено сильнейшей напряженностью мысли и чувства, неожиданными размышлениями о будущем.

Указанные три стихотворения – одни из наиболее глубоких созданий его лирики – неоднократно становились предметом исследовательского внимания. В обширной научной литературе (Бройтман 1991: 230-231; Викторович ... 1977: 119-134; Гершензон 1919: 131-133; Грехнев 1977: 33-38, 40-59; Кошелев 2000: 195-237; Мейлах 1937: 246-254; Пяткин 1995: 120-129) вопроса следует выделить некоторые исследования: Муравьевой О.С. (Муравьева 2009: 121-124), Слинной Э.В. (Слинина 1994: 94-102). Рассмотрение стихотворения «Бесы», предпринятое Муравьевой О.С., основываясь на архивных разысканиях и разборе возможных литературных источников, переходит в тонкий анализ жанрового своеобразия и художественной

природы этого произведения. Исследование Слининой Э.В. охватывает все три указанных произведения, предлагая глубокий анализ поэтики этих художественных текстов. И если те или иные положения этого труда могут быть предметом научной полемики, то это не уменьшает его значимости как основы для любого дальнейшего углубления в анализ этих произведений. Ряд интереснейших замечаний есть у Н.М.Фортунатова (Фортунатов 1999: 253-265.), С.А.Фомичева (Фомичев 2000: 50-56), О.А.Проскурина (Проскурин 1999: 221-237) и других. Это, однако, не означает, что проблематика трех стихотворений, первыми созданных в Болдино, выяснена исчерпывающе. Более того, многие кардинальные вопросы, связанные с этими произведениями, все еще остаются дискуссионными. Такова, например, проблема символьного наполнения стихотворения «Бесы», и она не единственная. Решение же следует искать на путях анализа всех трех этих произведений как своеобразного художественного единства.

Исходя из общего положения о том, что произведение литературы неразложимо на любом уровне и как эстетический объект воспринимается целостно, целью данного исследования становится уровневый анализ «содержательной формы» (Бахтин 1986) трех указанных лирических текстов. Подобный подход позволяет через «высказывание» автора вскрыть глубинные пласты художественного содержания каждого из анализируемых текстов, то есть показать единство объективного и субъективного начал, что и открывает возможность устанавливать определенные соотношения и закономерные взаимодействия между тремя лирическими произведениями Пушкина.

Путь пушкинской мысли от «Бесов», через «Элегию» к «Стихам, сочиненным во время бессонницы» нельзя проследить без учета общего состояния духа поэта на момент приезда в Болдино¹. Очевидно, что Пушкин пребывал в подавленном настроении: с одной стороны, осень всегда была для него плодотворным периодом, позволявшим создать многое, что потом печаталось в журналах в течение целого года и приносило столь нужные поэту деньги, с другой стороны, необходимость заниматься делами

имения грозила потерей драгоценного времени, а значит делала туманной перспективу заработков в течение грядущего года; добавок события в Париже беспокоили Пушкина, возвращая его к размышлениям над кругом идей, волновавших поэта с юности – свобода, взаимоотношения между дворянством и крестьянством были теми краугольными вопросами, по которым спорили декабристы и осмысление которых продолжил Пушкин, что и отразилось чуть позднее в «*Капитанской дочке*». Таким образом, личные проблемы и неожиданно актуализированные политическими и карантинными событиями размышления над определенным кругом идей не давали столь требуемого для творчества покоя и возможности погрузиться в работу.

«*Бесы*», написанные 7 сентября, всей тональностью и бросающейся в глаза напряженностью ритмики и композиции выражают смутное предчувствие беды. В стихотворении говорится о «зиме и **тревоге**» [Болдинская осень 1974: 27]. Ранее исследователями было обращено внимание на близость дат создания «*Бесов*» и «*Элегии*» и общность настроений: комментаторы пишут об их «**тревожном** соседстве» [Болдинская осень 1974: 28.]. «*Стихи, сочиненные ночью во время бессонницы*» написаны позднее, но промежуток времени, отделяющий этот текст от двух других произведений, лишь указывает на то, что тревожное состояние у поэта не проходит, а напротив – нарастает: ср: «**что тревожишь ты меня?**». Мотив тревоги, общий для трех стихотворений, по-своему реализуется в каждом тексте.

В «*Бесах*» это достигается путем использования в композиции литературно-художественного хронотопа – зимняя вьюжная ночь в поле, что акцентируется в первом четверостишии. Выделяются несколько рядов опорных элементов: ряд существительных – *тучи – луна – снег – небо – ночь*, глагольный ряд – *мчатся – вьются – освещает*, определительное качественное наречие *мутно*, относящееся к небу и ночи, и качественное прилагательное *летучий*, соотносящееся с существительным *снег*.

Если рассматривать пушкинскую манеру поэтического воссоздания зимних ночных пейзажей, то надо отметить характерную для Пушкина особенность таких зарисовок: зимний ночной пейзаж

обычно страшный, мрачный и туманный (ср: стихотворения «*Зимний вечер*», «*Зимняя дорога*», в которых выделяются сквозные для пушкинской лирики образы мутного, пасмурного неба, вьюги, печально светящей луны²), дневной зимний пейзаж наполнен совершенно противоположным, бодрящим настроением (ср., к примеру: в «*Евгении Онегине*»: «*Зима. Крестьянин, торжествуя, ...*», «*Зимнее утро*»).

Художественное воплощение зимнего ночного пейзажа в «*Бесах*» при сопоставлении со сложившейся в русской поэзии романтической традицией описания зимы (ср., к примеру: у В.Кюхельбеккера в стихотворении «*Зима*» – время холода, одиночества, смерти; в элегии П.Вяземского «*Первый снег*» присутствует и традиционное для русского романтизма изображение зимы, воплощающей сон, смерть, и поэтичного изображения прелестей русской зимы – «*На празднике зимы красуется земля/ И нас приветствует живительной улыбкой*») у Пушкина дополнена поэтикой «ужасного», характерной для произведений немецкого романтизма, европейского готического романа, а также для баллад В.А.Жуковского. Чувство страха в «*Бесах*» усиливается от четверостишия к четверостишию: тучи «*мчатся*», «*вьются*» по мутному небу, сама «*ночь мутна*», луны почти не видно («*Невидимкою луна освещает снег летучий*») – все эти образы пришедшей в движение природы дополняются в следующем четверостишии образом одинокого путника «*в чистом поле*», а затем и прямой констатацией чувства страха – «*страшно, страшно поневоле среди неведомых равнин*». Нарастание страха в стихотворении становится почти физически ощутимым, достигая кульминации в строках: «*Сбились мы. Что делать нам!/ В поле бес нас водит, видно,/ Да кружит по сторонам*».

Движение, которым наполнен текст, предстает хаотичным, кружащимся в некоем пространстве, которое Муравьева определяет как замкнутое³. Полагаем, что в «зимних» стихотворениях Пушкина пространство бывает как разомкнутым, так и замкнутым. К примеру, в «*Зимнем вечере*» автор использует оба эти пространства, создает важную для понимания глубинного смысла стихотворения семантическую антитезу: разомкнутое пространство враждебно

человеку, замкнутое спасительно. В «Бесах» этой спасительной семантики пространство лишено. Здесь наблюдается именно разомкнутое пространство, а вихревое движение, которое вполне можно интерпретировать как время, которое остановлено или, лучше сказать, кружится на одном месте, как снежные вихри в поле, еще более подчеркивает безмерность враждебного мира, уходящего то в высь (*небо, луна, тучи*), то не позволяя ориентироваться в поле (*неведомая равнина, овраг, небывалая верста, пустая тьма*). Таким образом, пространственно-временные координаты текста усиливают содержательную основу стихотворения – путник и его ямщик мучимы страхом, негативным предчувствием надвигающейся опасности (*бесы, вьюга, волк*).

В «Бесах» два персонажа. Понятно, что путник «барин», а ямщик из простых. Не случайно каждый из них видит *своих* бесов: ямщик – фольклорного оборотня, который «играет», «дует», «плюёт», то есть ведет себя в соответствии с русской мифологической народной традицией, в то время как путник видит «духов». На наличие двух типов видения указывает строка «Закружились бесы разны. Сколько их?...». И чуть ниже: «Домового ли хоронят,/Ведьму ль замуж выдают?». Сюжетная основа этой сцены строится по часто используемой Пушкиным схеме: герой, «запоздалый путник», с которым связан мотив странствий, случайно сталкивается с нечистой силой. По такой схеме построен, к примеру, сон Татьяны в «Евгении Онегине», где в роли странницы выступает сама героиня, а также стихотворение «Гусар». В «Бесах» герой наблюдает «шествие» демонических сил, носящее амбивалентный характер: с одной стороны – архаичный свадебный ритуал («Ведьму ль замуж выдают?»), с другой стороны, похоронный обряд («Домового ли хоронят...?»). Модифицируя сюжет о «запоздалом путнике», в судьбу которого вмешиваются дьявольские силы, А.С. Пушкин интегрирует романтическую и фольклорно – мифологическую традиции. Важно отметить, что тема бесовского наваждения в дальнейшем получает развитие в «Гробовщике» (написанном 9 сентября 1830 года), «Медном всаднике» и «Пиковой даме». А 13 сентября 1830 года датируется «Сказка о попе», в которой герой торжествует над нечистой силой. Также с пушкинским

героем связывается и важный для понимания смысла текста мотив испытания. Автор через этот мотив решает главную художественную задачу – воплощение идеи испытания героя судьбой, которое он иносказательно изображает прохождением через inferнальное пространство.

На другой день после «Бесов» Пушкин написал «Элегию», где отражена попытка поэта преодолеть власть темных сил над своей судьбой. Размышления над прожитым, переосмысление прошлого (ср.: «*Безумных лет угасшее веселье/Мне тяжело, как смутное похмелье*») вновь показывают, в каком направлении двигалась мысль художника: «*печаль минувших дней*» не покидает поэта, становится «*чем старе, тем сильнее*». В стихотворении звучит смутное предчувствие грядущих бед: «*...Сулит мне труд и горе /Грядущего волнуемое море*». Однако Пушкин пытается преодолеть мрачный взгляд на жизнь, отвергает смерть; в страданиях и постоянных размышлениях он видит полноту жизни. В «*Стихах, написанных ночью во время бессонницы*» настроение усталости, трагических и порой неразрешимых противоречий с самим собой порождают постоянную тревогу: «*Жизни мышья беготня.../Что тревожишь ты меня?*». Мотив судьбы вновь звучит в стихах Пушкина, и вновь он окрашен в мрачные тона предчувствия беды. Все это в совокупности есть свидетельство, запечатленное в творчестве, страшного духовного кризиса, который переживал в личной судьбе поэт.

Причины кризиса указаны в письме к П.А.Плетневу в Петербург от 29 сентября 1830 г. Пушкин пишет: «Как же не стыдно было тебе понять хандру мою, как ты ее понял? <...– Вот в чем было дело: *теща* моя отлагала свадьбу за приданым, а уж, конечно, не я. Я бесился. Теща начинала меня дурно принимать и заводила со мною глупые ссоры; и это бесило меня. Хандра схватила, и черные мысли мной овладели. Неужто я хотел или думал отказаться? но я видел уж отказ и утешался чем ни попало. Все, что ты говоришь о свете, справедливо; тем справедливее опасения мои, чтоб тетушки, да бабушки, да сестрицы не стали кружить голову молодой жене моей пустяками. Она меня любит, <...– Баратынский говорит, что в женихах счастлив только дурак; а человек мыслящий беспокоен и волнуем будущим».

В этом письме словно предчувствуются все последствия этого брака, самым страшным из которых стала роковая дуэль на Черной речке.

Между тем Пушкин, находясь из-за карантина пандемии холеры в Болдино дольше, чем планировал, уходит от своей личной судьбы в эпос, в историю. Проблематика *«Бесов»*, приобретя новое обличье, ворвалась в исторический роман-эпопею. Народный бунт, стихия, описанная в *«Капитанской дочке»*, сродни безудержному кружению *«бесов»*. В главе *«Вожатый»* возникают образы, напрямую соотносимые с *«Бесами»*: описание бурана в степи, воющий, словно живой, ветер, мгла, мутное кружение метели, *«кони стали... что-то чернеет, ... человек или волк?»*. Здесь та же дорога, кибитка, тот же ящик с его выразительной речью, тот же герой-странник, перевоплотившийся в дворянского недоросля Петрушу Гринева. Та же сюжетная линия, те же образы и чувство неизвестности, ужаса повторяются в повести *«Метель»*.

Дорога, тройка, месяц, ящик, грустные нотки – все это встречается и в стихотворении *«В поле...»*, написанном уже в 1833 г. Тема смерти, появившаяся в *«Элегии»* в 1830 году, вновь возникает в 1835 году в стихотворении *«Странник»* (*«Смерть меня страшит»*). Но если в *«Элегии»* поэт пытается выразить жизнеутверждающее начало, то в *«Страннике»* он почти уверен в близости своего конца, и это пугает его. Перед нами уже не романтический штамп, восходящий к поэтике «ужасного», что наблюдалось в более ранних «зимних» стихотворениях. Борющиеся внутри души поэта силы – борются и в его стихах: *«Невидимо склоняясь и хладея, мы близимся к началу своему... Покамест упивайтесь ею, сей легкой жизнью, друзья»*.

1830-е годы были для Пушкина наполнены в том числе многочисленными конфликтами как на литературном поле, так и внутри среды, в которой он вращался. Однако это не объясняет того духовного изнеможения, которое обозначилось у него с 1830-х годов. Учитывая эти душевные состояния поэта, становятся понятны его устремления бросить Петербург, уехать в деревню с семьей, вернуть душевное равновесие, о необходимости которого он сам писал из Болдина в 1830-м, погрузиться в литературный труд. К сожалению, в силу ряда обстоятельств это оказалось невозможно.

Итак, оказавшись в сложный период собственной жизни, совпавший с масштабным распространением в России холеры, в Болдино, Пушкин вспоминает свою молодость и былые увлечения. В Болдино он прощается с ними навсегда. Во многих стихотворениях, и в первую очередь в «Бесах», «Элегии», «Стихах, написанных ночью во время бессонницы», писавшихся в Болдино, Пушкин выразил настроение человека, который с печалью, с душевной мукой вспоминает о прошлом и расстается с ним.

Символика «зимних» образов, обладавшая сложившейся в русской поэзии традицией, у Пушкина обогащается важным содержанием, и сравнение «зимних» стихотворений В.Кюхельбеккера и П.Вяземского с пушкинскими текстами наглядно демонстрирует, как меняется система поэтического мышления – от автора к автору. Особенности персонального видения мира Пушкиным легче почувствовать, если избрать предметом рассмотрения произведения, тематически и семантически близкие, что и было предпринято. Анализ трех стихотворений показал, что существующие на сегодня представления о содержании этих текстов – символически выраженный итог размышлений поэта о состоянии политических дел в России или символическое изображение жизни заблудшего человека – отнюдь не исчерпывают всей глубины смыслов этих текстов. Ни одна из подобных интерпретаций не может претендовать на историко-литературную доказательность. Сила текстов столь велика, что кажется, будто они стремятся вылиться в некое важнейшее сообщение, стать ключом к разрешению важнейшей загадки поэтического и духовного мира Пушкина. Но все обобщения так и остаются на уровне предчувствий, предощущений, пророчеств... И так как символика этих стихотворений, по нашему глубокому убеждению, не переводится на язык логических понятий, мы попытались подчеркнуть те ассоциации, которые возникают от углубленного прочтения этих текстов в свете последовавших за Болдиным последних семи лет жизни поэта. При таком прочтении тексты трех стихотворений, рассмотренные как некое художественное целое, начинают звучать как философское прозрение, как некие художественные доминанты, в которых находит свое выражение пушкинское предчувствие

будущего, собственной судьбы, а также философские размышления поэта, вписанные в единый контекст его творчества и творческих исканий его современников.

Примечания:

1. В мае 1830 года Пушкин вторично сделал предложение Н.Н.Гончаровой, которое было принято, но при этом Пушкину пришлось доказывать будущей теще свою политическую благонадежность, для чего он и обратился к А.Х.Бенкендорфу, приславшему корректное реабилитационное письмо «<...> никогда никакой полиции не давалось распоряжения иметь за Вами надзор» (Пушкин 1937-1949: XIV, 81-82, 408-409). Кстати, на лживость этой фразы в письме Бенкендорфа указывал М.Ю.Лотман. Одновременно обнаружились финансовые трудности. Дела родителей невесты были расстроены, да и родители Пушкина были в долгах. В итоге отец выделил Пушкину маленькую деревеньку Кистеневку с двумястами душами крестьян, расположенную рядом с отцовским имением Болдино в Нижегородской губернии.

Попытки уладить денежные дела продлились все лето, к тому же жених успел разругаться с будущей тещей и даже под влиянием сильного раздражения написал невесте письмо, в котором освобождал ее от всех обязательств, что фактически было равноценно разрыву помолвки. Пребывание в неизвестности – так жених или уже не жених? – не отменяло поездки в деревню для улаживания финансовых дел (Пушкин хотел привести в порядок все документы, связанные с получением деревни, а затем заложить ее: срочно были нужны деньги на придание невесты, которого не было, и Пушкин сам его сделал, и на свадьбу). Эти личные переживания неожиданно умножились политическими событиями в Европе, за которыми внимательно следил поэт: в Париже началась революция, а в Москве – холера. В последний день августа 1830 года Пушкин покинул холерную Москву и в смутном настроении выехал в Болдино.

2. На прямую связь мотивов и образов в стихотворениях *«Зимняя дорога»* и *«Зимний вечер»*, а также *«Бесы»* впервые указал Д.Д.Благой (Благой 1967: 474, 475).

3. «Пространство замкнуто: все находится в движении (тучи «мчатся», бесы «мчатся», кони «снова понеслись»), но движение идет лишь по кругу, в этот круговорот равно вовлечены и люди, и страшная их нечисть («сил нам нет кружиться доле», «закружились бесы разны»)» (Муравьева 2009: 122).

Литература:

Бахтин 1986: Бахтин М. “Проблема содержания, материала и формы в словесном художественном творчестве”. Бахтин М. *Сборник литературно-критических статей*. М.: Художественная литература, 1986. 543 с.

Благой 1967: Благой Д.Д. *Творческий путь Пушкина (1826-1830)*. М., «Сов. Писатель» 1967, стр. 474, 475.

Болдинская очень 1974: *Болдинская осень. Стихотворения, поэмы...*//Сопроводительный текст В. И. Порудоминского и Н. Я. Эйдельмана. М.: Молодая гвардия, 1974. С. 27.

Бройтман 1997: Бройтман С. Н. “Субъектно-образная структура русской лирики XIX века в историческом освещении” // *Изв. АН СССР. Серия лит. и яз.* 1991. Т. 50, № 3. 1997. С. 230-231.

Викторович... 1977: Викторович В. А., Живолупова Н.В. “Литературная судьба «Бесов»: (Пушкин и Достоевский)” // *Болдинские чтения*. [1976]. Горький, 1977. С. 119-134.

Гершензон 1919: Гершензон М. О. *Мудрость Пушкина*. М., 1919. С. 131-133.

Грехнев 1977: Грехнев В. А. *Болдинская лирика Пушкина*. Горький, 1977. С. 33-38, 40-59.

Кошелев 2000: Кошелев В. А. «Бесы разны...» // Кошелев В.А. *Пушкин: История и предание*. СПб., 2000. С. 195–237.

Лотман 1998: Лотман Ю. М. *Структура художественного текста*. СПб.: Искусство СПб, 1998. 285 с.

Макогоненко 2000: Макогоненко Г. П. *Сб. статей, воспоминаний и документов*. СПб., 2000. С. 50–56.

Мейлах 1937: Мейлах Б. С. *Пушкин и русский романтизм*. М.; Л., 1937. С. 246-254.

Муравьева 2009: Муравьева О. С. “Бесы” // *Пушкинская энциклопедия. Прозведения* / Редколлегия издания: Виролайнен М.Н., Карпеева О. Э., Ларионова Е. О., Муравьева О. С., Рак В. Д., Чистова И. С. (руководитель проекта). СПб.: Нестор-История, 2009. Т.1. А-Д. С.121-124.

Проскурин 1999: Проскурин О.А. «Бесы» // Проскурин О.А. *Поэзия Пушкина, или Подвижный палимпсест*. М.: 1999. С. 221–237.

Пушкин 1937-1949: Пушкин А. С. *Полное собрание соч. в 16-ти тт.* – Изд-во АН СССР, 1937-1949, Большое академическое издание. XIV, 81-82, 408-409.

Пяткин 1995: Пяткин С. Н. “Символика «метели» в творчестве А.С. Пушкина 30-х годов” // *Болдинские чтения*. [1994]. Н. Новгород: 1995. С. 120-129.

Стилина 1994: Слина Э. В. Стихотворение «Бесы» в контексте болдинской лирики 1830 года // *Проблемы современного пушкиноведения: Сборник статей*. Псков: Псковский государственный педагогический институт, 1994. С. 94-102.

Фомичев 2000: Фомичев С. А. “К творческой истории стихотворения Пушкина «Бесы»” // *Памяти Г.П. Макогоненко: Сб. статей, воспоминаний и документов*. СПб., 2000. С. 50–56.

Фортунатов 1999: Фортунатов Н. М. *Эффект болдинской осени: А.С. Пушкин: Сентябрь-ноябрь 1830 г.: Наблюдения и раздумья*. Н. Новгород, 1999. С. 253-265.

Avtandil Nikoleishvili

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Georgian language folklore of Uniel Georgians

Summary

While being in scientific mission from Akaki Tsereteli State University (2015), I met our fellow-citizens living in Unye city and the nearer villages in order to look for Turkish Georgians folklore texts. Many examples from the mentioned materials are also known for Georgian folk literature, too. The reason is that before leaving the homeland, these works were the main attribute for Georgian Muhajirs' spiritual culture. The folklore texts of the Georgians living in Unye, enrich the folk literature of Turkish Georgians with new materials. They are important while studying their spiritual culture, history and modern life. They also reveal the other aspects of Georgian folk heritage in a very interesting form.

Key words: Unye, Muhajir, Georgian, Turkey, folklore.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნიელ ქართველთა ქართულენოვანი ფოლკლორი

თურქეთელ ქართველებთან დაკავშირებით ახალი მასალების მოსაძიებლად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო დელეგაციის წევრებთან ერთად 2015 წლის აგვისტოში მივლინებაში ყოფნის დროს შესაძლებლობა მომეცა მათი ზეპირსიტყვიერი პოეტური ტექსტების მოსაძიებლად შეხვედრები გამემართა ქალაქ უნიესა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. გარდა ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის წევრთა მიერ მათგან მოპოვებული მასალებისა, ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იქაურთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ის ნიმუშები, რასაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიზანმიმართულად იწერდა ქალაქ უნიეს მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ქართულ სოფელში დაბადებული და გაზრდილი, ამჟამად კი სტამბოლში მცხოვრები ქართველი მურად შაჰინი (ძნელადე).

ჩვენი ექსპედიციის მიზანდასახულობით გახარებულმა მურადმა, რომელსაც სტამბოლში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ცნობილ მწერალ ფაჰრედინ ჩილოღლუს (ფარნა-ბექა ჩილაშვილის) მეშვეობით დავუკავშირდი, თავისი ორი ხელნაწერი წიგნის ელექტრონული ვერსიებიც გამომიგზავნა – პირველი – „უნიელი ქართველები (ჩვენებურები)“ (340 გვ.) და „ქართული ენა უნიეში (ჩვენებური სასიტყვარი“ (291 გვ.).

არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მსგავსი ხასიათისა და ოდენობის მასალა ხსენებულ რეგიონში მცხოვრებ ჩვენებურთა ქართულ მეტყველებასთან, ქართულენოვან ფოლკლორთან და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფასთან დაკავშირებით დღემდე არავის შეუფროვებია.

აღნიშნული მასალისადმი ინტერესს კიდევ უფრო მეტად ზრდის ის გარემოება, რომ ძალზე შრომატევადი ამ სამუშაოს

შემსრულებელი ის პიროვნებაა, რომელმაც, როგორც თავადაც ამ რეგიონის მკვიდრმა, ზედმიწევნით კარგად იცის ამ მხარეში მცხოვრებ ჩვენებურთა არა მარტო თანამედროვე ყოფა, არამედ ისტორიაც.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს მურად ძნელადის ინტერესის საგნად ქცეულ საკითხებზე, არასრული სახით გავიხსენებ მის მიერ შესრულებული სამუშაოს უმთავრეს მიმართულებებს:

- აღწერა და დაახასიათა უნიეს ქართულ დასახლებათა ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი;

- თურქულ არქივებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მოგვითხრო საქართველოდან ოსმალეთში მუჰაჯირობის დროს ქართველთა გადახვეწისა და უნიეში დამკვიდრების ისტორია;

- კონკრეტულად დააფიქსირა ქართველთა ძირითადი საცხოვრებელი სოფლები;

- გაგვაცნო უნიეში მცხოვრებ ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრების სპეციფიკური მხარეები;

- ჩაიწერა მათი ზეპირსიტყვიერების დღემდე უცნობი მრავალი ნიმუში;

- შეადგინა თურქულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, სადაც აღნუსხულია და განმარტებული რამდენიმე ათასი სიტყვა უნიეს რეგიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ძნელადის წიგნში ერთ კონკრეტულ რეგიონში მცხოვრები ჩვენი მოძმეების ქართულენოვანი ლექსიკაა წარმოდგენილი, იგი იმავდროულად მთელ თურქეთელ ქართველთა ქართული მეტყველების შესასწავლადაც წარმოადგენს უნიკალურ მასალას.

იმის გამო, რომ სოფელი, სადაც მურად ძნელამე აღიზარდა, ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული, ქართულ ენობრივ გარემოში გაზრდილს სკოლაში შესვლამდე თურქული ენა მას სათანადოდ არც კი ცოდნია, რის გამოც დედა თურმე შემფოთებულიც კი ყოფილა, ვაითუ სწავლა გაუჭირდესო.

ამ თვალსაზრისით იგი გამონაკლისი არ ყოფილა და მისი ბავშვობის დროინდელ ქართულ სოფლებში ქართული ენა არა

მარტო უფროსებისათვის წარმოადგენდა ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას, არამედ ბავშვებისთვისაც. თუმცა არცთუ ისე დიდი დროის გასვლის შემდეგ ვითარება იმდენად სწრაფად შეიცვალა, რომ დღეს ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა საკმაოდ შემცირდა და წინაპართა ენაზე ძირითადად უფროს და საშუალო თაობათა წარმომადგენლები საუბრობენ, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის კი ქართულის მცოდნეთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

ჩვენებურების ეროვნულ თვითშეგნებასთან და ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრის დროს მ. ძნელაძე განსაკუთრებულ ყურადღებას მეტად მნიშვნელოვან იმ როლსაც მიაპყრობს, რომელსაც მუსლიმური რელიგია ასრულებს ბევრი მათგანიც ცხოვრებაში. მისი თქმით, მათი დიდი ნაწილი (ძირითადად უფროსი და საშუალო თაობების წარმომადგენლები), განსაკუთრებით მაჭახლელები, თურქებზე მეტად მორწმუნენიც კი არიან და აქტიურად იცავენ რელიგიურ წესებს.

თუმცა, ჩვენებურების სარწმუნოებრივ მხარეზე საუბრის დროს, ბატონი მურადი იმასაც აღნიშნავს, რომ მუსლიმური რელიგიისადმი მათი ასეთი ერთგულება ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს ფაქტორი მათი ქართული ცნობიერების უარყოფელ მოვლენას წარმოადგენდეს და თურქულ ეთნოსთან მათ ასიმილაციას უწყობდეს ხელს. პირიქით, მისი თქმით, რელიგიური რწმენის ერთობის მიუხედავად, თურქეთელ ქართველთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებნი) ბოლო დრომდე მაქსიმალურად ერიდებოდა ეთნიკურად შერეულ ქორწინებას.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ მურად ძნელაძის მიერ უნიელ ქართველთა ზეპირსიტყვიერი ტექსტების ჩაწერიდან საკმაოდ მცირე დრო – სულ რაღაც ათიოდე წელია გასული, ამ ფოლკლორული მასალის რეალურად მცოდნეთა რაოდენობა დღესაც უკვე კატასტროფულადაა შემცირებული.

უნიელ ქართველთა ფოლკლორული შემოქმედების ბევრი ნიმუში ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ტექსტების ვარიანტებს წარმოადგენს. ჩემი აზრით, ეს გარემოება არსებითად მნიშვნელოვანმა ორმა ფაქტორმა განაპირობა – პირ-

ველი, იმან, რომ თავიანთი ისტორიული სამშობლოდან ოსმალეთში გადახვეწამდე დიდი ხნით ადრე შექმნილი აღნიშნული ფოლკლორული ნიმუშები, რომელთა უმეტესობა სასიმღერო ტექსტებს წარმოადგენს, ოსმალეთში გადახვეწილ ქართველ მუჰაჯირთა სულიერი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილადაც იყო ქცეული და სხვადასხვა ვარიაციებითა და უკვე იქაური ენობრივი დიალექტით ტრანსფორმირებული ფორმით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

და მეორე, მიუხედავად ისტორიული სამშობლოსგან იზოლირებით ცხოვრებისა, ჩვენებურების გარკვეული ნაწილი ქართულ სამყაროსთან ურთიერთობას მაინც ახერხებდა და ზოგადქართული ზეპირსიტყვიერი კულტურის ცალკეულ ნიმუშებს ახალ ცხოვრებისეულ გარემოშიც ავრცელებდა.

სასიმღერო ფოლკლორული ტექსტები გამონაკლისი არ არის და ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა მათში ფართოდ გავრცელებული ანდაზები და შეგონებები. მაგალითად: „ბერი ხარის ქას(ც) ხნავს“; „წყალ წადებული ხავს ეკიდება“; „ძაღლმა არს (არც) მან შიჭამა, არს (არც) სხვას აჭამა“; „თვალი გულის სარკე არი“; „ათჯელ დაზომე და ერთჯელ გაჭარე“ და მრავალი სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ უნიელ ქართველთა ფოლკლორული ტექსტები საქართველოში შექმნილი ფოლკლორული მარგალიტების სიტყვიერ ხელოვნებას ვერ შეედრება, მათ ცალკეულ ნიმუშებში მაინც იგრძნობა ფრაზეოლოგიური ორნამენტულობა და სწრაფვა აზრის მხატვრული ორიგინალობით გამოხატვისაკენ.

მაგალითად, ერთ-ერთი ასაკოვანი მოსაუბრე თავის ხანდაზმულობას ამ ფორმით გამოხატავს: „თმები წისქვილში არ გავათეთრე“. წუთისოფლის სიმწარით ცხოვრება მოძულეებული ადამიანი თავის სულიერ სასოწარკვეთას ამ სიტყვებით წარმოაჩენს: „გამძულდა დუნიალუღმა (გამძულდა დუნია)“. ენამწარე პიროვნების სიტყვიერი ავცილობა ასეა მხილებული: „იმ ენით მიწაში გველ მოკლავს“. დიდი მწუხარების შედეგად განცდილი სულიერი ტკივილი ამგვარადაა გამოხატული: „სისხლის ცრემლი ჩიმვარდა“. შურიანი ადამიანის სიხარბე ასეა მხილებული: „ძალიან შიერი თვალი აქ (შიერ თვალიანია)“. შვილიშვილებისა და

შვილთაშვილებისადმი სიყვარული ასეთი ხატოვანი შედარებითაა წარმოჩენილი: „ოქროს ნაპერწკალი(ა) ჩემი ბადიში“.

სხარტად და ხატოვანი ფორმით აზრის გამოხატვის ტენდენცია ვლინდება ჩვენებურების დალოცვებშიც, ლოცვებშიცა და წყევლებშიც.

სამწუხაროდ, ის დიდი ეროვნული ტრაგედია, რაც მშობლიურ ფესვებთან თურქეთელ ქართველთა მათი წინაპრების იძულებითი მოწყვეტითა და სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ცხოვრებით იყო განპირობებული, ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებში მკრთალად აისახა.

ეს გულსატკენი მოვლენა, ცხადია, ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს უაღრესად ტრაგიკული ეს გარემოება მათი ყურადღების მიღმა დარჩა. რასაკვირველია, არა. მაგრამ დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით თუ ეს ასე ჩანს, ამ ვითარების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ თემაზე შექმნილი ფოლკლორული ტექსტების უდიდესი ნაწილი, იმის გამო, რომ მათი ჩაწერა ადრე არავის უცდია, უკვე დაკარგულია.

ჩვენებურების ზეპირპოეტური შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად „გურჯულ ვაიზში“ წარმოჩინდა. ეს პოეტური ტექსტი მუსლიმან ქართველებში იმდენად პოპულარული იყო, რომ მისი რამდენიმე ვარიანტია შექმნილი. მათგან ორი შუშანა ფუტკარაძემ ჩაიწერა და გამოაქვეყნა თავის „ჩვენებურების ქართულში“ (ფუტკარაძე 1993: 271-275; 354-358), მესამე – ოთარ ფუტკარაძემ („ჩვენებურების სიმღერა“ 1991: 37-42), მეოთხე და მეხუთე კი მამია ფალავამ და მისმა თანაავტორებმა მონოგრაფიაში „შავშეთი“ (შავშეთი, 2011: 492-496; 348-357).

„გურჯული ვაიზის“ ამგვარი პოპულარობა არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი თურქეთელი თანამემამულეები მისი მეშვეობით მშობლიურ ენაზე ისმენდნენ იმ ზნეობრივ შეგონებებს, რასაც მათ მაჰმადიანური რელიგია უწესებდათ უმთავრეს ცხოვრებისეულ პრინციპებად. რელიგიურ ფაქტორს კი ჩვენებურების ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული. როგორც ისინი ერთ-ერთ ხალხურ ლექსში

ამბობენ, „წორ გზაზე მათი გამყვანი არი ყურანი ჰაზრეთი (წინასწარმეტყველი)“.

მიუხედავად იმისა, რომ „გურჯული ვაიზის“ ყველა ვარიანტის მასაზრდოებელი წყარო პირველ ყოვლისა „ყურანია“ და მათი შექმნის უმთავრეს მიზანს მუსლიმური რელიგიის ფუძემდებლური პრინციპებისადმი ერთგულებისა და უღალატოდ მსახურების ქადაგება წარმოადგენს, ხსენებული ტექსტის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტსაც უნდა მივაქციოთ, რომ მასში ჩვენებურების ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვაცა და მშობლიური ქართული ენისადმი გამმაფრებული სიყვარულიც გამოვლინდა ემოციურად ძალზე შთამბეჭდავი ფორმით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოების ის ვარიანტია, რომელიც შ. ფუტკარაძემ ჩაიწერა ნიაზ ჯიჯანიძისაგან (ფუტკარაძე 1993: 271-275).

რელიგიური რწმენის განმსაზღვრელი პრინციპების სწავლება-ქადაგებასთან ერთად, მასში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი მშობლიური ქართული ენისადმი სიყვარულის გამოხატვასაც აქვს დათმობილი. ნაწარმოების შემქმნელის (თუ შემქმნელთა) არაერთგზისი ხაზგასმით, სიტკბოებითა და კეთილხმიერებით გამორჩეული ქართული ენისადმი ჩვენებურების განსაკუთრებული სიყვარულის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორს ის გარემოებაც უნდა წარმოადგენდეს, რომ იგი „იმ დუნის“ (ქვეყნის) ენაცაა და მისდამი ღალატი ყოვლად გაუმართლებელი ამბავია.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანური რელიგიის კანონიკურ პრინციპთა მიხედვით ყოველი მუსლიმანი ვალდებულია ლოცვა-ვედრება ღმერთს პირველ ყოვლისა არაბულ ენაზე აღუვლინოს, „გურჯული ვაიზი“ ამ დოგმატური მოთხოვნის ჩარჩოებით არ იბოჰება და ქართველ მორწმუნეებს დაბეჯითებით შეაგონებს, რომ ღმერთს თავიანთი გულისთქმა უწინარესად მშობლიური ქართული ენით განუცხადონ, რადგანაც „დიდ ბატონს“ სათქმელი ყველა ენაზე ესმის.

„გურჯული ვაიზის“ პატრიოტულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ წინაპართა ენისადმი ამგვარი ერთგულების ქადაგებასთან ერთად, იგი მშობლიურ წიადს მოწყვეტილ ჩვენს მუსლიმან თანამემამულეებს იმასაც დაბეჯი-

თებით მოუწოდებს, მათი წარმომავლობაცა და ფესვებიც არასოდეს რომ არ დაივიწყონ და ბოლომდე დარჩნენ ქართული სისხლის უღალატოდ ერთგულნი:

იცოდე, გურჯული რომ ქართულია, ქართული ენა მეტად ტკბილია,
იმ დუნის (ქვეყნის – ა. ნ.) ენა ჩუენებურია, ღმერთო ბატონო,
შენ შეგვიბრალე...

ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული, სხუაზე რათ გექცევა თუალი
და გული,

შეინახე ენა, გულში ჩარგული, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
გახსოვდეს, ვინ ხარ, სიდან მოსული, ვისი სისხლი გაქ ტანში
გართული,

იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული,

ქართულ ქოქზე (ფესვზე – ა. ნ.) ხარ ამომართული...

ქართული ენა გულში დამალე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
დიდ ბატონს უყუარს ყუელაი მილლეითი, ყუელა ენაზე ესმის
სათქმელი,

ღმერთ შეეხუეწე ლამაზ ქართულით,

ღმერთის ემანეთი (საპატრონოდ ჩაბარებული – ა. ნ.) ტკბილი
გურჯულით.

ღმერთ ესმის ჩუენი გულში ფურჩულიც, ღმერთო ბატონო, შენ
შეგვიბრალე...

ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით, ღმერთ ეხუეწება სულ
ჩუენი გული,

იმ ქუეყნის ენა ჩუენი ქართული, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ღმერთო, სამოთხის ქოშქზე ამყოფნე, მწერავ-მკითხავი,
დამყურებელი,

შენიდამ ველით ყუელა კარგობას, შენ ხარ მილლეითის
დამპურებელი,

ქართული ენის დამბრუნებელი!

იმისათვის, რომ რელიგიური რწმენის განმსაზღვრელი პრინციპებისადმი უღალატო ერთგულებისა და ქართული თვითშეგნების განმტკიცებისაკენ „გურჯული ვაიზის“ შემქმნელის (თუ შემქმნელთა) მოწოდებამ მეტი დამაჯერებლობა და შთამბეჭდა-

ოზა შეიძინოს, ტექსტში იმ გარემოებასაც დაბეჯითებით ესმება ხაზი, ადამიანის ამქვეყნიური არსებობა დროებითი მოვლენა რომ არის, ცხოვრება – ამაოება, მარადიული კი იმქვეყნიური ყოფაა:

ამ დუნიაში მუსაფირი (სტუმარი – ა. ნ.) ვართ,
პაწა ხან უკან საფლავეში წავალთ,
ღმერთ გამჩენელის უზურზე (ნანდომზე, ნასურვევზე – ა. ნ.) მივალთ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...

ამიტომაც ადამიანის სულის ხსნისა და გადარჩენის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად „გურჯულ ვაიზში“ ღვთის (უფრო ზუსტად – მუსლიმანური) რწმენისადმი უღალატო ერთგულება და ლოცვაა ერთმნიშვნელოვნად გამოცხადებული. ამგვარი რელიგიურ-დიდაქტიკური შეგონების უმთავრესი მიზანია, დაეხმაროს ადამიანს მიწიერ ცოდვათა და პიროვნულ მანკიერებათა დაძლევაში და კიდევ უფრო მეტად განუმტკიცოს მას სიკეთის ქმნის სურვილი და მოყვასისადმი სიყვარული:

რათ გინდა დუნიაში კაი სმა და ჭამა, ყუელა ესენი გეიარს, წავა,
სული გეიწმინდე, გული გეისუფთე, ღმერთო ბატონო,
შენ შეგვიბრალე...

რათ გინდა დუნიაში დიდი ქონება, ცოტაი იკმარე, მეიკრიფე
გონება...

ხელცარიელი არნა დატოო, კარზე მომდგარი, ატირებული,
არ დაგავიწყდეს, ღმერთის შვილია, ყუელა თხელი და გაჭირვებული,
შეძლებისდაგვარ ხომ დაეხმარე? ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...

საბოლოოდ კიდევ ერთხელ ვიტყვი იმას, რომ სიტყვიერი ოსტატობის მხრივ „გურჯული ვაიზი“, მართალია, ქართული პოეტური ფოლკლორის შედევრებს ვერ შეედრება, მაგრამ მისი შეფასების დროს ქართველი მკითხველისათვის მთავარი ეს კი არაა, არამედ ის ფაქტი, რომ თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი ფორმით გადაცემული ამ რელიგიურ-დიდაქტიკური ტექსტით თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცნობიერებაში მიზანმიმართულად მტკიცდებოდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და სიყვარული მშობლიური ქართული ენისადმი.

„გურჯული ვაიზის“ ვარიანტულ სახესხვაობებს, შინაარსობრივ მხარესა და პოეტური ოსტატობის დონეს ესოდენ დიდი ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ამ პოეტური ტექსტის უნიური ვარიანტებიცაა მეტ-ნაკლებად საინტერესო.

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებში ქართულ თემატიკას ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, ხსენებული ტექსტების ცალკეულ ნიმუშებში შიგადაშიგ მაინც გაიღვებს ხოლმე ჩვენებურების ქართული მეხსიერების ცალკეული გამოვლინებანი. მაგალითად, იქაური ქართველები მათი ქალიშვილების ფიზიკურ სილამაზეს ამგვარად გამოხატავენ ხოლმე: „ჩვენი გოგო დედოფალი თამარა არი“. მიუხედავად იმისა, რომ თამარ დედოფლის შესახებ თურქეთის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ჩვენებურთა უდიდესმა ნაწილმა საერთოდ არაფერი იცის, მათ მეხსიერებას ქვეცნობიერად მაინც შემორჩა საქართველოს ისტორიიდან ყველაზე მეტად პოპულარული ამ ქართველი მეფის სახელი.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მხარეებს, ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელ შთამომავლობაში ყველაზე მეტად ცნობილი რეგიონები აჭარა და ბათუმია. თუმცა ბევრ მათგანს აჭარასთან და მის დედაქალაქთან დაკავშირებით არსებითად მცდარი წარმოდგენაც კი აქვთ. მაგალითად, ჩვენს შევითხვაზე, საქართველოში თუ იყვნენ ნამყოფნი, ზოგიერთი ასეთ პასუხს გვცემდა: საქართველოში არა, აჭარასა და ბათუმში კიო.

ჩვენებურების ფოლკლორული პოეტური შემოქმედების დიდ ნაწილს სასიმღერო ტექსტები წარმოადგენს. მათი უმეტესობა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, პირველ ყოვლისა კი აჭარაში, ფართოდ გავრცელებული სასიმღერო ტექსტების ვარიანტული სახესხვაობებია, ანდა მათ საფუძველზე შექმნილი ლექსებია. მაგალითად:

მე ნალიაში ვერ ვეველ კიბეს უყუდებელაი,
მე იქიდან ვერ წეველ გოგვების ჩუხუტებელაი.

ან კიდევ: იგერ მიღმა თეთრი ქვა, დავყევ ხელი, არ ამყვა,
გოგოვ, შენი სიყვარული ჰაცხან წველ, იქ წამყვა.

ანდა: სახლის უკან მინარე, გოგო ვნახე მინარე,
ვუკპინე და ვაკოცე, გავაგზანე ცინარე.

ჩვენებურების სასიმღერო ტექსტების უდიდესი ნაწილი სასიყვარულო ურთიერთობებისადმია მიძღვნილი. მათი ვარიანტების სიმრავლე ნათლად ადასტურებს, რომ ისინი ადრინდელი დროის თურქეთელ ქართველებში იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ ამ ტექსტების მიხედვით შექმნილი სიმღერები მათი სალხინო შეკრებების უმთავრეს შემადგენელ ნაწილად იყო ქცეული.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და ქართულ ტექსტებზე შექმნილი ქართული სიმღერების ადგილი თურქულმა სიმღერებმა დაიკავა. ასე რომ, თავად ჩვენებურებისავე თქმით, მათ მიერ გამართულ სალხინო თავყრილობებზე დღეს უკვე არათუ ამ სიმღერებს აღარ მღერიან, არამედ ამ სიმღერათა რეალურად მცოდნე პიროვნებებიც კი სანთლით არიან სამებარნი.

ქართული ფოლკლორული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილისაგან განსხვავებით, ჩვენებურების მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერი პოეტური ტექსტების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშთა უმეტესობის მხატვრული დონეც საკმაოდ სუსტია და ენობრივი მხარეც სათანადოდ დაუხვეწავ-გაუმართავი. თუმცა მათი მცირე ნაწილი ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მაინც იქცევს ყურადღებას. მაგალითად:

გალმაში თეთრი ვარია გამოღმით მოკაკანეფს,
გოგოვ, შენ რომ დიგინახავ, გულში გამაკანკალეფს.

ან კიდევ: ბახჩაში მაქ ლერწამი, ზედ კუკული დაბრუნავს,
ჩემი დამწვარი გული კიდე შენკენ მობრუნავს.

უნიელ ქართველთა ფოლკლორში, ისევე როგორც საზოგადოდ თურქეთელ ქართველთა მთელს ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში,

პროზაულ ტექსტებს, პოეტური ჟანრისაგან განსხვავებით, ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ისინი ზოგადქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ნიმუშების ვარიანტულ სახე-სხვაობებს წარმოადგენს.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმას, რომ უნიელ ქართველთა ფოლკლორული ტექსტები ახალი მასალებით ამდიდრებს თურქეთელ ქართველთა ზეპირსიტყვიერებას და არა მარტო მათი სულიერი კულტურის, ისტორიისა და თანამედროვე ყოფის შესასწავლად წარმოადგენს საგულისხმო მასალას, არამედ ქართული ფოლკლორული მემკვიდრეობის ახალ მხარეებსაც წარმოაჩენს მეტ-ნაკლებად საინტერესო სახით.

ხსენებული ჩანაწერების მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ტექსტუალური მასალა ჩვენებურების ქართულენოვანი მეტყველების აქამდე უცნობ ანდა ნაკლებად დაფიქსირებულ ნიუანსებსაც წარმოაჩენს საკმაოდ ფართოდ.

დამოწმებანი:

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ. *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი: 1993.

შავშეთი 2011: შავშეთი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორთა ჯგუფის გამოცემა. თბილისი: 2011.

შაჰინი 2016: შაჰინი (ძნელაძე) მ. *უნიელ ქართველთა ზეპირსიტყვიერი ტექსტები*. წიგნი გამოსაცემად მოამზადა და შესაბამისი ნარკვევის თანდართვით გამოსცა პროფესორმა ა. ნიკოლეიშვილმა. ქუთაისი: 2016.

ჩვენებურების სიმღერა 1991: *ჩვენებურების სიმღერა*. თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ფოლკლორის ნიმუშები. შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ო. ფუტკარაძემ. ბათუმი: 1991.

Natalia Nikoriak

Alyona Tychinina

Ukraine, Chernivtsi

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

**The Theme of Pandemic in Cinema Discourse
(on the Example of the film “The Seventh Seal “ by I. Bergman (1957)**

Summary

Giovanni Boccaccio, from the very time of creating the Decameron, to the present day, is rightly considered one of the greatest authors of the Renaissance era, who gave the world literature the genre of novella and, with it, a rebellious spirit.

Firstly, forming the genre of novella, then wrapping these novellas into a single text and, therefore, deconstructing the traditional narrative framework characteristic of Western writing, was an artistic-cultural declaration of rebellious spirit and freedom, so relevant to Boccaccio's philosophy and the Renaissance essence; It was an echo from a time plagued by the Black Death, which was meant to bring new messages / lessons to the reader.

And so it happened. The vital lessons learned from this unique pandemic text are, in our view, fit remarkably organically into the modern world obsessed with the Covid-19 virus.

Key words: Renaissance, Boccaccio, Rebellion, Pandemic.

ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიცოცხლის გაკვეთილები პანდემიის ეპოქიდან

ჯოვანი ბოკაჩო, დეკამერონი

ჯოვანი ბოკაჩო, „დეკამერონის“ დაწერიდან დღემდე, სამართლიანად მიიჩნევა რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს ავტორად, რომელმაც მსოფლიო მწერლობას აჩუქა ნოველის ჟანრი და, მასთან ერთად, მეომბოხე სულისკვეთება. ის თავდაპირველად საკუთარ

დაბადებას აუჯანყდა, როდესაც არალეგალური კავშირის შედეგად იშვა, შემდეგ – მამას, მთელს ტოკვანაში სახელგანთქმულ ვაჭარს, როდესაც ბანკირის სამსახური მიატოვა და უნივერსიტეტს მიაშურა, დაბოლოს – შუასაუკუნეების მწერლობის ტრადიციულ ჩარჩოებს, როდესაც გამყარებულ პოეტურ და მორალურ ნორმებს დაუპირისპირდა. „დეკამერონი“ ჯოვანი ბოკაჩოს მეამბოხე სულისკვეთების მხატვრული ხორცშესხმაა, გენიოსის ნონკონფორმისტული პოზიციის გამოვლინება, რამაც მის ეპოქაში დიდ ქაოსს, მომდევნო ეპოქებში კი – ტექსტის წინააღმდეგობრივ, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავ ინტერპრეტაციებს დაუდო სათავე. მაგრამ, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს „დეკამერონის“ ინერპრეტაციული სივრცის მიმოხილვა და ანალიზი, არამედ – იმ ვიტალურად საჭირო გაკვეთილების თუ სწავლებათა ამოკრეფა, რომლებიც, პანდემიის ეპოქაში შექმნილი ამ უნიკალური ტექსტიდან, ჩვენის აზრით, გასაოცარი ორგანულობით მიემართება კოვიდ-19-ის ვირუსით შეპყრობილ თანამედროვე სამყაროს.

„დეკამერონი“, რომელიც, დაახლოებით 1348-1354 წწ. იწერება, იმთავითვე წინააღმდეგობაში მოდის არსებულ პოეტიკურ ნორმებთან: ის პირველი დასავლური ტექსტია, რომელიც არატრადიციული/არაკლასიკური მოჩარჩოებით იქმნება და შეესაბამება შრეობრივი ტექსტის მოდელს, ტექსტს ტექსტში, ანუ – ე.წ. „ტექსტ-მატრიოშკებს“. ამ უკანასკნელი ტერმინის ავტორი, ს. დავიდოვი განმარტავს: „ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც შეიცავს გმირის მიერ დაწერილ ერთ ან მეტ ტექსტს, გთავაზობთ, ვუწოდოთ „ტექსტი-მატრიოშკა“, მატრიოშკას თოჯინასთან ანალოგიით. ავტორისეული „გარე“ ტექსტი შეესაბამება „გარე“ თოჯინას, ხოლო გმირის „შინაგანი“ ტექსტი, რომელსაც მოიცავს ავტორისეული ტექსტი, შეესაბამება „შიგა“ თოჯინას (ან თოჯინებს, თუკი რამდენიმე ტექსტია)“ (დავიდოვი: <http://nabokov-lit.ru/nabokov/kritika/davydov-teksty-matreshki/vvedenie.htm>). სწორედ ამ რიგის ტექსტია „დეკამერონი“, სადაც ავტორისეულ ტექსტში ჩასმულია პერსონაჟების მიერ მოთხრობილი ტექსტები.*

* საგულისხმოა, რომ მოჩარჩოების აღნიშნული ხერხი მანამდე გამოყენებული იყო აღმოსავლური ლიტერატურის შედევრში – „ათას ერთი ღამე“, ხოლო მოგვიანებით, არანაკლები ღირებულების ქართულ ლიტერატურულ ძეგლში – „სიბრძნე-სიცრუისა“.

„დეკამერონი“-ს სიუჟეტური სტრუქტურა ასეთია: რამდენიმე ახალგაზრდა ერთმანეთს უყვება სხვადასხვა ამბავს, რომელთაც, თავის მხრივ, არავითარი სიუჟეტური კავშირი ერთმანეთთან არ გააჩნიათ. თითოეული ამბავი ავტონომიური ნარატიული მოდელია და, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, სრულად შეესაბამება ნოველის ჟანრის კანონს.

ნოველის ჟანრის უმთავრესი მახასიათებელი ასახვის რეალისტური მანერა და სპეციფიკური ნარატიული სქემაა: „ამბავი უნდა იყოს ძალზე კომპაქტური და დამაჯერებელი, რათა, არამართო წარმოაჩინოს თხრობის დინამიურობა, არამედ გაამართლოს ფინალის მოულოდნელობაც“ (რატიანი 2018: 305). „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებათა“ თანამედროვე ლექსიკონში ვკითხულობთ: „ნოველა მცირე ფორმატის ჟანრია, ორიენტირებული ერთ კონკრეტულ მოვლენაზე, სიტუაციას ან კონფლიქტზე, რომლის წიაღშიც იქმნება ინტრიგა. ინტრიგის ამოხსნა მოულოდნელობის ეფექტით ხასიათდება: ნოველის დასასრული ყოველთვის მოულოდნელია, როგორი ლოგიკურიც არ უნდა იყოს იგი“ (ქადონი 1999: 600-601). ნოველა უნიკალური ლიტერატურული მოდელია, რომელიც იმთავითვე გამოკვეთს, დასკვნით ნაწილში კი სრულად წარმოაჩენს მკითხველის მოლოდინის შეუსაბამობას ტექსტის დასასრულთან. „მკითხველი, რომელსაც გზადაგზა აღემკვრება „კარგად ნაცნობი ამბის“ განცდა, საბოლოო ჯამში, სრულიად სხვა ფინალის პირისპირ აღმოჩნდება, იმდენად, რომ დასკვნის გამოტანაც შეიძლება გაჭირდეს“ (რატიანი 2018: 305). რეცეფციული ესთეტიკის ერთ-ერთ ფუძემდებელი, ჰ. რ. იაუსი, ამ მდგომარეობის უფრო ზუსტად აღწერის მიზნით, საგანგებო ტერმინს ამკვიდრებს – „მოლოდინის ჰორიზონტი“: „ჰ. რ. იაუსის მიხედვით... ახალი ნაწარმოები აღძრავს მოგონებას ადრე წაკითხულ ნაწარმოებებზე, უქმნის მკითხველს გარკვეულ ემოციურ განწყობას, აღვიძებს მასში რაღაც ნაცნობის, ადრე წაკითხულის მსგავსის მოლოდინს, რაც შემდგომ, კითხვის პროცესში, ან გამართლდება, ან გამტყუნდება: „ახალი ტექსტი მკითხველში (მსმენელში) აღვიძებს ადრე აღქმული ტექსტების საფუძველზე ჩამოყალიბებულ მოლოდინის და თამაშის წესთა ჰორიზონტს, რომელიც მერე [ახალი ტექსტის აღქმის პროცესში. – ლ.ბ.] ვარიირებას, კორექცი-

ას, განახლებას განიცდის ან მხოლოდ უცვლელად მეორდება“ (იაუსი 1994: 131). ჰ. რ. იაუსი განასხვავებს მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტს და მოლოდინის ჰორიზონტს, რომელიც ნაწარმოებშია წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი მყარია და უცვლელი, მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტი კი ცვლილებას განიცდის ნაწარმოების კითხვის პროცესში. მაგალითად, სერვანტესი „დონ კიხოტში“ თავდაპირველად მკითხველს აღუძრავს ამ უკანასკნელისთვის კარგად ნაცნობ სარაინდო რომანთან მორიგი შეხვედრის მოლოდინს, მაგრამ საბოლოოდ ამ ყაიდის თხზულებათა ღრმა აზროვან პაროდიას სთავაზობს მას...“ (ბრეგამე 2008: 190). ნოველა კი სწორედ ის ჟანრია, რომელიც მუდმივად ცვლის მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტს და ნოველის სწორედ ამ ოქროს წესს, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ წესებთან ერთად, იცავს ჯოვანი ბოკაჩო. ანუ, სახეზეა: კომპაქტური და დამაჯერებელი ამბავი; ასახვის რეალისტური მანერა; თხრობის დინამიური სტილი; იუმორის, სატირისა და, ხშირად, პაროდიათა გამოყენება; სწრაფი და მკითხველისათვის მოულოდნელი ფინალი. ნოველის ჟანრის ჯერ ფორმირება, შემდგომ ნოველების ერთ ტექსტად შეკვრა და დასავლური მწერლობისათვის ნიშანდობლივი ტრადიციული სიუჟეტური ჩარჩოების დეკონსტრუქცია წარმოადგენდა მემბოხე სულისკვეთებისა და თავისუფლების მხატვრულ-კულტურულ დეკლარაციას ბოკაჩოს მხრიდან; ეს იყო ამოახილი შავი ჭირით შეპყრობილი დროიდან, რასაც ახალი გზავნილები/გაკვეთილები უნდა მიეტანა მკითხველამდე.

პირველი გაკვეთილი ბოკაჩოსაგან: ტრადიციულ ჩარჩოებში აზროვნება აღარ შეიძლება. ჩარჩოების რღვევის საუკეთესო ილუს-

* კულტურული თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო იყო ის დამოკიდებულება, რომელიც ნოველის ჟანრის მიმართ ჩამოყალიბდა: თითქმის მე-19 საუკუნემდე კლასიკურ ნოველას აღარც მიმდევრები ჰყოლია და აღარც გულშემატკივრები (გუარდატის, ბანდელოსა და რამდენიმე ინგლისელი ავტორის ტექსტებს ჟანრულად რომანსეს ან ემბრიონულ რომანებს უფრო აკუთვნებენ, ვიდრე ნოველას). კითხვაზე – რატომ? – სხვადასხვაგვარი პასუხი შეიძლება გაეცეს, თუმცა, დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ პასუხი ასახვის რეალისტური მანერის მკვეთრ დეფიციტში უნდა ვეძიოთ. ბოკაჩო რენესანსის ეპოქის მწერალია, იმ ეპოქისა, რომელმაც ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ადამიანი იძულებით დააყენა გამადიდებელ სარკესთან და თავისი ნამდვილი სახე დაანახა (ხშირად რადიკალური სატირის ფონზე).

ტრაციას თავად „დეკამერონის“ თემატური ქარგა წარმოადგენს. „დეკამერონს“ არ ჰყავს ერთი გამოკვეთილი გმირი, პროტაგონისტი ან ანტაგონისტი, ყველა ხასიათი ერთ სიბრტყეზე და პარიტეტულ პოზიციებზეა განთავსებული. ათი ახალგაზრდა, პანდემიური ფლორენციისაგან თავისდაღწევის მიზნით, ქალაქგარეთ მიაშურებს, რათა, ერთის მხრივ, გამოერიდოს ქალაქს (ანუ, თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიით, მოახდინოს სოციალური დისტანცირება), ხოლო, მეორეს მხრივ – რითიმე შეიქციოს და დაიმშვიდოს თავი (ანუ, ისევ თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიით, ჩაიტაროს თერაპია). თავისშექცევისა და დამშვიდების საუკეთესო გზად მათ ამბების თხზვა და თხრობა ესახებათ. ტექსტი ას ამბავს შეიცავს, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეულ ამბებადაა ჩაშლილი ტექსტში. ეს არის ასი ამბავი სიყვარულზე, სადაც ტრაგიზმი და ეროტიკა ენაცვლება ერთმანეთს. ხორციელი სიყვარულის ამ გადაჭარბებული აპოლოგიის გამო, „დეკამერონი“ იმთავითვე ე.წ. „უწმაწური ლიტერატურის“ სფეროს მიაკუთვნეს, თუმცა, ავტორის პოზიცია არ შერყეულა, არა იმიტომ, რომ მას აკვიატებულად იტაცებდა საუბარი ხორციელ სიყვარულსა და ვნებებზე, არამედ – მის ნარატივს მყარი კონცეპტუალური საფუძველი ჰქონდა: „დეკამერონის“ მთავარი გმირი ზოგადად ადამიანის ბუნება იყო, რომლის მთავარ მსაზღვრელადაც მწერალს სიყვარული მიაჩნდა, მის ყველანაირ გამოვლინებაში.

მეორე გაკვეთილი ბოკაჩოსაგან: სიყვარული ადამიანის ბუნების მარკერია, ის არ ცნობს გონიერებას და საღ აზრს. „დეკამერონის“ ტექსტში სიყვარულის მრავალი ვერსია და მოდელია წარმოდგენილი, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, სიყვარული ინტიმური ურთიერთობის გზით მიიღწევა, ვინაიდან სექსიც ადამიანის ბუნების ნაწილია, ამტკიცებს მწერალი, რეალური აქტი, რომელიც ადამიანებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტრანსფორმაციაში ეხმარება. ბოკაჩო რენესანსის ეპოქის მოაზროვნეა, იმ ეპოქისა, რომელიც ორიენტირებულია ტრანსფორმაციაზე, როგორც კულტურული პროგრესის ერთადერთ საშუალებაზე. „ჯერ კიდევ გვიანი შუასაუკუნეებისა და პრერენესანსის ეპოქაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კლასიკურ ტექსტად ოვიდიუსის „მეტა-

მორფოზები“ მიიჩნეოდა, რაც ზედმიწევნით კარგად ერგებოდა დროის სულისკვეთებას – ადამიანის შინაგანი გარდაქმნის აუცილებლობას. შესაძლოა, ოვიდიუსის პოემა მოულოდნელი გზაც კი იყო ქრისტიანული იდეალების ხაზგასასმელად, მაგრამ მკითხველი აშკარად აკვირდებოდა მითის ტრანსფორმაციას ზნეობივ მოდელში. გენიალური იტალიელის, დანტე ალეგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“ ადამიანი ან ცოდვით დამახინჯებული წარმოდგება, ანაც – გარდაიქმნება ქრისტიანული ღმერთის სიყვარულით. შესაბამისად, ტრანსფორმაციის იდეა „ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტიანული გზავნილის მატარებელია. იგივე იდეა, მართალია, სრულიად სხვა კუთხით, მაგრამ თავის აქტუალობას შეინარჩუნებს რენესანსის ეპოქაში, როდესაც დღის წესრიგში დადგება „სხეულისა და სულის ფორმის შეცვლის“ საკითხი“ (რატიანი 2021: 63).^{*} სიყვარულის როგორც რეალური აქტის ასახვა ბოკაჩოს სწორედ ამ რიგის ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ბერკეტად მიაჩნდა, როდესაც ადამიანი სრულად და უსიტყვოდ ემორჩილება ბუნების კანონს.

მესამე გაკვეთილი ბოკაჩოსგან: სიყვარული გარდაქმნის ადამიანებს. ტრანსფორმაციის გენერატორი კი თავად ბუნებაა. ბუნების კანონები „დეკამერონი“-ს დიალექტიკურ კოდს წარმოადგენს: ესაა კოდი, რომელიც წარმატებულად გამოიყენება ავტორის მიერ სოციალურ წესრიგში არსებული წინააღმდეგობების გამოსაკვეთად. ბუნების მორალი „დეკამერონში“ ახალი ტიპის დიალექტიკური მორალია, რომელიც უფრო მეტ თავისუფლებას ასწავლის თავის მიმდევრებს, ვიდრე ტრადიციული მორალური კოდები (პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური).

მეოთხე გაკვეთილი ბოკაჩოსგან: ბუნების კანონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადამიანთა საზოგადოებისა და რელიგიის კანონები. რაც უფრო ახლოსაა ადამიანი ბუნების კანონთან, მით უფრო თავისუფალია ის და აქვს უნარი, ნებისმიერ ვითარებაში, დატკბეს ცხოვრებით. ადამიანის ბუნებასთან თანაზიარობა „დეკამერონ“-

* რომ აღარაფერი ვთქვით კულტურული პარადიგმის ცვლილებაზე: რენესანსის ეპოქის მწერლები და მხატვრები მიისწრაფოდნენ უდიდესი ცვლილებებისკენ, მათ შორის, იმისკენ, რომ ახალი სული შთაებერთა ბერძნული და რომაული კულტურებისთვის.

ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილია. პარადოქსია, მაგრამ პანდემიის პირობებში მოთხოვნილი ამბები, იმ დროში, როცა ათასობით ფლორენციელების სიცოცხლე შავმა ჭირმა წაიღო, ჯოვანი ბოკაჩო ათივე მთხრობელს საკმაოდ თავისუფალ ადამიანებად წარმოგვიდგენს, რომლებსაც სურთ დატკბნენ ცხოვრებით და სხვებსაც მისცენ ამის საშუალება. ისინი იცინიან, ხუმრობენ, საუბრობენ სიყვარულზე, მორალზე, მიერთმევენ გემრიელ ფუნთუშეულს, სვამენ ღვინოს, დასეირნობენ ტყეში (იხ. ფაზიან ალფიე, <https://www.youtube.com/watch?v=ENDh8BFvcFk>). თითოეული ნოველიდან სიცოცხლის სიხარული მოედინება! რატომ?

მეხუთე გაკვეთილი ბოკაჩოსაგან: გიყვარდეთ სიცოცხლე! მაშინაც კი, როცა ქალაქი/ქვეყანა მომაკვდინებელი პანდემიის მკლავებში კვნესის, გიყვარდეთ სიცოცხლე! ისწრაფვოდეთ მზისკენ და სინათლისკენ! სიცოცხლის დაუმრეტელი ენერჯია საუკუნეების მიღმა აღწევს, ენერჯია, რომელიც დღეს ჩვენ ყველას გვჭირდება და რომელსაც სიცოცხლის სიხარული და სიცოცხლით ტკბობა ჰქვია...

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ,
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“
(ასათიანი, „საქართველოში“)

თითქმის ექვსი საუკუნის შემდეგ, ასე გამოეხმაურება ტუბერკულოზით შეპყრობილი 26 წლის ქართველი პოეტი, ლადო ასათიანი სიცოცხლის რენესანსულ სულისკვეთებას და თავის გედის სიმღერას სიცოცხლის ჰიმნად აქცევს.

დამოწმებანი:

ალფიე: Alfie, F. *Giovanni Boccaccio's Decameron and Bawdy Medieval Literature* <https://www.youtube.com/watch?v=ENDh8BFvcFk>

ბრეგაძე 2008: ბრეგაძე, ლ. „რეცეფციული ესთეტიკა“. *ლიტერატურის თეორია. საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

დავიდოვი: Давыдов, С. С. „Тексты-матрешки“ Владимира Набокова. *Введение* <http://nabokov-lit.ru/nabokov/kritika/davydov-teksty-matreshki/vvedenie.htm>

რატიანი 2018: რატიანი, ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018.

რატიანი 2021: რატიანი, ი. „რუსთაველის სამი რეალობა“. *სჯანი*, 22. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021.

ქადონი 1999: Cudon, J. A. (revised by C. E. Preston). *Dictionary of Literary Terms and Literary Theory*. Penguin Books, 1999.

Solomon Tabutsadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

In the Name of Posterity Survival (Story „Michela“ by Davit Kldiashvili)

Summary

The urgency of David Kldiashvili's work comes to life in our reality with a new perspective. One such problem is presented in the story “Michela”.

The artistically described tragic story was not only the subject of the story, but, as we guess from the press of that time, it was a universal event in that era. At the time of the epidemic as a human catastrophe, the traits of human nature that are normally hidden in the ordinary situation often appear.

The character of David Kldiashvili's story – Michela, is indistinguishable human from the others, but when his family was almost completely destroyed by an epidemic, this honest man faced existential hardship, showing unforgivable indifference to his mortally doomed grandson. Davit Kldiashvili's story depicts such a spiritual transformation of a person in a hopeless situation, which will always be the subject of artistic reflection.

Key words: Davit Kldiashvili, “Michela”, epidemic, extinction of the family, human transformation, spiritual degradation.

სოლომონ ტაბუცაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოდემის გადარჩენის სახელით (დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მიქელა“)

დავით კლდიაშვილის შემოქმედება მუდამ აქტუალურია ქართული ცხოვრებისათვის. მის მხატვრულ პროზაში წარმოდგენილი პრობლემატიკა ახალი და ახლებური წიბო-წახნაგით ცოცხლდება ჩვენს რეალობაში. ერთი ასეთი პრობლემატაგანი მწერლისთვის დამახასიათებელი სიმძაფრით არის წარმოჩენილი მოთხრობაში „მიქელა“.

მიქელა გიორგაძის ოჯახს უკურნებელი სენი შეუჩნდა და ოჯახი ლამის მთლიანად ამოწყვიტა. სიკვდილს მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი – მაია გადაურჩა. გვარის ამოწყვეტის შიშით შეძრწუნებული მიქელა ავი სულეების განსადევნად სახლსაც კი გადადგამს „უსაფრთხო“ ადგილას და უმცროს შვილიშვილს სხვა სოფელში გახიზნავს. უფროსი, საიქიომოვლილი 20 წლის სპიდონას წაყვანა უფალმა ჯერ არ ინება – საიქიოდან მოაბრუნა და, როგორც თვითონ ამბობს, ერთი წლის შემდეგ უნდა წაიყვანოს. სნებამორეულ სპიდონას მიქელა სახლს გაარიდებს და ფაცხაში დააბინავებს. ღამით ქარიშხალი ამოვარდება და დელგმა გადალევავს სპიდონას სადგომს, მომაკვდავს თავის კარვიანად თავქვე გააქანებს და დაახრჩობს. დილით ქვა-ლორღში არეულს იპოვნის მიქელა შვილიშვილის გვამს, შინ შემობრუნდება და დატრიალებული საცოდაობისას ეტყვის რძალს, რაზედაც მაია გაიოცებს, „– მომკვდარა?! <...> წელიწადი რომ არ შესრულებულა?“ მამამთილი კი თავის ვარაუდს გაუმხელს – „ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგონია, რა ვადა დაუნიშნეს...“

მიქელასა და მაიას სწამდათ, რომ უფალი დანიშნულ დროზე ადრე არ წაიყვანდა ავადმყოფს და ყურადღებასაც არ აქცევდნენ. რძალ-მამამთილის რეაქცია ერთ რამეზე – უკიდურეს გონებადაბნელებულობაზე – მეტყველებს მხოლოდ. ამასთან

დაკავშირებით წერდა აკაკი ბაქრაძე, რომ ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლელი გახდა და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ – ჯიშის, მოდგმის გადარჩენის სახელითო. აქვე ისიცა ვთქვათ, რომ მოთხრობას საფუძვლად დავითის მოგვარე, ტუბერკულოზით დასნეულებული ოჯახის ამბავი უდევს (ლალ ავალიანი). მკაცრი სინამდვილე დავით კლდიაშვილის მთელ შემოქმედებასა მსჭვალავს, მაგრამ ამ მოთხრობის ფაბულა მაინც უცნაურია და სიღრმისეულად წარმოაჩენს ადამიანის შინაგან სამყაროს. „უცნაურობით რომ დაფასდეს რომელიმე მხარე, პირველ ჯილდოს იმერეთი მიიღებდა უთუოდ“-ო გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა, მაგრამ, როგორც ქართული პრესიდანა ჩანს, საუცნაურო კი არა, მოთხრობაში აღწერილი ტრაგიზმით გაჯერებული ფაქტები საყოველთაო მოვლენა ყოფილა იმ დროს. გაზეთ „დროებიდან“ სრულ ამონაწერს მოვიტან: „შეიძლება ყველასთვის არ იყვეს ცნობილი, როგორ ექცევიან ავადმყოფებს ამ ჩვენს მხარეში. ამისათვის მინდა გავაცნო „დროების“ შემწეობით მკითხველებს აქაური წესები ამ საგნის შესახებ. ვსთქვათ, გახდა კაცი თუნდ ქალი ავად. ერთი დღიდან ერთს ან ორ კვირამდე შეიძლება ამყოფონ იგი სახლში, სადაც ჯერ კიდევ არ ერიდებიან, მაგრამ აგერ ორი კვირაც გავიდა და ავადმყოფი ისევ იმ დღეშია: ან ახველებს ან სიცხე აქვს ან ჭვალეების გამო იტკივებს რასმეს. ავადმყოფებს მოულობავენ კარავს ვენახში ან ყანაში, რომელიც უფრო მოშორებით არის სოფელზე, დააწვენენ შიგ და სიკვდილი იქნება თუ სიცოხლე, იქ უნდა ელოდებოდეს უბედური. ავადმყოფთან, თუ ისეთი ვინმე არ ჰყავს რომ იყოს მასთან და არაფერს არ მოერიდოს, დაიქირავებენ ისეთ კაცს ყარაულად, რომელიც არ ერიდება ამისთანა ავადმყოფობას და რომელიც საყარაულოსაც ბლომად იღებს; ეს ყარაული უზიდავს ავადმყოფს სასმელ-საჭმელს და უვლის, ვიდრე ან ბოლო არ მოეღება ან არ გამობრუნდება“. ან ის „ყარაულები“ ვინ იყვნენ და რა ყოფით ცხოვრობდნენ, ესეც ხომ ადვილი წარმოსადგენია? ამგვარი ცხოვრების მოწმე ჭირისუფალია დავით კლდიაშვილი და აკი თავის საიუბილეო სადამოზე თქვა კიდევაც აწ უკვე ქრესტომათიად ქცეული სიტყვები, რომ მწერალს თავისი პერსონაჟებისთვის არ დაუცინია და მწერლისავე

სიტყვა რომ მოვიტანოთ – „მე ისინი მეცოდებოდნენ, მებრალებოდა ადამიანი, რომელიც მახინჯმა ცხოვრებამ გააუბედურა“-ო.

აკაკი ბაქრაძისეული შენიშვნა „ბუნებით კეთილი სათნო“ ბერიკაცზე მოთხრობის მიხედვით არსად დასტურდება, რადგან მიქელას წინარე ცხოვრებისა არაფერი ვიცით, მაგრამ ეს შეიძლება არც იყოს არსებითი, რადგან მნელია განსაზღვრა იმისა თუ ადამიანის რა ბუნება იჩენს თავს „დიდი დეპრესიის“ ჟამს და პანდემია სწორედ ასეთი მოვლენაა. უმემკვიდრეოდ გადაგების შიშით მოგვრილი ემოციური ჯოჯოხეთი სრულიად გათანგავს მიქელას სულსა და გულს. და ამ ყველაფერს წინ უძღვის ის ქონებრივი და სულიერი სიდუხჭირე, რომელიც მისხალ სასიკეთო გასაქანს არ აძლევს ადამიანის ყოფას. შინაგანად გაპარტახებული ადამიანი ცრუმორწმუნეობის სადგომად ქცეულა და სულგაყინული რას აღარ ებლაუჭება, რომ თავისი სააქაო და საიქიო ცხოვრება უზრუნველყოს. ადამიანის ბუნება მთელი თავის არსით სწორედ ამგვარ ვითარებებში ვლინდება და ამ მხრივ დავით კლდიაშვილის მხატვრული ხედვა სრულიად უნიკალურია. გერონტი ქიქოძემ მას „სადი მხატვრული ინსტინქტის მწერალი“ და „სინამდვილის ფანატიკოსი“ უწოდაო და ამასთან დაკავშირებით წერს მალხაზ ხარბედია, რომ ეს ორივე ფრაზა ზუსტად ახასიათებს მწერალს და „სწორედ ამ ჯანსაღი გრძნობების გამოა, ალბათ, დიდი მწერალი, მწერალი, ვინც ახერხებდა წარმოუდგენელი ერთ-გულეობა გამოეჩინა იმის მიმართ, რაზეც წერდა, ყოფილიყო თავგანწირულიც და, ამავდროულად, დაუნდობლად ზუსტი“. ეს სიზუსტეა, რომ წვრილმანებამდე ჩასდევს მწერალი სათქმელს და იქიდან ამოაქვს, კიტა აბაშიძის თქმისა არ იყოს, „თითქმის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბავი, დაწვრილმანებულის ცხოვრების ერთის კუნჭულის ნაფლეთი“. ეს „ნაფლეთი“ კი ადამიანის უარსებითეს საკითხს, მის ეგზისტენციას უკავშირდება და ამდენად მის წვრილმანობაზე შეიძლება გაჭირდეს კიდევ საუბარი. თუ წვეთში ზღვა აირეკლება, ამ „ნაფლეთშიც“ ადამიანური არსებობის დვრიტა გამოსჩანს და ამას უწოდა აკაკი ბაქრაძემ „არსებობის შიში“. ეს ძრწოლა და შიში თანგავს კლდიაშვილის პერსონაჟებს და ამის გამოა, რომ მწერალი თანალმობით შეჰყურებს მათ მიუტევებელ საქციელსაც კი. როგორ და რით შეიძლება გამართებულ იქნეს

მიქელას საქციელი, მაგრამ მწერალი არც მასა ჰკიცხავს. ერთი ეგ არის, რომ მღვდელს ათქმევინებს საყვედურს: „მღვდელი ძლიერ შეუწყრა მიქელას შვილიშვილის დატანჯვისათვის და ემუქრებოდა პასუხისგებაში მიცემას“. მწერალს მაინც ადამიანის უკეთესობაზე ეფიქრება, რადგან მისი სულიერი გამოცდილებისა და უსამართლობის დარჯაკში გამოვლილი კაცის ალლოთი იცის, რომ „კაცის ოცნება ცხოვრებისაგან თითქმის უმეტეს ნაწილად შემუსვრილი რჩება. <...> ცხოვრება ბრძოლაა <...> და თანვე დაუბოლოებელი დამარცხება ამ ბრძოლაში, რადგან, რამდენსაც ახლო მივა სალტოლველ საგანთან, იმდენად ეს საგანი მისგან შორს გაიწევს. ადამიანის ცხოვრების მხატვრული გამომსახველი სიზიფის მითია“ (აბაშიძე 1912: 272).

დავით კლდიაშვილი არსად ლაპარაკობს პერსონაჟის ცნობიერებაზე, იმაზე თუ რაიმეგვარი ყოყმანი ან ჭიდილი მიმდინარეობს მის შინაგან სამყაროში. არა, იგი მხოლოდ ხატავს და ამით ნათელყოფს და მთელი სისრულით წარმოადგენს გმირის სულიერ მდგომარეობასა და სახეს.

უამინდობამ იმატა და წვიმებიც გახშირდა, მაგრამ „ერთ საღამოს ნამეტანი ჩამოღრუბლა და ერთბაშად მძლავრმა წვიმამაც დაუშვა. მაია ვახშმისათვის ჭადებს აცხობდა.

– ძალიან წვიმა მოვა ამაღამ, ეტყობა! – თქვა მან შეწუხებული ხმით. – სპიდონას კარავში რა გააძლებინებს!..

– რა ვუყო ახლა მე!.. – წაილაპარაკა ცეცხლის პირას მჯდომმა მიქელამ. – ეგებ გადიკაროს! – ცოტა ხნის შემდეგ დაატანა მან. – სულ რაღა გოუწყრება ღმერთი... სულ წვიმა რაღა იქნება!“

„რა ვუყო ახლა მე!“ ეს უბრალო ამოძახილი, ერთი მხრივ, გამოუვალობის და, მეორე მხრივ, იმის ნიშნადაც შეიძლება ვიგულოვოთ, რომ წამიერად აფუთფუთებული სინდისი ადგილს ითხოვს მიქელას სულში და ამით გაღიზიანებული რძალსაც შეუყვირებს. როდესაც მოძალებული დელგმის შემყურე მაიას გულმა ველარ მოუთმინა და შეჰკადრა მამამთლს, – „ბატონო, იმ ბოვშვს დახედვა უნდა კიდევ... არაფერი ცოდვა დაგვედვას“-ო, მოხუცმა უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა: „რა ცოდვა უნდა დაგვედვას?! ამ ღამის წერა ყოფილა თუ რამ მოუვიდა და ისაა!“; მაგრამ, როცა რძალი „გადაწყვეტიტ“ იტყვის, „წავალ, მე დავხედავო“, აქ

კი იფეთქა მიქელამ: „ – შენ სად წახვალ?! <...> მაცალე ერთი, თუ ღმერთი გწამს!“. ეს შემახება თუ ამოძახილი კიდევე უფრო ნათლად აჩვენებს ბერიკაცის ნაგვემი სულის მდგომარეობას.

ერთიც უნდა ითქვას: რელიგიურ ცრუმორწმუნეობაზე საუბარი, რასაკვირველია, ლეგიტიმურია, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ეს საკითხი მაინც გარეგნული სამოსია, თემაა მოთხრობებისა, ხოლო არსი მისი ამ თემაზე შექმნილი თხზულებებისა გაცილებით სიღრმისეულია და იგი რომელიმე ისტორიული ეპოქისა თუ ხდომილების ფარგლებით არ ამოიწურება. როგორც კიტა აბაშიძე იტყვის, „მწერალი გვახედებს უფერულისა და უმნიშვნელო სინამდვილის ძირში და იქ დამალულს ღრმა და მწარე აზრს ცხოვრებისას შეგვამცნებინებს ხოლმე და იმ მრავალგვარ აზრსა და სხვადასხვაგვარ გრძნობას აღვიძრავს <...> ამგვარი მანერა მწერლისა მის ნაწერებს სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევს“.

ამიტომაც არის, რომ დავით კლდიაშვილის ტექსტებს ყველა ეპოქა თავისად მიიჩნევს და თავისებურად წაკითხავს, რადგან ხედვისა და თხრობის მისთვის დამახასიათებელი მანერა აღქმისა და ინტერპრეტაციის ნაირგვარობას განაპირობებს.

დამოწმებანი:

აბაშიძე 1912: აბაშიძე კ. *ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ*. ტ. II. ქუთაისი: სტამბა იოსებ მ. ხელაძისა, 1912.

ავალიანი: ავალიანი ლ. *დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი*. <http://www.bu.org.ge>

ბაქრაძე 1986: ბაქრაძე ა. *სულის ზრდა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986, გვ. 171-192.

ხარბედია: ხარბედია მ. *დავით კლდიაშვილი-150*. <https://www.radiotavisupleba.ge/z/2342>

Lali Tibilashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Issue of Pandemics in Shio Aragvispireli's Art

Summary

The study provides comparison between Shio Aragvispireli's novelette "We Have Buried Dad!.." and Vazha-Pshavela's story "Cholera Helped Me". While both works were written in the same period (1892), the authors provided different descriptions of the villages depressed by the pandemics: while Shio Aragvispireli's novelette is very tragic, Vazha described with humor.

Aragvispireli's novelette "We Live!.." was written when cholera epidemics was ended in Georgia. This allowed the author to look s more lightly the people scared with epidemics, thinking about every illness that this was cholera.

The work considers the folklore materials collected by Shio Aragvispireli, in particular, the spells for the purpose of dealing with the infectious diseases.

Key Words: Shio Aragvispireli; pandemics.

ლალი თიბილაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პანდემიის თემა

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში არაერთი პანდემია თუ ეპიდემია გადაიტანა. სხვადასხვა მომაკვდინებელ სენტან ბრძოლა ოდითგანვე იყო ადამიანთა პრობლემა. ერთ-ერთი ინფექციური დაავადების, ქოლერის, შესახებ ჰიპოკრატე ჯერ კი-

დიდად არ შემონახულა. პანდემიები დიდ ტერიტორიებს მოიცავდა, მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს ანადგურებდა, სავაჭრო თუ პოლიტიკურ კავშირებზე ზემოქმედებდა და ბუნებრივია, სამეცნიერო ცოდნის განვითარებას უწყობდა ხელს. ცნობილია, რომ 1816-1818 წლების ქოლერის პანდემია ინდოეთიდან მოედო ჩინეთს, თურქეთს, იმიერკავკასიას, ევროპის ნაწილს და, საბოლოოდ, მოსახლეობის ნახევარი იმსხვერპლა. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიას ქოლერის ხუთმა პანდემიამ გადაუარა. ყველაზე მასშტაბურმა მეხუთე პანდემიამ, რომელიც 90-იან წლებში დაიწყო, რუსეთის სამოცდაათი გუბერნია მოიცვა. განსაცდელს ვერც საქართველო გადაურჩა, თუმცა, საბედნიეროდ, ამ დაავადებამ ჩვენს ქვეყანაში მალევე გადაიარა. ამის შესახებ „ივერია“ წერდა, რომ ბევრად უფრო მდიდარი ბაქოსაგან განსხვავებით, თბილისი მომზადებული დახვდა პანდემიას: „თბილისის თვითმმართველობამ დაინახა, რომ ხოლერა სრულებითაც არ ხუმრობსო და საშინელის მრისხანებით უპირებს განადგურებას მთელს კაცობრიობასო, რაც კი რამ მოემბნებოდა ყველაფერს მოუყარა ქალაქმა თავი-თავს და იარაღად აქცია, რამდენიმე ათასი თუმანი ფული დასდო მცხოვრებთა დასახსნელად. დაიქირავა თითქმის ოცამდე ექიმი და დაავალა, რომ საცა კი ხოლერამ იჩინოს თავი, გაქანდით, მუქთად უშველეთ გაჭირვებულს და ხოლერიანი ადგილები ისე გაასუფთავეთ, რომ იქ ბაცილებს აღარ შეეძლოთ გაძლებათ. რაც კი საეჭვო საცმელები ჰნახოთ, ქვეშსაგები, ყველაფერი გადაწვიოთ და გადაბუგეთ – მე ვზღვავ ერთი-ორადაო. ამისთანა თადარიგის დაჭერამ თქვენცა ჰხედამთ რაცა ჰქნა“ („ივერია“ 1892).

საყურადღებოა ისიც, რომ პარიზის პასტერის ინსტიტუტის ტექნიკური სამიკრობო ლაბორატორიის მიღწევებმა ექიმებს საშუალება მისცა, რომ 1892 წლიდან საქართველოში დაეწყოთ ქოლერის ვაქცინაცია. ინფექციური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოირჩეოდა ერის გაჯანსაღებისათვის მზრუნველი კომიტეტიც, რომელსაც საგანგებო კრებაზე შემდეგი ღონისძიებები დაუსახავს: აიკრძალა ეკლესიების გალავნებში საღმრთოს დაკვლა, მტკვარში ბანაობა და მტკვრის წყლის ხმარება, ასევე, ბაზარში უვარგისი ხილის გაყიდვა („ივერია“1893).

სანიტარული ზომების გამკაცრებამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. პანდემია აილაგმა, მაგრამ სენმა მძიმე კვალი დააჩნია ადამიანთა ყოველდღიურ ყოფას. ვერაგი დაავადებით დათრგუნვილი მოსახლეობის შიში და ქოლერის მძიმე შედეგები ფართოდ აისახა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ამ მხრივ საყურადღებოა შიო არაგვისპირელის ნოველები „მამას მიწა მივაყალბეთ!..“ და „ვცხოვრობთ!..“

„მამას მიწა მივაყალბეთ!..“ 1892 წელს, საქართველოში ქოლერის პანდემიის მძვინვარების პერიოდში, დაიწერა. ნოველაში გადმოცემული ამბავი, ზოგადად, XIX ს-ის 90-იანი წლების ქართული სოფლისათვის არის დამახასიათებელი. მასში დახატული სურათიდან ვხედავთ, რომ დაინფიცირების შიშით თავზარდაცემულ ხალხს სახლ-კარი მიუტოვებია და ტყეებსა თუ მინდვრებში გახიზნულა. სოფელში რამდენიმე ადამიანიღაა დარჩენილი, მათ შორის – მართიკო თავის ოთხი წლის გოგონასთან ერთად. მართიკოც სხვებივით გაეცლებოდა აქაურობას, მაგრამ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ოჯახის წინაშე, – ქოლერით დასნეულებული ქმარი ჰყავს მოსავლელი. ქალი თავგანწირვით იბრძვის მეუღლის გადასარჩენად, მორიდება აზრადაც არ მოსდის, მაგრამ – უშედეგოდ. სამი დღის შემდეგ ქმარი ხელიდან გამოეცლება.

პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა ადამიანთა ურთიერთობაზე. სიკვდილის შიშის გამო ბევრმა მეზობელმა, ნათესავმა თუ თანასოფლელმა ახლობლის წინაშე მორალური ვალდებულება დაივიწყა. ამგვარად მოიქცა მართიკოს მაზლიც, მან თავისი ცოლ-შვილი მინდორში გახიზნა, უმწეო რძალი და ძმისწული კი ბედის ანაზარა მიატოვა.

როგორც ვხედავთ, შიო არაგვისპირელი ერთი ოჯახის ტრაგედიის აღწერით ნათლად წარმოაჩენს პანდემიის დროს მცხოვრებ ადამიანთა მძიმე ხვედრს. ქმრის სიკვდილმა მართიკო შინაგანად გააძლიერა და გაამაგრა, რადგან მიცვალებულს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. უმწეო ბავშვის ანაზარა დარჩენილმა ქალმა „თითონ უშველა ორ მესაფლავეს თავის ქმრის გამოტანა და ურემზე დადება. ისე, უკუბოდ, უმღვდელოდ, უხარჯოდ და

შენდობის უთქმელად, ლეიბიანად გამოტოლი შეუდეს ურემზე სოსიკა და შეზარხოშებულმა მესაფლავეებმა ღიღინით შეატარეს სოფელი და სამარის კარამდის მიიტანეს...“ (არაგვისპირელი 1961: 114).

მესაფლავეებიც შეშინებული არიან პანდემიის სიმძაფრით. სოფელში დატრიალებული უბედურების ფონზე, ისინი, ერთი შეხედვით, იმგვარ გულგრილ ადამიანებადაც კი შეიძლება მოგვეჩვენონ, რომლებიც თითქოს შეჩვეულან თავს დატეხილ უბედურებას და გლოვის ჟამს ღიღინით აცილებენ უკანასკნელ გზაზე გარდაცვლილებს. მაგრამ სინამდვილეში ახალგაზრდა, მშრომელი, ჯან-ღონით სავსე თანასოფლელების მიწისთვის მიბარება მათთვისაც არ არის ადვილი საქმე, მით უფრო, რომ ამგვარი შემთხვევები იშვიათობას აღარ წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ რამდენიმე ჭიქა სასმელით ცდილობენ ისინი გამხნეებასა და მძიმე რეალობის ცოტა ხნით დავიწყებას.

სოფლად დარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილი დაინფიცირების შიშით სახლებშია გამოკეტილი და დიდი სურვილის მიუხედავად, გაჭირვებაში მყოფ ჭირისუფალს დახმარების ხელს ვერ უწვდის. როდესაც მართიკოს მიცვალებულ ქმარს ურემზე უდებდნენ, სასოწარკვეთილმა ქალმა მეზობლებს შესტირა: „მოდით, ქა, რას იმალებით?! დავიტიროთ ჩემი კარგი სოსიკო. რა დაგიშავათ, ხალხნო, რომ მაგრე დაუტირებელს და დაუმარხავად უშვებთ სოსიკოსა?!... მაგრამ ხალხი არსად სჩანდა. მარტო აქაიქ ბანიდან რამდენიმე ადამიანი გამოსცქეროდა მართიკოს და მწუხარებით გამოიძახოდა: „ღმერთო, ეხლა კი ნუ მოგვკლავ და მერე თუნდ ერთ წამსაც ნუ გვაცოცხლებო“ (არაგვისპირელი 1961: 114).

შიო არაგვისპირელი კიდევ უფრო ამძაფრებს სიუჟეტს და გადმოგვცემს, რომ დაღლილმა მესაფლავეებმა, რომლებმაც იმ დღეს უკვე მესამე მიცვალებული დაკრძალეს, სოსიკოს სამარე მიწით ბოლომდე ვერ ამოავსეს. ამ საქმის დასრულება სასოწარკვეთილ მართიკოსა და ოთხი წლის ბავშვს მოუხდათ. დედაშვილი მიწას აყრიდა მიცვალებულს და თან ცრემლით აღბობდა: „– დავმარხოთ, შვილო, მამაშენი, დავმარხოთ!.. კარგად იმუშავე!..“

– მალ-მალე წასძახებდა ხოლმე მართიკო ბავშვს და „თითონაც აჩქარებით ფხაჭნიდა მიწას“ (არაგვისპირელი 1961: 116).

ვერაგმა სენმა მეორე დღეს მართიკოც ლოგინად ჩააგდო. ჯერ კიდევ „ქმრის ავადმყოფობის დროს, უჩუხჩუხებდა მუცელი, მაგრამ თავს იმაგრებდა და ქმრის წუხილთან თავისი სულ დაავიწყდა. წუხელის კი აუვარდა მუცლის წვა და სულ თეთრად გაათენა. მასთან ერთად არც პატარა გოგოს მოუხუჭავს თვალი.“

სიკვდილის პირას მყოფმა ქალმა ძლივს ასწია თვალის ქუთუთოები და მიკნავებული ხმით მიმართა ბავშვს: „შვილო, გარეთ გადი, შენც არ შეგეყაროს ხორველა!.. წადი, წადი, შვილო!.. ეჰ!“ (არაგვისპირელი 1961: 114). ამგვარი ამოკვნესის შემდეგ მართიკომ თვალის ქუთუთოები მძიმედ ჩამოიფარა, რათა გულსაკლავი სურათი აღარ დაენახა და ცრემლმორეულმა წამოიძახა: „მეც რომ მოვკვდე, ვილა მოუვლის ჩემს პატარა სოფას!..“ (არაგვისპირელი 1961: 117).

კარგა ხნის შემდეგ კარების გვერდს აყუდებულმა პატარა გოგონამ მათი სახლისაკენ მომავალი ბიძა შენიშნა, რომელსაც მინდორში ჭორად გაეგო ძმის დასაფლავების ამბავი. მის შეკითხვას: „გოგო, მამა რა უყავ?“ – ბავშმა გულამოსკვნით უპასუხა: „მამას მიწა მივაყალეთ!..“ (არაგვისპირელი 1961: 114).

აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალმა ნოველის სათაურად სწორედ უმწეო ბავშვის მიერ ნათქვამი უკანასკნელი სიტყვები აირჩია, რაც უფრო ამძაფრებს და ტრაგიკულს ხდის თხზულებაში გადმოცემულ ამბავს.

ზემოხსენებული ნაწარმოების განხილვის შემდეგ შეიძლება პარალელი გავავლოთ შიო არაგვისპირელის ნოველასა და ვაჟაფშაველას მოთხრობა „ხოლერამ მიშველას“ შორის. მართალია, ორივე თხზულება ერთსა და იმავე დროს (1892) დაიწერა, მაგრამ ავტორებმა სხვადასხვაგვარად აღწერეს პანდემიით დათრგუნვილი სოფლის ცხოვრება, – შიო არაგვისპირელმა დიდი ტრაგიზმი გამოხატა ნოველაში, ვაჟამ კი იუმორს მიმართა ისეთი არასახუმარო თემის წერისას, როგორცაა დასწრეულების შიშით შეპყრობილ ადამიანთა ყოფა.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში გადმოცემულ ამბავს თხზულების მთავარი პერსონაჟი ბერუა გვიყვება. მისი თქმით, ქოლერა მეზო-

ბელ სოფელ საბრალოში მძვინვარებდა, სადაც დღეში ათი კაცი კვდებოდა. ეს სოფელი კი სულ ვერს-ნახევრით იყო დაშორებული ბერუას სახლს. სწორედ ამან შეაშფოთა ბიჭის თანასოფლელები: „ძილი აღარავისა ჰქონდა მოსვენებული და სმა-ჭამა. წინადღითვე საფლავებს ითხრიდენ, ცოლი ქმარს შესტიროდა სიკვდილის მოახლოვებას და ქმარი-ცოლს“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 187). სიკვდილის შიშმა ადამიანებს რეალობის აღქმის უნარი წაართვა. როცა შეიტყეს, რომ მეზობელად მცხოვრებ „ნინიკას წვეთი დასცემოდა და სოფლის განაპირად, ღობის გვერდზედ ეგდო გულაღმა,“ მაშინვე ტყეში გაიხიზნენ: „დიდი და პატარა თავგაგლეჯილი გარბოდენ; ზოგმა მოასწრო ქოხის კარების დარაზვა, სხვას კარღია ქოხი დაეტოვებინა.“

შიო არაგვისპირელი თავის ნოველაში პანდემიის გამო ტყეში გახიზნული შეშინებული ხალხის შესახებ არაფერს გვეუბნება, ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში კი ბერუა სევდიანად აღგვიწერს სახლკარმიტოვებულ თანასოფლელთა ყოფას: „ტყეში რომ შევედით, საკვირველი სანახავი დაგვხვდა. მთელს სოფელს აქ მოეყარა თავი. ბებერი, ბაღლი, კაცი და დედაკაცი იქ მოგროვილიყო; ეს ამოდენა ბრბო რომ გენახათ და ჟრიაპული ხალხისა გაგეგონათ, იმას როდი იტყოდით, ხოლერას დაუფრთხია ეს ხალხი, – დღეობაში წამოსულანო, გეგონებოდათ. ზოგს სად დაენტო ცეცხლი, ზოგს სად: ვინ დიდი წიფლის ქვეშ მობუნაგებულიყო თავის ცოლშვილით; ვინ მუხის ქვეშ, ვინ კორჩხლიანს რცხილას აჰფარებოდა, იქვე გვერდით, ველზე ყელგადაგდებული ურმები იდგა, ყველას ცეცხლები დაენტოთ და ზედ ქვაბები ეკიდა, სადილს იმზადებდენ. პატარძლებს აკვნები გვერდით ედგათ, არწევდენ, შვილებს ნანას ეუბნებოდენ, ვინ იცის, ფიქრობდენ: მაინც ხომ ხოლერა მოგვტაცებს და მძინარენი მაინც წაიყვანოსო...“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 191).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიო არაგვისპირელისაგან განსხვავებით, ვაჟამ იუმორს მიმართა თავის მოთხრობაში. ამ მხრივ საყურადღებოა ღვინით გამომთვრალი სოფლის გზირის, – მიხუას ეპიზოდი.

მთვრალი მიხუა ყველას ქოლერით დასნეულებული ეგონა. ბერუას თქმით, მას „მხარში შესდგომოდენ ცოლი და დედა, თან

მოსთქვამდენ. გზირის შვილებიც აპყოლოდენ იმათ და ჟივილ-ხივილი ედგათ. მიხუას პირიდან წითელი ღვინო ამოსდიოდა...

მიხუას გაზიდულობაში ვიყავით და დიდხანაც ვიქნებოდით, რომ იმ სულკურთხეულის გაზდილს ტურას არ ეშველა ჩვენთვის და სნეულისათვის. არ ვიცი, რამ დააფრთხინა: პირდაპირ შიგ გამრიელებულ ხალხში შემოვარდა, აკვნებზე ზედა ხტებოდა, ერთს-ორს პატარძალს აკვანიც გადაუქცია“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 194). შეშინებულ ხალხს ტურა დათვად მოეჩვენა და გაიფანტა. მიხუაც წამოხტა, გაქცევას შეეცადა და ამასობაში კამიჩების სალაფავ ტლაპოში ჩავარდა. ხალხის ყვირილმა და ჭყვივლმა ტურა დააფრთხო, ცეცხლში მოხვდა და დაიჩხავლა. მაშინ ყველა დარწმუნდა, რომ მათი თავზარდამცემი ტურა იყო და არა დათვი. თავიდან ფეხებამდის გათხუპნული მიხუა ტლაპოდან ამოათრიეს. ამ უბედურებამ არგო მას: ღვინისაგან გახურებული შუბლი გაუგრილდა და თანდათან გონზე მოვიდა. მისი ავადმყოფობის მიზეზი ყველასათვის აშკარა გახდა“.

შიო არაგვისპირელის მეორე ნოველა „ვცხოვრობთ!..“ იმ დროს დაიწერა, როცა საქართველოში ქოლერის პანდემია უკვე ჩამცხრალი იყო (1898). ამან ავტორს საშუალება მისცა, ლაღად, მსუბუქად შეეხედა პანდემიით შეშინებული ადამიანებისათვის, რომლებსაც ყოველგვარი ავადმყოფობა ქოლერა ეგონათ. ისინი ჩუმად ტოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს და იხიზნებოდნენ. ნოველის ერთ-ერთი პერსონაჟი, ნაცვალი სიმონა ნათელაშვილი, ამ ტრაგიკულ ამბავს ხალისიანად იხსენებს: „იმ დამეს კი... ხი... ხი... ხი!.. ვხედავ ამ ხალხს, როგორ ფეხაკრეფით საითკენღაც მიეშურება. ჩურჩულით ფეხშიშველა დედაკაცები, ამათ კიდეც ხევსურის ჯორებივით დატვირთული კაცები მისდევენ. თუ ვინმე ხმამაღლივ დაიწყებდა ლაპარაკს გზადაგზა „სუუუ!“ – მაშინვე პირზე ხელს ააფარებდნენ, თითქოს ეშინოდათ, ხორველამ არ გაგვიგოს და უკან არ დაგვედევნოსო“ (არაგვისპირელი 1961: 416).

დაცარიელებულ სოფელში დარჩენილ ნაცვალს, როგორც სახელმწიფო მოხელესა და თავკაცს, მორალურად გლეხთა მიერ მიტოვებული სახლ-კარისა და ქონების მოვლა-პატრონობაც ევალება, მაგრამ უზნეო სიმონამ თანასოფელელთა უბედურებით ისარგებლა და მუსრი გაავლო ყველაფერს. მოგვიანებით იგი

უცხო სტუმრების წინაშე საკუთარ თავს „ხორველის ანგელოზს“ უწოდებს და ხალისით უყვება მათ თავისი „საგმირო საქმეების“ შესახებ: „დავრჩი მარტოდ მე სოფელში და კიდევ ოთხფეხნი და შინაური ფრინველნი. პირველ დღეს არაფერი. მეორე დღეს კი შევუდექი საქმეს. ამოდენა ქათამი, ბატი, ინდოური სულ აქ გაეშოთ. ვიფიქრე: მაინც ტურა და მელა დასჭამს და ისევ მე შევჭამო, ის არა სჯობია მეთქი?! გავიფიქრე და კიდევაც ავასრულე. სადილად, სამხრად და ვახშმად ბატი, ქათამი და ინდოური არ მომკლებია. განა თითო, ოროლი და სამსამი!! აბა, ამისთანა სადილ-ვახშამი უღვინოდ რად ევარგებოდა?! მეც დავშინჯე ჭაშნიკები მარნებში და სულ თავი და თავი ღვინოები ვსვი“ (არაგვისპირელი 1961: 417).

მალე უზნეო მოხელეს ღვინო შემოაკლდა, ამიტომაც ხერხს მიმართა, პანდემიით შეშინებულ „კნიაზს“ „ხორველის ანგელოზის“ მოთხოვნით მარნის გასაღები დასტყუა და კვლავ გააგრძელა ქეიფი.

როდესაც ხალხის დაბრუნების დრო მოახლოვდა, მოხერხებული ნაცვალი „ნაჩალნიკთან“ გაიქცა და შესჩვილა: რადგან სოფელში მის მეტი არავინ იყო, შინ დაბრუნებული მეზობლები შინაური ფრინველის გაწყვეტას მას დააბრალებდნენ.

„წადი, წადი ჩქარაო... – მაგისი ნუ გეფიქრება, აქ არ მოვლენ საჩივლელად...“ (არაგვისპირელი 1961: 421) – მიაძახა დასნეულების შიშით დამფრთხალმა „ნაჩალნიკმა“ და „ხორველის ანგელოზი“ კმაყოფილი გამოისტუმრა უკან.

სიმონა ნათელაშვილი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ამთავრებს თავის ნაამბობს: ამის შემდეგ „თუ სოფელში დამრჩა რამ, სანამ სახლ-კარს დაუბრუნდებოდნენ პატრონები, შაუჭმელი და დაუღუველი აღარა დამრჩენია რა“ (არაგვისპირელი 1961: 421).

ვაჟა-ფშაველა წერილში „ფიქრები ხოლერის გამო“ წერდა: „ვგონებ შაჰ-აბასის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გაჩენამ. ხოლერა სიკვდილის მომასწავებელია და ჩვენ ხომ სიცოცხლის მეტისმეტად მოყვარულნი ვართ და ანკი რას არ აგვყაყანებდა“ („ივერია“ 1892ა). მწერალი გულისტკივილს გამოთქვამს სულ სხვა ხოლერაზე, რომელსაც ინფექციურ

დაავადებაზე უფრო დიდი უბედურება მოაქვს ხალხისათვის: „აბა, გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა, კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარს საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. ამ ხოლერას ვერ ვუპოვნეთ ვერსა-იდან წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა, ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავსთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს“ („ივერია“ 1892ა).

„მეორე ხოლერა“, ეს ძნელად მოსაშორებელი სენი, ვაჟა-ფშაველასათვის თვითმპყრობელობაა თავისი მკაცრი, უხეში და უსამართლო პოლიტიკით, რომელიც ადამიანთა ჩაგვრას ემყარება. მწერალი თანამემამულეებს ნამდვილ ქოლერაზე მეტად მისი დამარცხებისაკენ მოუწოდებს: „გაზეთებმაც დროა პირველს თავი დაანებონ და მეორეს მიაპყრონ თვალი. იმ ჩუმად მძრომელს, რომელიც სისხლს არ აჩენს, მაგრამ მკვდრებს კი ამრავლებს. ეგებ ესეც მოვიშოროთ თავიდან... აქაც საჭიროა ყაყანი და იგივე ყაყანი; მასთან ერთად ხელებისა და ტვინის ფათურიც, თორემ მარტო ცარიელს ყაყანში არაფერი მოიხვეტება, როგორც კალიისგან განადგურებულ მიწაზე“ („ივერია“ 1892ა).

შიო არაგვისპირელის ზემოხსენებულ ნოველაში ნაცვალის სიმონა ნათელაშვილი და „ნაჩალნიკი“ სწორედ იმ თვითმპყრობელური ხელისუფლების ერთგული მოხელეები არიან, რომლის შესახებაც წერდა ვაჟა-ფშაველა. პირველი პანდემიით დაზაფრული მოსახლეობის გაჭირვებით სარგებლობს და ანადგურებს მის ქონებას, მეორე კი არ ფიქრობს გაარკვიოს ნაცვლის სიმართლე და თავისი გულგრილობით ხალხის ჩაგვრას უწყობს ხელს.

ინფექციურმა დაავადებებმა, როგორც მოულოდნელმა განსაცდელმა, თავიანთი კვალი ქართულ ფოლკლორსაც დააჩნია. ამ მხრივ საყურადღებოა ხალხური შელოცვები, რომლებიც ხატოვანი აზროვნების ერთ-ერთ საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს. შიო არაგვისპირელი, როგორც მწერალი და მკურნალი (ბეითალი), ხალხური შელოცვების შეკრებითაც იყო დაინტერესებული. მას პროფესიული ცნობისმოყვარეობა აძლევდა სტიმულს, შეესწავლა შელოცვათა მაგიური ბუნება, ამასთან, როგორც ფსი-

ქოლოგიით დაინტერესებული. ადამიანი, შელოცვის საიდუმლოში უთუოდ ფსიქოთერაპიის თავისებურ ხალხურ საშუალებას ხედავდა. ვისაც უნახავს შელოცვის შესრულება, დაგვეთანხმება, რომ ეს პროცესი გარკვეული ექსტაზით, მოჩვენებითი თუ ნამდვილი ზემოთაგონებით მიმდინარეობს. წარსულში, ცხადია, ეს მომენტი კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა.

შიო არაგვისპირელის მიერ შეკრებილ შელოცვებში სწეულება გაიაზრება როგორც სხეულში ჩასახლებული ბოროტი სულის ზემოქმედების ნაყოფი, რომელიც შეიძლება, რომ მაგიური სიტყვის ძალით განიდევენოს. სიტყვა აქ მატერიალური ფენომენია, საგანია, ნივთია, რომელსაც უდიდესი ზემოქმედების მოხდენა ძალუძს. „სიმბოლოთა მიზანმიმართული გამოყენებით ტარდება ერთგვარი ფსიქოთერაპიული სეანსი და ხდება ფსიქიკის მანიპულაცია სასურველი ეფექტის მისაღწევად“ (სულამე 1997).

შიო არაგვისპირელის მიერ შეკრებილი ინფექციურ დაავადებათა სამკურნალო შელოცვების ნიმუშებია: „მუნის ლოცვა“, „სირსველის ლოცვა“ და „თურქულის ლოცვა“:

მუნის ლოცვა

ღოღო მოთხარე რკინითა,
მუნო, ჰჰკნებოდე, ხმებოდე
ამოვარდი ძირითა,
გახმი და ჩამოჰსცვივოდე
ქერის ქატოსავითა.
(გოგირდი მწარე ზეთით)

სირსველის ლოცვა

სირსველმა გუთანი ხნა
სამ უღელი ხარითა,
ფსვლივი ტაბაკითა ჰქონდა,
გველი საყევართა;
საყევარი გაუწოდა,
ამოვარდა ძირითა.

სირსველის ლოცვის შემდეგ შიო არაგვისპირელი მიგვითითებს, რომ ამ დაავადებით დასნეულებულ ადამიანს განსაკურნებლად „ძმარსა და დანაყულ ღოლოს ფესვებს სცხოზენ“ (კოჭლოშვილი 2003: 91).

შიო არაგვისპირელისათვის, როგორც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გადატაკებული გლეხობის დამცველისათვის, ცხადია, საინტერესო იყო რქოსანი საქონლის (აგრეთვე ღორის) ჩლიქებისა და პირის ღრუს ინფექციური დაავადების – თურქულის შელოცვა და წამლობა. ამ სენის წამალი – ძმარი და შაბი შელოცვის დაწყებამდეა მითითებული. ხალხურ წამლობას მოსდევს მაგიური სიტყვები: „კაცო, სად მიხვალ, წყალგაღმა მთასა ნისლივით, ბარსა ცეცხლივით. მივდივარ წყალგაღმა, კაცისა პირში შესაყრელათა და პირუტყვთა პირში და ჩლიქში შესაყრელათა. არცა მიგიშვებ კაცისა პირში შესაყრელათა. გამოგიყვან ძალითა ღვთისათა და ლოცვითა ჩემითა (ღმერთო, შენ დასწერე)“ (არაგვისპირელი).

ამრიგად, პანდემიის თემამ თავისი კვალი ქართულ კულტურასაც დააჩნია. შიო არაგვისპირელის შემოქმედება ამისი ნათელი მაგალითია. ინფექციურ დაავადებაზე წერისას მწერლის ინტერესის სფეროს არა ქალაქის, არამედ სოფლის ცხოვრება წარმოადგენს. იგი თავისი შემოქმედების მასალად ქართულ სინამდვილეს იღებს, მაგრამ თემის გაშლა-განვითარებისას, თითქოს შეუმჩნევლად, საერთო-საკაცობრიო პრობლემას აშუქებს და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანება.

დამოწმებანი:

არაგვისპირელი 1961: არაგვისპირელი, შ. *მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

არაგვისპირელი: არაგვისპირელი, შ. *ხალხური წამლობანი და შელოცვანი*. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში. №16098-ხ.

ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა. *ქართული პროზა*. ტ. XII. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986.

თიბილაშვილი 2006: თიბილაშვილი, ლ. *შიო არაგვისპირელის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი*. დისერტაცია ფ. მ. კ.-ის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 2006.

„ივერია“ 1892: გაზეთი „ივერია“, 22 ივლისი. 1892.

„ივერია“ 1892ა: გაზეთი „ივერია“, 1-ლი ოქტომბერი. 1892.

„ივერია“1893: გაზეთი „ივერია“, 11 აგვისტო. 1893.

კოკლოშვილი 2003: კოკლოშვილი, ნ. *შოი არაგვისპირელის ცხოვრება და შემოქმედება*. დისერტაცია ფ. მ. კ.-ის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2003.

სულაძე 1997: სულაძე, მ. *შელოცვათა პოეტიკა*. დისერტაცია ფ. მ. კ.-ის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1997.

Nino Vakhania

Georgia, Tbilisi

Sokhumi State University

At the Sources of Georgian Literary Tale

Summary

Famous Georgian figure, one of the representatives of Georgian romanticism – poet, playwright, publicist and memoirist, prosaist-documentation officer, political and public figure, national hero – one of the leaders of conspiracy taken place in 1832 brought particular merit to the development of the 19th century’s Georgian culture, history and public mind Alexander Orbeliani(1802-1969). Alexander Orbeliani’s“Tale of Satan, or Night of Witches” is formal tale. As it seems the basis of it is spread myth about witches. Alexander Orbeliani applied tale for preaching morality and dissemination of national self-consciousness.

It is to be noted that Orbeliani’s“Tale of Satan, or Night of Witches” chronologically was written before AkakiTsereteli’s story “Devils” and his tales. Fairy-tale character is mentioned also in other writings of romanticist, namely in the play “Kind Old Man”. Alexander Orbeliani paid great attention to folklore. A lot of folk stories are reflected in his literary heritage.

Key words: Folklore, „Tale of Satan“, Morality.

ნინო ვახანია

საქართველო, თბილისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ლიტერატურული ზღაპრის სათავეებთან

XIX საუკუნის ქართული კულტურის, ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მოღვაწეს, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ წარმომადგენელს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, ეროვნულ გმირს – 1832 წლის შეთქმულების მეთაურს ალექსანდრე ორბელიანს (1802-1969).

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში პირველად ლიტერატურული ზღაპარი ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაში ჩნდება.

მკვლევართა აზრით, ცნების „ლიტერატურული ზღაპარი“ „ქანრად ფორმირება ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელს უკავშირდება“ (კოროვინი 2019: 289) ხოლო ლიტერატურული ზღაპრის ერთ-ერთ სახეობას, კერძოდ, ფილოსოფიურ ზღაპარს უფრო ადრე, XVIII საუკუნეში წარმოშობილად მიიჩნევენ. „...იგი ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში (ვოლტერი, ჯონათან სვიფტი, დენი დიდრო)“ (ქავთარაძე 2018: 144).

ლიტერატურული ზღაპარი ბევრწილად ჰგავს ხალხურ ზღაპარს. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ლიტერატურულ ზღაპარს ჰყავს ავტორი. მწერალი ზღაპარს ქმნის კონკრეტული მიზნით, კონკრეტული დანიშნულებით. ასეთ ნაწარმოებში კარგად ჩანს ავტორის პიროვნული დამოკიდებულება თუ პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თემა, რომელიც ფოკუსირებულია ლიტერატურულ ზღაპარში, ერთნაირად მნიშვნელოვანი და საინტერესო უნდა იყოს მთელი საზოგადოებისთვის.

ალექსანდრე ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების დამე“ ფორმით ზღაპარია. საფუძვლად, როგორც ჩანს, უდევს გავრცელებული მითი კუდიანი ჯადოქრების შესახებ. მწერალი

კი ზღაპარს იყენებს ზნეობრიობის საქადაგებლად და ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად.

საყურადღებოა, რომ ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე“ შექმნილია 1859 წლის მერე, ახლო ხანებში და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს აკაკი წერეთლის მოთხრობას „ემშაკები“, მისსავე ზღაპრებს და ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „კაცია-ადამიანი?!“, რომლის წინასიტყვაობის ოთხივე ვარიანტს ლიტერატურულ ზღაპრად მიიჩნევს (ვფიქრობ, სავსებით საფუძვლიანად) მკვლევარი როსტომ ჩხეიძე. ზღაპრული პერსონაჟი – მოხეტიალე დევრიში – გვხვდება რომანტიკოსი მწერლის სხვა ნაწარმოებშიც, კერძოდ – პიესაში „კეთილი ბერიკაცი“. საერთოდ, ალექსანდრე ორბელიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ფოლკლორს. მის შემოქმედებაში ასახულია ხალხში გაგონილი არაერთი ამბავი.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ სხვათათვის ზნეობრივ ორიენტირად დარჩენილი მწერალი თავის ნაწერებშიც მუდმივად ქადაგებდა მორალის, სულიერი სიწმინდის დაცვის აუცილებლობას – ხან შეფარულად, სტრიქონებს შორის, უმეტესად კი პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად მოუწოდებდა თანამემამულეებს სიფაქიზისკენ, სიწმინდისკენ, გაბეჩავებული სიმართლის დაცვისკენ. მიაჩნდა, რომ ზნეობრივი სისუფთავის გარეშე ვერ იარსებებდა ვერცერთი სახელმწიფო, მით უმეტეს, ვერ აშენდებოდა ახალი, მომავალი, საოცნებო საქართველო (მის სხვადასხვა თხზულებაშია აღბეჭდილი მწერლის ეს მსოფლმხედველობა).

ამ თვალსაზრისით ალექსანდრე ორბელიანისა და გრიგოლ ორბელიანის შეხედულებები მსგავსია, იდენტურიც კი. მიუხედავად ცხოვრების განსხვავებული წესისა, ორივე ორბელიანი ზნეობას სახავდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ მძლავრ და მყარ ბურჯად. 70-იან წლებში ახალთაობელებს ღვთის უარყოფას რომ უკიჟინებდა გრიგოლ ორბელიანი, ის საყვედური კი უმართებულო იყო, მაგრამ აქ საყურადღებო ისაა, რომ პოეტის გულისტკივილს იწვევდა უღმერთოდ დარჩენილ ერში ზნეობის დაცემა, ზნეობის წახედნა. ხოლო ერთ-ერთ ბოლოდროინდელ შედეგში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ჩამოთვლის რა მომავალი სახელმწიფოს საძირკვლებს (თითქოს დამოუკიდებელი ქვეყნის

კონსტიტუციას ადგენდეს), რამდენიმე პუნქტში ზნეობასაც საპა-
ტიო ადგილს მიაკუთვნებს („ზნე ამაღლებით“). ენის, სარწმუნო-
ების, განათლების, ჯარის ტოლფასად მიაჩნია ზნეობრიობაც. არ
ვამტკიცებ, თუმცა არც გამორიცხულად მიმაჩნია ალექსანდრე
ორბელიანის გავლენა ამ საკითხთან დაკავშირებით გრიგოლ
ორბელიანზე.

ალექსანდრე ორბელიანი დროს, ისტორიას ორ ნაწილად
ჰყოფდა: უწინ და ახლა. ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის
რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის თარიღი გახლდათ.
ფიქრობდა, რომ ყველაფერი ავი: უსამართლობა, შური, მრუშობა
(მათ შორის სოდომგომორული ცოდვა), ერთმანეთის სიძულვილი,
გაცემა-დაბეზღება... რუსეთმა დაამკვიდრა საქართველოში. თუ
მანამდე ადამიანური მანკირებანი ერთეულ შემთხვევებად წარ-
მოგვიდგებოდა, მთლად მთელი ერის გახრწნასა და გათახსირე-
ბას მხოლოდ დამპყრობლის ბოროტგანზრახულობას მიაწერდა.
ალექსანდრე ორბელიანის გულუბრყვილობაც ცნობილია, მისი
რომანტიკული ბუნებაც, ძველი საქართველოს ფანატიკური სიყ-
ვარულიც და ამიტომ, იქნებ, გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს მისი
ეს თვალსაზრისი, მაგრამ საინტერესო და საგულისხმო ისაა, რომ
რეალისტი და ფხიზლად განმჭვრეტი ილია ჭავჭავაძეც თითქმის
იმავეს ათქმევინებს „მგზავრის წერილებში“ ლელთ ღუნიას: „...ად-
რიდა... სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელ მაშოვერ ვიყ-
ვენიტ... აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით,
ერთ-ურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის“
(ჭავჭავაძე 1988: 32).

ალექსანდრე ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა...“ საგანგებოდ
ეხება ამ საჭირობოტო თემას. გამოყოფილია, ხაზგასმულია სო-
დომგომორული ცოდვის მომრავლება ჩვენში და მწერლის შემ-
ფოთება ამის გამო. პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ იოლი ამოსაც-
ნობია, ამ ცოდვის წახალისებას დამპყრობლებს, ჩვენს ზედამდგო-
მელებს მიაწერს. ქრისტიანულ მორალზე, ბიბლიურ სწავლებაზე
გაზრდილი მწერლის წუხილი სავსებით გასაგებია. იგი არამარტო
გულით შეიგრძნობს სამშობლოს გასაჭირს, არამედ შესწავლილ-
გათავისებული აქვს და ამიტომ გონებითაც ჰკრეტს, რა ჭირი შე-
იძლება მოჰყვეს უზნეობის მომრავლებას (და პირიქით – რა ჭირს

შეიძლება მოჰყვეს უზნეობის მომრავლება. ღვთის საწინააღმდეგო საქმეების კეთებას მოჰყვა ქართველთა გადაგვარება გურამიშვილის აზრითაც. ზნეობრიობის მქადაგებელი, ვთქვათ ასე, ფარზე ამზიდავი მწერალია XX-XXI საუკუნეებში ოთარ ჩხეიძე).

ერთ ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდი, ლექსანდრე ორბელიანი ვინმე გახრწნილ მ. მ.-ს რომ პირადად იცნობდა და ამხელდა. ახლა დაზუსტებით შეიძლება თქმა, რომ ეს მ. მ. მირზაჯანა მადათოვია – ლხინისა და ქეიფის სულისჩამდგმელი, ბევრი ქართველისთვის სასიამოვნო საურთიერთო და სამეგობროდ სასურველი, თუმცა სინამდვილეში სულგაყიდული და სხვისი (დამპყრობლის) ნების აღმსრულებელი.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ალექსანდრე ორბელიანმა ისეთი ხალხი დაგვანახა უცდომელ სარკეში, „აქ თავი რომ მოაქვთ ღვთისმოსავებად, უმანკოებად, ალალმართლებად, სიმართლის მქადაგებლებად, სინამდვილეში კუდიანთა თავყრილობების მონაწილენი არიან ანდა მათ მიერ სამუდამოდ გადაბირებულნი“ (ჩხეიძე 1996: 270). ელგუჯა თავბერიძემ ივარაუდა, რომ ორბელიანის ზღაპრის თითოეულ პერსონაჟში რეალური ადამიანი იგულისხმება, ხოლო ტარტაროზში რუსეთის იმპერატორის სახე დაინახა. საგულისხმო დაკვირვებაა და უთუოდ უნდა დავეთანხმოთ, რომ ტარტაროზშიც, მის მოციქულ ეშმაკებშიცა და კუდიანთა სერობის სხვა მონაწილეებშიც შესაძლოა მწერლის ახლო ან შორეული ნაცნობები თუ თანამედროვენი იგულისხმებოდნენ. „...დღეისთავად მათი ამოცნობა ძნელია. მხოლოდ ის შგვიძლია ვთქვათ, რომ ტექსტში ნაგულისხმევთა თანამდებობებს თუ სახელებს ალექსანდრე ორბელიანი სასხვათაშორისოდ არ შეარჩევდა, ყველაფერი წინასწარ ექნებოდა ჩაფიქრებული“ (თავბერიძე 2020: 282).

შოპენჰაუერი 2009: შოპენჰაუერი ა. „ცხოვრებისეული ფასეულობების შესახებ“. *ლიტერატურის თეორია, ქრესტომათია I*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

Maia Jaliashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Malaria as an Existential Crisis

Summary

Demna Shengelaia's novel „Sanavardo“ presents malaria as the sick soul of the human being, the existential crisis. The metaphysical was gradually increasingly expelled from the ontological space of human existence. The novel shows doubts about the sacred, which leads to the doubling of a person, alienation, disbelief, fear of the future. The passages performed with the original technique of narration, poetic prose, modernist aesthe-

tics deeply depict the shattering of human illusions. The novel depicts how malaria spreads to the spiritual-material environment. Here are landscapes in „reverse“, that mirror the human spiritual world. The characters seek refuge from malaria in imagined dimension.

Key words: Demna Shengelaia, Modernism, Existential, Crisis.

მაია ჯალაიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მალარია, როგორც ეგზისტენციალური კრიზისი

მსოფლიოსა თუ ქართულ ლიტერატურაში არაერთი ნაწარმოებია, რომლებშიც პანდემია თუ სხვადასხვა დაავადება სიმბოლური მნიშვნელობებით წარმოჩნდება (მაგალითად, ალბერ კამიუს „შავი ჭირი“, ჟოზე სარამაგოს „სიბრმავე“ და სხვ.). ამგვარი რომანია დემნა შენგელაიას „სანავარდო“, რომელშიც ერთ ძლიერ ნაკადად შემოიჭრა მალარიის თემა, რომელმაც ადამიანის დასწეულეზული სული, ეგზისტენციალური კრიზისი წარმოაჩინა. სამყაროს ხრწნას, დაშლასა და დანგრევას განაპირობებდა მსოფლიოში ახალი ათეისტური იდეოლოგიების მომძლავრება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ადამიანური ყოფის ონტოლოგიური სივრციდან თანდათან უფრო განიდევნებოდა მეტაფიზიკური. მალარიამ, საზოგადოდ, ჭაობის ავადმყოფობამ, ხატოვნად გამოხატა, როგორი ტრაგიკული იყო ყოფიერებიდან ირაციონალურის, მისტიკურის განდევნა. საინტერესოა მალარიის მხატვრულ-ესთეტიკური ტრანსფორმაციები ქართველ სიმბოლისტებთან, განსაკუთრებით შთამბეჭდავია ტიციან ტაბიძის ლექსები, რომლებშიც პოეტმა ამ სენს კონცეპტუალური მნიშვნელობა მიანიჭა: „ღვდელი და მალარია“, „ღვდელი და მალარია კუბოში“, „სატურნი და მალარია“ და სხვ. დემნა შენგელაიას რომანშიც მალარიასთან დაკავშირებული საინტერპრეტაციო სივრცე მრავალფეროვანია. რომანში ჩანს ეჭვი საკრალურის მიმართ, რაც იწვევს ადამიანის გაორებას, გაუცხო-

ებას, ურწმუნობას, სპლინს, მომავლის შიშს. რომან „სანავარდოში“ პერსონაჟები მალარიისგან თავდასახსნელად მიმართავენ ზღაპრის, ლეგენდის, მითის თავშესაფარს, ამგვარად, წარმოსახულ განზომილებაში ცდილობენ ცხოვრებას, რაც კრახით სრულდება. მწერალი ხატავს ცხოვრებას, როგორც „კოსმიურ წუმპეს“, რომელიც ამრავლებს ცოცხალი ორგანიზმის დამშლელ ბაცილებს, მალარიას. ამიტომაც რომანში წარმოჩნდება აპოკალიფსის წინათგრძნობა. ბონდო ჭილაძის ოჯახის გადაშენების სიმბოლური სურათით მწერალი გამოხატავს საქართველოს ტრაგედიას, თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაკარგვას. თხრობის ორიგინალური ტექნიკით, პოეტური პროზით, მოდერნისტული ესთეტიკით შესრულებული პასაჟები სიღრმისეულად წარმოაჩენენ ადამიანური ილუზიების მსხვერვეს. რომანში დახატულია მალარიით დასნეულებული სულიერ-მატერიალური გარემო. აქ არის „პეიზაჟები უკულმა“, რომლებიც ადამიანის სულიერი სამყაროს სარკისებური ანარეკლით წარმოაჩენს. ნიცშეანური წინათგრძნობა კატასტროფისა ავლენს მწერლის პესიმიზმს. მთავარი გმირისთვის აღარც წიგნები წარმოადგენს სიცოცხლის საიდუმლოს გასაღებს, რაც იწვევს იდენტობის საყრდენის გამოცლას. რომანში მწერალი ზმანებების, ჰალუცინაციების სახით ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურ ჭრილებში ხატავს კონკრეტული ეპოქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტებსაც.

ტიციან ტაბიძე ასე აფასებს მალარიას, რომელმაც მის ლექსებშიც შთამბეჭდავ მეტაფორულ ხატებად გაიელვა: „ახალი გაგება სამყაროსი. უკანასკნელი დაფარულია ბოროტ ყვავილებით. მეტაფიზიკური ტალახი. მიწა – გაჟღენთილი ჭაობის სუნით, სასაცილო ფიგურები, ქონდრისკაცები დადიან მასზე ჩვრებში გამოხვეულნი, ორბიტი მისი შემოვლებულია ლირწით და მიზანი რადიუსებად არის დაბნეული. ნივთი გახრწნილია. ხორცი მისი ლეშად დავარდნილი და სუნი შხამიან ყვავილებთან შეუღლებული. ცაზე მწვანე ვარსკვლავების ადგილზე ბაყაყებია წამომჯდარი, თაღი ობობას ქსელით დაფენილი. არის ერთი კოსმიური წუმპე, რომელიც ამრავლებს ორგანიზმის დამშლელ ბაცილებს – მალარიას. ეს არის შედეგი სამყაროსთან დადებითი ცოდნით მისვლისა“ (აფხაიძე 1986: 445).

„სანავარდოში“ წარმოჩენილია ჭილაძეთა მოდგმის გადაგვარება, სიმბოლურად, კაცობრიობის სულიერი კრიზისი. ოდესღაც მდიდარი და უდარდელი ყარამან ჭილაძის მემკვიდრენი: განათლებული, მაგრამ სულიერად დაუძლურებული ბონდო და გუჯუ ლაბახუა, ვნებააწყვეტილი გონებანაკლული, უკანონო შვილი – ვერ გააგრძელებენ ყარამანის სასიცოცხლო გზას. ქვეყანასა თუ, ზოგადად, სამყაროში მომხდარი ცვლილებები განაპირობებენ ამ ადამიანთა უპერსპექტივობას. რომანის გასააზრებლად მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნის პირველ ოცეულში მომხდარი პოლიტიკურ-კულტურული კატაკლიზმების გათვალისწინება, უპირველესად, რევოლუციური ქარიშხლისა, რომელმაც ნანგრევებში ძველი სამყაროს ღირებულებათა მთელი სისტემა მოიყოლა. სანავარდო მიკრომოდელია საქართველოსიც და კაცობრიობისაც. ის სოფელია, რომელიც წუთისოფლის მარადიულ კანონზომიერებებსა თუ მიმდინარე მოვლენებს შთამბეჭდავად ირეკლავს. მწერალმა სანავარდოში გაჩენილი მაღარიით, სიმბოლურად, ადამიანის დასწრეული სული წარმოაჩინა. ყოველივე განიცდიდა ხრწნას, იშლებოდა და ინგრეოდა.

თხრობაში მითოსური ნაკადების, ზღაპრების, ლეგენდების შემოტანით მწერალმა სათქმელი უფრო გააღრმავა და პრობლემათა მეტაფიზიკური არსი წარმოაჩინა. დემნა შენგელაიას რომანში ხდება, ერთი მხრივ, ჩაღრმავება „მსოფლიო სულისკენ“, მნემოსინისკენ (გოეთეს „თაურფენომენების“ ძიება). „ჭეშმარიტად მომგონებელია ნამდვილი ხელოვანი, – წერს გრიგოლ რობაქიძე, – რამდენად ძლიერია მისი ნიჭი მქნელობისა, იმდენად ფართო და ღრმაა მისი ხსოვნა, მისი მნემოსინა. ხელოვანი სცილდება შემოქმედების ჟამს ემპირიულ-პიროვნულ საზღვრებს და ფანტაზიის გაშლით ერთვის ნარნარ მათ მსოფლიო ქსოვილისას. იგი იხსენებს „წარსულს“ მთელი მისი განცდით იდუმალ ყოფისა, იგი იგონებს მის ცდას ამ განცდილის ყოფად-ქცევისა, და ახლა თვითონ ასხამს იმა ყოფილს ხელოვნურ სახეებად“. მეორე მხრივ, მწერალი „მიემართება“ ერის სულისაკენ (კარდუსთან ზიარება). „შემოქმედებით აქტში ხელოვანი სცილდება ემპირიულ საზღვრებს და შთაგონებით ფრთაასხმული თავს გადადის ყოფითს ავსილს ჭურჭელს ინდივიდუალობისას... მაგრამ ვიკითხოთ,

სად გადადის იგი ამ ჟამს? პასუხი ერთია: ერის სულში. ყოველი ხელოვანი ორგანიული ნაწილია ერის სხეულისა, სული მისი ინდივიდუალი სახეა ერის სულისა... თვითონ ერის სული კი ცოცხალია, მთლიანი არსია, რომელიც მთლიან სიცოცხლედ ფეთქავს ბუნების შეუცნობელ კუთხეში“ (რობაქიძე 1984: 313).

რომანში დახატულია მალარიით დასნეულებული სანახები. მწერალი, უპირველესად, სწეული ბონდო ჭილაძის დარღვეულ არსებას წარმოადგენს დალორწილ პეიზაჟებად. ამაოდ კითხულობს ბონდო ჭილაძე კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“. რაციონალური შემეცნება მისთვის აღარ არის ხსნის გზა, იგი დაბნეულია და კრიზისიდან გამოსავალს ვერ ხედავს. იგი ზმანებებში, ხილვებსა თუ ჰალუცინაციებში ინტუიციურად იგზნებს სინამდვილეს და მიხვდება ავადმყოფობის მიზეზს: „ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით! ცოდვებით, რომელიც მე არ ჩამიდენია! რისთვის უნდა ვზღო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომლებიც ოდესღაც ჩემს მამა-პაპას ჩაუდენია! მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე ჩემი გამაღლებულია! მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს“ (შენგელაია 1983: 98). ცოდვებით დამძიმებული სული კი ისევე ყარს, როგორც სახარებისეული განგოზილი საფლავები. ბონდო საკუთარ არსებაში თვითჩადრმავეების გზით წარმოაჩენს ადამიანის „ბნელ უფსკრულებს“. უჟმურით დალორწილი ბონდოს სისხლი თითქოს მთელ სანავარდოს „გადაესხმება“ და კერძო კაცი, სოფელი, ერთ განუყოფელ მთლიანობაში იხატება. ნიცშეს ზარატუსტრამ ზუსტად შეაფასა ადამიანის ამგვარი მდგომარეობა: „მიწას, – სთქვა მან, – გარსი აქვს და ამ გარსს სწეულებანი. ერთ ამ სწეულებათაგანს, მაგალითად, „ადამიანი“ ეწოდება“ (ნიცშე 1993: 90).

ბონდო გრძნობს ახალი ეპოქის, ახალი ჭინკების სასტიკ ძალას, რომელიც ასამარებს ძველ ყოფას: „ჩვენ უნდა წავიდეთ, მამაჩემო, ავიკრათ გუდა-ნაზადი და გავუდგეთ! ახლა ახალი ხალხი მოდის!“; “მოდის რკინის ქაჯი, მოდის და მოახრჭიალებს ფოლადს. ახალს სიმბოლურად რკინიგზა გამოხატავს რომანში: „ვერაფერი შეაჩერებს. ვერაფერი შეაკავებს.

დასწეწს ყველაფერს, გაანადგურებს“ (შენგელაია 1983: 107). ამიტომ დაძვრთხალი ყარამანი, როგორც სიმბოლო ძველისა.

იგი თავისი თვალთ უყურებს თავისსავე თავის დალუპვას. ნგრევა საოცარი სიმძაფრითაა დახატული. ლპობა შეჰპარვია არა მარტო სანავარდოს, არამედ თითქოს მთელ კოსმოსს: „შაბიამნისფერ ცაზე უზარმაზარი, მწიფე მუწუკივით გამოჩნდებოდა მთვარე, სხივებს ყვითელი ბალღამივით დაღვრიდა სანავარდოს მიდამოებში და კოდოების ზუზუნი წაიღებდა ყურთასმენას“, „გარეთ დახავსებული ღამე დამპალიყო და მთვარე კეთროვანის გაციებულ მუცელივით მოჩანდა ცაში“ (შენგელაია 1983: 113). უბედურებამ თვალეებში ჩახედა ყარამანს. ციებ-ცხელება ყვითელი ლორწოსავით იღვრება მიწაზე: „ნარიონალში, ჩაწოლილი ჭაობის ლორწით დახავსებული უჟმურთ-უჟმური მღვრიე თვალეების კუსვით აფრთხობს დალანდულ ღამეს“ (შენგელაია 1983: 89).

ფანტასმაგორიული სტილისტიკით არის დახატული აპოკალიფსური ხილვები „სანავარდოში“. სამყაროს დასასრულის წინასწარმეტყველება მუდამ ალაგზნებს ადამიანთა წარმოსახვას. კუნძულ პატმოსზე იოანე მახარებლის ნათელხილვით შექმნილი „გამოცხადება“ იდუმალი შიშით ადავსებს ქრისტიანულ სამყაროს. ოდითგანვე იქცა იგი წყაროდ შთაგონებისა. მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამის კომმარული ხილვები მარადის აწვალებს ადამიანთა გონებას. ამაოებაზე დაფიქრებული კაცის მზერა უნებურად სწვდება და ინთქმება სამყაროს დასასრულის ცეცხლითა და ნგრევით გაჯერებულ სურათებში. დემნა შენგელაიას „სანავარდოც“ (შეიძლება იგი კოსმოსში მობორილ პლანეტის – დედამიწის – სიმბოლოდაც წარმოვიდგინოთ) ძრწის მის წინაშე, რადგან ცოდვებით დამძიმებული სხეული წინასწარ გრძნობს საშინელი სამსჯავროს მკაცრ გარდაუვალობას.

ხაშმი და გვალვა, ბალღამი და ლორწო ხატოვნად ბონდო ჭილაძის არსებაში ფესვგადგმულ გადაგვარებისა და გადაშენების სენს წარმოაჩენენ. ბონდოს, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის ენერგია დაემრიტა. მითოლოგიურ-ზღაპრული პერსონაჟები, რომლებიც მას ცხადსა თუ სიზმარში ევლინებიან – ხათუნა, დოდო ბაყაყი, იშთარი, მზეთუნახავი – მისი სნეული გონების ჰალუცინაციებია, რომლებიც მას, კერძო კაცს, მითისა და ზღაპრის უჟამობაში გადაასახლებენ და სიცოცხლის პირველსაწყისებს მიაახლებენ, სამყაროს მარადიულ, უცვალეებელ კანონებს აზიარებენ, რომელ-

თაგან ერთ-ერთი უპირველესია ნება სიცოცხლისა, სიყვარულზე დაფუძნებული.

გაუგუნურებული ადამიანი ზეცას სიყვარულით კი არა, რკინის ხელებით წაეპოტინა, თაღები აანგრია საბუნებისმეტყველო აღმოჩენებით და როცა ეგონა, რომ ახლოს იყო საიდუმლოსთან, ისევ სიცარიელეს შეეჯახა. მიხვდა გარჯის უნაყოფობას და „ჩამოვარდნის“ ელდამ და ტკივილმა „დაასახიჩრა“. ღმერთის სიკვდილის გამოცხადებით ნიცშემ დასავლური კულტურის კრიზისის სიღრმე წარმოაჩინა. სამყარომ თითქოს საყრდენი დაკარგა. ადამიანმა პირი იბრუნა ღვთიურისა და ზეგრძნობადისაგან. ღვთის კვალი გაქრა საგნებიდან. ადამიანი დაკნინდა და დაბეჩავდა, მალარიამეყრილივით აცახცახდა და აძაგძაგდა.

დოდო ბაყაყი უხსნის ბონდოს დაცემის „დიდ კანონს“: „რამდენი მაღლა ახტები, იმდენი უფრო მაგრად დაეცემი“. ნიცშე წერდა: „არა მწვერვალი, ფერდობია საშინელი! ფერდობი, სად თვალი ძირს დაექანება და ხელი მაღლით მწვერვალს ეჭიდება. მაშინ ბრუის გული თავისი მარჩბივი ნებითა. ჰე, მეგობრებო, ამოიცანით ჩემს გულშიც ნება მარჩბივი? ესე, ესეა ფერდობი ჩემი და ხიფათი ჩემი, რომ თვალი მაღლით ისწრაფვის და ჩემს ხელს ჰსურს მოეკიდოს და დაეყრდნოს სიღრმეს“ (ნიცშე 1993: 81). მალარიის გამოვლინებად შეიძლება გავიაზროთ ნიცშეს მიერ სენად სახელდებული „ცეცხლის ძალი“, რომელიც სიმბოლოა სოციალური გადატრიალებებისა, ნგრევისა. რევოლუცია, „ცეცხლის ძალი“ მხოლოდ ყვირის თავისუფლებაზე, მაგრამ სინამდვილეში მას აუქმებს. ის გაჰყვირის, ანგრევს და ამით სურს „დიდი მოვლენად“ მოგვაჩვენოს თავი. მარჩბივი ფიქრი თუ გული ყველაზე დიდი საცდურია ადამიანისათვის. სატანასა და ანგელოზს შორის ჭიდილში იბადება ჭეშმარიტი ადამიანობა. ბონდომ „შემოღუშვა“ მალარია თავის არსებაში ქვეცნობიერი ნებით. ეს ნება კი განსაზღვრული იყო არა მხოლოდ მისი, არამედ წინაპარი თაობებით.

რომანში სანავარდო იხატება, როგორც დიდი „ფერდობი“ საქართველოსი. შორს არიან თამარი და რუსთაველი. ძლივსდა ბჟუტავს იმედი: „არ გადავშენდებით“. ახლოა ყოვლის მპყრობელი უჩა-ლართამი, დიდი გველი, „მაგნე სულების მარულაა გაჭენებული“ (შენგელაია 1983: 78). ფოლკლორული არქეტიპების მოხმო-

ბით მწერალი ერთსა და იმავე მოვლენის სხვადასხვა სიბრტყეს წარმოაჩენს, განვენილს როგორც ხილულ, ასევე უხილავ სივრცეში, ადამიანის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ განზომილებაში.

მალარიამ ბონდოს არსებაში გამოავლინა XX საუკუნის კრიზისული ადამიანის ბუნება. ეს არის, უპირველესად, საკუთარ თავთან გაუცხოება, სულიერი და ფიზიკური იმპოტენცია, დაღლილობა, წინააღმდეგობის გადალახვის უუნარობა. პოლ ვალერი ესეში „სულის კრიზისი“ შენიშნავდა იმ უჩვეულო „ჟრუანტელის“ მოგვრის შესახებ, რომელმაც დაუარა „ევროპის ტვინს“, რომ თანამედროვე ჰამლეტი, წინაპრისაგან განსხვავებით, იყო ინტელექტუალი და კაცთა ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე კი არა, ჭეშმარიტებათა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე ფიქრობდა: „მალე ბურუსი გაიფანტება და ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვიხილავთ გაცხადებულ სასწაულს, ცხოველურ საზოგადოებას, სრულყოფილსა და თავის თავში დასრულებულ ჭიანჭველეთს“ (ვალერი 1983: 35). სწორედ ამგვარი „ჭიანჭველეთი“ წარმოგვიდგება „სანავარდოში“. გაბერწებულ სოფელში მხოლოდ სიკვდილი და შიში იბადება: „ციებით დაღორწილი, სტალაგმიტებივით ამართული ბნელი კიპარისები და ქოქოსები ირწევიან ტყირპიან ღამეში. ლელიანში ბუნაგად მიგდებულ ბეჭემოთს დაესია კოლოები, შხამავენ და ბღავის გამწარებული. ყვითელი სატურნი არწყევს სამსალას და ღებვა ყველაფერი. კირჩხიბი დაესო ღამეს, ლომქრავს მას და სისხლით სივდება“ (შენგელაია 1983: 155).

ჩნდება შორეული ასოციაცია თომას სტერნზ ელიოტის „უნაყოფო მიწისა“(1922 წ), რომელშიც მწერალმა თანადროული ევროპის დაცემის კალიდოსკოპური სურათები დახატა. პოემაში წარმოჩენილია გადახრუკული და უნაყოფო მიწა, რომელსაც ნაყოფიერების საწინდარი, სულიერი საწყისი, დაუკარგავს. მწერლის აზრით კი, სულიერ უდაბნოში ფიზიკური არსებობა გაჭიანურებულ კვდომას ემსგავსება. „სანავარდოში“ დახატული გვალვის სიმბოლური სურათები გრიგოლ რობაქიძის „ლონდასაც“ წამოატივტივებს. გვალვით გახელებული ხალხის განცდები მისტიკური ელფერთაა შემოსილი. მკითხველს ატყვევებს მზით „გახელებული სიტყვების“ გამომსახველობა. „სანავარდოშიც“ არაჩვეულებრივი ძალით იმსჭვალებიან სიტყვები, თითქოს მათი საშუალებით წარ-

მოსახულ სახეებს კი არა, თვითონ ამ სიტყვებს ასდით შმორისა და სიდამპლის სუნი, ნესტი მოჟონავს სტრიქონებიდან, ყვითელი ბალდამი სტრიქონთა შორის ჩრდილებივითაა ჩაწოლილი.

დემნა შენგელაია გრძნობს, რომ კაცობრიობამ დაკარგა სიყვარული (სანავარდო უნაყოფო გახდა). სიყვარულს გამოხატავს იმთარის მითოსური სახე, რომლის ერთ-ერთი სახესხვაობაც არის ხათუნა. მწერალი თხრობაში ჩართავს იმთარისა და თამუზის სიყვარულის ამბავს. მავნეებისაგან შეჭირვებული, სილამაზისა და სამკაულებისაგან განძარცული, დაავადებული იმთარი მაინც დაეძებს თამუზს და როცა მავნენი მოსთხოვენ სიყვარულის უარყოფას, უარს ეტყვის. თამუზი სიბრძნის ღმერთმა ეამ გადაკარგა მდინარე ხუბურს მიღმა უფსკრულში. სიმბოლოურად ეს ნიშნავს სამყაროდან გონების მიერ გრძნობის, ვნების განდევნას. მატერიალურ-ტექნიკურმა მიღწევებმა, ცივილიზაციის პროგრესმა გააღარიბა ადამიანის სულიერება. ცხოვრებიდან გაქრა ვნება, ამიტომაც გონიერი, განათლებული ბონდო ჭილაძე უნაყოფოა, უვნებო. მისი ნახევარძმა, თითქმის ველური, განუვითარებელი გუჯუ ლაბახუა კი ვნებით სავსეა. აკაკი ბაქრაძემ გუჯუ ლაბახუას სახე ფალოსის კულტს დაუკავშირა (ბაქრაძე 2000: 146).

მწერალი რომანში ბონდო ჭილაძისა და სანავარდოს უნაყოფობას ერთმანეთთან აკავშირებს. სანავარდო ცივილიზებული კაცობრიობის სიმბოლოდაც გაიხზრება. სიყვარულს დევნის „მანქანის“ ხანა, „მატარებელი“ კლავს ვნებას. „სანავარდოში“ იხატება მომავალი რევოლუცია, რომელიც მოდის, როგორც „მუცელგახეთქილი უჟმურთა უჟმური“ და ყველაფერს შხამითა და საწამლავით ავსებს. „დედაკაცები წივიან, იფოფრებიან, დარბიან თავგზააბნეულნი, ჭიშკარში ვერ ეტევიან და არის ჟრიაპული, წყევლა-კრულვა, მოთქმა და ვიში. ღობე ილეწება. სადღაც თოფი გავარდა. იელვა ხანჯალმა. დამფრთხალი ცხენები ახვიხვინდნენ. მოღრუბლული ცა გასკდა უზარმაზარი ხარის ფაშვივით და დაუშვა კოკისპირული. წამოვიდა თქეში და ნიაღვარი“ (შენგელაია 1983: 134). ბონდოს თანაბრად ტანჯავს და აწვალებს ეპილეფსია და სიმარტოვე. თაობათა ჯაჭვში სწორედ იგი გამოირჩა, ვისაც ცოდვები უნდა მოჰკითხებოდა. წინაპრის ლანდი მას ბედისწერის შავ ჩრდილად ეფინება გზაზე, სულ ერთია, სად იქნება, გაყინული პეტერბურგის

სარკეებიან დარბაზში, მადამ ტრუბანოვას მკლავებში, სკაპცების „კვარცხლობეზე“ თუ „ვნებააყფილი“ გუჯუ ლაბახუას გვერდით.

ბონდოს სული, რომელსაც ახსოვს საუკუნეთა სიღრმეებში ჩამარხული ბნელი ამბები, დალატი, სიძულვილი, მრუმობა და სხვა უზნეობანი, მწარე და ტკივილიანი თავგამეტებით ცდილობს ზედაპირზე ამოსვლას, გამოვლენას. ქვეცნობიერში ჩამარხული თაობების ნაღვაწით მოქსოვილი საიდუმლო შხამიანი ობობას ქსელში ხლართავს ბონდოს არსებას. გაწვალებული ბონდოს მხერაში ირეკლება მისი უილაჯო გენი, როგორც დამახინჯებული სამყაროს განუყოფელი ნაწილი. მადლისაგან დაცლილ გარემოში მხოლოდ სიავე და ბოროტება ისხამს ნაყოფს. „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მისნის მოთქმა ისევ ჩაგვესმება: „მოსავალი მოვიმკეთ: ხოლო რად დაღპა და ჩაშავდა ყოველი ნაყოფი? რა ჩამოვარდა ბოროტი მთვარიდან უკანასკნელ ღამეს? ამო იყო ყოველი ღვაწლი. ჩვენი ღვინო შხამად იქმნა, ცუდმა თვალმა ყვითლად გაახმო ჩვენი მინდვრები და გულნი. დავშრით ყველა, და თუ ცეცხლი დაგვეცა, განვიბნევით, ვით ნაცარი, ჩვენ თვით ცეცხლიც დავღალეთ. ყველა წყარო დაშრა ჩვენთვის, ზღვამაც უკან დაიხია. ნიადაგი მზად არის რღვევად, ხოლო წიაღს არა ჰსურს ჩაგველაპოს!“ (ნიცშე 1993: 65). უცნაური ცეცხლით აგზნებული თვალეებით შემზარავად მოთქვამს ფეფელო ქადაგი „სანავარდოში“: „ხალხნო! რა გეშველებათ, თქვე უბედურისშვილებო, რა გეშველებათ! წუხელ ღვთისმშობელი გამომეცხადა და მამხილა, რომ დედამიწა მაკეა უჟმურთა უჟმურით! დედამიწა დედა კი არ არის ჩვენი, ცოფიანი დედალი მგელია, თავისივე ლეკვებს თვითონვე რომ ჭამს!... ვაი, თქვენ, ხალხნო!.. სანავარდო დაბერწდა“ (შენგელაია 1983: 123). ამ სტრიქონებში გაცხადებულია შიში დედამიწის გაქრობის, სიცოცხლის გადაგვარებისა, რაც ცალკეულ ადამიანთა თუ, საზოგადოდ, ერის დასწეულებითაა განპირობებული. ჯოისმაც ასეთი თამამი სისასტიკითა და გულგრილობით წარმოათქმევინა თავის გმირს: „მერედა, იცი, რა არის ეგ შენი ირლანდია? ირლანდიაა ბებერი დედალორი, თავისსავე გოჭებს რომ თქვლევს“. ჯოისის ირლანდია, სანავარდო თუ დედამიწა ერთი და იმავე სიმბოლოს ვარიაციებია. გადაგვარებული ზნეობა ადამიანს თვითონვე აკვლევინებს თავის მომავალს. დემნა შენგელაიას „მის-

ნური მზერა“ გრძნობდა და ხედავდა მოახლოებული სისხლიანი დღეების სურათებს. „სანავარდოში“ დახატული აპოკალიფსური სურათები წინათგრძნობაა „ცეცხლიანი ძაღლისა“ – ნგრევისა და უბედურებისა, წითელი ხელისუფლებისა, „მუნიანი ჭინკების“ ამალით რომ შემოესია საქართველოს და „ამირანი შებორკა“. მალარიის სენი თავისუფლების წყურვილის ამომირკვასაც გულსხმობს ადამიანის სულიდან. ამიტომაცაა, რომ გახრწნის პროცესი ასეთი სიმძაფრითაა წარმოჩენილი „სანავარდოში“. მალარია რომანში ფანტასმაგორიულ სურათებად გადაიშალა. ტიციან ტაბიძე წერდა: „ბოდლერმა პირველმა დახრწნა სამყარო... პირველად პოეზიას ბოდლერიდან აუვიდა გახრწნის სუნი, ამის შემდეგ დაშლა არ შეჩერებულა“ (ტაბიძე 1986: 186).

„სანავარდო“ მკითხველში იწვევს კომმარულ ხილვებს და სულს შემზარავი მომავლის შიშით აცახცახებს. ეს ყოველივე კი ესთეტიკისა და ხელოვანის კალმითაა შესრულებული. ბოდლერი წერდა: „ხელოვნებას აქვს არაჩვეულებრივი პრივილეგია, რისი წყალობითაც, საშინელი – ხელოვნების დონეზე გამოხატული, სილამაზედ იქცევა, ხოლო ტკივილი, რიტმითა და კადენციით გამოხატული, სულს მშვიდი სიხარულით ავსებს“ (ბოდლერი 1996: 45). ასე შემოიჭრება მკითხველის წარმოსახვაში „მწიფე ბროწეულივით გადაფატრული მზე“ და მის მიერ დაფრქვეულ სისხლისფერ ლალებში გადაიისფერდება სამყარო: „უეცრად მოსკდება ღვარი იისფერი გველებისა. ივსება ყველაფერი. ოქროს ქედები ვერ უძლებენ მათ სიმძიმეს და იზნიქებიან შტოებით. იისფერ გველთა მტევნებით დაიყუნწება ჭიმჭიმელი და ამართული იისფერი კაბით შემოსილი უნასი მობრძანდება დინჯი რონინით“ (შენგელაია 1983: 87).

დემნა შენგელაია განიცდიდა „ბნედიანივით დაკრუნჩხული“ დედამიწის ტკივილებს და მხატვრულ სახეებში გარდასახავდა თავის განცდებს. მალარია კი „სანავარდოში“ წარმოჩნდა, როგორც სენი, რომელიც სიყვარულსა და რწმენას უნდა დაეძლია. რომანში კომმარული სურათები ფერწერულ-მუსიკალურია. შენგელაიამ შეძლო მალარიის ესთეტიზება, რადგან სჯეროდა, რომ ხელოვნებას უნდა გაეკეთილშობილებინა ყოველგვარი სიმახინჯე. როგორც ელიოტმა „უნაყოფო მიწაში“, მწერალმა „სანავარდოში“

წარმოაჩინა ბერწი მიწა, რომელსაც ნაყოფიერების საწინდარი, ღვთაებრივი საწყისი, დაუკარგავს. ამგვარად, სიმბოლურად, თანადროული ევროპის სულიერი კრიზისის სურათიც დახატა.

დამოწმებანი

აფხაიძე 1986: აფხაიძე შ. „დიალოგი“. ტიცვან ტაბიძე. *ქართული ლიტერატურული ესეი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ბაქრაძე 2000: ბაქრაძე ა. *მითოლოგიური ენგადი*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2000.

ბოდღერი 1996: ბოდღერი შ. *რომანტიკული ხელოვნება*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1996.

ვალერი 1983: ვალერი პ. *რჩეული პროზა*. თბილისი“ გამომცემლობა „ნაკადული“, 1983.

ნიცშე 1993: ნიცშე ფრ. ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი: ფილოსოფიური ბიბლიოთეკა. 1993.

რობაქიძე 1984: რობაქიძე გრ. „ერის სული და შემოქმედება“. *შერისხულნი*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „გეა“, 1984.

შენგელაია 1983: შენგელაია დ. „სანავარდო“, „ბათა ქექია“. *რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

Nona Kupreishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Jose Saramago's „Blindness“ as a Prediction of Future

Summary

Jose Saramago's “Blindness” as a prediction of future

1. Jose Saramago is the first Portuguese Nobel prize winner. Literary criticism widely commented to above mentioned fact under that the writer was also mentioned as a great sailor Magellan, who was named as “Magellan of world literature”. Novel “Blindness” was published in 1995 .

2. This blindness being not only physical but spiritual one, enables writer to unequivocally generalize that “world is full of alive blind people”. We read one important message: “let’s us not to be alike people with a good eyesight, who do not see anything!”.

Key words: commented, spiritual, message.

ნონა კუბრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჟოზე სარამაგუს „სიბრმავე“, როგორც მომავლის წინასწარმეტყველება

ჟოზე სარამაგუ პირველი პორტუგალიელი ნობელიანტი მწერალია (ეს ჯილდო მან 1998 წელს რომან „იესოს სახარებისთვის“ მიიღო). აღნიშნულ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა ლიტერატურული კრიტიკა, რომელმაც სარამაგუ დიდი მეზღვაურების გვერდით დააყენა და მას „მსოფლიო ლიტერატურის მაგელანი“ უწოდა. რომანი „სიბრმავე“ 1995 წელს გამოქვეყნდა და არც ისე ახალგაზრდა ავტორს, რომელმაც რეზონანსულად წერა მხოლოდ 58 წლის ასაკში დაიწყო, ასევე სერიოზული წარმატება მოუტანა. (მოგვიანებით, 2004 წელს, დაიწერა რომანი „თვალის ახელა“, რომელიც „სიბრმავის“ ერთგვარი გაგრძელებაა და სამყაროს მოდელს განსხვავებული ექსტრემალური სიტუაციის ჭრილში წარმოგვიდგენს).

„სიბრმავის“ შინაარსი, მართლაც, ფსიქოლოგიური ტრავმის ზღვარზეა. ესაა შოკისმომგვრელი ისტორია მოულოდნელად და სრულიად უმიზეზოდ დაბრმავებული უცნობი ქალაქის მოსახლეობის შესახებ, რომელიც მათი ადამიანობის სერიოზულ გამოცდად იქცევა. „ეს არ იყო არც აგნოზია, არც ამავროზი, რადგან პაციენტი ხედავდა არა უკუნ სიბნელეს, არამედ ერთფეროვან სქელ თეთრ მასას, თითქოს რძის ზღვაში თვალგახელილმა ჩაყვინთა“ – ასე აღწერს სარამაგუ „თეთრ ეპიდემიად“ წოდებულ სენს,

რომლის ხანმოკლე ბატონობაში ზებუნებრივი ძალის ირონია იგრძნობა.

გასათვალისწინებელია სარამაგუს შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომ იგი თავის რომანებში თამაშობს სამყაროს შექმნას თუ გარდაქმნას. მართლაც, რეალობა მისთვის ის კონსტრუქციაა, საიდანაც იგი იღებს, უფრო „გამოადრობს“ რომელიმე მნიშვნელოვან დეტალს (მაგ. მხედველობას, სიკვდილს) ან ამსხვრევს მის რომელიმე მუხლს (მაგ. როგორც ეს ხდება „ქვის ტივში“) ან სულაც ხელახლა იწყებს სახარების გადაწერას („იესოს სახარება“). რომანში „სიბრმავე“ სწორედ ამგვარ ქმედებასთან გვაქვს საქმე. რეალობიდან ამოღებულია მხედველობა. „ეპიდემია წააგავს ცისკენ ატყორცნილ ისარს, რომელიც უმაღლეს წერტილს რომ მიაღწევს, ზენიტში დაეკიდება და დაბლა დაეშვება“ – ვკითხულობთ ტექსტში. მართლაც, გარემო მოიცვა ეპიდემიამ, ადამიანები ყოველგვარი მიზეზის გარეშე ბრმავდებიან. შეშინებული ხელისუფლება კი ცდილობს გამოკეტოს ისინი ე.წ. „საკვარანტინო ზონებში“. ერთი შეხედვით, ჩვენ წინაშე თითქოს მორიგი ფანტასტიკური სიუჟეტია, თუმცა სარამაგუ მას მრავალშრიან უმნიშვნელოვანეს იგავად აქცევს. სრულ იზოლაციაში მოქცეული ბრმები საზოგადოების განვითარების მთელ გზას გადიან. მწერალი, ფაქტობრივად აუქმებს ყველა სოციალურ ინსტიტუტს, აქტორები იხსნიან ნიღბებს (საზოგადოებაში, სადაც სახეს ვერ ხედავ, ფარისევლობა ისედაც აზრს კარგავს) და ადვილად უბრუნდებიან პირველყოფილებას, ველურობას. „პირველყოფილთა ურდოდ ვიქეცით, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ველური ბუნების უკიდუგანო ველებზე მოთარეშე ათობით ათასი ქალი და მამაკაცი კი არა, მილიარდები ვართ ამ გამოფიტულ და გავერანებულ სამყაროში“. აქ არაფერია საკუთარი თავის შებრალებისა და სხვებისადმი ზიზღის გარდა. თუმცა საბოლოოდ, გადასარჩენად ბრმები მაინც იძულებულნი არიან თავიანთი პრინციპების რეფორმულირებით, აზრს მოკლებული მთავარი სიტყვების ხელახლა გააზრებით დაიბრუნონ თავისუფლება.

შეიძლება ითქვას, რომ „სიბრმავის“ ავტორი ქმნის პოსტაპოკალიფსურ ტექსტს. ამკარაა, იგი თანამედროვე საზოგადოების შესახებ მაღალი აზრის არ არის. ამიტომაც „სიბრმავის“ სახით,

წარმოდგენილია სოციალური ანტიუტოპიური რომანიც, რომელშიც არაერთ სხვა მნიშვნელოვან პრობლემასთან ერთად მომხმარებლური საზოგადოების სიმყიფე და ეფემერულობა ჩანს. შემზარავი, თითქმის ნატურალისტური დეტალიზაციის კვალდაკვალ, რომელიც მოვლენათა ერთგვარ ქრონოლოგიურ რიგს მიჰყვება, „სიბრმავეში“ მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება და ჩვენ წინაშე ფილოსოფიური რომანის, რომან-იგავის სილუეტები იკვეთება. იესოს სიტყვები: „ბრმები ხართ და ბრმათა წინამძღოლნი,... უყურებენ, მაგრამ ვერ ხედავენ, ესმით, მაგრამ ვერ იგებენ“... – მწერლის მხატვრული ამოცანის გასაღებია. ესაა სწორედ ადამიანური ცხოვრების მუდმივი მოუწყობლობის, სამყაროს ერთ წრეზე ტრიალის, მთავარისა და მეორეხარისხოვანის მუდმივი აღრევის მიზეზი. სიბრმავეს პარაბოლა, რომელიც რომანში თანდათან სულ უფრო ღრმა აზრს იძენს, იმთავითვეა გახსნილი და ბრმების შესახებ ბიბლიურ იგავთან ერთად პიტერ ბრეიგელი – უფროსის ცნობილ ტილოს „ბრმებსაც“ (1568 წ.) უკავშირდება: „უსინათლოთა ოჯახები გახდებიან იმ ცნობილი სურათის ცოცხალი რეპროდუქცია, რომლებზეც ბრმები ერთად მიდიან, ერთად იჩეხებიან და ერთად იხოცებიან“ – მიგვანიშნებს ავტორი.

ეს სიბრმავე, რომელიც არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერიცაა, ცხადია, არაორაზროვანი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა – „სამყარო სავსეა ცოცხალი უსინათლოებით“ – და ესაა ჩვენი უმთავრესი ნაკლოვანების აღიარება. ბრმებიც იმიტომ ვართ, რომ მკვდრები ვართ ან ... მკვდრები იმიტომ ვართ, რომ ბრმები ვართ“ – აცხადებს შავსათვლიანი ქალიშვილი საავადმყოფოში კარანტინის დროს მიღებული სასტიკი გამოცდილების შემდეგ. მას სიბრმავემ ერთობ პიკანტურ პოზაში მოუსწრო, სასტუმროში მორიგ კლიენტთან ყოფნის დროს. გამოდის, რომ მართებულია დასკვნა, რომელსაც კიდევ ერთი პერსონაჟი გვთავაზობს: „უცილებელია დაბრმავდე, რათა შეძლო საგნებისა და მოვლენების არსში ჩახედვა“,... „მხოლოდ უსინათლოთა სამყაროშია შესაძლებელი ყველაფერი ისე წარმოჩინდეს, როგორც ეს სინამდვილეშია“.

რომანის მთავარი მეტაფორა, ცხადია, სიბრმავეა. იმის კვალდაკვალ, თუ როგორ მქდავნიდება ავტორის მსოფლალქმა და ცხოვრების ფილოსოფია, სიბრმავეც განზოგადდება და ალევორიულ

ხასიათს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტური ხაზი ადამიანად დარჩენისა და პიროვნული „გაარარავების“ მიჯნაზე გადის, სარამაგუ ახერხებს მკითხველის ინტერესის ბალანსირებას და გარკვეული კონდიციამდე მისი მიყვანის შემდეგ მოულოდნელი ფინალის შეთავაზებას.

გავიხსენოთ, სამყაროს მიმართ რომანში არაერთხელ გამოყენებული ისეთი ეპითეტები, როგორიცაა „გამოფიტული“, „გავერანებული“, „ბრმა“. და მაინც, ავტორის ნებით, გვირაბის ბოლოს სინათლის სხივი ჩნდება. ესაა რომანის პირველი სტრიქონებიდან მკითხველის თვალთახედვის არეში მოხვედრილი პერსონაჟი, თვალის ექიმის ცოლი, რომლის სახით თავდაპირველად სუსტი, შემდეგ კი ექსტრემალურ სიტუაციასთან გამკლავების სურვილით სულ უფრო მოტივირებული პიროვნება იჭრება. ეს იმედის სიმბოლურ-ალეგორიული სახეა, რომელიც რომანის მკითხველისთვის თითქმის ერთადერთ ზნეობრივ საყრდენად და მეტ-ნაკლებად ბედნიერი ფინალის წინაპირობად იქცევა. ბრმებს შორის შეხიზნულმა თვალებილულმა ახალგაზრდა ქალმა, თვალის ექიმის ცოლმა, რომელმაც სიბრმავე დაიბრალა, რათა ქმარი განსაცდელში არ მიეტოვებინა და ამასობაში გარშემოცოფთა დეგრადაციის, დაცემის სულის შემძვრელი სურათი იხილა, მაინც შეძლო ადამიანური სახის შენარჩუნება (დამოკიდებულება ქმართან, ელამ ბიჭუნასთან, მერყევი მორალის მქონე შავსათვალთან ქალიშვილთან, მოძალადეებთან, რომელთაგან ერთ-ერთს იგი სათანადოდ უმკლავდება, ბრმების გადარჩენილი ჯგუფის საკუთარ ბინაში შეხიზუნა, ამავე ჯგუფის სამ წევრთან, მისი თანატოლ ქალებთან აივანზე ბანაობის ეპიზოდში სიცოცხლის სიხარულის სრულად გაზიარება და სხვ.). ცხადია, ის არა წმინდანი, არამედ ერთგვარი „super ego“-ა, ანუ ის, ვისაც შეუძლია ნებაყოფლობით შესწიროს თავისი პიროვნული ინტერესები სხვის გადარჩენას. ბუნებრივია, ამიტომაც მწერლისთვის გამორჩეულ პერსონაჟად იქცევა, რაც მასთან დაკავშირებულ ერთ ასოციაციურად წარმოქმნილ სახე-სიმბოლოშიც იგრძნობა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ადამიანს ცეცხლმოკიდებული საავადმყოფოსა და იქ შექმნილი ქაოსიდან გამოიყვანს, მშვიდობიანად გამოატარებს დემორალიზებული და ჯოჯოხეთად ქცეული ქალაქის ქუჩებში

და საკუთარ სახლში დააბინავენ, ექიმის ცოლი ნამდვილი პროვაიდერივით დიდი საფრთხეების გადალახვის შემდეგ სურსათით დატვირთული ბრუნდება. მას ტანსაცმელი შემოხვეია და ცალი მკერდი მოშიშვლებული აქვს. სწორედ აქ ჩნდება ერთგვარი ალუზია თავისუფლების სიმბოლოდ ქვეული ქალის სახესთან დელაკრუას ცნობილი ტილოდან „თავისუფლება ბარიკადებზე“. თუმცა რომანში აღწერილი სიტუაცია თავისი სიმძიმით, მწერლის აზრით, დელაკრუას მხატვრულ ჩანაფიქრთან სრულ იდენტობამდე, ცხადია, ვერ აღის, არამედ შესაძლოა მისი ირონიული გააზრებაც კი იყოს: „ქუჩაში რომ გააღწია, კოკისპირულად წვიმდა... ძლივს სუნთქავდა, მუხლები ეკვებოდა. სანამ სუპერმარკეტი გამოიარა, ტანსაცმლის ნარჩენებიც შემოემარცვა, ძლივს რომ უფარავდა სხეულს წელს ზემოთ, და ახლა მკერდმოშიშვლებული მოდიოდა, მკერდი ციური ნამივით უბრწყინავდა. ჰო, ჰო, ეს სიტყვა აქ სწორედაც რომ მართებულია, თუმცა ბარიკადებზე აღმართულ ფიგურასთან ანალოგია მთლად ზუსტი არ იქნება, რადგან მძიმე, საჭმლით სავსე პარკები, მადლობა ღმერთს, არ ამღევდა საშუალებას ხელები ზევით აღმართა, თითქოს დროშა უჭირავსო... გამაბრუებელ სურნელს ძაღლებიც გრძნობდნენ... ასე რომ, ექიმის ცოლს უკვე უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების მთელი ხროვა მისდევდა...“. ეს უკვე სხვა განზომილებაა, სხვა დრო და ხედვაა, სადაც თავისუფლებისთვის ბრძოლის პათოსმა დიდი სახეცვლილება განიცადა. ამიტომაც ათქმევინებს ექიმის ცოლს მწერალი: „დედოფალი კი არ ვარ, მხოლოდ ის ვარ, ვინც იმისთვის გაჩნდა, რომ ენახა ყოფიერების მთელი საშინელება“. საგულისხმოა ისიც, რომ ესოდენ სერიოზული მხატვრული ამოცანისა და რომანში დასმული საყოველთაო პრობლემის გადასაწყვეტად მწერალი გზადაგზა რამდენიმე პერსონაჟს გამოკვეთს, თუმცა ყველა მათგანი ნომინალურობის ფარგლებში რჩება, რადგან არც ერთ სახელიც კი არა აქვს.

სავსებით ლოგიკურია, რომ სწორედ ექიმის ცოლს დაეკისრა მკითხველისთვის ორი მნიშვნელოვანი გზავნილის გახმოვანება: „არ დაუშვათ, რომ საკუთარი თავი დაკარგოთ!“ და „ნუ ვიქნებით თვალხილულები, რომლებიც ვერაფერს ხედავენ!“, რაც რომანის მთავარი სათქმელიცაა. თუმცა სარამაგუ იმედიანობას საფუძველს

იქვე აცლის და ამას კვლავ ექიმის ცოლის საშუალებით აკეთებს: „ვისაც ჯერ კიდევ სული უდგას, უნდა გაცოცხლდეს საკუთარ თავში, თუმცა ამას არავინ აკეთებს“. ასეთ ვითარებაში რას უნდა მოეჭიდოს ხელოვანი, რით უნდა ამოავსოს სულიერი სიცარიელე, რით უნდა ებრძოდეს საკუთარ სიზანტესა და ზერელობას. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ პათოსს ანელებს კიდევ ერთი დაბრმავებული პერსონაჟის, სხვის ბინაში შეჭრილი, პროფესიით მწერლის სახე, რომელიც შესაძლოა თავად სარამაგუს „ალტერ ეგოდაც“ კი მივიჩნიოთ: „გრძნობები გვაქვს იმაზე ნაკლები, ვიდრე საჭიროა. და რაც გვაქვს, იმის გამოძხატველ სიტყვებსაც ვერ ვპოულობთ. ამიტომაც ვკარგავთ მათ“.

და სად არის ამ დროს ღმერთი? ნუთუ იგი ვერ ხედავს ამ ამოყირავებულ რეალობას, ცხოვრების შემზარავ ტრაგიზმს, უკიდურესობათა ბოროტ ზეიმს, როგორც ასეთ დროს იტყვიან, „ბოლო ჟამის მოახლოებას“? სარამაგუ პასუხს ამ კითხვაზეც იძლევა, მხოლოდ არა პირდაპირ, არამედ მინიშნებით. გავიხსენოთ ეკლესიის ეპიზოდი, რომელშიც მკითხველის ყურადღებას წმინდანთა თვალახვეული ხატები იპყრობენ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის გულგრილობის ილუსტრაცია. მწერალს არა აქვს ცალსახა პასუხები, რადგან ღმერთისადმი მინდობლობაც და უღმერთობაც ჩვენ თვალწინ, ახლა და აქ, დიდ გამოცდას გადის. და საერთოდ, რწმენისა და მინდობის საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს: „როგორც მოგეხსენებათ, ყველა ბერი როდია, ვისაც ანაფორა აცვია“. სარამაგუს მკითხველები ხშირად მიუთითებენ მწერლის სტილის სირთულეზე. მათი აზრით, ვრცელი წინადადებები, რომლებშიც გაერთიანებულია თხრობა და დიალოგები, სასვენი ნიშნების უქონლობა ქმნის გარკვეულ ბარიერს, რომლის გადალახვა ყველას როდი შეუძლია. მართლაც, სარამაგუს ტექსტები ადვილად დასაძლევია არ არის, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი მკითხველს კი არ ართობს, არამედ იხმობს თანამოაზრეობისა და თანაშემოქმედებისკენ. მისი თხრობის დინამიკაში კი ისე იძირები, რომ სტილური თავისებურებანი გზადაგზა შეუმჩნეველი ხდება. კითხვისას ერთგვარი მსგავსება ჩნდება ფოლკნერის წერის მანერასა და ინტონაციასთან, თემატურად კი – ალბერ კამიუს „შავ ჭირსა“ და ჯონ უინდემის „ტრიფიდე-

ბის დღესთან“ ან თუნდაც ჰოლდინგის „ბუზების მბრძანებელ-
თან“, თუმცა ეს მსგავსებები სიღრმისეული ხასიათის არ არის და
ალუზიების დონეზე რჩება. ეჭვს გარეშეა, რომ სარამაგუ ახერ-
ხებს შექმნას საკუთარი ყველასგან გამორჩეული მხატვრული
სამყარო, რომელიც ყურადღებას იპყრობს არა რთული სიუჟეტე-
ბით ან გმირთა არაჩვეულებრივი თავგადასავლებით, არამედ
გლობალური პრობლემების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი
ხედვით. ამ ხედვას კი ბევრი რამ აკავშირებს ლიტერატურის
ისტორიაში ე.წ. „განგაშის რომანების“ სახელით ცნობილ ტექს-
ტებთან, რომელთა უპირველესი მიზანი კაცობრიობისთვის სი-
ნათლით სავსე პერსპექტივის გაჩენაა და არა მისი სიბნელეში
გადაჩეხვა.

Kakhaber Loria

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Rezo Cheishvili's „A Tailed Star (Political Decameron)“:
Genre, Ideological-thematic and Artistic Aspects**

Summary

„A Tailed star (Political Decameron)“ is a novel by the outstanding
master of modern Georgian prose Rezo Cheishvili, written in 1991-1999.
This remarkable book by clearly echoes the classic „Decameron“ both
compositionally and semantically: On the one hand, it is undoubtedly a
novel, which has a unifying compositional framework, and on the other
hand, it is also a collection of highly diverse and more or less independ-
ent stories, novellas or narratives. Special mention should be made of the
emphasized scabrous character of the many such autonomous fragments
included in the work, as well as of the whole novel in general. At the same
time, as it can be seen from the novel's subheading, the political determi-
nant plays a distinctly important role in the work.

Key words: Soviet regime; Decameron; Modern Georgian literature.

კახაბერ ლორია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავი (პოლიტიკური დეკამერონი)“: ჟანრული, იდეურ-თემატური და მხატვრული ასპექტები

თანამედროვე ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის, რეზო ჭეიშვილის რომანი „კუდიანი ვარსკვლავი (პოლიტიკური დეკამერონი)“ 1991-1999 წლებში იწერებოდა და გასული საუკუნის მიწურულს დაიბეჭდა წიგნში, რომელშიც ავტორის ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც შევიდა. თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ 1992 წლის ბოლოს, ჟურნალ „ცისკარში“, ყოველგვარი ქვესათაურისა თუ ჟანრული მინიშნების გარეშე, გამოქვეყნდა ამ ნაწარმოების თავდაპირველი, გაცილებით მოკლე ვარიანტი. როგორც 1992 წლის, ისე 1999 წლის ვერსიებში ავტორი თავადვე სიტყვასიტყვით აცხადებს, რომ სურდა დაეწერა „პოლიტიკური დეკამერონი“, მაგრამ, იმავდროულად, თურმე იმასაც ფიქრობდა, „პოლიტიკური პორნოგრაფიის“ (როგორც „ცისკარისეულ“ ვარიანტში უწოდებს) დრო იქნებ ჯერ არ დამდგარო (ჭეიშვილი 1992: 29). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეს შესანიშნავი ნაწარმოები მაინც დაიწერა და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ გამორჩეულ შენაძენად იქცა.

სიტყვათშეხამება „პოლიტიკური დეკამერონის“ გამოყენება 1999 წელს დაბეჭდილი რომანის ქვესათაურადაც, თავის მხრივ, სულაც არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არც შემთხვევითი. რეზო ჭეიშვილის ეს დიდებული წიგნი, კომპოზიციურად და აზრობრივადაც, აშკარად ეხმიანება კლასიკურ „დეკამერონს“: ერთის მხრივ, უდავოდ, რომანია, რომელსაც გამაერთიანებელი კომპოზიციური ჩარჩო გააჩნია, მეორეს მხრივ კი უაღრესად მრავალფეროვან და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ისტორიათა, ნოველათა თუ გადმოცემათა ერთგვარ კრებულსაც წარმოადგენს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს როგორც თხზულებაში შესული

არაერთი ასეთი ავტონომიური ფრაგმენტის, ისე, საზოგადოდ, მთელი ამ რომანის ხაზგასმულად სკაბრეზული ხასიათიც.

იმავედროულად, როგორც რომანის ქვესათაურიდანაც ჩანს, პოლიტიკური მდგენელი თხზულებაში გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ნაწარმოებში მოქმედება წარმოჩინდება და ვითარდება ახალი დროის „მსოფლიო ჭირის“ ფონზე, რომელსაც (არც მთლად) ირიბად საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი განასახიერებს. ხსენებულისდა მიუხედავად, ეს არაა მხოლოდ და მხოლოდ პუბლიცისტური ჟღერადობის წიგნი. პირიქით, ამ ესთეტიკურად უაღრესად დახვეწილ, ემოციურად საოცრად დამუხტულ ნაწარმოებს მკვეთრად გამოხატული ზედროული და ზოგადადამიანური განზომილებები გააჩნია. რ. ჭეიშვილის რომანი, როგორც ეს ჭეშმარიტ ლიტერატურას ახასიათებს, ყოველგვარი ზედმეტი მაღალფარდოვანების გარეშე ეხმიანება და უშუალოდ თავადაც წარმატებით ამკვიდრებს უნივერსალური მნიშვნელობის ჰუმანისტურ იდეალებს.

რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავის“ გამოჩენას ლიტერატურულ კაბადონზე, შეიძლება ითქვას, საკმაოდ სწრაფად მოჰყვა შესაბამისი გამომხატურება. ჯერ კიდევ 1995 წელს დაწერილ საინტერესო სტატიაში „სიზმარივით ახლობელი და მიუწვდომელი“ ივანე ამირხანაშვილი განიხილავს რეზო ჭეიშვილის ზემოხსენებულ თხზულებას, უფრო ზუსტად კი, ბუნებრივია, მის ჯერ კიდევ შედარებით მოკლე, „ცისკრისეულ“ ვარიანტს (სხვათაშორის, ეს თავდაპირველი ვარიანტი სულაც არ იძლეოდა რაიმე ნიშანს იმისას, რომ მწერალი მას თხზულების საბოლოო ვერსიად არ განიხილავდა). მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ავტორმა „კუდიანი ვარსკვლავი“ არა მარტო განავრცო, არამედ, მრავალი სხვა თვალსაზრისითაც, კიდევ უფრო დახვეწა, ივ. ამირხანაშვილის მოსაზრებების განზოგადება თხზულების 1999 წლის ვერსიაზეც სრულფასოვნად და უპრობლემოდ ხერხდება.

„რეზო ჭეიშვილის მწერლური ბუნების, მისი პროზის სტილისა და წერის მანერის, მისი თვითმყოფადი და აშკარად ორიგინალური შემოქმედების ხასიათის ერთი სიტყვით გამოხატვა რომ მოიწადინოს რომელიმე ახირებულმა კრიტიკოსმა, ის ალბათ დიდხანს არ დაფიქრდება და იტყვის: „გაქცევა“, ან: „თავის დაღ-

წევა“, ან: „თავისნებობა“. მართლაც, რეზო ჭეიშვილის მწერლური ბუნების სპეციფიკური ნიშანია ლიტერატურული კლიშეებისა და განმეორებებისაგან თავის დაღწევისა და ნაწარმოების წინასწარი რეცეპტების გარეშე, „თავის ნებაზე“ აგების დაუოკებელი სურვილი, რომელიც მუდამ თან ახლდა მას, – შემოქმედების განვლილ ეტაპზედაც და ახლაც, როცა ჟამთა ვითარებამ და წლების გამოცდილებამ აიძულა თუ უკარნახა, რომ ხელი მოეკიდა ახალ-ახალი თემებისა და მოტივების, როგორც იტყვიან დამუშავებისათვის. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში მან არაერთი საინტერესო და, რაღაც გაგებით, უცნაური ნაწარმოები გამოქვეყნა, რითაც კიდევ ერთხელ ამცნო მკითხველებსა და კრიტიკოსებს, რომ მას ჯერ არ სტოვებს სურვილი „გაქცევის“, „თავის დაღწევისა“ და „თავისნებობისა“. ყველაზე უცნაური კი მაინც „კუდიანი ვარსკვლავია“, რომელიც 1992 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნდა“ (ამირხანაშვილი 2003: 91), – წერს ივანე ამირხანაშვილი და განაგრძობს: „კუდიანი ვარსკვლავი“ ფილოსოფიური ნაწარმოებია სურათებად, გენებავთ, ამბებად, ნოველებად, მინიატურებად, ოღონდ ერთზე უთუოდ უნდა შევთანხმდეთ – მწერლის შემოქმედებაში ეს არის ახალი რაკურსის გახსნა, სამყაროს კონცენტრირებული ჭკრეტა დროითი სამზერიდან, ამქვეყნად თავისი წილი ადგილის გააზრების ცდა“ (ამირხანაშვილი 2003: 92).

საგულისხმოდ მეჩვენება ლიტერატორის შემდგომი მსჯელობაც რეზო ჭეიშვილის ზემოაღნიშნული ნაწარმოების შესახებ: „რატომღაც მგონია, რომ რეზო ჭეიშვილმა „კუდიანი ვარსკვლავის“ წერას წარმავლობისა და ამოების უმწვერვალესი განცდის ჟამს მოჰკიდა ხელი და ეს ნაბიჯი სრულიად ბუნებრივ გადაწყვეტილებად უნდა ჩავუთვალოთ მწერალს, რომელსაც საკმაო ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილება დაუფროვებია. ექვს ათეულ წელს მიღწეულ ოსტატს არ უნდა გასჭირვებოდა ამ, მართალია, რთული, მაგრამ უდავოდ საინტერესო თემის მხატვრული რეალიზაცია, ოღონდაც მთავარი იყო ფორმა, როგორ ფორმას აირჩევდა თხრობისათვის. ტრადიციული, ერთხმინი თხრობის ფორმა უთუოდ წამგებიანი იქნებოდა მისთვის, მითუმეტეს, ხშირად შეგნებულად გაურბოდა ამ სტილს. მწერალმა

თხრობა სურათებად, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ ამბებად ააგო, რაც მეტად სარისკო საქმე იყო, ვინაიდან პროზის ვერცერთი ჟანრი ეკლექტიზმს, ელემენტთა გათიშულობას ვერ იტანს. მაგრამ, გასაოცარია, ნაწარმოების ღირსებაც ის გახლავთ, რომ ცალკეულ ერთეულებს ბოლოს მაინც აერთიანებს რაღაც – ეს არის ავტორი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ავტორის ფიქრი, რომელიც თავიდან ბოლომდე ისე გასდევს სურათების წყებას, როგორც ძაფი კრიალოსანის თვლებს. ამიტომაც თხრობა საინტერესოა, მოუწყინარი, ამბავი ამბავს ენაცვლება, დრო – დროს, განწყობილება – განწყობილებას, არსად ავტორის რემარკა ან შენიშვნა, არამედ – აზრის დაზუსტება ან პუბლიცისტური ჰუქუმათი, ყველაფერს მოძრაობაში, მონაცვლეობაში ვკითხულობთ“ (ამირხანაშვილი 2003: 92-93). წარმოდგენილი მსჯელობის შემდეგ ივ. ამირხანაშვილს მოაქვს ცალკეული პასაჟები რეზო ჭეიშვილის თხზულებიდან და შენიშნავს, რომ მკითხველი, რომელსაც ჯერ „არ გაუაზრებია მწერლის სტილის ცნობილი თავისებურება“ ამ ნაწარმოებში რომ გამორჩეული სიცხადით გამოვლინდა, შეიძლება დაიბნეს და გაუჩნდეს სურვილი ხსენებული პასაჟების დაკავშირებისა. „მაგრამ საქმეც ისაა, რომ დასაკავშირებელი და გასარკვევი არაფერია. იმაზე მეტი კავშირი რაღა უნდა იყოს, რაც აქ მუსიკა ისმის სევდიან ლაიტმოტივად“ (ამირხანაშვილი 2003: 93-94), – აცხადებს სტატიის ავტორი.

როგორც აღვნიშნე, „კუდიანი ვარსკვლავის“ თავდაპირველი ვერსია რეზო ჭეიშვილმა ყოველგვარი ქვესათაურისა თუ ჟანრული მინიშნების გარეშე გამოაქვეყნა. შესაძლოა, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ თავის მხრივ ივანე ამირხანაშვილიც ერიდება „კუდიანი ვარსკვლავის“ ამ შედარებით მცირე, „ცისკრისეული“ ვარიანტის ჟანრის განსაზღვრას. თუმცა, ვფიქრობ, უდაოდ საყურადღებოა, რომ, იმავდროულად, კრიტიკოსი თხზულების ავტორს მკაცრ და გულწრფელ რეალისტად აღიქვამს: „[...] – მწერალი ახერხებს თავი წარმოიდგინოს სამყაროს მარადიული და უსასრულო მოძრაობის მონაწილედ. ახერხებს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზებას ამ უცნაურ თხზულებაში, რომელსაც პროზის ვერცერთ ჟანრს ვერ მიაკუთვნებ, მიუხედავად იმისა, რომ მასში ათეულობით

მოთხრობისა და რამდენიმე რომანის მასალაა გაზნეული. ჟანრის სახეობის განსაზღვრა სრულიად მეორეხარისხოვან საკითხად მოჩანს, როცა მწერალს გარკვეული აქვს სათქმელი და გამოხატვის ფორმა. ამბავი – აი, რეზო ჭეიშვილის პრინციპი. მთავარია იყოს ამბავი. მერე გამოჩნდება მწერლის კონცეფციაც, იდეაც, ჩანაფიქრიც, სტილიც და კიდევ რაც გნებავთ. პროზა, უპირველეს ყოვლისა, ამბავია, მოქმედებაა და შემდგომ ყველაფერი სხვა. „კუდიანი ვარსკვლავის“ ათასგვარი ამბების წყებაში ერთი მთავარი ამბავია – დროისა და სულიერი განცდების ძნელ გზებზე მოგზაურობა, ანუ „უკუსვლით წინ სიარული“ პერსონაჟისა, რომელშიც ავტორი თავის თავს ხედავს. იგრძნობა ამ ხედვაში მკაცრი, მაგრამ გულწრფელი რეალისტის თვალი და ამიტომაც გჯერა მისი, მისი სიტყვების“ (ამირხანაშვილი 2003: 94).

მას შემდეგ, რაც 1999 წელს „კუდიანი ვარსკვლავის“ ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნდა, თხზულების მიმართ ინტერესმა ისევ იჩინა თავი. გამოხმაურებებში ყურადღება კვლავ სამართლიანად მახვილდება იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული თხზულება თვისობრივ სიახლეს წარმოადგენს რეზო ჭეიშვილის ამ დროისათვის უკვე ისედაც მრავალფეროვან და უაღრესად ღირებულ მხატვრულ შემოქმედებაში. ასე, მაგალითად, ვილენ მარდალეიშვილი 2000 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში – „მეგობრების ნაჩუქარი წიგნები“ შენიშნავს: „თუ თავის ადრინდელ ნაწარმოებებში რეზო ჭეიშვილი, ძირითადად, თვალწინ „მოტრიალე“ საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას ასახავდა, განუმეორებელი იუმორის, ირონიისა და სარკაზმის ნაზავით იმ ყოფის აბსურდულობას და იმპერიის დღედღეზე ნგრევას წინასწარმეტყველებდა („ცისფერი მთები“), ახალ რომანებსა და მოთხრობებში იგი უფრო „მორს წასულა“ და საბჭოთა სახელმწიფოს პირველ ნაბიჯებს, ძალმომრეობასა და რეპრესიებს, სულიერად და ფიზიკურად განადგურებული ადამიანების ისტორიებს ხატავს. ეს თემა არახალია, მაგრამ რეზო ჭეიშვილს იგი მაინც თავისებურად დაუმუშავებია, რაც ზედმიწევნით იგრძნობა რომანში „კუდიანი ვარსკვლავი“ (მარდალეიშვილი 2000: 12).

ვილენ მარდალეიშვილი მართლაც რომ გულწრფელადაა აღტაცებული მწერლის გამორჩეული ოსტატობით, რეზო ჭეიშვი-

ლის მონათხრობის მხატვრული დამაჯერებლობით, ნაწარმოების ტექსტში ტრაგიკული და კომიკური ასპექტების თანაარსებობით. აკი წერს კიდევ ემოციის დაუფარავად: „ჰოდა, აცოცხლებს და მერე როგორ! მწერალი ხატავს იმპერიის მესაჭეებს, დიდ თუ პატარა ბელადებს. ოი, რა ირონიაა, რა სარკაზმი... ხატავს უბრალო გაუბედურებული ადამიანების ცხოვრებას. სული ყელში გებჯინება, ცრემლნარევი ღიმილი გადაგკრავს შიგადაშიგ სახეზე ამ მართლაც საანეკდოტო სიტუაციების, მართლაც დაუჯერებელი ამბების წამკითხველს – ეს ხომ ჩვენი მამა-პაპის ისტორიაა, ეს ხომ აგერ იყო – გუშინ, გუშინწინ...“ (მარდალეიშვილი 2000: 12).

რეზო ჭეიშვილის ზემოხსენებულ ნაწარმოებს, ისევე როგორც 1999 წელს მასთან ერთად იმავე წიგნში დაბეჭდილ რამდენიმე ნოველასა და მეორე რომანს („ყაჩაღები“), ეხმიანება ლიტერატორი ალექსანდრე გვახარია წერილში – „რეზო ჭეიშვილის ახალი წიგნი“. 2000 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ამ პუბლიკაციაში ალ. გვახარია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას სათაურის (უფრო ზუსტად: ქვესათაურის) საკითხზე და მასთან დაკავშირებულ ჟანრულ მიმართებაზე ბოკაჩოს საყოველთაოდ აღიარებულ ტექსტთან, რასაც, ბუნებრივია, ჩემის მხრივ, სავსებით ვეთანხმები. ზედმიწევნით ზუსტია წერილის ავტორის შეფასება მაშინაც, როდესაც, ვილენ მარდალეიშვილის მსგავსად, ისიც დაუჯერებელ ამბებსა და ცრემლნარევი იუმორზე ამახვილებს ყურადღებას: „პირველ რომანს „კუდიანი ვარსკვლავი“ ეწოდება. სარჩევში, მხოლოდ სარჩევში, ისიც ფრჩხილებში, მეორე სათაური თუ ქვესათაური იკითხება: „პოლიტიკური დეკამერონი“. ვერ გაძლო „ცისფერი მთების“ ავტორმა მეორე სათაურის გარეშე! მეორე სათაური უფრო ზუსტია და მიზანმიმართული. ეს მართლაც „დეკამერონია“, სისხლიანი „დეკამერონი“, ბოლშევიზმის ისტორიის დაუჯერებელ, მაგრამ მაინც ნამდვილ არაკთა, ამბავთა, ანეკდოტთა შემზარავი კრებული. თხრობაა უბრალო, მარტივი, შიგადაშიგ ცრემლნარევი იუმორით განათებული, თორემ შეიძლება ჭკუიდან გადაცდეს კაცი“ (გვახარია 2000: 7).

რეზო ჭეიშვილის მიერ „კუდიან ვარსკვლავში“ მონათხრობ ამ მოკისმომგვრელად „დაუჯერებელ, მაგრამ მაინც ნამდვილ [...]

ამბავთა“ შორისაც კი გამოირჩევა თხუთმეტი წლის ბიჭის ტრაგიკული ისტორია. რომელზედაც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ალექსანდრე გვახარიაც. „თბილისის ერთი საშუალო სკოლის მოსწავლემ აწრიმ კედლიდან ჩამოხია ეჟოვის პორტრეტი; პროტესტი გამოხატა მამის დაპატიმრების (დახვრეტა არ იცოდა) გამო. დაასმინა მასწავლებელმა [...]. ბავშვმა პორტრეტი ჩამოხია მრავალთა თვალწინ და კლასის დამრიგებელმა დაასწრო სხვებს, რათა მომხდარი ფაქტის დამალვა ან დამნაშავეზე ხელის დაფარება არ დაბრალეოდა [...]. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის შემდეგ თხუთმეტი წლის მოსწავლე აწრის „შეუფარდეს“ სასჯელის უმაღლესი ზომა, სულითა და სხეულით მახინჯი ეჟოვის სტამბურად ნაბეჭდი, მასობრივი ტირაჟით გავრცელებული პორტრეტის ხელყოფის გამო“ (ჭეიშვილი 1999: 22). აწრი თექვსმეტი წლის არ იყო და ვერ დახვრიტეს, როგორც რეზო ჭეიშვილი წერს, 1935 წლის 7 აპრილის დადგენილების გამო. მაგრამ საბოლოოდ ამანაც ვერ უშველა: აცადეს თექვსმეტის შესრულება „და დღენათელში თექვსმეტი წლისას, დაბადების დღეს ჩააყოფინეს ვარცლში თავი. ერთმა ხელი დაუკავა, მეორემ – მეორე, მესამემ ქოჩორზე დააჭირა ბლიკი, თმა ატკინა და კაცი, რომელსაც ახალი გატკიცინებული „გიმნასტიორკა“ ეცვა, და ეტყობა, უკან იდგა, გვერდზე გახტა, დედაც ვატირეო, თქვა, ალისფერი სისხლის წინწკლები დააჩნდა მაინც სახელოზე“ (ჭეიშვილი 1999: 22). ამ თავზარდამცემი ისტორიის წამკითხველი, მართლაც რომ „შეიძლება ჭკუიდან გადაცდეს კაცი“. ალექსანდრე გვახარიას კი თითქოს ეშინია, რომ მონათხრობ საშინელებას ნორმალური ფსიქიკის მკითხველი, უბრალოდ, ვერ დაიჯერებს. ამიტომაც, მეტი დამაჯერებლობისათვის, პირდაპირ მოგვახლის იმას, რაც ალბათ მწერალმაც კარგად იცოდა, მაგრამ რისი გამხელისგანაც რატომღაც მაინც თავი შეიკავა: „ეს აწრი ბუაჩიძე იყო, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის უფროსი ძმა (მცირეწლოვანი თაზო გადარჩა, ნათესავეებმა გაზარდეს). ახლაც არ გჯერა, მკითხველო? ჯერ სადა ხარ!“ (გვახარია 2000: 7) – ემოციურად მიმართავს მკითხველს სტატიის ავტორი.

რეზო ჭეიშვილის ზემოხსენებულ თხზულებაში, საზოგადოდ, უაღრესად საინტერესო მიმართებაა დამყარებული, ერთის მხრივ,

ისტორიულ-დოკუმენტურად დადასტურებულ, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებსა და, მეორეს მხრივ, როგორც რ. ჭეიშვილი უწოდებს, „თვალთმხილველთა, დაობლებულთა, უსამართლობის წნეხში მოყოლილთა მონათხრობებს“ (ჭეიშვილი 1999: 13) შორის. ამ გადმოცემებს ის ანეკდოტებად, ანუ როგორც თავად განმარტავს სიტყვა ანეკდოტის მნიშვნელობას, არაკებად და ამბეზად მოიხსენიებს („ბევრი [...] ანეკდოტი (არაკი, ამბავი) მოვიპოვე; ვისმინე, ვიმახსოვრე“ (ჭეიშვილი 1999: 13), – გაგვანდობს მწერალი). მთლიანობაში კი ვიღებთ იუველირის სიზუსტით შესრულებულ მხატვრულ კომბინაციას, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ მომხიბვლელ ვარიაციულობას უნდა გულისხმობდეს ალ. გვახარიაც, როდესაც წერს: „[...] ანეკდოტური და ნამდვილი, ნამდვილი და ანეკდოტური ენაცვლება ერთმანეთს. [...] რომელი ერთი ჩამოვთვალო, თავად უნდა წაიკითხოთ ეს ქართული „არქიპელაგი გულაგი“, არაფრით რომ არ ჩამოუვარდება ალექსანდრე სოლჟენიცინის საუკუნის წიგნს“ (გვახარია 2000: 7). ვფიქრობ, მართლაც ძნელია, არ დაეთანხმო ლიტერატორის ამ გულწრფელ მოწოდებასა და უაღრესად ზუსტად მიგნებულ შეფასებას.

„კუდიანი ვარსკვლავის“ მიმართ ხსენებულ დამოკიდებულებასთან საკმაოდ ახლოა ისიც, რასაც რეზო კვესელავა აცხადებს 2001 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ საინტერესო სტატიასში – „მწერალი ბევრია, მხატვარი ცოტა“: „რეზო ჭეიშვილი მხატვარია. რომანით „კუდიანი ვარსკვლავი“ მან აჩვენა (უკვე სხვა ასპექტში) ქართული სიტყვის გამომსახველობითი ძალა. ორჯერ წავიკითხე რომანი, ალაგ-ალაგ – რამდენიმეჯერ. ყველას ვურჩევდი, წაეკითხა... ნაწარმოების შინაარსობრივ-სტილისტურ თავისებურებად შეიძლება, ინტელექტუალიზმი დავასახელოთ. მწერალი ფიქრობს ცხოვრების აზრზე, ადამიანის დანიშნულებაზე; ფიქრობს იმ საშიშროებაზე, რომელიც კაცობრიობას რელიგიური ცნობიერებიდან მოწყვეტამ შეუქმნა. „ტრიალებდა გაპირუტყვეებისა და სიძულვილის კარგად დაზეთილი ბორბალი“ – შეგვახსენებს იგი. ძნელია ამ თემაზე წერა. ალ. სოლჟენიცინისა და ნადეჟდა მანდელშტამის შემდეგ, ვინც განიცადა დევნა, გადასახლება, სიკვდილი და ვისაც, იმის გამოსახატავად,

რაც განიცადა, ნიჭიც ჰყოფნიდა და გამბედაობაც. მაგრამ როცა „კუდიან ვარსკვლავს“ კითხულობ, ყველაფერი, რაც სხვებთან დაგამახსოვრდა, უკანა პლანზე გადადის და ჩვენს ცნობიერებას იპყრობს ახალი მხატვრული რეალობა, საგნები – ახალი რაკურსით“ (კვესელავა 2001: 6). ჩემის მხრივ, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ ეს „ახალ მხატვრულ რეალობასთან“ ზიარების შეგრძნებაა, რეზო ჭეიშვილის ამ დიდებულ ნაწარმოებს ასე მიმზიდველ საკითხავ ტექსტად რომ ხდის, მიუხედავად მისი სხვადასხვა ტრაგიკული განზომილებისა.

რეზო კვესელავა, ჩემი აზრით, ძალიან მართებულად აღიქვამს „კუდიან ვარსკვლავში“ ისტორიულ მასალასთან დამოკიდებულების საკითხსაც, ისევე, როგორც ქრონოტოპის განუწყვეტელი მონაცვლეობის მნიშვნელობას ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურის ფორმირებაში: „ისტორიული მასალაც, რომელიც დაწვრილებით არის სპეციალურ ლიტერატურაში განხილული, ჭეიშვილთან სულ სხვა, მოულოდნელი ასპექტით წარმოგვიდგება. ველი დანაღმულია. არ იცი, სად რას წააწყდები. ელოდები ერთს, იმკვიმეორეს. რომანის დრო და სივრცეც მუდმივ ცვალებადობაშია: დრო დროში, სივრცე სივრცეში ისე იჭრება, როგორც ეს ფიქრში ხდება ხოლმე: [...] ერთ წინადადებაში შეიცვალა დრო და სივრცე. ეს ასოციაციური თხრობაა. რომანის სტრუქტურა ასეა აგებული“ (კვესელავა 2001: 6). კარგ დაკვირვებად მიმაჩნია და, შესაბამისად, უნდა ასევე სავსებით დავეთანხმო რეზო კვესელავას, როდესაც ის „ჭეიშვილის სტილის ორაზროვნებაზე“ საუბრობს: „სიმსუბუქე მოჩვენებითია. თუ ტექსტს ჩაულრმავდებით, უამრავ ნიუანსს აღმოვაჩენთ, აპრიორული წარმოდგენები წარამარა იმსხვრევა. ზოგჯერ ბოლო სიტყვა მთელ წინადადებას ცვლის [...]“ (კვესელავა 2001: 6) – მართებულად შენიშნავს კრიტიკოსი.

რეზო ჭეიშვილის „პოლიტიკურ დეკამერონში“ პერსონაჟთა უაღრესად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გალერეაა წარმოდგენილი. ეს პერსონაჟები, უმეტესწილად, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ავტორი ჩვენს თვალებში მათ სხვადასახვა ოსტატური მხატვრული ხერხის გამოყენებით აცოცხლებს და ხშირად, უბრალოდ, დაუვიწყარ სახეებს ქმნის. არცთუ იშვიათად მწერალი გამორჩეულად დახვეწილი ხელწერის პორ-

ტრეტისტად გვევლინება, თუმცა ეს პორტრეტები არ არის მხოლოდ გარეგნული, არამედ მათ სიღრმისეული შრეები და განზომილებებიც გააჩნიათ. ამ თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, რეზო კვესელავას ზემოხსენებულ წერილში საინტერესო დაკვირვებასთან გვაქვს საქმე: „შესანიშნავი პორტრეტებია: ლაკონიური და დინამიური. ზოგჯერ ეფექტი ერთი სიტყვით არის მიღწეული. მაგ. სახემეკუმშული რუსი კაცი – საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ლონდონში. მის გარეგნობაზე მხოლოდ ის ვიცით, რომ სახემეკუმშულია, მაგრამ ამ ერთი სიტყვით მის ბიოგრაფიასაც ვეცნობით. ჭეიშვილთან ვერ აღმოაჩენ ისეთ პერსონაჟს, საგანს თუ მოვლენას, რომლის პლასტიკურ სახესთან ერთად სულიც არ დაინახო. ერთი შტრიხით არის დახატული მოლოტოვი: „თავჩაქუჩა თევზების რომელიღაც ქვესახეობის წარმომადგენელი“ და ჩვენს წინაშეა ცივისსხლიანი ფანატიკოსი!..“ (კვესელავა 2001: 6).

„კუდიან ვარსკვლავს“ თითქოს არ ჰყავს მთავარი გმირები, ყოველ შემთხვევაში ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით. თხზულების ავტორისა და ძირითადი ნარატორის (გვარად ონჭეიშელის) გაიგივება, ერთი შეხედვით, მწელი არაა, მაგრამ ბოლომდე სრულიად ცალსახად მაინც ვერ ხერხდება. იმავდროულად, ონჭეიშელი სულაც არ არის „პოლიტიკური დეკამერონის“ ერთადერთი მთხრობელი. „თვალთმხილველთა, დაობლებულთა, უსამართლობის წნეხში მოყოლილთა მონათხრობებს“ ძალზე ხშირად უშუალოდ თავად ამავე პერსონაჟებისაგან ვეცნობით (ხსენებული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა რეზო კვესელავას დაკვირვება, რომ ამა თუ იმ მონათხრობიდან კონკრეტული, რეალურად არსებული ადამიანების ამოცნობაც კია შესაძლებელი: „მართლაც, უნიკალურია რეპრესირებულთა თავგადასავლები. შექსპირიც ვერ მოიფიქრებდა ამაზე უმძაფრესსა და ფანტასტიკურს. მწერალი, ძირითადად, ინარჩუნებს მთხრობელის ინდივიდუალობას, ინტონაციას და ლექსიკას. ზოგიერთი მთხრობელი (მეც მისმენია მათთვის) სწორედ ინტონაციით და ლექსიკით ვიცანი“ (კვესელავა 2001: 7)). ზოგჯერ საგანგებოდაც კი უნდა ჩავეძიოთ ტექსტს, რათა დავრწმუნდეთ, ვისი პირით ხდება თხრობა, აღნიშნული პერსონაჟების თუ ისევ ონჭეიშელის. ეს ყოველივე,

რა თქმა უნდა, რეზო ჭეიშვილის გაცნობიერებული შემოქმედებითი არჩევანია, რასაც იგი საოცარი გემოვნებითა თუ ვირტუოზული სიზუსტით ახორციელებს და რაც, თავის მხრივ, ნაწარმოების კითხვისას ძალზე შთამბეჭდავ ეფექტს ახდენს. და მაინც, არის თხზულებაში ერთი პერსონაჟი, რომელიც განსაკუთრებული ფუნქციისაა. ესაა ბუდუ ქვარიანი. უნდა დავეთანხმო ალექსანდრე გვახარიას, რომელიც ბუდუსა და მისი ტრფობის ობიექტის – ჟოზეფინას შესახებ (რომლის მიმართ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, არც თავად ონჭეიშელი იყო ბოლომდე გულგრილი) წერს: „მთელ რომანს გასდევს, კრავს და ამთლიანებს მითოლოგიურ-მიწიერი პერსონაჟების ბუდუ ქვარიანისა და ჟოზეფინას სახეები. მათი სიკვდილი და მოღანდება ასხივოსნებს და ათბობს თხრობას“ (გვახარია 2000: 7). ბუდუ ქვარიანს ნაწარმოების არაერთ საკვანძო მნიშვნელობის ეპიზოდში ვხედავთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ერთ-ერთი თავკაცია ლენინის ვეებერთელა ძეგლის დემონტაჟისა მშობლიური ქალაქის სადგურის მოედანზე. თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ პირველ პოსტსტალინისტურ წლებში, ბუდუ ერთობ საეჭვო გარემოებებში დაიჭირეს ზესტაფონში და ლენინის ძეგლის აფეთქების ბრალდებით ციხეებიც „ახეხინეს“. ზესტაფონში ძეგლის აფეთქებაში მონაწილეობას, როგორც თხზულების მთავარი მთხრობელი გვიამბობს, თავად ბუდუ „არც უარყოფდა, არც ადასტურებდა“ (ჭეიშვილი 1999: 152). „ტყუილად არ ვმჯდარვარო, წაიტრაბახა რამდენჯერმე, მაგრამ იმ აქციის მთავარი მონაწილე, მით უმეტეს ხელმძღვანელი, რასაკვირველია, ბუდუ არ ყოფილა. დასახვრეტ საქმეზე წამსვლელ კაცს არ ჰგავდა, თუმც იმ ამბავში რომ მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, ეჭვი არასოდეს შემპარვია“, – აზუსტებს იმავე მთხრობელი (ჭეიშვილი 1999: 152).

პერსონაჟ ბუდუ ქვარიანთან მიმართებაში უაღრესად პოზიტიური ემოციური დამოკიდებულება იკითხება რეზო კვესელავას ზემოთ უკვე ნახსენებ სტატიაში. მოვუსმინოთ თავად კრიტიკოსს: „ვინ არის ბუდუ ქვარიანი? – ბუდუ ქვარიანი გაჩნდა ჩემთვის და მე – მისთვისო“, – გვეუბნება მწერალი“ (კვესელავა 2001: 6). სხვათაშორის, სრული სურათის უკეთ აღქმისათვის მინდა აღვნიშნო, რომ თავად მწერალი-ნარატორი მსგავს მიმართებაში

სერვანტესსაც მოიხსენიებს: „დონ კიხოტო, სერვანტესმა ბრძანა, ჩემთვის დაიბადა ისე, როგორც მისთვის გაეჩნდი მე“ (ჭეიშვილი 1999: 6). რაც შეეხება რეზო კვესელავას, იგი იქვე განაგრძობს: „არ ვიცი, ვინ არის ბუდუ ქვარიანის პროტოტიპი, მაგრამ ვიცი, რომ ის ახლობელი ადამიანია. მეტიც, მასში ვცნობთ საკუთარ თავს, ჩვენს მაშინდელ სურვილებს, მოუსვენრობას, დაბნეულობას. დაპირისპირებას დროსთან, წყობილებასთან“ (კვესელავა 2001: 6).

ბუდუ ქვარიანის სახე მართლაც რომ საოცარი განცდითა და ლირიზმით არის დახატული. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და გამორჩეული სიყვარულით შესრულებული პერსონაჟია რეზო ჭეიშვილის მთელს შემოქმედებაში. „ძეგლთა მმუსვრელი – ბუდუ“ (ჭეიშვილი 1999: 150), როგორც მისთვის ჩვეული დახვეწილი ირონიითა და, ამავედროულად, დიდი ადამიანური სითბოთი მოიხსენიებს მწერალი-ნარატორი, მართალია საკმაოდ კოლორიტული, მაგრამ სინამდვილეში ერთი უწყინარი, სხვებზე გადაყოლილი, მართლაც რომ სხვებისთვის მცხოვრები კაცია. ონჭეიშვილი ასე იხსენებს მასთან ერთ-ერთ ბოლო შეხვედრას: „–სადა ხარ, ბუდუ, რას საქმიანობ ამჟამად? – ისევ იქ, ავტოქარხნის კლუბში... აღარ მახსოვდა: დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. – ბავშვები დადიან და ეს მასულდგმულებს. მუსიკა. ცეკვები, დრამწერე, ჭრა-კერვა და სხვა... შეიშლები, ისეთი ნიჭიერი ბავშვები მოდიან...“ (ჭეიშვილი 1999: 150). ბუდუ გაჭირვების ტალკვესია. მის გარეშე ქალაქში არაფერი ხდება. ყველაფერთან ერთად, ბუდუ „გასვენების კაცია“, ქალაქში ამ საქმეს მასავით თავს ვერავინ ადგამს. „ჩვენებური დაკრძალვა მისტერიულია, წარმოდგენისეულიც და ბუდუს მოღვაწეობის ორი სფერო – გასვენება და თვითშემოქმედება – ერთმანეთს უკავშირდებოდა“ (ჭეიშვილი 1999: 153), – განმარტავს მწერალი-ნარატორი ამ უცნაურ კავშირს. ბუდუ ქვარიანის მიმართ ყველა ახლობლის საერთო სიყვარულის გამოხატულებად უნდა იყოს აღქმული მისი გარდაცვალების შემდეგ გამოთქმული ლექსი, რომელიც მწერალ-ნარატორმა, როგორც თავადაც არ მალავს, მისებურად გადააკეთა და ისე შემოინახა მეხსიერებაში: „ლექსი დაუწერა ჩვენმა მეგობარმა პოეტმა, ზუსტად არ დავიმახსოვრე, განგებ გავიჩემებურე: ...ახლა უკვე ზამთარია,

მარტოობა ჭირს. შენს საფლავთან ღამეა და ცივი ქარი ქრის... ბუდუია ქვარიანო, ვის ასვენებ, ვის!“ (ჭეიშვილი 1999: 155).

სხვათაშორის, ეს „ზუსტად არ დავიმახსოვრე, განგებ გავიჩემებურე“, დიდი ალბათობით, მარტო ამ ლექსს არ ეხება. აღნიშნული ფრაზა, სავარაუდოდ, უნდა განზოგადდეს და, შესაბამისად, გავრცელდეს ბევრ სხვა რამეზეც ამ თხზულებაში, მათ შორის ცალკეულ პერსონაჟთა მონათხრობებზეც. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი არასოდეს მალავს, „თვალთმხილველთა, დაობლებულთა, უსამართლობის წნეხში მოყოლილთა მონათხრობებს“ რომ ეყრდნობა (ხოლო რეზო კვესელევა იმასაც ირწმუნება, რომ ზოგიერთი მთხრობელი მისთვისაც კი ნაცნობია), შეუძლებელია გადაჭრით თქვა, თუნდაც ამ მონათხრობებში რა და რა დოზით „გამისებურა“ ავტორმა. ეს ერთ-ერთი ის საკითხია, რომელიც ამ შესანიშნავი წიგნის ჟანრულ კუთვნილებასთანაც არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, უკვე მეორე, ვრცელ გამოცემაში მწერალმა „კუდიან ვარსკვლავს“ ცალსახად უწოდა რომანი (რასაც სრულიად ვეთანხმები!) და, ამავე დროს, ქვესათაურიც განუსაზღვრა „პოლიტიკური დეკამერონის“ სახით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ რეზო ჭეიშვილი სერიოზულად ერევა მის მიერვე სხვადასხვა ხერხებით მოპოვებულ უაღრესად მრავალმხრივ და მოცულობით მასალაში და მრავალი თვალსაზრისით საგულდაგულოდ ამუშავებსა თუ გარდაქმნის მას, როგორც ფაქტობრივი ისე, ბუნებრივია, მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით. მთლიანობაში, თუ კარგად დავაკვირდებით და ბოლომდე გავიაზრებთ, თხზულებაში მასალა ყოველმხრივ ისეა ორგანიზებული, რომ, არსებითად, არცკი უნდა ჩნდებოდეს კითხვა, „კუდიანი ვარსკვლავი“ მართლაც რომანია, ამ სიტყვის მეტნაკლებად კონვენციური გაგებით, თუ მაინც ერთგვარ ჟანრობრივ ჰიბრიდს უფრო წარმოადგენს მხატვრულ ლიტერატურასა და დოკუმენტურ პროზას შორის. ისე კი, საზოგადოდ, რეზო ჭეიშვილს რომ ხსენებული ჟანრობრივი ჰიბრიდის შექმნაც შესანიშნავად ხელეწიფება, ამის დასტურად მისი ბრწყინვალე წიგნის – „რკინის სახკომის“ გახსენებაც კმარა.

ივანე ამირხანაშვილი ჩემ მიერ უკვე ნახსენებ სტატიაში „სიზმარივით ახლობელი და მიუწვდომელი“ საგანგებოდ ამახ-

ვილებს ყურადღებას იუმორის როლსა და ხასიათზე როგორც რომანში „კუდიანი ვარსკვლავი“, ისე, საზოგადოდ, რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში. ვფიქრობ, კრიტიკოსს დამაჯერებლად აქვს განსაზღვრული შესანიშნავი ქართველი მწერლისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურება: „რეზო ჭეიშვილის პროზა საკმაოდაა გაჯერებული იუმორით. ვერ დავასახელებ მის ვერცერთ ნაწარმოებს, სადაც რომ იუმორის ფლუიდები არ ასხივებდეს. მიუხედავად ამისა, იუმორი მაინც არ არის მწერლის თვითმიზანი. ეს უფრო საშუალებაა თვითგამოხატვისა, სტილია, მსოფლხედვაა, მხერის კუთხეა, საიდანაც ჩვენთვის ნაცნობი საგნები ცოტა სხვანაირად, სხვა რაკურსით მოჩანან. სხვაგვარად ვიტყვი, – იუმორს რეზო ჭეიშვილი სერიოზული სათქმელის გადმოსაცემად იყენებს. იუმორი რაციონალიზმის სამსახურში! კაცმა რომ თქვას, ახალი ამაში არაფერია, ოდითგან ასე იყო, ჭეშმარიტი ლიტერატურის ნორმების მიხედვით, ჰუმორისტული აზროვნება მაღალი გონის კატეგორიას განეკუთვნებოდა. ცნობილი ჭეშმარიტების ხაზგასმა იმისთვის დამჭირდა, რომ აღმენიშნა რეზო ჭეიშვილის პროზის მთავარი თავისებურება, რომელიც, ამავე დროს, მწერლის მთავარი ღირსებაც გახლავთ, ჩემი აზრით“ (ამირხანაშვილი 2003: 95).

ის, რომ, ყველაფრისდა მიუხედავად, იუმორი რეზო ჭეიშვილისთვის თვითმიზანი არაა, კარგად აქვს შემჩნეული და გააზრებული რეზო კვესელევასაც. კრიტიკოსს მშვენივრად ესმის, რომ ხსენებულ შესანიშნავ ქართველ ავტორთან ძალზე ხშირად „სიცილი გარდაუვალია. ოღონდ ჭეიშვილთან იუმორი იუმორისთვის გამოირიცხულია. საგნები, მასთან, ხალისით ირჩევენ კომიკურ პოზას – მწერლის მაგნიტური მხერის მიმართულებით“ (კვესელევა 2001: 6). ჩემი აზრით, იუმორი ჭეიშვილთან აშკარად უფრო თვალთახედვაა, ვიდრე ხერხი ან რაიმე ფორმისეული მახასიათებელი. იუმორი, თუ შეიძლება ასეთი რამეც ითქვას, ერთგვარი ფილოსოფიური კონცეფციაც კია, რომლის მიხედვითაც ხდება თუ ხერხდება ჭეიშვილისეული მხატვრული რეალობის ორგანიზება. რეზო ჭეიშვილის შემოქმედებასთან მიმართებით ადრეც აღმინიშნავს, რომ „[...] ზნეობრივი იდეალებითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებით განმსჭვალული მწერლობა

არცთუ იშვიათად მიმართავს მოვლენებისა თუ ხასიათების კომიკური თვალსაზრისით წარმოჩენას. რეზო ჭეიშვილი ამგვარი პროზის ჭეშმარიტი ოსტატია. მისი ნაწარმოებები აღბეჭდილია ჯანსაღი იუმორისა და მამხილებელი სატირის მშვენიერი ნიმუშებით. ამავე დროს, რიგ შემთხვევაში იუმორისტული მიდგომა მსოფლმხედველობის ფუნქციას, თვალსაზრისის ნიშან-თვისებებს იძენს და გვევლინება სრულიად განსაკუთრებულ ამპლუაში“ (ლორია 2005: 168-169).

და მაინც, თავად რეზო ჭეიშვილის შემოქმედებისთვისაც კი „კუდიანი ვარსკვლავი“ სრულიად გამორჩეული, და რაც მთავარია, მართლაც რომ უცნაური ნაწარმოებია. „ეს ქართული „არქიპელაგი გულაგი“ (გვახარია 2000: 7), ერთის მხრივ, იმდენად შოკური ზემოქმედების მქონე, დამთრგუნველი ემოციური მუხტის მატარებელი, ნაირ-ნაირ შემზარავ ამბავთა გადმომცემი წიგნია, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, დაუჯერებელიც კია მასში სინათლისა და სილალის ამდენი სხივის არსებობა, რომ აღარაფერი ვთქვათ კომიკური მიგნებების უსასრულო და ამოუწურავ კალეიდოსკოპზე. შეიძლება ძალიან თამამად და კატეგორიულადაც კი ჟღერდეს, მაგრამ მთელს ქართულ ლიტერატურაში ძნელად თუ მახსენდება მეორე ისეთი თხზულება, სადაც მართლაც რომ ასე დიდოსტატურად, ჭეშმარიტად ვირტუოზული ლიტერატურული ხელოვნებით, და თანაც ასე მასშტაბურად, ერთმანეთთანაა შერწყმული ტრაგიკული და კომიკური; არ მეგულება სხვა ქართული წიგნი, სადაც ეს ორი ესთეტიკური განზომილება ასეთი დახვეწილობით ავსებს ურთიერთს და ასე განუყრელად თანაარსებობს.

სტატის დასაწყისში, ვსაუბრობდი რა კლასიკურ „დეკამერონთან“ მიმართებაზე, ყურადღება გავამახვილე რეზო ჭეიშვილის რომანისა და მასში შემავალი ცალკეული ავტონომიური ეპიზოდების შეუფარავად სკაბრეზულ ხასიათზეც. რა თქმა უნდა, ამ მხრივაც საქმე გვაქვს ავტორის შეგნებულ არჩევანთან, რომელსაც ერთის მხრივ უნდოდა დაეწერა თუნდაც „პოლიტიკური“, მაგრამ მაინც „დეკამერონი“ და, შესაბამისად, გარკვეული დოზით მაინც, ვერანაირად ასცდებოდა ნაწარმოების თუ მასში შემავალი ფრაგმენტების სკაბრეზულობას. მეორეს მხრივ, უნდა აღინიშ-

ნოს, რომ „კუდიან ვარსკვლავში“ სკაბრეზული განზომილება ცალსახადაა გადაჯაჭვული კომიკურთან, რასაც ნაწარმოებში გამორჩეული ხალისი და სიმსუბუქე შემოაქვს. რეზო ჭეიშვილს კარგად ესმის, რომ „კუდიანი ვარსკვლავი“, მასში გადმოცემული თავზარდამცემი ისტორიების გამო, ნებისმიერი ნორმალური ფსიქიკის ადამიანისთვის უმძიმესი წასაკითხია. სხვათაშორის, ხსენებული ფსიქოლოგიური წნეხის შეგრძნება აშკარად აღიქმება ჩემს ამ სტატიაში ხსენებულ ლიტერატურული წერილების ავტორთა როგორც ზოგად პათოსში, ისე სრულიად კონკრეტულ ფრაზებშიც, რომელთაგან ზოგიერთი ადრეც მაქვს მოყვანილი სხვა კონტექსტში. „სული ყელში გებჯინება [...]“ (მარდალეიშვილი 2000: 12), – აცხადებს, მაგალითად, ვილენ მარდალეიშვილი, „[...] შეიძლება ჭკუიდან გადაცდეს კაცი“ (გვახარია 2000: 7), – ტოლს არ უდებს ალექსანდრე გვახარიაც, რომელიც 1999 წელს გამოცემულ რეზო ჭეიშვილის წიგნზე საუბრისას, დაასრულებს რა „კუდიან ვარსკვლავზე“ მსჯელობას, შემდეგი სიტყვებით გადადის წიგნში ასევე შეტანილი ნოველების განხილვაზე: „კუდიან ვარსკვლავს“, თითქოს სულის მოსაბრუნებლად (!!! – კ.ლ.), თორმეტი ნოველა მოსდევს, მოკლე, ორ-სამგვერდიანი [...]“ (გვახარია 2000: 7). ვფიქრობ, რეზო ჭეიშვილის ამ უბრწყინვალესი ნაწარმოების კითხვის პროცესში თუ უშუალოდ წაკითხვის შემდეგ ზუსტადაც რომ პირდაპირი მნიშვნელობით „სულის მოსაბრუნებლად“ გვექნებოდა საქმე, რომ არა ჩემ მიერ უკვე ხსენებული ის ლამის უკიდევანო ხალისი და სილაღე, რაც, თუ სრულად არა, უმეტესწილად მაინც, „პოლიტდეკამერონის“ ფურცლებზე სწორედ სკაბრეზული განზომილების იშვიათი გამოვლენით და დახვეწილობით გამოყენებას ახლავს თან. ამ მხრივ ძალზე ბევრი დიდოსტატურად შესრულებული პასაჟი, ფრაგმენტი თუ ეპიზოდი შეიძლება გავიხსენოთ, რომელთაც, ალბათ, კლასიკური „დეკამერონის“ ავტორიც კი არ დაიწუნებდა. სკაბრეზული სცენები თუ, უბრალოდ, სკაბრეზული აქცენტები მეტნაკლებად რომანის მთელ ტექსტშია მიმოფანტული. ზოგი მათგანი შედარებით მსუბუქ და „უწყინარ“ ღიმილს იწვევს, მაგრამ არც თუ იშვიათად (ამ მხრივ თუნდაც „კულაკიას“ ე.წ. მაუზერის ამბავი რად ღირს!) კომიზმის ძალა და ხარისხი ისეთ ინტენსიურ ზემოქმედებას

ახდენს მკითხველზე, რომ სიცილისაგან მართლაცდა „სულის მოსაბრუნებლად“ რამდენიმე წამით მაინც წიგნის გვერდზე გადადებაც კი ხდება საჭირო.

რეზო ჭეიშვილის „პოლიტიკურ დეკამერონში“ არის ერთი, კონკრეტულად კი მეჩვიდმეტე თავი – „კრემლი. ბაბუაჩემი. ენუქიძე“, რომელიც იმ ზოგად ფონზეც კი, რის შესახებაც ახლახან ვისაუბრეთ, მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „პოლიტ-სექსურთიერთობებს“ (რომანში გაჟღერებული ეს გონებამახვილური ტერმინიც რეზო ჭეიშვილის მიგნება უნდა იყოს). ძირითადი მთხრობელის (ანუ იგივე ონჭეიშელის) ბაბუა, სახელად ვლადიმერი, თურმე დიდი ხნის მანძილზე კრემლში საქმიანობდა ამა თუ იმ სამეურნეო პოზიციაზე და არცთუ მთლად ყურმოკრულად იცის იქაური „დაუჯერებელი“ ამბებიც. ონჭეიშელი, ერთის მხრივ, ხელშესახებად გადმოგვცემს ბაბუამისის პლასტიკურ და ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მეორეს მხრივ, მკითხველსაც „დაწვრილებით“ გვიზიარებს მისთვის, როგორც შვილიშვილისთვის, იმავე ვლადიმერ ბაბუას „მონათხრობს“, რომელშიც, ალბათ, უამრავი ჭორი და სიმართლეა არეული: „მართალი თუ გინდათ, იქ... – ქუთაისიდან ცერით მხარუკულმა მიათითებდა და [...] სადღაც ბალახვანში თუ ეგონა უკვე კრემლი. – იქ, ვისი ის ვის იმაში იყო, ვერ გაიგებდი... ასე იყო: ნადია [სტალინის ცოლი – კ.ლ.] მოლოტოვის ცოლზე პოლინაზე ეჭვიანობდა, სტალინი – ბუხარინზე და ნადიას სიკვდილის მერე ენუქიძეს ვეღარ იტანდა... ვოროშილოვმა ოდესელი ესერი, ტერორისტკა გოლდა გორბანი მოიყვანა და რაღაც უკურნებელი შეჰყარა კაზაკი ქალებისაგან წამოღებული; გააქრისტიანა და გააბერწა კიდევაც, თუმცა ვოროშილოვამდე ვინ არ გადიოდა ზედ. ბაბუაჩემი, შენი ბაბუის ბაბუა, ბლალოჩინი მიქელა ნატაციებს მივითხავდა მორალზე... მისი კანონები იქ (ცერით მხარუკულმა) არ მოქმედებდა, იქ (ორთავ ხელის მტევნები თითებით დაბლა ორ ლაჯსშუა) ეს იყო მთავარი, იმაზე ტრიალებდა ყველაფერი. რა კუჭზე? კუჭიც, თქმა არ უნდა და მაინც ხურუში და პოლიტიკა... ასე იყო, ხვდები ახლა, ასე იქნება მარად... ლენინი ხომ ქალებმა დაღუპეს... აბა კაპლანის ქალი ვინ იყო? მე ვესროლე თუ ფანი კაპლანმა?! ეჭვიანობის ნიადაგზე ესროლა, ინესა არმანდში რავა გამცვალეო...

რატომ გადაუხვიე ჩვენი ლინიდანო, დაუძახა ყასიდად. [...] სერგია კიროვი გათახსირებული კაცი იყო, ბალერინები ყავდა იმ მათხოვარს დაბმული მოსკოვში და პეტერბურგში. საპატიო სტუმრები სანადიროდ დაყავდა, ნადირზე და ბოზებზე პატიყებდა. [...] კიროვი ნიკოლაევის ცოლს მილდა დრაულეს ადებდა... ცოლი საკუთარი როგორ არ ყავდა, იმას ვინ მიეკარებოდა, ქვაზე დახატულ ეშმაკს ჰგავდა, კაცი ყველაფერში კი არ გეიმტყუნება... ცოლი სახლში, საყვარელი სამსახურში, ერთის დედა იქ მოგ-ყან, მეორესი იქ. ის მილდა მაინც ნამეტანი ავხორცი იყო, – სმოლნის ბუფეტის ოფიცინტი. ნიკოლაევი, ქმარი მილდასი, სერგია კიროვზე ეჭვიანობდა, გეგონებოდა კიროვის მეტი არ მიკარებოდა არავინ მის ცოლს. სულელი იყო ნახევრად... [...]“ (ჭეიშვილი 1999: 145). ამ უკვე, თავისთავად ერთგვარ მინი – „პოლიტდეკამერონში“, რასაც თხზულების ხსენებული მეჩვიდმეტე თავი წარმოადგენს, ყურადღების მიღმა არც სტალინის ოჯახი და თავად „დიდი ბელადის“ სავარაუდო თუ დადასტურებული პოლიტიკურ-ეროტიკული თავგადასავლები დარჩენილა, მაგრამ ამ მიმართულებით, გამოდის, ძირითადად მაინც თავად ავტორ-ნარატორს მოუმიებია ცნობები (აკი მიმართავს ვლადიმერ ონჭეიშელს: „[...] ბაბუაჲ ჩემო, მარტო შენს იმედზეც ვერ დავრჩები“-ო (ჭეიშვილი 1999: 146)). თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, შვილიშვილისეული ნარატივისათვის ტონის მიმცემადაც კი მაინც ბაბუა იკვეთება, რომლის „თვალთახედვა“ განმსჭვალავს თხზულების ამ ნაწილში თითქმის ყველა ისტორიასა თუ მონათხრობს. თავად ონჭეიშელი კი ასე ახასიათებს ბაბუამისის „მსოფლმხედველობას“: „შინაგანი სექსუალური ენერგია, ლტოლვა მამრისა საპირისპირო სქესისაკენ, სხვადასხვა, დადებითი და უარყოფითი, იმპულსების ჯახი აძლევს ბიძგს მოძრაობას და ბიძგებით მიდის სამყარო წინ, წინ, წინ! – დასასრულისაკენ, ხელახალი აფეთქებისა და გაღვიძების მოლოდინისაკენ. დაახლოებით ამდაგვარ დასკვნას, რასაკვირველია, სხვა სიტყვებით, აკეთებდა ბაბუა ჩემი ყოველივე ზემოთქმულიდან, რაიც იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკურ-მატერიალისტული დიალექტიკის სრულ იგნორირებაზე იყო დაფუძნებული...“ (ჭეიშვილი 1999: 146).

ვფიქრობ, ამ კონტექსტში კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ რეზო კვესელავას შეფასებასაც, რომელიც, ერთის მხრივ, ყოველ შემთხვევაში ასე გამოუდის, ცალსახად აიგივებს „კუდიანი ვარსკვლავის“ ავტორსა და მთავარ მთხრობელს (რაც პირადად ჩემთვის, აქამდეც მითქვამს, ასე ცალსახა მაინც არ არის), მაგრამ, მეორეს მხრივ, მთლიანობაში, საკმაოდ მართებულად ახასიათებს ბაბუა-შვილიშვილ ონჭეიშელების დამოკიდებულებას პანსექსუალისტური განწყობების მიმართ: „ბაბუა ვლადიმირი სტიქიური ფროიდისტია. შვილიშვილი კი კრიტიკულად არის განწყობილი ფროიდის მიმართ. და მაინც, ნებსით თუ უნებლიეთ, იზიარებს ფროიდის პანსექსუალიზმს. მან ორმეტრნახევრიანი ფალოსის სიმბოლიკა რომანის სტრუქტურის ელემენტად აქცია. და, არაპირდაპირ, რომანს «პოლიტიკური დეკამერონი» უწოდა. ესეც სტილია“ (კვესელევა 2001: 7), – აცხადებს კრიტიკოსი.

რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავი“ იმ კატეგორიისა და მხატვრული ღირსებების მქონე წიგნია, რომელზეც ძალზე ხანგრძლივად შეიძლება საუბარი. ალბათ, არც ისაა გასაკვირი, რომ კრიტიკოსსა და ლიტერატურის ისტორიკოსს პერიოდულად გიჩნდება ხოლმე სურვილი კვლავ და კვლავ დაუბრუნდე ამ უზრწყინვალესი თხზულების ანალიზს, შეხედო მას განსხვავებული კუთხით თუ განსხვავებული ქრონოლოგიური პერსპექტივიდან. ბევრი რამ უკვე დღეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ეს წიგნი დროს აუცილებლად გაუძლებს. ამის თქმის საშუალებას მამლევს ის გარემოება, რომ აგერ უკვე ოც წელზე მეტია მისი ე.წ. ვრცელი ვარიანტის გამოსვლიდან და ამ ათწლეულებში, ბუნებრივია, არაერთმა პუბლიცისტური ჟღერადობის საკითხმა, რაც მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ აქტუალური იყო, მნიშვნელოვნად დაკარგა თავისი სიმწვავე და აქტუალობა; ამისდა მიუხედავად, „კუდიანი ვარსკვლავი“ მაინც ისეთივე ცოცხალ და მიმზიდველ ლიტერატურულ ტექსტად დარჩა, როგორც იყო მაშინ, როცა 1999 წელს სრული სახით გამოქვეყნდა და შესაბამისი გამოხმაურებაც გამოიწვია. ეს არის წიგნი სამყაროსა და ადამიანის რაობაზე, წარმავლობასა და მარადიულობაზე, წიგნი მართლაც რომ უნივერსალურ, ზედროულ ღირებულებებზე. ჩინებულად წერს „კუდიან ვარსკვლავთან“ დაკავშირებით რეზო კვესელავა:

„რას ამტკიცებს მწერალი? რისი დამტკიცება შეუძლია მწერალს თუ არა საკუთარი მხატვრული შესაძლებლობებისა, მაგრამ თუ მაინც აუცილებელია რაიმეს მტკიცება, ალბათ, იმისა, რომ ძნელია ადამიანად ყოფნა ადამიანებს შორის“ (კვესელავა 2001: 6).

დიახ, როგორც ჩანს ჭეშმარიტმა ლიტერატურამ, დრო და დრო მაინც, აუცილებელად უნდა გვიმტკიცოს თუ შეგვახსენოს ეს ადამიანთა შორის ადამიანად ყოფნის სიძნელე. და როდესაც დიდი მწერლები ამას მართლაც და დიდოსტატურად ახერხებენ, მკითხველებსაც ბუნებრივად გვიჩნდება მათ მიმართ მაღლიერების გულწრფელი გრძნობა. ამიტომაც, არ მიკვირს, „კუდიანი ვარსკვლავზე“ დაწერილ ზოგიერთ წერილში, უდაოდ საინტერესო ლიტერატურულ ანალიზთან ერთად, სამადლობელი სიტყვებიც სრულიად შეუფარავად რომ არის გადმოცემული. ასე მაგალითად, რეზო კვესელავა თავის პუბლიკაციას შემდეგნაირად ასრულებს: „კუდიანი ვარსკვლავით“ მწერალმა შეძლო ჩვენი თაობის სევდისა და სიხარულისათვის წარმავლობა აეცილებინა, რისთვისაც მივმართავთ მას: გმადლობთ!“ (კვესელავა 2001: 7); ალექსანდრე გვახარია კი ჯერ ჭეიშვილის სხვა თხზულებათა ფინალებს ადარებს „კუდიანი ვარსკვლავის“ ფინალს, ხოლო შემდეგ ისიც არ იშურებს მაღლიერების სიტყვებს: „[...] რომანის უკანასკნელმა სიტყვებმა მომაგონეს რეზო ჭეიშვილის სხვა ნოველათა თუ რომანთა სევდიანი, პოეტურად ლამაზი და ამაღლებული, მაგრამ მორცხვად და მორიდებით შეკუმშული ფინალები: [...] ეს წერილი მეც მაღლობის სათქმელად დავწერე როგორც მკითხველმა და არა კრიტიკოსმა [...]. მინდა გამოვხატო მაღლიერების გრძნობა დიდი სიამოვნებისათვის, რაც რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავის“ წაკითხვამ მომგვარა“ (გვახარია 2000: 7). ჩემი სტატიის ბოლოს, მეც მთელი გულით მინდა შევუერთდე კოლეგების მხრიდან გამოხატული მაღლიერების ამ განსაკუთრებულ განწყობას და კიდევ ერთხელ გამოვხატო გულწრფელი აღტაცება თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის იმ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ნაწარმოების მიმართ, რომელსაც რეზო ჭეიშვილის რომანი „კუდიანი ვარსკვლავი (პოლიტიკური დეკამერონი)“ ეწოდება.

დამოწმებანი:

ამირხანაშვილი 2003: ამირხანაშვილი ი. *ტკივილის დიალექტიკა*. თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2003.

გვახარია 2000: გვახარია ალ. „რეზო ჭეიშვილის ახალი წიგნი“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 22-28 სექტემბერი, 2000.

კვესელავა 2001: კვესელავა რ. „მწერალი ბევრია, მხატვარი ცოტა“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 13-19 აპრილი, 2001.

ლორია 2005: ლორია კ. *მოწოდებაც და მოვალეობაც. რეზო ჭეიშვილის შემოქმედება*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

მარდალეიშვილი 2000: მარდალეიშვილი ვ. „მეგობრების ნაჩუქარი წიგნები“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 დეკემბერი, 2000.

ჭეიშვილი 1992: ჭეიშვილი რ. *კუდიანი ვარსკვლავი*. ჟურნ. ცისკარი, №12, 1992.

ჭეიშვილი 1999: ჭეიშვილი რ. *კუდიანი ვარსკვლავი. ნოველები. ყაჩაღები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1999.

Salome Lomouri

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The meaning of poetry in the time of a pandemic

Summary

The coronavirus pandemic has completely changed the way we live, putting people face to face with the fear of death and isolation. Naturally, such a radical change has been reflected in modern literature. However, in the poems of Georgian poets, the fear of being alone prevails over the fear of death. Nino Naskidashvili and Batu Danelia talk about the isolation that has become a way of life during the pandemic. Meanwhile, Yaki Kabe uses lockdown periods for self-reflection.

For modern poets, death is perceived as a secondary phenomenon; it is not brought to the fore with such tension, as we see in Lado Asatiani's poetry. His poems are saturated with a thirst for life, youthful energy,

and the tragedy of a person facing death. Of particular interest is not only what the poets say but also the meter, stanza, and rhythms used by them to convey their message.

Key words: Pandemic verses, Nino Naskidashvili, Batu Danelia, Yaki Kabe; Lado Asatiani.

სალომე ლომოური

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოეზიის საზრისი პანდემიის ფონზე

კორონავირუსის პანდემიამ სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი და ადამიანები სიკვდილისა და იზოლაციის პირისპირ დააყენა. ბუნებრივია, ამგვარი რადიკალური ცვლილება თანამედროვე ლიტერატურაშიც აისახა. ქართველი პოეტები ინდივიდუალური ხედვით გადმოგვცემენ შექმნილი ვითარებით გამოწვეულ განცდებს. პანდემიის თემაზე დაწერილმა ლექსებმა გამოხმაურება უკვე ლიტერატურულ კრიტიკაშიც პოვა. სონია ქართველიშვილი წერილში – „პანდემიის რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართულ პოეზიაში“ მიმოიხილავს ბესიკ ხარანაულის, ვახტანგ ჯავახიძის, ზეინაზ სარიასა და სხვა ავტორთა ლექსებს.

საინტერესოა, რომ ამ ტექსტებში სიკვდილის შიშს მართოდ დარჩენის, გაუცხოების შიში სჭარბობს. ნინო ნასყიდაშვილი ვერლიბრში „ჩვენი დრო პანდემიამდე“ საუბრობს გაუფასურებულ დროზე, იზოლაციაში დაკარგულ დღეებზე:

დრო აჩქარდა, სივრცე დავიწროვდა...

თითქოს უსასრულოდ ვკვეთთ ნულოვან მერიდიანს და
დღეებს ვკარგავთ...

ცხოვრება გადის ძილსა და სიჩქარეში.

(ნასყიდაშვილი 2021: 8)

პოეტს მძაფრად განიცდის ოთხკედელშუა გამოკეტილი ადამიანის სიმართლევს, მიუსაფრობას:

დრო მიდის
და ჩვენ კი მშვიდად ვირინდებით
ბეტონის ხილვებში,
...ხელს ვართმევთ აივნებს (და არა მეზობლებს).
(ნასყიდაშვილი 2021: 8)

ადამიანები მხოლოდ სოციალური ქსელების სტატუსებით ეკონტაქტებიან ერთმანეთს და ამოდ ცდილობენ მოკლე ფრაზებში ყოფის დრამატიზმი (თავიანთი გრძნობების ნაცვლად) ჩაატონ. მონოტონურობაში დრო სწრა-ფად გადის და არაფერი იცვლება, ყოველი დღე წინანდელს ჰგავს. ოთახებში გამოკეტილი ხალხი „კედლებივით შემდება“.

აუცილებლობით ვხვდებით ერთმანეთს კუთხეებში,
ვართმევთ ხელს,
ვუცვლით ღიმილს და ცარიელ სიტყვებს,
სიტყვებს, რომლებსაც
დაეკარგათ გამარჯვების სურვილი და ენერგეტიკა...
(ნასყიდაშვილი 2021: 8)

ხალხმა თითქოს იმედიც დაკარგა და აღარ სჯერა, რომ მომ-დევნო დღე უკეთესობას მოიტანს. „და სადღაც ხრიოკში ფარ-თხალებს წყურვილი/ ლაყუჩახეული...“ – ამბობს პოეტი და ამ სტრიქონებში ისახება ის სასოწარკვეთა, ადამიანები რომ მოუცავს.

ყურადღებას იქცევს ლექსში გამოყენებული მხატვრული ხერხები. ხშირია გამეორებები, რომლებიც სტრიქონებს მეტ სიღრმეს ჰმატებს. ერთ მონაკვეთში უ – პრეფიქსის გამოყენებით ნასყიდაშვილი ოსტატურად ქმნის უყველავრობის განცდას – თითქოს ადამიანებმა ყოველგვარი სულიერი ღირებულება და სიამოვნება დაკარგეს: „უდროოდ, უსივრცოდ/ უფიქროდ, უსიღ-რმოდ/ უგრძნობოდ...“ დაჩენილები ცდილობენ ოცნება მაინც შეინარჩუნონ, მაგრამ რუტინას, ქალაქის კარკასებს თავს ვერ აღწევენ.

ნინო ნასყიდაშვილის „***დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ შეპირისპირებებზეა აგებული. ერთი შეხედვით, ლექსი ოპტიმისტურად იწყება – გაზაფხული ხომ განახლების, ახალი სიცოცხლის აფეთქების პერიოდია – მაგრამ მეორე ტაეპიდან განწყობა მძიმდება:

დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
გაზაფხულს მიღმა – სიჩუმის სევდა,
და შავი შიშის არშით ქარგავს მოლოდინები
ქუჩებს,
ეზოებს,
სახლებს,
გალაენებს...
(ნასყიდაშვილი 2021: 8)

უხილავი მტრისთვის ბარიერები არ არსებობს. მას ვერ აჩერებს ვერც გალაენები, ვერც ჯებირები. ბუნების ზეიმის ფონზე ადამიანთა ტრაგედია კიდევ უფრო მტკივნეულია. „ნიღბებს მიღმა – სახეების გაურკვეველობა/ დაღმეჭილდომილნარევი გვიმზერს/ დაღლილი მზერით“. განსაკუთრებით ხშირად მეორდება სიტყვა „დაღლილი“ – დაღლილობა უკვე ყველაფერს მსჭვალავს – სივრცის სიცარიელესაც კი („დაღლილობისგან ვერ იძინებს სივრცის/ სიცარიელე“).

ლექსში ყურადღებას იქცევს ალიტერაციები. თვალშისაცემია შ-ბგერის გამეორებით აგებული პასაჟები, რომლებიც მკითხველის გონებაში „შიშს“ ასოციაციურად წინა პლანზე წამოსწევს და ლექსის მამოძრავებელ ემოციად აქცევს:

შეფერფლილი შავი შაშვებით,
შაშვებივით ფრთხილა შფოთვებით,
შფოთვებივით მოჭახჭახე ვარსკვლავებით,
რომლებიც უკვე აღარავის ჰგონია მარადიული...
(ნასყიდაშვილი 2021: 8)

თანხმოვნებით დატვირთულ მჟღერ სტრიქონებს ხშირად მოსდევს რბილი, მსუბუქი გადასვლები. ლექსში ერთმანეთს ერწყმის იმედი და განწირულობა. გაზაფხული ადამიანებს აბედვინებს იმედებს, თხოვნას, ლოცვას... მაგრამ ამავდროულად, თუ ამისდა მიუხედავად, „დაგმანულია სახლი,/ კარი,/ ეზო,/ სარკმელი“ და მკითხველს მიუსაფრობისა და მარტოსულობის განცდა იპყრობს. განსაკუთრებით მძაფრადაა გამოხატული კონტრასტი გა-

მოდვიძებულ ბუნებასა და გაყუჩებულ საზოგადოებას შორის. თუმცა წინა ლექსისგან განსხვავებით, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ იმედიან ნოტაზე სრულდება – „დარაბებს მიღმა/ მანც/ ისევ/ ლაღად/ მსუბუქად/ და უნიღბოდ/ სუნთქავს იმედი...“ (ნასყიდაშვილი 2020: 8).

ლექსში „**დაცარიელდა ქუჩები“ გაზაფხულის მიერ მოტანილი განახლების განცდა სხვაგვარ რეფლექსიას პოვებს. აქ უკვე ერთმანეთს უპირისპირდებიან დედამიწა და ადამიანები. ლექსი ისევ გამეორებებსა და ალიტერაციებზეა აგებული. შ – ბგერა, რომელიც, როგორც ვთქვით, შიშის ასოციაციას იწვევს, ისევ დომინირებს.

დაცარიელდა ქუჩები,
დაცარიელდა მოედნები,
დაცარიელდა რესტორნები,
დაცარიელდა კაფეები,
დაცარიელდა,
დაცარიელდა,
დაცარიელდა...
შიშმა შეაშფოთა,
შიშმა შეაჟრჟოლა,
შეამცივნა, შეაცხელა,
შიშმა შემშუმნა, შეყუჟა, შეფუთა,
დასაბურდარა

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი....

(ნასყიდაშვილი 2021: 8)

მაგრამ ადამიანებისგან განსხვავებით, „ცარიელმა ქუჩებმა იგრძნეს სიმსუბუქე“ და შვება. „თითქოს ჭრილობები უშუშდება დიად დედამიწას“. ბუნება, ხალხისგან შეწუხებული, გულგადახსნილი, ისვენებს და ძალებს იკრებს. პარადოქსულია ლექსის დასასრული: „უკვირს დედამიწას: „კლანჭებს აგონიის/ როგორ გამოვეხსენ?!/ ალბათ ჩემი ლოცვა ღმერთმა შეისმინა...“. მაგრამ მას, რაც დედამიწისთვის შვების მომგვრელია, ადამიანთათვის სიკვდილი მოაქვს.

საგულისხმოა, რომ ნინო ნასყიდაშვილი პანდემიის თემაზე დაწერილი ლექსების ფორმად ვერლიბრს არჩევს, რომელიც გაცილებით კარგად შეეფერება დისჰარმონიულ ყოფას. ი. გომართელის მიხედვით, თავისუფალი ლექსი (ანუ ვერლიბრი), რითმისა და მეტრის სანაცვლოდ, შინაგან სიძლიერეს მოითხოვს (ხინთიბიძე 2000: 60). ნ. ნასყიდაშვილის ამ ლექსების საზრისი დრამატიზმითა და საშინელი წინათგრძნობითაა აღსავსე და მკითხველამდე ღრმა ემოციები მოაქვს.

პანდემიის პირობებში ცხოვრების წესად ქცეულ იზოლაციაზე გვესაუბრება ბათუ დანელიაც. პოეტი მძაფრად შეგვაგრძნობინებს გაუცხოებული, საზოგადოებას მოწყვეტილი ადამიანის სიმარტოვეს, მის მოუთმენლობას, რომ ამ სიტუაციას თავი დააღწიოს:

სახლში დარჩიო! – ვრჩები და ვრჩები
და დავემგვანე მოთმენის სამოსს
თვალები, თითქოს, გამიხდნენ ჭები,
რისგანაც წყალი ამოსვლას ღამობს.
(დანელია 2020)

ეს კანონიკური ლექსი – „კარანტინი“ ათმარცვლიანი იზოსილაბური სიმეტრიული საზომით არის დაწერილი (5/5). რითმა ჯვარედინია – abab. მეორე და მესამე სტროფებში მეორდება მესამე სტრიქონი – „ხვალ, შეიძლება, მესტუმრონ სახლში...“ ეს ფრაზა მოლოდინს, იმედს ქმნის, მაგრამ პოეტი ადამიანების სტუმრობის ნაცვლად ეზოს, ქუჩის, ნაცნობი ხეების სტუმრობას ელის, რაც მის სიმარტოვეს უფრო მეტად უსვამს ხაზს. ადამიანებისგან დაცლილ ქალაქში ქუჩა, ეზო და ხეები პიროვნებები ხდებიან და ახლობლებსა თუ ნაცნობებს ანაცვლებენ.

„მარტო ვიყავ და უფრო მარტოსულს/ მხდის ეს კორონა და პანდემია“ – ჩივის პოეტი ლექსში „გულისწვა კორონობისას“, რომელიც ასევე ათმარცვლიანი იზოსილაბური (5/5) საზომითა და ჯვარედინი abab რითმით არის დაწერილი. გვაქვს რ, ს, ტ – ბგერათა ალიტერაცია, რომლებიც ასოციაციურად სიტყვა „მარტო“-ს უკავშირდება.

ლექსში „პანდემია და შეყვარებული“ შესამჩნევია ლირიკული გმირის ამბოხი ამ იძულებითი განმარტოების წინააღმდეგ. ის

მზად არის სიყვარულის სახელით კორონას რიდიც გადალახოს. ლოდინისგან დაღლილი და იმედგადაწურული, რომ ხსნა ჩვენამდე მოაღწევს, შემართებით აცხადებს:

რახან არსებობას არ აქვს სხვაფინიში,
მხსნელმაც აქამომდე რომ ვერ მოაღწია –
ხვალ შენ პაემანი უნდა დაგინიშნო,
უნდა დავარღვიო ეს იზოლაცია!
(დანელია 2020)

ლექსის ტონი ამჯერად ომახიანი და ოპტიმისტურია. ბათუ დანელია ათმარცვლიანის ნაცვლად 12-მარცვლიან 6/6 სიმეტრიულ საზომს მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ თუმცა ქართველი პოეტები მწვავედ განიცდიან ახლობლებისგან, და საზოგადოებისგან მოწყვეტას, მათთვის კარზე მომდგარი სიკვდილისაგან გამოწვეული ტერორი მეორეულია. რა თქმა უნდა, არსებობს შიში, მაგრამ ეს უფრო იზოლაციის შიშია. თავს მოტრიალე სიკვდილის განცდა კი ისეთი სიმდაფრით არ არის წინა ფონზე წამოწეული, როგორც, მაგალითად, ლადო ასათიანის შემოქმედებაში ვხვდებით.

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!
ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,
თვალს მარიდებენ ქალიშვილები!“
(ასათიანი 1988: 71)

– აცხადებს პოეტი. მიუხედავად იმისა, რომ დაავადება მასზე ძლიერი ჩანს, ლირკულ გმირს დანებება აზრადაც არ მოსდის. ლექსში ჭლეტი გაპიროვნებულია და ხორცშესხმულ მოწინააღმდეგედ იქცევა, რომელსაც დამარცხება უწერია, თუ ახლა არა, მომავალში მაინც.

მსგავსი თემატიკის ლექსში „აბასთუმანი“ სანატორიუმში მყოფი პოეტის ფიქრებია გადმოცემული.

აბასთუმანი – ხაბაზთუმანი...
მზემ ფანჯრებიდან შემოანათა.
ჩემი საწოლი და სასთუმალი,
ჩემი პალატა, თეთრი პალატა.
(ასათიანი 1988: 72)

პირველ სტროფში მზე და თეთრი ფერი სასთუმალსა და პალატას უპირისპირდება, რომლებიც ავადმყოფობის ასოციაციას იწვევენ. ლირიკული გმირი მისი „სიმღერის ეშხით მიმქრალ ქერათმიან ექიმ ქალს“ მოიხსენიებს, რაც მხიარულების ილუზიას ქმნის; თუმცა ამაღლებულ ტონს მალე ისევ სევდიანი განწყობა ენაცვლება: „წევხარ, ოცნებობ და გენატრება,/ ოდაში რომ დგას, ის ხის საწოლი“.

ლექსი ათმარცვლიანი სიმეტრიული იზოსილაბური საზომით 5/5 არის დაწერილი. პოეტი კატრენებს შორის ორ ორტაეპედს ურთავს. რითმა კატრენებში ჯვარედინია.

ტუბერკულოზით დაავადებული ლადო ასათიანის ეს ლექსები ერთდროულად სიცოცხლის წყურვილით, ახალგაზრდული ენერგიითა და სიკვდილის პირისპირ მდგომი ადამიანის ტრაგიზმით არის გაჯერებული. აღსანიშნავია პოეტის კიდევ ერთი ლექსი – „წარწერა ერთი სამარის ქვისა“.

ჰეი, შენ, დიდი მომავლის ლანდო,
ლაჟვარდებიდან რომ იყურები,
ეს ჩემი სენი თუ დაგემართოს,
ამაზრზენი და განუკურნელი,
თუ მეცნიერის გონების ღონემ
უმაღლ განკურნოს ჭლეკით სნეული,
მაშინ მომნახე და მომიგონე,
სამარადისოდ მიწად ქცეული!
(ასათიანი 1988: 79)

ლექსი 1941 წლით თარიღდება. ლირიკული გმირი ფარ-ხმალს არ ყრის, თუმცა იცის, რომ მისი ბრძოლა ამაოა და მალე დასრულდება. მიუხედავად ამისა, ის ინარჩუნებს ოპტიმიზმს, იმედს, რომ სიცოცხლე გაგრძელდება და იზეიმებს.

ლადო ასათიანისგან განსხვავებით, რომლისთვისაც, როგორც ვთქვით, სიკვდილი გარდაუვალი და თანმდევი იყო, თანამედროვე პოეტებისთვის ის შესაძლებელ ალბათობად რჩება. უფრო რეალურია მარტოობა, რომელიც ხალხს ვირტუალური ურთიერთობების გაღრმავებისკენ უბიძგებს.

კორონავირუსის გამო სახლებში იძულებით გამოკეტილ ადამიანებს ფიქრისთვის მეტი დრო რჩებათ. ზოგი პოეტი იზოლაციისას გამოთავისუფლებულ დროს თვითრეფლექსიისთვის იყენებს. იაკი კაბეს (ირაკლი კაკაბაძის) ახალმა კრებულმა „ამაღლების ქუჩა“, რომელიც პანდემიის დროს დაწერილ ტანკებსა და ჰაიკუებს აერთიანებს, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. პოეტი ამ ლექსებში მონატრებულ თბილისსა და ადამიანებთან ერთად, საკუთარი თავის ძიების პროცესზეც გვესაუბრება. თუმცა არსად ახსენებს უშუალოდ პანდემიას ან კოვიდს.

მიუხედავად ამისა, იაკი კაბეს ერთი ლექსი – „არამიანცის საავადმყოფოში“ პანდემიის დროს საავადმყოფოებსა თუ სახლებში გამოკეტილ ადამიანთა განცდებს კარგად ეხმაურება:

მტვერივით, თეთრი, სქელი მტვერივით,
დუმილი აწევს საწოლებს, რაფებს,
ფანჯრიდან უცქერ აპრილის ხეებს,
ფანჯრიდან ეტრფი აპრილის მწვანეს.
და შენ არ იცი, როდემდე შეძლებ,
და შენ არ იცი, როდემდე გაძლებ,
ასე დუმილში, ასე ეულად,
შენ კედლებში,
და აპრილი გარეთ...

(იაკი კაბე 2020)

აქაც, ისევე როგორც ნინო ნასყიდაშვილის ლექსში „***დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, განახლების, სიცოცხლის მომტანი ჟამი დაპირისპირებულია იმ პერიოდთან, როცა ადამიანთა სამყარო გარინდებულია სიკვდილის შიშის წინაშე. და ეს დუმილი, რომელსაც საზოგადოება და ადამიანთა ყოფა მოუტყავს, შემზარავია, რადგან უსიცოცხლობის მეუფებას მოასწავებს. ცხოვრების ტემპი

შენელებულია და აქტიურობის ნაცვლად, ხალხი მაყურებელის როლში დარჩენას არჩევს.

ლექსში გამოყენებული გამეორება, როგორც პოეტიკური ფიგურა, კიდევ უფრო ექსპრესიულად გამოხატავს ლირიკული გმირის სასოწარკვეთას. მოთმინების ფიალა ავსებულია და პოეტმა არ იცის, ასეთ არსებობას როდემდე შეეგუება.

კორონავირუსმა მართლაც რადიკალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრება და ლამის შორეულ წარსულად აქცია უახლოესი აწმყო. როგორც ვნახეთ, ეს ცვლილებები და მათგან გამოწვეული ემოციები აისახა განსხვავებული ხმის მქონე ქართველ პოეტთა შემოქმედებაში (როგორც კანონიკურ, ასევე, ვერლიბრსა და უცხოური სალექსო ფორმით შესრულებულ ტექსტებში). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პოეტთა ლექსებში დომინანტური როლი გაუცხოებულ ადამიანთა ტრაგიზმსა და საზოგადოებაში გამეფებულ შიშის უჭირავს, პანდემიის ფონ-ზე პოეზიის საზრისად მაინც რჩება სიცოცხლის აპოლოგია და სიკვდილზე, იზოლაციაზე გამარჯვების სურვილი.

დამოწმებანი:

ასათიანი 1988: ასათიანი ლ. რჩეული. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988 .

დანელია 2020: დანელია ბ. „კარანტინი“ და სხვა ლექსები. მის.: <http://belachek-urishvili.ge/index.php?do=full&id=1737> <https://www.facebook.com/batu.danelia.1/posts/952350188556059>

იაკი კაბე 2020: კაკაბაძე ი. *ამაღლების ქუჩა*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2020.

ნასყიდაშვილი 2020: ნასყიდაშვილი ნ. „ჩვენი დრო პანდემიამდე“ და სხვა ლექსები“. *ლიტერატურული გაზეთი*, N10 (290), 2-8 ივლისი, 2021.

ხინთიბიძე 2000: ხინთიბიძე ავ. ქართული ლექსმცოდნეობა. თბილისი: 2000.

Tatia Oboladze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“Syphilization” and Symbolism (Charles Baudelaire)

Summary

19th Century Paris - The Center of the World Culture - due to its bohemian lifestyle and sexual experiments also faced the challenge of a venereal disease - syphilis .

Syphilis, naturally, was also reflected in the literature and connected with the central concepts of symbolist aesthetics - city-megapolis, drugs, bohemia.

The purpose of our article is to explore the French Symbolist tradition, in particular, the form and character of the syphilis theme in the works of Charles Baudelaire.

Key words: Syphilis, Charles Baudelaire, Femme fatal, Symbolism, The Flowers of Evil,

თათია ობოლაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„სიფილიზაცია“ და სიმბოლიზმი (შარლ ბოდლერი)

სიფილისმა, ნებისმიერი სხვა ეპიდემიის მსგავსად, შეძრა კაცობრიობა და მსოფლიოში დიდი შიში, უიმედობა დანერგა. სიფილისი, სექსობრივი გზით გადამდები ბაქტერიული ინფექცია, ფიზიკურ ტკივილთან ერთად ემოციურ-მენტალური ტანჯვის მიზეზად იქცა, ვინაიდან ინფექცია გარკვეულ სტადიაზე აზიანებს ნერვიულ სისტემას და სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობას იწვევს.

ჩვენი მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ისტორიული კონტექსტი, თუ როდის და რა ფორმით ჩნდება სიფილისი მხატვრულ ტექსტებში, ძირითად ყურადღებას კი გავამახვილებთ შარლ ბოდლერის შემოქმედებაში სიფილისის რეფლექსიაზე, როგორ გამოვლინდა, რა შინაარსი შეიძინა, მისი შემოქმედების რომელ ცენტრალურ კონცეპტებს დაუკავშირდა.

სიფილისის ინფექცია ევროპაში ოფიციალურად მე-15 საუკუნეიდან ფიქსირდება. მას მრავალი განსხვავებული სახელით მოიხსენიებდნენ, საფრანგეთში განსაკუთრებულად სწრაფი გავრცელების გამო, ხშირად „ფრანგულ დაავადებასაც“ უწოდებდნენ (კოსი 2007). არსებობს არაერთი თეორია როგორც ინფექციის წარმოშობის შესახებ, ისე მრავალი, ძირითადად მორალისტური ინტერპრეტაცია, თუ რატომ აღმოჩნდა ევროპა ამ დიდი განსაცდელის წინაშე.

ევროპის კონტინენტზე დაავადების გამოჩენის ყველაზე გავრცელებული თეორია უკავშირდება ქრისტეფორე კოლუმბის სახელს. ახალი სამყაროდან დაბრუნებულმა მეზღვაურებმა (1493 წლიდან) ჩამოიტანეს ახალი ცოდნა, ჩამოიყვანეს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ადამიანები, რომლებიც იყვნენ სიფილისის მატარებელი. ესპანურ ქრონიკებში დაცული ცნობების მიხედვით ბარსელონაში ჩამოსული კოლუმბის მეზღვაურები იტანჯებოდნენ საშინელი დაავადებით, რაც ზუსტად შეესაბამება სიფილისის აღწერას (რენდელი 1999:16). საომარმა მოქმედებებმა, ჰიგიენის საეჭვო სტანდარტმა, სიღარიბემ, დაავადების სპეციფიკამ (იგულისხმება, რომ საწყის ეტაპზე ინფექციის ნიშნები ზოგჯერ დროებით ქრება) ხელი შეუწყო და დააჩქარა ევროპაში სიფილისის უკონტროლო გავრცელებას.

მართალია, სიფილისი სხვა ეპიდემიებისგან – შავი ჭირი, ქოლერა და სხვა. სიკვდილიანობის მაჩვენებლით განსხვავდებოდა, უფრო დაბალი სიკვდილიანობის დონე ჰქონდა, თუმცა დიდი კვალი დატოვა დასავლური ცივილიზაციის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეცვალა სააზროვნო და მსოფლმხედველობრივი პარადიგმა. სიფილისი ევროპისთვის პირველი ვენერული დაავადება იყო. ბუნებრივია, ეს დიდი მოვლენა თავისებურად აისახა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. რენდელის მართებუ-

ლი შენიშვნით, შავი ჭირის შემდეგ სიფილისის არის ერთადერთი ეპიდემია, რომელმაც ამ მასშტაბის სახელოვნებო უკუკავშირი გამოიწვია (რენდელი 1999: 12). სიფილისის ბუმი ტექსტებში ქრება მე-20 საუკუნეში, რასაც ლოგიკური ახსნა აქვს. პენიცილინის გამოგონებით უკვე 1930 იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა სიფილისის მკურნალობა. დაავადებას ყველა მისტიკური შინაარსი გამოეცალა.

საინტერესოა მხატვრულ ტექსტებში სიფილისის რეფლექსია. სამეცნიერო ლიტერატურაში (ლესა რენდელი, ლეონარდ კოსი და სხვ.) მართებულად არის შენიშნული, რომ შავი ჭირისგან განსხვავებით, სიფილისი ლიტერატურაში ძირითადად არაპირდაპირი გზით (რაბლე, მოპასანი, ბალზაკის მამა გორიო, ფლობერის მადამ ბოვარი), მინიშნებებით გვხვდება. დაავადების სიმპტომების აღწერით იკვეთება პერსონაჟის იდენტობა, მისი წარსული, მისი სოციალური სტატუსი და ა.შ. სიფილისი დიდი ხანი ტაბუირებული იყო. თავიდანვე სხვა ეპიდემიების მსგავსად, ეს დაავადებაც ღვთიურ სასჯელად აღიქვა საზოგადოებამ. თუმცა, სიფილისის შემთხვევაში კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებით აპელირებდა საღვთო სამართლის იდეაზე. ის ასოციაციურად დაუკავშირდა – ცოდვას, ამორალურობას, სასჯელს. ბუნებრივია, სიფილისს საშიშ დაავადებასთან ერთად სამარცხვინო კონოტაცია ჰქონდა. სწორედ ამიტომ, მკურნალობა ხშირად „მორალური განწმენდის რიტუალით“ (სხეულებრივი დასჯა, აბაზანების სეანსები) იწყებოდა, რასაც ვერცხლის წყლით მკურნალობა მოსდევდა (კონერი 1989:725).

„დამნაშავეს“ იდენტიფიცირება ადამიანის თანშობილი სწრაფვაა. მას სურს, ახსნას უბედურების მიზეზი და იპოვოს დამნაშავე. კონტექსტის შესაბამისად „განტევების ვაცი“ იცვლებოდა და „ბრალდებულთა“ ჯგუფი ფართოვდებოდა – თავდაპირველად უცხო ხალხები, „სხვები“ დაადანაშაულეს, ამ დაავადების ევროპაში შემოტანის პასუხისმგებლობა მათ დააკისრეს, მოგვიანებით ღარიბული უბნები დასახელდა სიფილისის გავრცელების კერად, შემდეგ – პროსტიტუცია, მეძავთა ჯგუფი, ბოლოს, კი ზოგადად ქალი მიიჩნეს ვენერული დაავადების გავრცელების წყაროდ.

სიფილისი და ხელოვნება, მისი რეფლექსია მხატვრულ ტექსტში – ამ პრიზმაში ტექსტების კვლევა საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ფრანგულ ლიტერატურაში სიფილისის მეტაფორა, სიფილიზაციის გამხატვრულება ფრაგმენტულად, მაგრამ გამოკვლეულია. აღნიშნულ საკითხზე მუშაობდა – პატრიკ ლასოვსკი, სუზან კონერი, ლესა ბეთი და ა.შ. თუმცა ჩვენ მიერ მიკვლეულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ შარლ ბოდლერის შემოქმედებაში სიფილისის რეპრეზენტაციის ანალიზი, შესაბამისად, სწორედ ამ საკითხზე ვამახვილებთ ყურადღებას.

მე-19 საუკუნის პარიზი – „მსოფლიო კულტურის ცენტრი“, ქალაქი-მეგაპოლისი, ბოჰემური ცხოვრების წესისა და სექსუალური ექსპერიმენტების მიზეზით ვენერული დაავადების – სიფილისის – ეპიდემიის გამოწვევის წინაშეც აღმოჩნდა. სიფილისი განსაკუთრებით გავრცელდა სახელოვნებო წრეში – გუსტავ ფლობერი, შარლ ბოდლერი, ტულუზ ლოტრეკი, პოლ გოგენი, გი დე მოპასანი და ა.შ. მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია ამ დიაგნოზის მქონე ხელოვანების. ტკივილთან და სიმპტომებთან „ბრძოლის“ აპრობირებულ საშუალებად პარიზული ბოჰემისთვის ნარკოტიკული თრობა იქცა.

სიფილისმა შარლ ბოდლერის ბიოგრაფიის მსგავსად პოეტის შემოქმედებაზეც დიდი გავლენა იქონია და გარდაუვალად დაუკავშირდა მისი ესთეტიკის ცენტრალურ კონცეპტებს – ქალაქი-მეგაპოლისი, ნარკოტიკი, ფატალური ქალი, ბოჰემა. ვ. გაფრინდამვილი საპროგრამო წერილში „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“ – პირდაპირ აცხადებს: „თუ წინათ პოეზიაში იყო აპოლონი, ახლა არის გოტიე, თუ წინათ იყო მედუზა და გოგონა, ახლა არიან ედგარი და მალდარორი, არის სიფილისი და ბოგემა.“

ნებისმიერ ეპოქაში ცალკეული არქეტიპული სახეები, მოტივები აქტიურდება. პ. ალბუის დასკვნით, მე-19 საუკუნეს ფრანგული ლიტერატურის ძირითადი არქეტიპებია – სატანა, კენი, და ფატალური ქალის სახე (ალბუი 2012: 31). ხელოვნებაში დემონუ-

* Patrick Lasowski. Syphilis. Essai sur la literature francaise du XIX siècle); Susan P.Conner – Politics, Prostitution and the Pox in Revolutionary Paris, 1789-1799; Lesa Beth – Representations of syphilis in sixteenth-century French literature

რი ქალის (Femme Fatale) გაძლიერება რომანტიზმის ესთეტიკიდან მომდინარეობს და მეცნიერთა ნაწილი, ამ ტენდენციას ყოფითი მიზეზით – აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა ვენერულ დაავადებათა ფართო გავრცელებით – ხსნის. პროსტიტუცია და სიფილისი თანამედროვე ქალაქური ცხოვრების გარდაუვალ ნაწილად იქცა, რამაც ხელი შეუწყო ქალის დემონიზაციის პროცესს. მე-19 საუკუნეში სამედიცინო სფერომ ვენერული დაავადებებისა და მენტალური აშლილობების მთავარ მიზეზად ქალი დაასახელა (ვიეირა 2017: 46-47; მარშალი 2011:129).

ბოდლერის პოეზიაში ჩნდება ახალი ტიპის – ვნებიანი, მიწიერი, ეგზოტიკური, ფატალური ქალის კომპლექსური სახე. მისი შემოქმედების მარკერი – ამბივალენტურობა ამ შემთხვევაშიც ნათლად იკვეთება. ქალი მისთვის ერთდროულად არის დაცემისა და ნუგეშის მიზეზი, ხან სპლინის, ხან იდეალის სინონიმი. მაგალითად, ლექსში „ვამპირი“: „-ბილწო, ვისზედაც მე ვარ მიბმული,/ ვით კატორღელებს აბამს ბორკილი,/ ვით მოთამაშეს ჯიუტს-თამაში,/ ვით გალოთებულს-სპირტის სასმელი“ (XXXI ვამპირი). ქალი-დემონი იმორჩილებს პოეტის სულს და ლირიკული გმირი ვერ ახერხებს მისი მონობისგან თავის დაღწევას.

შარლ ბოდლერის შემოქმედებაში სიფილისის თემა ჰაიტელი წარმოშობის კაბარეს მოცეკვავე და მეძავ ჟან დუალისადმი მიძღვნილი ლექსების (ლექსი „შხამი“, „უცხო სურნელი“ და ა.შ.) ციკლში აისახა. პოეტის ბიოგრაფების აზრით, ბოდლერს ჟან დუალისგან გადაედო სიფილისი და ამ მიზეზით, ჟან დუალი ითვლება ბოდლერის შემოქმედებაში ფატალური ქალის პროტოტიპად.

ორივე სიფილისმა იმსხვერპლა. ბოდლერის წამალდამოკიდებულება სამედიცინო დიაგნოზმა – სიფილისმა განაპირობა, ვინაიდან ამ პერიოდში ოპიუმი ვენერული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენებოდა. სამკურნალო მიზნით დაწყებული ოპიუმის მოხმარება მისდამი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში გადაიზარდა.

ამდენად, ბოდლერის შემოქმედებაში სწორედ მეძავს, ფატალური ქალის სახეს და ნარკოტიკულ თრობას (ოპიუმისა და ჰაშიშის მითს) დაუკავშირდა სიფილისის თემა და გამოვლინდა ჟან დუალისადმი მიძღვნილ ლექსებში.

დამოწმებანი:

ალბუი 2012: Albouy, P. Avant-propos (1969). *Mythes et Mythologies dans la littérature Française*. France: Armand Colin, 2012.

ბერტი 2005: Burt, E. S. *Baudelaire and intoxicants*. In: *The Cambridge Companion To Baudelaire*. Ed. Rosemary Lloyd. UK: Cambridge University Press, 2005 (p.117-129)

ბოდლერი 1992: ბოდლერი, შ. „ბოროტების ყვავილები“. თარგ. დავით აკრიანი. თბილისი: გამომცემლობა „იანუსი“, 1992.

გაფრინდაშვილი 1990: გაფრინდაშვილი, ვ. *ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები მწერლის არქივიდან*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990.

ვიერა 2017: Vieyra N. “*Tout n’est que syphilis*”: *Venereal Terror and the Representation of Woman in fin de siècle Belgium*. In: *Mental Illnesses in Symbolism*. Cambridge Scholars Publishing, 2017. Pp.44-62

კონერი 1989: Conner, P., Politics, S. *Prostitution and the Pox in Revolutionary Paris. 1789-1799*. Oxford University Press. <https://www.jstor.org/stable/3787545>

კოსი 2007: Koos R. L. *Damaged Literary Goods: Telling the Tale of Syphilis in Nineteenth-Century France*. 2007. <https://www.jstor.org/stable/40838407>

მარშალი 2011: Marchal, B. *Symbolisme*. Armand Colin: 2011.

რანდალი 1999: Randall, B. L. *Representations of Syphilis in Sixteenth-Century French Literature*. The University of Arizona Press. 1999/

Tamar Sharabidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Death in Relation to Collective Punishment (On the Example of Georgian Literature)

Summary

The Covid pandemic that is raging in the world has made humanity think not only about the means of survival, but also about the existential issue in general: On the problem of death and the meaning of human existence. Forms of “Untimely death” in real life and in literature are also

associated with collective punishment, which is mainly manifested during war, pandemic-epidemic and natural disasters. Based on literary examples, it becomes clear that it is the understanding of the collective punishment that can give a person a focused reflection on the phenomenon of death, because at this time the individual and collective perceptions of danger intersect.

Key words: Pandemic, Death, collective punishment

თამარ შარაბიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიკვდილი კოლექტიურ სასჯელთან მიმართებაში (ქართული ლიტერატურის მაგალითზე)

პანდემიამ, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია, რაც მსოფლიოში მძვინვარებს, კაცობრიობა დააფიქრა არა მხოლოდ გადარჩენის საშუალებებზე, არამედ ზოგადად ეგზისტენციალურ საკითხზე: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე და ადამიანის არსებობის საზრისზე. იმდენად გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომ კაცობრიობა შიშმა და პანიკამ მოიცვა. ადამიანის გონებამ, რომელსაც უჭირს სიკვდილის შესაძლებლობის დაჯერება და გარდაცვალების გაცნობიერება, გააკეთა დაშვება, რომ პანდემიას შეიძლება ვერ გადაურჩეს, განურჩევლად ასაკისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ეკონომიკური შეძლებისა და საზოგადოებრივი სტატუსისა; რომ ადამიანი ტრადიციულად დამკვიდრებული რიგითობის საპირისპიროდ ამ ქვეყნიდან „უდროოდ წასვლის“ საფრთხის წინაშე დგას; ის მიუახლოვდა სიკვდილს, რომელსაც მანამდე შორეულ პერსპექტივაში მოიაზრებდა; მიუახლოვდა და კიდევ ერთხელ გაიაზრა მისი რაობა. გააზრება მოხდა პერსონალურად, ზოგისთვის – რელიგიათან მიმართებაში, ზოგისთვის – ფილოსოფიურ სწავლებებზე დაყრდნობით, ზოგისთვის კი – ლიტერატურის დახმარებით.

ამ ქვეყნიდან „უდროოდ წასვლის“ ფორმები როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე ლიტერატურაშიც, უკავშირდება კოლექტიურ სასჯელს, რომელიც ძირითადად ვლინდება ომის, პანდემია-ეპიდემიისა და სტიქიური უბედურებების დროს. ლიტერატურულ მაგალითებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ სწორედ სასჯელის კოლექტიურობის გაცნობიერებას შეუძლია ადამიანის ფოკუსირებული რეფლექსია სიკვდილის ფენომენზე, რადგან ამ დროს ერთმანეთთან იკვეთება საფრთხის ინდივიდუალური და კოლექტიური აღქმა. ეს უკანასკნელი კი იწვევს სიკვდილის შიშის შემსუბუქებას. ამის საუკეთესო მაგალითია ვაჟა-ფშაველას „კაი-ყმა“. ლექსში ომის დროს გმირის მიერ საერთოდ უგულვებელყოფილია სიკვდილი, რომელიც სწორედ ბრძოლაში „დაგელაობს“ და „სუდარაებსა“ ჰკერავს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვხიბლავს „კაი ყმის“ ინდივიდუალური, გამორჩეული გამბედაობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის გამოწვეულია კოლექტიური სასჯელის ფორმითაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დავლათი“ – განსაკუთრებული მადლი, რომელიც მამაკაცს უშიშრობასა და განსაკუთრებულობას ანიჭებს, სწორედ „ცდის“ ანუ ბრძოლის დროს ეძლევა მას. „დავლათი“ არ არის თანდაყოლილი და არც სამუდამო, განსხვავებით „ნაწილიანობისა“, ღვთის ნიშანისა, რომელიც ასევე გამოარჩევს ადამიანს სხვათაგან თავისი უნარებით და რაც დაბადებიდანვე თან დაჰყვება მას. ზოგადადაც ცნობილია, რომ ომი ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია ადამიანის თავდადების, რადგან ამ დროს ხდება სიკვდილის შიშის უგულვებელყოფა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, და ამის მიზეზი სწორედ კოლექტიური აღსასრულის გაცნობიერებაა, როცა გამონაკლისი დაუშვებელია:

„ყველა მგზავრთათვის ინთქმება,

როცა იღუპვის ნავია“.

(ვაჟა-ფშაველა, ტ. 3, 1964: 219),

– იტყვის შემდგომ ზვიადაურის სიკვდილთან მიმართებაში ვაჟა-ფშაველა.

რაც შეეხება ეპიდემიას, როგორც კოლექტიური აღსასრულის ფორმას, ის აღწერილია ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ქართულ

ნაწარმოებში – „შუმანიკის წამება“: ბუნებაში გავრცელებულია სენი, რომელიც მუსრს ავლებს მოსახლეობას, აავადებს: აყვითლებს, ასიებს, სხეულს უწყლულებს და უმუწყუებს და მოხუცებულობამდე ვერავინ აღწევს. მართალია, ნაწარმოებში წარმოდგენილ ბუნების სურათს გვალვიანი ზაფხულის პერიოდში წმინდანის – შუმანიკ დედოფლის – ტანჯვის გამლიერების ფუნქცია აქვს, მაგრამ ამავე დროს ეპიდემიური სიმპტომატიკით ავტორი ნათლად გვიჩვენებს მასობრივი სასჯელის ფორმასაც – მოხუცებულობამდე ვერავინ აღწევს, რადგან ნადრევად, რიგითობის გაუთვალისწინებლად იღუპება. კონკრეტულ ნაწარმოებში სიკვდილის შიშის შემსუბუქება ხდება არა საერთო ბედის გაზიარების გამო, არამედ ავტორის – იაკობ ხუცესის – მწყობრად, ზუსტად ჩამოყალიბებული და გააზრებული რელიგიური მსოფლხედვით: „ვინ სთესა – მოიმკო, ვინ განაზნია გლახაკთათვის – შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“ (იაკობ ხუცესი 1981: 24). ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის ფაქტი, რომ აგიოგრაფ ავტორს გაცნობიერებული აქვს ეპიდემიის არსი და ზუსტად აყალიბებს დაავადების კონკრეტულ ნიშნებს, ხოლო სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას გაიაზრებს ადამიანის ამქვეყნიური ღვაწლის მიხედვით; თუმცა არ გამოვრიცხავთ იმის გააზრებასაც, რომ კოლექტიური აღსასრულის ჩვენებით ავტორი უგულვებლყოფს სიკვდილის ტრაგიკულობას.

არა მხოლოდ აღსასრულის, არამედ უკვე კოლექტიური სასჯელის ფორმა აქვს სიკვდილს დავით გურამიშვილის „დავითიანში“; მწერალი ამ მოვლენის ზუსტ თარიღსაც მიუთითებს. მისი აზრით, ეს იმ ცოდვის _მეფისადმი ღალატისა და ორპირობის – ბრალია, რომლის გამოც ქართველები ისჯებიან. ცოდვა კოლექტიურია და სასჯელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს. მწერალი მასზე ემოციური განცდის გარეშე საუბრობს, არგუმენტირებულად განსჯის იმ დიდ ტრაგედიას, რომელიც ვლინდება ქვეყანაში ომებისა და მასობრივი ეპიდემიის სახით. როცა ადამიანი ღვთის ნიშანს ვერ იგებს, კიდევ უფრო საშინელი სასჯელი ევლინება მას – ერთდროულად ავადდება საქონელი და ადამიანი:

„... შეჰყარა უცხო, უწყალო სენები;
ხოცა კაცნი და პირუტყვენი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები.
კვლავ შეაყენა მახვილთა, სისხლით აღივსო ხეენები“.
(გურამიშვილი 1992: 37)

სასჯელის ვრცელ აღწერაში წარმოჩნდება ლოგიკური მიზეზ-შედეგობრიობა და ნაკლებად ჩანს გარდაცვალების ტრაგიზმი, რადგან ადამიანებმა მიიღეს ის, რაც მათ დაიმსახურეს. ზოგადად ნაწარმოებში სიკვდილის შიში იკარგება გარდაუვალობის გაცნობიერებითაც, მისი პერსონიფიცირებით ცელიანი კაცის სახით, რომელიც სიცოცხლეს მასიურად თიბავს და აქედან გამომდინარე, საწუთროს დაწუნებით:

„ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!“
(გურამიშვილი 1992 : 110)

რადგან საწუთრო ასეთი ვერაგია, „ცრუ, მატყუარა და ფლიდი“, მასთან გამოთხოვება ადარ უნდა იყოს ტრაგიკული.

კოლექტიური სასჯელის კიდევ ერთი, თუმცა პანდემიისგან განსხვავებული ფორმა, რომელიც სტიქიური უბედურების მსგავსად შეიძლება მოევლინოს კაცობრიობას, აღწერილია მე-19 საუკუნის დრამატურგის, ზურაბ ანტონოვის, პიესაში „მზის დაბნელება საქართველოში“. სხვადასხვა წოდებისა და წარმომავლობის გაუნათლებელი ხალხი ერთად მოელის სტიქიურ უბედურებას, რომელიც, მათი წარმოდგენით, მზის დაბნელებას მოჰყვება – კაცობრიობა მთლიანად დაიღუპება. ამით სარგებლობენ პიესის ახალგაზრდა, განათლებული პერსონაჟები, რომელთაც არ სჯერათ ხალხის ჭორების და აწყობენ მშობლების დათანხმებისა და შეუღლების გეგმას. კომედიაში ჩანს, როგორ იკარგება შიში საერთო განსაცდელის წინაშე, ხალხი ცდილობს თავი გაიმხიარულოს სიკვდილის წინ. სხვადასხვა ერის შვილები განსხვავებულად ეგებებიან სიკვდილს – რუსი სასმელზე დარდობს და მას იმარაგებს, სომეხი ქონებას მისტირის, ქართველი „ვეხისტყაოსნის“ სიტყვებით იმხნევებს თავს. ეროვნებით სომეხი მწერლის, ზურაბ

ანტონოვის, შემოქმედებაში ძალიან კარგად ჩანს ეროვნებათა იდენტობის საკითხი მე-19 საუკუნის საქართველოში.

როგორც ეპიდემიის, ასევე სტიქიური უბედურების, მიმართ ხალხის დამოკიდებულებაა აღწერილი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“. ეპიდემიის შიში რომანში წარმოჩენილია სხვადასხვა პერსონაჟის სუბიექტური განცდების ფონზე: ხალხი პანიკაშია, ომში უშიშარი გირშელი მცხეთიდან გარბის შავი ჭირის გამო, არსაკიძე არ ერიდება ავადმყოფებს, მაგრამ ერიდება მეფეს, რადგან ავადმყოფთან არის ნამყოფი; მეფე ლაჩრობად მიიჩნევს დაავადებულთან მიკარების შიშს, რადგან ეს იგივე სიკვდილის შიშია, რომელიც მამაკაცს არ შეშვენის; ხალხის კოლექტიური დამოკიდებულება იხატება მიწისძვრით გამოწვეული შიშის მიმართაც, რის გამოც ისინი თავს ანებებენ სამუშაოს და სურვილი აქვთ სიცოცხლის უკანასკნელი წუთები უქმად და დროსტარებაში გაატარონ. პიროვნება – დიდოსტატი – შრომის მაგალითს აძლევს მათ. შრომის დროს გარდაცვალება პატივად აღიქმება მის მიერ და სურს, რომ ხალხმაც იგივე გააცნობიეროს.

ისტორიულ სინამდვილეში არსებულ ეპიდემიებს გაკვრით მოიხსენიებს აკაკი წერეთელი პოემაში „თორნიკე ერისთავში“, როდესაც გაბრიელ სალოსის პიროვნებას აღწერს. წმინდა ბერის ერთ-ერთი ღირსება იმაშიც გამოიხატება, რომ ის არ ერიდება სახადიან ავადმყოფებს:

„როცა სახადი გადამდები რამ
სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელად და საპატრონოდ
წმინდა მოხუცი იქ გაჩნდებოდა“.

(წერეთელი 2014: 111-112)

გაბრიელ სალოსის ქცევის მოტივაცია ქრისტიანული რწენაა.

მე-19 საუკუნეში გავრცელებული ხოლერის დაავადებით გამოწვეულ პანიკაზე აგებს ვაჟა-ფშაველა მოთხრობას „ხოლერამ მიშველა“. ზემოთ განხილული მხატვრული ნაწარმოებების მსგავსად ამ მოთხრობაშიც სიკვდილის კოლექტიური მზაობაა გა-

მოხატული დაავადების შესაგებებლად – ხალხს დაუტოვებია თავისი სოფელი და ტყეში გახიზნულა, ჩანს შიშის გრძნობის შემსუბუქებაც სასჯელის კოლექტიურობის გამო. სოფლიდან გამოქცეულები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, მღერიან, ცეკვავენ და დროს ატარებენ. ვაჟა იმითაც ანეიტრალებს პანდემიის შიშს, რომ სწორედ ამ დაავადებით გამოწვეული პანიკა გამოჰყავს შეყვარებულთა ხელის შემწყობად. მთავარი პერსონაჟი ბერუა ტყიკაციშვილი მოთხრობის ბოლოს ამ სიტყვებით მიმართავს მკითხველს: „ხოლერა რომ არ მოსულიყო, ხომ ჩვენ ერთად არ ვიქნებოდითო; ხომ ვერცერთი ვერ გაგზავდავდით ამისთანა საქმესო, მაგრამ ხოლერამ, სიკვდილის მოახლოვებამ კი გაგვაგზავდინა...“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 213). როგორც ვხედავთ, კოლექტიურ სასჯელს ის ძალაც აქვს, რომ ადამიანს არა მხოლოდ უადვილებს სიკვდილის შიშს, არამედ გაბედულებასაც ჰმატებს.

ამავე თემას – ხოლერის ეპიდემიას – ეხება ვაჟას პუბლიცისტური წერილი „ფიქრები“ (ხოლერის გამო). მწერლის აზრით, „შაჰ-აბაზის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გამოჩენამ“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 145). ამ ფაქტის მიზეზად ვაჟა სიცოცხლის „მეტისმეტად“ სიყვარულს ასახელებს. ის ირონიულად მსჯელობს იმ საზოგადოებაზე, რომელმაც ანზანი მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ გაზეთში ხოლერაზე რაიმე მოიწეროს და „თუ ხოლერა არა, თქვენი მტერი, თავის დღეში კალამს არ აიღებდა ხელში“ (იქვე). ვაჟა პირდაპირ მიუთითებს, რომ ხოლერა „ჭირია სხეულისა, სიცოცხლის მტერი“, ამიტომ ადამიანები ეძებენ ისეთ ღონისძიებებს, რომ ეს მავნე სენი თავიდან აიცილონ. ვაჟა პირდაპირი და ირიბი გზითაც მიუთითებს მკითხველს, რომ, გარდა წამლობისა, ხოლერას შველის სისუფთავე, ზომიერების დაცვა და არა ტყეში გაქცევა და ტურასავით მალვა. მწერალი იმასაც გარკვევით მიანიშნებს, რომ საზოგადოებაში გაცილებით მავნე სენიც არსებობს, ვიდრე ეპიდემიაა: „ჩვენს ცხოვრებაში სხვა ხოლერაცა ბუდობს, უფრო სასტიკი, უფრო მავნებელი, ნეტავი ერთ დღეს მაინც ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორც ეს ბაცილა – ბაქტერიების დედა აყაყანებს ქვეყანას...“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 146). ამ მეორე ხოლერას არც წამალი შველის, არც სისუფთავე და არც დეზინფექცია. მისი მსხვერპლი ყველაა, მთელ

ერს ავლებს მუსრს, „კაცს ცოცხალ-მკვდრადა ჰხდის“. ამ მეორე, ნამდვილი ხოლერის ადგილი იქაა, სადაც „უსამართლობა მძვინვარებს, საცა უაზრობა და უგრძნობელობაა“. მწერალს უკვირს, თუ რად უნდა ადამიანს ისეთი სიცოცხლე, რომ გრძნობდეს თავის სიკვდილს, მკვდარი ვარო, ამზობდეს. ვაჟა-ფშაველა საზოგადოებას მოუწოდებს, რომ თავი დაანებოს პირველ ხოლერას, რომელიც მიიპარება და სადაცაა გაქრება და ამ მეორეს, „ჩუმ-ჩუმად მძრომელს“ მიაქციოს ყურადღება, „რომელიც სისხლს არ აჩენს, მაგრამ მკვდრებს კი ამრავლებს“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 147).

ზემოთ მოყვანილ წერილში ვაჟამ ხოლერის გამო ატეხილი მითქმა-მოთქმის მიზეზად სიცოცხლის „მეტისმეტად“ სიყვარული დაასახელა. ამით მწერალმა მიგვანიშნა, რომ სიცოცხლე ყველას უყვარს, მაგრამ სირცხვილია საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად უღირსი საქციელის ჩადენა. ვაჟამ სიკვდილზე წინ ადამიანური ღირებულებები და მათი შენარჩუნებისათვის ბრძოლა დააყენა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშია უგულვებელყოფილი სიკვდილის ტრაგიზმი და ის მშვენიერების კატეგორიაშია აყვანილი.

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა“.
(ვაჟა-ფშაველა 1964: 88)

სიკვდილი მშვენიერია, რადგან სიცოცხლეს – ყველაზე უძვირფასეს განძს ამ ქვეყნად – მის გამო ედება ფასი (სიკვდილის ფასი კი სიცოცხლის წყენა ყოფილა). სიცოცხლე და სიყვარული ერთმანეთისგან განუყოფელია – „ერთურთი სწყურან ერთავე, / ერთურთთან დაილევინ“ (იქვე). ამიტომაც სიკვდილი იგივეა, რაც სიყვარულის „დალევა“, გაქრობა, ხოლო „იმისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 138).

დამოწმებანი:

გურამიშვილი 1992: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1992.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. I. ლექსები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. V. მოთხრობები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. IX. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

იაკობ ხუცესი 1981: იაკობ ხუცესი. „შუშანიკის წამება“. წიგნში: *ქართული პროზა.* ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981.

წერეთელი 2014: წერეთელი აკ. *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად.* ტ. IV, პოემები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2014.

პანდემიის თემა ფოლკლორსა და მითოლოგიაში
The Issue of Pandemic in Folklore and Mythology

Dalila Bedianidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Reflection of Diseases in Georgian Folk Tales

Summary

Sickness in Georgian folk tales is of two types: real illness and false illness, when one or another character of the fairy tale pretends to be ill.

The real illness is found in many Georgian magic fairy tales. for example: “Shepherd Blind Daeva and weaver’s disciple”; “Bernadze’s son”; “The tale of the king’s wife, that the serpent gave birth” and others. Animal tales are also interesting in this regard., in “Dog Language” the devil is a magician who causes illness, and when he gets away from the sick, the sick person also recovers.

False sickness, when one or another character of the fairy tale gets sick with evil intentions, is found in magic tales: “Cinderella”, “Nine brothers and one sister” and in the animal fairy tale “Tsikara”.

Key words: Georgian folk tales, real illness, false illness.

დალილა ზედიანიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ავადმყოფობათა ასახვა ქართულ ხალხურ ზღაპრებში

ქართული ხალხური ზღაპრები მრავალმხრივი კვლევის საგანია და მათში არაერთი საინტერესო მოვლენაა ასახული. მათ შორის ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, თუ როგორ არის ასახული ამ ზღაპრებში ამა თუ იმ პერსონაჟის ავადმყოფობა.

ავადმყოფობა ქართულ ხალხურ ზღაპრებში ორგვარია: 1. ნამდვილი ავადმყოფობა, როცა ზღაპრის რომელიმე პერსონაჟს რაიმე სენი შეეყრება; 2. ცრუ ავადმყოფობა, როცა ზღაპრის ესა თუ ის პერსონაჟი რაიმე განზრახვით თავს მოიავადმყოფებს, თუმცა სინამდვილეში ავად არ არის. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში დაავადება დასახელებული არ არის, უბრალოდ ნათქვამია, რომ ესა თუ ის პერსონაჟი ავად გახდა, თუმცა მისი ავადმყოფობის წამალი კი დასახელებულია.

ნამდვილი ავადმყოფობა გვხვდება ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში: „მეცხვარე ბრმა დევი და ფეიქრის შეგირდი“, „ბერნაძის შვილი“, „ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა“, „მათხოვარი და ხელსახოცი“, „მამის პოვნის ამბავი“, „ზღაპარი ხელმწიფის შვილისა, რომელსაც სწავლა არ უყვარდა“, „ერთი ბიჭის ზღაპარი“, „ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი“, „ისრის-მასრის სანდლის ქალი“; საყოფაცხოვრებო ზღაპარში „ამხანაგს ნუ უღალატებ“, ცხოველთა ზღაპარში „ძაღვების ენა“ და სხვა.

ცრუ ავადმყოფობა, როცა ზღაპრის ესა თუ ის პერსონაჟი თავს მოიავადმყოფებს ბოროტი განზრახვით, გვხვდება ჯადოსნურ ზღაპრებში: „კონკია“, „ცხრა ძმა და ერთი და“, „მონადირე და მისი ასული“, „მადლიერი მკვდარი“, ცხოველთა ზღაპარში „წიქარა“ და სხვა.

ნამდვილი ავადმყოფობა ზოგჯერ განუკურნავია და სიკვდილით მთავრდება. ასეა ეს მეგრულ ზღაპარში „ოქროს ხომალდი“

(მეგრული 1994: 16) – ერთი მონადირე ავად გახდა, იგრძნო სიკვდილის მოახლოება, იხმო თავისი ერთადერთი ვაჟი, ჭკუაზე დაარიგა და მოკვდა.

„ხელმწიფის ცოლის აღსარებაში“ (მეგრული 1994: 206-207) ხელმწიფის ცოლი, რომელიც პირველი ვეზირის საყვარელი იყო, ავად გახდა. იგი უკურნებელი სენით აღმოჩნდა შეპყრობილი და მკურნალებმა ვერ შეძლეს მისი მორჩენა. მომაკვდავმა ხელმწიფის ცოლმა ზიარების წინ აღსარება თქვა, ოღონდ ისურვა სხვა ქვეყნელი მღვდელისთვის ეთქვა აღსარება. ხელმწიფემ სხვა ქვეყნელ მღვდლად მოაჩვენა თავი, გადაიცვა და მიიღო თავისი ცოლისგან აღსარება. მომაკვდავი ცოლი ვერაფერს მიხვდა და ჩამოუთვალა თავისი ცოდვები: რომ ის ხელმწიფის პირველი ვეზირის საყვარელი იყო და მისგან შვილიც ჰყავდა; რომ ის აპირებდა თავისი ქმარი მოეწამლა და ასე მოეკლა. შემრწუნებულმა ხელმწიფემ გაიძრო მღვდლის სამოსი და თავისი სახით ეჩვენა. ქალმა ის რომ დაინახა, შეჰკვივლა და იმწამსვე განუტევა სული.

ასევე სიკვდილით მთავრდება ავადმყოფობა მეგრულ ზღაპარში „სამი ძმა“ (მეგრული 1994: 788), სადაც სამი ძმის მოხუცებული მამა ავად გახდა და ვეღარ გამოჯანმრთელდა, გარდაიცვალა.

ზოგ ზღაპარში მოთხრობილია ექიმთა შესახებ, ექიმის სიმარჯვის და ავადმყოფის გამოჯანმრთელების შესახებ. ზღაპარში „ხარბი და ალაღმართალი“ (იყო და არა 1977: 280-284) ზღაპრის გმირები ღარიბი გაბრიელი და პეტრე დაძმობილდნენ, გაუდგნენ გზას. ერთ სოფელში მავან ოჯახში ბავშვი კვდებოდა, ექიმებს მასზე ხელი აეღოთ. გაბრიელს ექიმობა მდიდრების კარზე მოჯამაგირეობისას ესწავლა და ეს ცოდნა ახლა გამოიყენა – გაკვეთა ავადმყოფი მუცელზე, რაღაც ამოსჭრა და გაკერა. ბავშვი მაშინვე შველივით წამოხტა და სიხარულისგან ცეკვა დაიწყო. გაბრიელმა ამ საქმეში ნახევარი ტომარა ოქრო აიღო, თუმცა მეტს სთავაზობდნენ. შემდეგ პეტრემ სცადა ერთი ხელმწიფის ქალის მორჩენა, ვერ მოარჩინა და კინალამ ჩამოახრჩვეს – ისევ გაბრიელმა უშველა და მოარჩინა ხელმწიფის ქალი. გაბრიელმა გასამრჯელოდ მხოლოდ ორი ტომარა ოქრო აიღო, თუმცა ხელმწიფე უფრო მეტს აძლევდა.

ექიმობის შესახებ არის მოთხრობილი ზღაპარშიც „სიკვდილი და ყაჩაღი“ (იყო და არა 1977: 409-413) – ერთი ჭკვიანი ყაჩაღი სიკ-

ვდილს შეუამხანაგდა და მისი რჩევით და დახმარებით ექიმობა დაიწყო. სიკვდილმა მას უთხრა, ავადმყოფთან მე დაგხვდები, მაგრამ შენს მეტი ვერავინ დამინახავს. თუ თავით ვეჯდე, ავადმყოფი არ მორჩება და შენც ხელი აიდე, ხოლო თუ ფეხთით დამინახო, ის ავადმყოფი ნამდვილად მოსარჩენია და უბრალო წყალიც რომ დააღვინო, მორჩება. ამ ხელობით ბევრს ფულს იშოვი და გამდიდრდებიო. ყაჩაღს გაუვარდა ექიმის სახელი და დიდძალი ფულიც დაუგროვდა (შდრ. „მაღლების ენა“ – იყო და არა 1977: 62-67).

ძველ დროში პროფესიონალი ექიმები არ იყვნენ და მათ მაგივრობას ხშირად მკითხავეები ასრულებდნენ. ზღაპარში „ქაჩალმებატე“ (იქვე, 648-659) ხელმწიფე ორჯერ გახდა ავად და მისი წამალი მკითხავმა დაასახელა – ჯერ გარეული ირმის რძე, მერე კი – „ცხრა მთას იქით, უღრან ტყეში ერთი ხურმის ხე დგას, ხეს ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი ახვევია ირგვლივ და დარაჯობს“ (იყო და არა 1977: 655) – ის ხურმამა ხელმწიფის წამალი.

ზღაპარში „მეცხვარე ბრმა დევი და ფეიქრის შეგირდი“ (ხალხური სიბრძნე 1963: 143-150) მოთხრობილია, რომ ერთხელ ხელმწიფის ცოლი ავად გახდა, დაიბარა სიძეები და უთხრა, ამა და ამ ალაგას წყაროა, თუ იმის წყალს მომიტანთ და დამაღვინებთ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო. წყალი მხოლოდ ქაჩალმებატემ მოიპოვა, უფროს სიძეებს მისცა და მიუტანეს დედოფალს, მაგრამ მას წყალმა ვერ უშველა და მან ახლა უკვდავების ყურძენი ინდომა წამლად, ესეც მხოლოდ ქაჩალმებატემ მოიპოვა, გადასცა უფროს სიძეებს, იმათ დედოფალს მიუტანეს, აჭამეს და მორჩა. როგორც ვხედავთ, ავადმყოფობა აქ არ არის დასახელებული, ხოლო მისი წამალი სახეზეა. წამლის მშოვნელი რჩეულთა შორის რჩეულია და ყველაზე მარჯვე. იგივე მოტივი გვხვდება ჯადოსნურ ზღაპარში „ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი“ (ხალხური სიბრძნე 1963: 436-453, 445-447), სადაც ხელმწიფე ავად შეიქმნა და ვერავითარმა ექიმობამ ვერ უშველა. ვეზირების აზრით ხელმწიფის წამალი გარეული ღორის გულ-ღვიძლია; ის ქოჩორამ მოიპოვა და გადასცა უფროს სიძეებს. ხელმწიფე გამოჯანმრთელდა მისი შეჭმის შემდეგ, თუმცა კიდევ გახდა ავად – ახლა თვალის სინათლე დაეკარგა. ხელმწიფის წამალი ამჯერად

მთაში მყოფი ირმის რძეა. ის ისევ ქოჩორამ მოიპოვა და გადასცა უფროს სიძეებს, რძემ კი ხელმწიფეს თვალეზი მოურჩინა.

ჯადოსნურ ზღაპარში „ბერნადის შვილი“ (ხალხური სიბრძნე 1963: 203-208) ხელმწიფის ასულს შეუყვარდა ვაჟად გადაცემული ბერნადის ქალიშვილი და მისი სიყვარულით ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა. ვერა ექიმმა ვერ უშველა. ხელმწიფის ასულმა მოითხოვა, ბერნადის შვილს უკვდავების წყალი მოეტანა. ბერნადის შვილმა ეს ძნელი დავალება შეასრულა, მაგრამ ქალი უფრო ავად გახდა, თავი მოიძვედარუნა და მთაში მყოფი ირმის რძე მოითხოვა წამლად. ისიც მიუტანა ბერნადის შვილმა, მაგრამ ქალს მაინც არ ეშველა და ახლა კოჭლი დევის ღვიძლი მოსთხოვა ბერნადის შვილს, თუმცა არც ამან გაჭრა. ქალმა ახლა გაქვავებული ქალაქის ამბის გაგება დაავალა ბერნადის შვილს, ის კი ამ დავალების შესრულებისას გაქვავებული ქალაქის ხელმწიფის ჯადოსანმა ცოლმა ვაჟად აქცია მისივე თხოვნით. ხელმწიფის ასულმა და ბერნადის შვილმა იქორწინეს და ქალიც მორჩა სიყვარულის ავადმყოფობისგან. მსგავს სიუჟეტზეა აგებული ზღაპარი „მონადირე და მისი ასული“ (ხალხური სიბრძნე 1963: 382-387) – აქაც ხელმწიფის ასულს შეუყვარდა ბიჭად გადაცემული მონადირის უმცროსი ქალიშვილი, თავი მოიავადმყოფა, ცრუ ავადმყოფობა მოიგონა და მამას უთხრა, მაგ ბიჭის მოტანილი ქაჯეთის ფარანი მომარჩენსო. ბიჭად გადაცემულმა ქალიშვილმა მიუტანა ფარანი, ოღონდ ახლა ისე არ მოხდა, როგორც წინა ზღაპარში – აქ ქალიშვილი ვაჟად არ გადაიქცევა და არ ირთავს „გამოჯანმრთელებულ“ ხელმწიფის ასულს.

„ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა“ (ხალხური სიბრძნე 1963: 215) აღწერს, თუ როგორ გახდა ბოლმისგან ავად ხელმწიფის შვილი გველკაცა ცოლის შეცვლის გამო. ექიმებმა ურჩიეს მამამისს, სავაჭროდ გაგზავნე, გულს გადააყოლებსო და ისიც ასე მოიქცა, გზად გველკაცამ იპოვა თავისი ნამდვილი ცოლი. ავადმყოფობის მიზეზი აქ ცოლზე დარდია და მისი ნახვა კი – წამალი. ასევე დარდი და ბოლმა ხელმწიფის ვაჟის ავადმყოფობის მიზეზი ჯადოსნურ ზღაპარში „მათხოვარა და ხელსახოცი“ (ხალხური სიბრძნე 1963: 352-359). ექიმები უძლურნი არიან ამ ავადმყოფობის წინაშე და მხოლოდ მაშინ გამოჯანსაღდება ხელმწიფის ვაჟი, როცა ხელსახოცის დამკარგავ ქალს შეირთავს. ხელსახოცს

კი აწერია, ნეტავი იმას, ვინც ამის დამკარგავს შემირთავსო. ვაჟს ძმობილი გარდაქეშანი დაეხმარა რკინის დევის მოკვლაში, რომელსაც ქალი ჰყავდა მოტაცებული – მოკლა ირემი და ირმის თავიდან ამოიღო კოლოფი, რომელშიც სამი მერცხალი იყო. დევი ავად გახდა, როცა გარდაქეშანმა ჯანის მერცხალს წააგლიჯა თავი. თვალის სინათლის მერცხალი რომ მოკლა გარდაქეშანმა, დევი დაბრმავდა, ხოლო მესამე მერცხლის მოკვლის შემდეგ დევიც მოკვდა.

„მამის პოვნის ამბავში“ (ხალხური სიბრძნე 1963: 377-382) ხელმწიფის ვაჟმა წაიყვანა მამადაკარგული ბიჭი. დედამისი დარდისგან ავად გახდა. ხელმწიფის ვაჟმა ბიჭს ორი ჯორის საპალნე თვალმარგალიტი მოსთხოვა. ბიჭი წავიდა დედამისთან, რომელიც მისმა ნახვამ განკურნა და თვალ-მარგალიტი გამოართვა.

ჩავხედოთ ზღაპარს „ზღაპარი ხელმწიფის შვილისა, რომელსაც სწავლა არ უყვარდა“ (ხალხური სიბრძნე 1963: 390-396). აქ ხელმწიფის შვილი წერილებით გაიგებს ჯერ დედის ავადმყოფობას, მერე კი მამის ავადმყოფობას, მაგრამ არ წავა მათ სანახავად, ჯერ დედა გარდაეცვლება და მერე მამა. გარდაცვალების მიზეზი უცნობი ავადმყოფობაა, ზღაპარში დაკონკრეტებული არ არის.

„ერთი ბიჭის ზღაპარში“ (ხალხური სიბრძნე 1963: 428-434) ზღაპრის გმირმა ერთ დღეს საჭმელში შავი ლეღვი შეურია და ხელმწიფემ და მისმა ცოლმა რომ შეჭამეს, თავზე ხეები ამოუვიდათ. ექიმებმა მათ ვერაფერი უშველეს. ბიჭმა ახლა თეთრი ლეღვი აჭამა მათ და ხეები დასცვივდა. ეს დეტალი რამოდენიმე ქართულ ზღაპარში გვხვდება ვარირებული სახით.

„ისრის-მასრის სანდლის ქალში“ (ხალხური სიბრძნე 1963: 469-473) გვხვდება ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში პოპულარული მოტივი ვაჟის მიერ ქალის უნახავად შეყვარებისა. ერთი ხელმწიფის ვაჟს მისგან კოკაგატეხილმა ბებერმა მიაძახა, შენამც ჩაგვარდნია გულში ისრის-მასრის ქალის სიყვარული. „ის იყო და ის, ჩაუვარდა ყმაწვილს იმ ქალის სიყვარული გულში, არ აძლევდა მოსვენებას არც დღე, არც ღამე: გახდა საბრალო, სანთელსავით დადნა. არც ჭამა იყო მისთვის და არც სმა. შეწუხდა ჩვენი ხელმწიფე. მოიწვია თავისი ექიმბაშები, მაგრამ შვილს ვერა უშველა რა“ (ხალხური სიბრძნე 1963: 470). ბოლოს ვაჟი წავიდა ისრის-მასრის სან-

დღის ქალის სანახავად, მონახა ის, ცოლად შეირთო და ამით განიკურნა.

საყოფაცხოვრებო ზღაპარში „ამხანაგს ნუ უღალატებ“ (იყო და არა 1977: 371-380) წისქვილში ღამით მგელი უყვება დათვს და მელას მაშრიყის ხელმწიფის ლოგინად ჩავარდნილი ერთადერთი შვილის ავადმყოფობის ამბავს, რომლის წამალიც ყბაშავი ცხვრის გულ-ღვიძლია. ღარიბი კაცი მოისმენს ამას, მოარჩენს მაშრიყის მეფის ვაჟსაც და სხვა ხელმწიფის შვილსაც, რისთვისაც კარგად დაჯილდოვდება.

ცხოველთა ზღაპარში „მაღლების ენა“ (იყო და არა 1977: 62-67) ავადმყოფობის გამომწვევი ეშმაკების ჯადოქარია – „წავალ, თქვენს ხელმწიფეს რომ მზეთუნახავი ქალი ჰყავს, იმას საწოლზე თავით დაუჯდები და ისე ავად გავხდი, რომ სიკვდილის პირას მივიყვან, შენ ხმა დაყარე, ხელმწიფის ქალს მე მოვარჩენ, თუ ცოლად მომცემსო“ (იყო და არა 1977: 64) – ეუბნება იგი საწყალ კაცს. კაცი ასეც მოიქცა და როცა ავადმყოფთან შეიყვანეს, ეშმაკების ჯადოქარმა ახადა ჯადო ქალს და ფანჯრიდან გაფრინდა. ქალი გამოჯანმრთელდა. ასევე გამოჯანმრთელდა ეშმაკების ჯადოქრისგან გათავისუფლებული სხვა ხელმწიფის ვაჟიც.

რაც შეეხება ცრუ ავადმყოფობას, იგი გვხვდება რიგ ზღაპრებში, რომელთა შორისაც არის „კონკია“ (იყო და არა 1977: 510-518) – ობოლ გოგონას გარდაცვლილი დედისგან დატოვებული ძროხა ჰყავს, რომელსაც ერთ რქაში ერბო აქვს, მეორეში – თაფლი და კვებას დედინაცვლისგან დაჩაგრულ კონკიას. დედინაცვალი ამას შეიტყობს და ქმარს მოატყუებს, გვერდები მემტვრევა, ვკვდები და მხოლოდ ჩვენი ძროხის ნაღველის დაღვეა მიშველისო. დაკლეს ძროხა. დალია დედინაცვალმა ნაღველი და წამოდგა, ვითომდა ამან მომარჩინაო.

ზღაპარში „ცხრა ძმა და ერთი და“ (იყო და არა 1977: 538-549) ხელმწიფის შვილის ახალმა ცოლმა თავი მოიავადმყოფა და ქმარს უთხრა, თუ ირემს დაკლავ და მაგის გულ-ღვიძლს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო (არადა, ირემი ირმადქცეული უმცროსი ძმია ხელმწიფის ვაჟის ნამდვილი ცოლისა!) დაუკლეს ირემი, მაგრამ ისევ მოიავადმყოფა ცრუ დედოფალმა თავი და ახლა ქალთევზას დაკვლა ითხოვა. დაუკლეს ქალთევზა და ისე

შეჭამა მოხარშული, ფხები არ გადავარდნია, მაგრამ ერთი ფხა მაინც გადავარდა ეზოში და ზედ ალვის ხე ამოიზარდა. ახლა უკვე მესამედ მოიავადმყოფა თავი ცრუ დედოფალმა – თუ მაგ ალვისხის ფიცრისგან საწოლს გამიკეთებთ, მოვრჩები, თუ არადა – მოვკვდებიო. ოღონდ ხე ისე უნდა მოეჭრათ, ნაფოტიც არსად გადავარდნილიყო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ქარმა ერთი ნაფოტი ერთი კეთილი დედაბრისკენ გადააგდო და ნამდვილი დედოფალი გადარჩა. ცრუ ავადმყოფის საბოლოო გამოჯანმრთელებაზე აქ არაფერია ნათქვამი.

„მადლიერ მკვდარში“ (ხალხური სიბრძნე 1963: 371-377) მოღალატე და თავის ერთგულ ძმას ატყუებს, თავს მოიავადმყოფებს და ცხრა მთას იქით რომ ერთი კამეჩია, იმას გულ-ღვიძლი მიშველისო, ეუბნება. ბიჭმა ჩვეულებრივი კამეჩის გულ-ღვიძლი მიუტანა, ქალმა შეჭამა და ვითომ გამოჯანმრთელდა, მერე კი უკვდავების წყალი მოსთხოვა ძმას წამლად, ავად ვარო. მოიპოვა ბიჭმა უკვდავების წყალი, შინისკენ გაეშურა, მაგრამ დისთვის ის წყალი აღარ მიუტანია. მოღალატე და დასალუპად აგზავნის თავის ძმას, ბოროტი განზრახვით მოიავადმყოფებს თავს, მაგრამ ძმა გადარჩება, არ იღუპება.

„წიქარაში“ (ხალხური სიბრძნე 1963: 274-279), რომელიც ცხოველთა ზღაპარია, ავმა დედინაცვალმა შეატყო, რომ გრძნეული წითელი ხარი წიქარა თავის პატრონ ობოლ ბიჭს იმით ასაზრდოებდა, რომ რქიდან ღალას იღებდა. დედინაცვალმა ხარის თავიდან მოშორება გადაწყვიტა, მოიავადმყოფა თავი, ლოგინში ჩაწვა და ქმარს კვნესა-გმინვით დახვდა, კვდები და თუ წიქარას დაკლავ, გულ-ღვიძლის ამოაცლი და მაჭმევ, მოვრჩები, თუ არადა, მოვკვდებიო. კაცმა ცოლის კვნესა-გმინვას ვედარ გაუძლო და წიქარას დასაკლავად მზადება დაიწყო. აქაც, როგორც ზემოხსენებულ ზღაპრებში, საქმე გვაქვს ცრუ ავადმყოფობასთან; დედინაცვალი ბოროტი განზრახვით მოიავადმყოფებს თავს, სინამდვილეში არაფერი არ სტკივა. იგი კუდიანია. რაც შეეხება წიქარას, იგი ხარია, საკულტო ცხოველი და მისი დაკვლა არ შეიძლება, ისევე, როგორც ირმის („ცხრა ძმა და ერთი და“) და ძროხისა („კონკია“) და თუ ეს მაინც მოხდება, მაშინ განსაკუთრებულ ღვთის წყალობასთან გვაქვს საქმე, რომელიც დაკლულ ცხოველს მოაქვს.

ამრიგად, ავადმყოფობათა ამსახველ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზია სიყვარული, დარდი, ზოგჯერ ბოღმა და ბოროტი განზრახვა, ზოგჯერ გაურკვეველი მიზეზი და მისთანანი, ხოლო წამალი სხვადასხვაა – უკვდავების წყალი, უკვდავების ყურძენი, ირმის რძე, კოჭლი დევის ღვიძლი, ირმის გულ-ღვიძლი, ყბაშავი ცხვრის შიგნეული ან გულის გადასაყოლებელი მოგზაურობა და სხვა. ზღაპრებში დაკონკრეტებული არ არის ავადმყოფობა, უბრალოდ ნათქვამია, რომ ესა თუ ის პერსონაჟი ავად არის, ან თავი მოიავადმყოფა, რაც მიგვანიშნებს ნამდვილ და ცრუ ავადმყოფობაზე. ექიმობა კი მეტად საპატიო და შემოსავლიან საქმედ არის მიჩნეული და დაკავშირებულია ზებუნებრივ ძალებთან. წამლის მშოვნელი მხოლოდ ზღაპრის ღირსეული გმირია.

დამოწმებანი:

მეგრული ზღაპრები ... 1994: *მეგრული ზღაპრები და მითები*. თბილისი: 1994.

იყო და არა იყო რა 1977: *იყო და არა იყო რა*. თბილისი: 1977.

ხალხური სიბრძნე 1963: *ხალხური სიბრძნე*, ტ. I. თბილისი: 1963.

Nino Gagoshashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Disease and Cure Essence According to the Old Testament and the Gospel of Luke

Summary

Theology considers diseases and cures as ontological experience of humankind, which, in itself relates to the Original Sin and the problem of abuse of the freedom given by God. Therefore, Jesus Christ approaches the issue of curing globally and resurrects not only the body and soul of a person, but also his position in the society, his social identity. All this

suggests that a human cannot be fully cured without considering all the aspects of his life.

Specialists of the New Testament compare such cure of a human to the Miracle of the Resurrection of the Lord, which reveals the support of the Savior to the mortal humankind.

Key words: „Disease“, „Ontology“, „New Testament“.

ნინო გაგომაშვილი

საქართველო, თბილისი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი*

სნეულებისა და კურნების არსი ძველი აღთქმისა და ლუკას სახარების მიხედვით

ადამიანებს უძველესი დროიდანვე უწევდათ არაერთ სნეულებასთან თუ სასიკვდილო ვირუსულ დაავადებასთან ბრძოლა, ზოგჯერ იმ დონემდე, რომ ეს ბრძოლა ამა თუ იმ ერის ისტორიულ-კულტურულ განვითარებას აფერხებდა. პერიოდულად მოვლენილ ავადობებს, რომლებიც ხშირად მასშტაბურ ხასიათს იძენდა, წმინდა ტექსტები ისტორიის, სამყაროს ყოფიერების ხელახლა წასაკითხად იყენებს.

მსოფლიოს დიდი ეპიდემიები უკავშირდებოდა სახელმწიფოთა შორის სავაჭრო, კულტურულ, პოლიტიკურ და ა. შ. ურთიერთობებებს, რომლებიც, ბუნებრივია, იწვევდა ადამიანთა კონტაქტებსა და სნეულების გადადება-გავრცელებას. არც 21-ე საუკუნე აღმოჩნდა გამონაკლისი, კორონავირუსულმა პანდემიამ (COVID-19) თავისი კვალი დატოვა საზოგადოების ყველა სტრუქტურაზე. ამ კონტექსტში საღვთისმეტყველო-პოლიტიკური კუთხით დასმულმა კითხვებმა და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით მოხმობილმა მაგალითებმა ძველი და ახალი აღთქმიდან (მასშტაბურობიდან გამომდინარე, შევჩერდით ძველი აღთქმის მხოლოდ რამდენიმე მუხლსა და ახალი აღთქმიდან – ლუკას სახარებაზე), შეიძლება გაგვიჩინოს პასუხის მიღე-

ბის შესაძლებლობა სწეულებისა და კურნების ონტოლოგიასთან დაკავშირებით.

წინასწარმეტყველების, იესო ქრისტესა და მოციქულების ეპოქაში გავრცელებული პანდემიებიდან ცნობილია „ათენის ჭირი“ (ქრისტემდე 436-430 წლებში), რომელმაც მოიცვა მოსახლეობის მესამედი (დაახლოებით 200 000 ადამიანი) და დასაბამი მისცა ათენის ოქროს ხანის დასასრულს. შემდეგ საუკუნეებში ჭირის რამდენიმე ტალღა აგორდა ბერძნულ და რომაულ იმპერიებში. მათგან ისტორიულ ანალებში მოხვდა „ანტონინის ჭირი“, რომელიც გავრცელდა მე-2 ს-ის დასასრულს. შემდეგი იყო „იუსტინიანეს ჭირი“ – ცნობილი აღმოსავლეთ რომის იმდროინდელი იმპერატორის სახელით. ამ დაავადებამ დაახლოებით 25 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, განსაკუთრებით მრავლად კი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში.

მე-2 ათასწლეულის პანდემიებიდან ცნობილია „შავი ჭირი“, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში გაჩნდა. თუკი „იუსტინიანეს ჭირს“ აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემის დასაწყისი მოჰყვა, ბიზანტიის იმპერია ამ დაავადების გაჩენიდან საუკუნეზე ნაკლებ დროში გაქრა. ვარაუდობენ, რომ ბუბონური ჭირის ამ ახალმა ტალღამ 75 მილიონზე მეტი ევროპელი შეიწირა, ანუ კონტინენტის მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტი. შემდეგ საუკუნეებში გავრცელდა ქოლერა, ესპანური და აზიური გრიპი, ჰონკონგის გრიპი, შიდსი და სხვ.

დასკვნა, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის პერიოდებში მიმდინარე პანდემიებიდან შეიძლება გამოვიტანოთ, არის ის, რომ ამ ტიპის სწეულება არავის ინდობს, არც მდიდარსა და არც ღარიბს, არც ბოროტსა და არც მართალს, ანუ არც მას, ვინც უფალს უყვარს („უფალო, აჰა, ვინც გიყვარს, ავად არის“ (ბიბლია 1989: იოანე, 11.3) – ამ სიტყვებით მიმართავენ უფალს მართალი ლაზარეს დები)). ამავდროულად, პანდემიური ვითარება ნათლად წარმოაჩენს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანები ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული და ყველამ თანაბრად უნდა ვცეთ პატივი ერთმანეთის ჯანმრთელობას, დავიცვათ შესაბამისი წესები, გავაცნობიეროთ ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმების – საზოგადოებისაგან განრიდების, განმხოლოების, „იზოლაციის“ – აუცილებლობა.

გადამდები სნეულებების დროს „იზოლაციის“ მნიშვნელობის შესახებ პირველი ინფორმაცია გვხვდება ძველი აღთქმის წიგნში „გამოსვლათა“. ებრაელი ერის ეგვიპტიდან გამოსვლამდე, ვიდრე ჭირი ამოწვევდა იქ მცხოვრებ ყველა პირმშოს, მოსე მიმართავს ებრაელებს: „აიღეთ უსუპის კონა, ამოავლეთ სისხლიან თასში და სცხეთ სისხლი კარისთავსა და ორთავე წირთხლს სისხლიანი თასიდან. დილამდე არავინ გახვიდეთ კარში“ (ბიბლია 1989: გამოსვლათა, 12, 22). ჭირი, რომლის განრიდებისაკენ მოსე თანამომძეთ მოუწოდებს, არ იყო პანდემია, თუმცა მას ძველ აღთქმაში „დამღუპველ სენს“ უწოდებენ, რომლის შეყრითაც სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა ადამიანის სიცოცხლეს, ამიტომ აუცილებელი იყო ებრაელები საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად მთელი ღამით საკუთარ სახლებში ჩაკეტილიყვნენ.

სხვაგანაც, კერძოდ, „ისაიას წიგნში“, გვხვდება ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია ეპიდემიის მძვინვარების დროს ხალხის ერთმანეთისგან განრიდების საჭიროებაზე: „წადი, ჩემო ხალხო, შედით თქვენ-თქვენ ოთახებში და გამოიკეტეთ კარი. მცირე ხანს შეაფარე თავი, ვიდრე რისხვა გადაივლიდეს (ბიბლია 1989: ესაია, 26, 20).

მიუხედავად მოსეს და ესაიას თანამედროვეების ცოდნისა, რომ განმხოლოებას შეიძლება სულიერი და ფსიქოლოგიური პრობლემები მოჰყვეს, ადამიანი მორალურად დაზიანდეს, მაინც მიიჩნევენ, რომ ამგვარი ღონისძიებით გამოწვეული მღელვარება და შფოთი უფრო ნაკლებად სარისკოა, ვიდრე ეპიდემიის მსხვერპლად ქცევა. ამას ადასტურებს სიტყვები „მეორე რჯულთადან“: „გარეთ მახვილი გაანადგურებს, შიგნით შიშის ზარი ჭაბუკსაც და ქალწულსაც, ძუძუთა ბავშვს, ჭადარა კაცთან ერთად“ (ბიბლია 1989: მე-2 რჯულთა, 32, 25), თუმცა წესების დარღვევას არაფერი ამართლებს.

ძველი აღთქმა ასევე მიუღებლად მიიჩნევს სნეულების ყამს მორწმუნეთა მხრიდან არსებული ვითარების მხოლოდ ღვთის განგებულების კონტექსტში განსჯასა და მასზე დაყრდნობას, განსაკუთრებით კი ეპიდემიის მძვინვარებისას. თუ ასეთ დროს ადამიანი არაფერს გააკეთებს და მხოლოდ სასწაულს დაელოდება, შეიძლება ეს სასწაული მას არც მოევიწიოს. ძველი აღთქმა

ადამიანებს მოუწოდებს, გაუფრთხილდნენ საკუთარ სიცოცხლეს: „ეკრძალენით თავთა თქუნთა“ (ბიბლია 1989: მე-2 რჯულთა 4, 15); საკუთარ თავზე ზრუნვა კი სულაც არ ნიშნავს ლოცვაზე უარის თქმას და არც მის მნიშვნელობას აკნინებს განსაცდელის ძლევისას.

ძველი აღთქმა ასევე გვასწავლის, რომ ადამიანს სწეულებასა თუ სიკვდილს უფლის დაუმორჩილებლობა შეყრის. ამგვარად, გამოდის, რომ ადამიანზე მოვლენილი განსაცდელი საღვთო სასჯელის გამოვლინებაა. მოვიხმობთ მაგალითებს: „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არცერთ სენს, ეგვიპტეს რომ შევეყარე, რადგან მე ვარ უფალი, შენი გამკურნებელი“ (ბიბლია 1989: გამოსვლა, 15, 26); „ნუ იფიქრებ, რომ ბრძენი ხარ, უფლის გემინოდეს და ბოროტებას განერიდე. ეს არის შენი სხეულის განკურნება და საზრდო შენი ძვლებისათვის“ (ბიბლია 1989: იგავნი, 3, 7-8) და სხვ.

იუდაიზმი ასევე მიიჩნევს, რომ თუკი ადამიანი ავადმყოფობით იტანჯება, ეს ნიშნავს, რომ მან ან მისმა მშობლებმა სცოდეს. თუმცა მრავალტანჯული იობი ძველ აღთქმაშივე აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ცოდვისთვის სასჯელის მოვლენის ამ ძველ-აღთქმისეულ დამოკიდებულებას. იგი, როგორც სათნოებებით სავსე ღვთისმოსავი, რომელსაც თავს ატყდება ათასი უბედურება, უჩანადგება მოსავალი, უკვდება საქონელი, კარგავს ოჯახის წევრებს, ჯანმრთელობას, მეგობრებსაც კი, არ ღალატობს რწმენას, არ ემორჩილება საზოგადოების ზეწოლას და აგრძელებს ღვთის წინაშე თავისი უდანაშაულობის გამოცხადებას (ბიბლია 1989: წიგნი იობისა).

ძველი აღთქმის ამ შეხედულებას სწეულებასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება ახალ აღთქმა. უფალმა თავს იდო ჩვენი ცოდვები და საკუთარი თავის მსხვეპლად მიტანითა და ჯვარზე აღსრულებით, ფიზიკურის გარდა, მოგვანიჭა სულიერი კურნების შესაძლებლობა, როგორც ამის შესახებ ესაია წინასწარმეტყველი აცხადებს: „ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დაღწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ“ (ბიბლია 1989: ესაია, 53, 5).

სახარება გვთავაზობს არაერთ ამბავს უფალ იესო ქრისტეს მიერ სხვადასხვა სწეულებისა და პათოლოგიის განკურნებისა; იგი მხედველობას უბრუნებს ბრმას (იოან. 9, 1-41), განწმენდს კეთროვანს (მათ. 8, 1-4), აღადგენს დავრდომილს (ლუკ. 5, 17-26), განკურნავს სისხლმდინარეს (მარკ. 5, 25-34) და სხვ. ეს კურნებები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს უფლის მიწიერ მსახურებაში. მახარებლები გადმოგვცემენ: „მიმოდიოდა იესო მთელს გალილეაში, ასწავლიდა მათ (ხალხს) სინაგოგებში, ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას... და მოედო მისი ამბავი მთელს სირიას: მოჰყავდათ მასთან უძლურნი, სხვადასხვა სენითა და ჭირით სწეულნი, ეშმაკეულნი, მთვარეულნი და დავრდომილნი, და კურნავდა მათ“ (ბიბლია 1989: მათე, 4, 23-24). „მისი ამბავი სულ უფრო ფართოდ ედებოდა მთელს ქვეყანას და დიდძალი ხალხი აწყდებოდა, რათა მოესმინათ და განკურნებულიყვნენ თავიანთ სწეულებათაგან“ (ბიბლია 1989: ლუკა, 5, 15) და სხვ.

აღსანიშნავია მაცხოვრის კურნების მეთოდებიც, რომლებიც დღევანდელი მკითხველისთვის შეიძლება გასაოცარია, მაგრამ ანტიკურ ეპოქაში არავის უკვირდა. უფლის ამქვეყნიური ცხოვრების პერიოდში არსებული სამედიცინო ცოდნის ანალიზი აჩვენებს, რომ მის მიერ აღსრულებული კურნებანი (როგორი ორიგინალურიც არ უნდა იყოს იგი) თანხმობაშია მისივე ეპოქის სამედიცინო პრაქტიკასთან.

ახალ აღთქმაში არ გვხვდება ინფორმაცია რომელიმე კონკრეტული პანდემიის შესახებ, თუმცა სამი ე. წ. სინოპტიკური სახარებიდან (მათე, მარკოზი, ლუკა), რომლებსაც ხედვის ერთი მიმართულება აქვთ, მხოლოდ ლუკას სახარება მოიხსენებს „ჟამიანობას“ ანუ ჭირს, ეპიდემიას, ძველქართულად „სრვანს“, როგორც ჟამის აღსრულებისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერთ გამაფრთხილებელ ნიშანს: „და იქნება დიდი მიწისძვრანი, აჟა-იჟ – შიშშილობა და ჟამიანობა, საშინელებანი და დიადი სასწაულნი ზეცით“ – ბრძანებს მახარებელი (ბიბლია 1989: ლუკა, 21, 11).

ეს სიტყვები წარმოთქმულია ქრისტეს ვნების დაწყების წინ და წარმოადგენს სახარების იმ მონაკვეთს, რომელიც აღწერს დროის აღსასრულის ანუ მეორედ მოსვლის მოახლოების ნიშნებს. რო-

დესაც მაცხოვარს ესაუბრებიან იერუსალიმის ტაძრის სიდიადის შესახებ, იგი აცხადებს: „მოვლენ დღენი, როცა ყოველივე ამისაგან, რასაც ხედავთ, ქვა ქვაზედაც აღარ დარჩება, არამედ ყველაფერი დაინგრევა“ (ბიბლია 1989: ლუკა, 21, 6). ხოლო როდესაც ეკითხებიან, თუ როდის მოხდება ეს მოვლენები, იესო პასუხობს: „ფხიზლად იყავით, რათა არ შეცდეთ; ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით, და იტყვიან: მე ვარ და მოახლოვდა ჟამი; ნუ შეუდგებით მათ კვალს. როდესაც გაიგებთ ომებისა და აშლილობების ამბავს, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ჯერ ეს უნდა მოხდეს, მაგრამ მამინვე როდი დადგება აღსასრული“ (ბიბლია 1989: ლუკა, 21, 8-9).

უფალი სამყაროს აღსასრულის შესახებ წინასწარმეტყველური ნიშნების გამოცხადებით აფრთხილებს თავის მიმდევრებს, რომ მრავალი შეიძლება მოსულიყო მისი სახელით და სიცრუე ექადაგა ჟამის მოხლოების შესახებ; თუმცა იქვე აკონკრეტებს, რომ ეს კიდევ არ ნიშნავს უკანასკნელი (ესქატოლოგიური) ჟამის დადგომას, ვინაიდან ჯერ იქნება დევნა, რომელიც მისმა მოწაფეებმა უნდა განიცადონ (ბიბლია 1989: ლუკა, 21, 12). ამ სიტყვებს განამტკიცებს აპოკალიპსისიც (ბიბლია 1989: იოანეს გამოცხადება 6, 8).

ლუკას სახარების ამ მონაკვეთით ცხადდება, რომ ჟამიანობას მაცხოვრის დროს, ისევე როგორც კაცთა მოდგმაზე დღემდე მოვლენილ არაერთ განსაცდელს (მათ შორის, დღევანდელ პანდემიურ ვითარებაშიც), ქრისტეს მიმდევრები ხსნიან უკანასკნელი ჟამის დადგომით, რომლის მოახლოებაც ამოიცნობა არა ადამიანური გამოთვლებით, არამედ უფლის მიერ მოვლენილი ნიშნების საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ლუკა მოციქული თავის სახარებაში სხვა მახარებლებზე მეტად ამახვილებს ყურადღებას ღვთაებრივ სიყვარულზე, მონანიეთა შემწყნარებლობაზე, მაცხოვრის მიერ გამოჩენილ თანაგრძნობასა და შემწეობაზე წარმართებისა და სამართიელების მიმართ და სხვ. მისივე სახარებაშივე ვხვდებით ისეთ სასწაულებს, როგორებიცაა: განკურნება უწმიდური სულით შეპყრობილი მამაკაცისა (ბიბლია 1989: ლუკა, 4,33) და უძლურების სულით შეპყრობილი დედაკაცისა (ბიბლია 1989: ლუკა, 13,11), წყალმანკით დაავადებულისა (ბიბლია 1989: ლუკა, 14,1) და სხვ.

ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ლუკა მახარებლის მიერ აღწერილი სასწაული „ათი კეთროვანის განკურნების“ შესახებ (ბიბლია 1989: ლუკა, 17,12-19).

იესოს ამქვეყნიური ცხოვრების დროს მძვინვარებდა ბიბლიური დაავადება კეთრი. ამ დაავადებას პანდემიად არ მოიხსენებენ, თუმცა, როგორც ლუკას სახარებიდან ხდება ცნობილი, ადამიანებს კეთრი აშინებდათ, რადგან ადვილად გადამდები იყო და ძნელად იკურნებოდა. ამასთან, ყველა კეთროვანი უწმინდურად, ცოდვილად ითვლებოდა, ქალაქგარეთ იყვნენ გახიზნული და ახლოს არავინ ეკარებოდათ. მოსეს სჯულის მიხედვით, ვინც კეთროვანს შეეხებოდა, უწმიდური იყო და მასზე განწმედის წესი უნდა აღსრულებულიყო. ამდენად, კეთრით დაავადებულნი მხოლოდ ღვთისა და კეთილი ადამიანების იმედად იყვნენ დარჩენილნი.

სწორედ ასეთ დღეში მყოფი ათი კეთროვანი შეეგება უფალს ერთ-ერთი დაბის შესასვლელში და გამოჯანმრთელება შესთხოვა. უფალმა მათ პირდაპირ იუდეველ მღვდელმსახურებთან წასვლა უბრძანა: „წარვედით და უჩვენებით თავნი თქვენნი მღვდელთა“ (ბიბლია 1989: ლუკა, 17-14). მოსეს სჯულის მიხედვით, ძველი აღთქმის მღვდლებს ევალებოდათ კეთრით ან სხვა მსგავსი სნეულებით შეპყრობილთა გასინჯვა. თუ ვინმეს სნეულება აღმოაჩნდებოდა, უწმიდურად ცხადდებოდა, გამოჯანმრთელებულზე კი მოსეს სჯულით დადგენილი განწმედის წესი უნდა აღსრულებულიყო და ღვთისთვის მსხვერპლი შეეწირათ.

აღსანიშნავია, რომ ათივე კეთროვანი უფალმა მღვდელმსახურებთან მანამ გაგზავნა, ვიდრე მათ განკურნავდა. ამგვარად მან ამ ადამიანების რწმენა გამოსცადა. კეთროვნები დამორჩილდნენ უფლის სიტყვას, რწმენა გამოიჩინეს და, უფლის ნებით, მღვდელთან მისვლამდე განიკურნენ. რწმენამ იხსნა ისინი ფიზიკური განადგურებისაგან.

თუმცა ათი განკურნებული კეთროვანისგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა მაცხოვართან მადლიერების გამოსახატავად. სახარება ამბობს: „ერთი მათგანი, რომელმაც დაინახა, რომ განიკურნა, მობრუნდა და ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს. იესოს ფერხთით დაემხო და მადლი შესწირა; და იყო იგი სამარიელი“ (ბიბლია 1989: ლუკა, 17, 15-16). დანარჩენები კი სასწრაფოდ გაემართნენ იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლის შესაწირად და განსაწმენდად.

საღმრთო წერილის განმმარტებლები (იოანე ოქროპირი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვ.) ცხრა განკურნებული იუდეველის უმადურობის მიზეზს ძველი სჯულის დამონებულობაში ხედავენ, სამარიტელი კი ყოველივე ამისგან თავისუფალი იყო, ის „არ იყო შებორკილი იუდაური წეს-ჩვეულებებით და არც იუდეველი უხუცესებისა ეწინოდა, ამდენად, სავსებით შეეძლო თავისი გულის კარნახით მოქცეულიყო“ (დიაჩენკო 2021:).

კეთრისაგან განკურნებულ სამარიტელს, რომელიც უკან მადლობის შესწირავად დაბრუნდა, უფალმა უთხრა: „აღდეგ და წარვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“ (ბიბლია 1989: ლუკა 17, 19), რაც ნიშნავს: „შენმა რწმენამ კურნება შესძინა არა მხოლოდ შენს სხეულს, არამედ შენს სულსაც მოუპოვა ცხოვნება, ანუ ცხოვნების გზაზე დაგაყენა შენ, რასაც დანარჩენი ცხრა მოაკლდა, ვინაიდან მხოლოდ ხორციელ კურნებას დასჯერდნენ“ (დიაჩენკო 2021:).

ამდენად, ახალი აღთქმის ღვთისმეტყველებაში სწეულება და კურნება განიხილება ადამიანის ონტოლოგიურ გამოცდილებად, რაც თავისთავად უკავშირდება პირველჩენილ ცოდვასა და ღვთისგან ბოძებული თავისუფლების ბოროტად გამოყენების საკითხს. აქედან გამომდინარე, ახალ აღთქმაში, განსხვავებით ძველი აღთქმისა, ადამიანზე აღესრულება სრული კურნება, როდესაც უფალი იესო ქრისტე აღადგენს არა მხოლოდ ადამიანის სხეულს და მის ადგილს სოციალურში, ანუ მის სოციალურ მიკუთვნებლობას, არამედ მის სულსაც. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ადამიანის სრული გაჯანსაღება შეუძლებელია მისივე ყოფიერების შემადგენელი თითოეული ასპექტის გათვალისწინების გარეშე.

ახალი აღთქმის განმმარტებლები ადამიანის ამგვარ აღდგენას ადარებენ უფლის მკვდრეთით აღდგომის სასწაულს, რომელიც მთელი ძალით განაცხადებს მაცხოვრის თანადგომას მოკვდავი და დაწყლულებული კაცობრიობის მიმართ.

დამოწმებანი:

ბიბლია 1989: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი: 1989.

დიაჩენკო 2001: <http://www.orthodoxy.ge/tserili/diachenko/29kvira.htm>

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Contagious Diseases in Georgian Folklore and Traditions

Summary

Global impact of the Covid-19 pandemic has claimed millions of lives and has changed the ways in which each of us relates to. The situation created the necessity to go back to distant past when the empiric medicine did not exist and men believed in nature spirits affecting their lives. Georgian folklore and time – honored customs give opportunity to restore the history of medicine the genetic roots of which is connected to the pagan period of life, to so called magical-religious medicine.

Key words: Contagious Diseases, Magical-Religious Medicine

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური

საქართველო, თბილისი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი*

ინფექციური დაავადებები ქართულ ფოლკლორსა და ტრადიციებში

კოვიდ-19 მსოფლიო პანდემიამ, იმ პრობლემებმა, რომლის წინაშეც ცივილიზებული სამყარო აღმოჩნდა, შექმნა აუცილებლობა დავებრუნებულებით შორეულ წარსულში, როცა ემპირიული მედიცინა არ არსებობდა და ჩვენი წინაპრები თავიანთი წარმოსახვის წყალობით ცდილობდნენ ავადმყოფობებთან გამკლავებას. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ პირველყოფილი ადამიანი სულაც არ იყო აბსოლუტურად ჯანმრთელი და დაავადებები, მათ შორის გადამდები უკვე არსებობდნენ. მათ გავრცელებას ეპიდემიებად და პანდემიებად ხელი შეუწყო ცხოვრების

წესის შეცვლამ: სამონადირეო-შემგროვებითი საქმიანობიდან მიწათმოქმედებაზე, მესაქონლეობაზე გადასვლამ, ბინადარი ცხოვრების დაწყებამ, ქალაქების აგებამ, გზების გაყვანამ, ვაჭრობის ხელშეწყობამ, ომებმა მიწებისა და სიმდიდრის დასაუფლებლად. საქართველოზე მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ევროპისა და აზიის იმპერიების ინტერსები გადიოდა, რის გამოც მუდმივი თავდასხმების ობიექტი იყო და ბუნებრივია, ქვეყანის მოსახლეობა ადგილობრივი ეპიდემიების გარდა, გარეშე მტრების მიერ შემოტანილი მსოფლიო პანდემიად ქცეული ინფექციების მსხვერპლიც ხდებოდა. საუკუნეების მანძილზე დაკვირვებებისა და პრაქტიკული გამოცდილების წყალობით ავადმყოფობებთან ბრძოლის გარკვეული ცოდნა დაგროვდა, რამაც ხელი შეუწყო სამკურნალო წიგნების შექმნას საქართველოში (XI-XVI სს).

პირველი წერილობით ცნობას საქართველოში ინფექციური დაავადების, შავი(ბუბონური) ჭირის ეპიდემიის შესახებ **XIV საუკუნის მემატიანე და კალიგრაფი ავგაროზ ბანდაისძე გვაწვდის.** თუმცა თავად დაავადება უფრო ადრე, „უსწორო კარაბადინშია“ (XI ს.) ნახსენები (ჟღენტი 2019: 9-11). ავგაროზ ბანდაისძე 1348 წელს „სიკვდილობის წელს“ უწოდებს. დაავადება საქართველოში ოქროს ურდოს ლაშქარმა გაავრცელა და ორი ათეული წელი მძვინვარებდა. ამ დაავადებამ **1366 წელს მეფე ბაგრატ V მეუღლის, დედოფალ ელენეს სიცოცხლეც შეიწირა** (ბერაძე ... 2003: 211-212). ოქროს ურდომ შავი ჭირი ევროპაშიც გაავრცელა, სადაც 60 მილიონ ადამიანზე მეტი დაიღუპა. შავი ჭირის მეორე პანდემია სამასი წლის შემდეგ განმეორდა. **ამ პერიოდის საქართველოს შესახებ უფრო მეტი ინფორმაციული მასალა მოგვეპოვება – ისტორიული წყაროები, მემუარული ლიტერატურა:** შავი ჭირით გამოწვეული ერეკლე მეფის თელავიდან მცხეთაში გადასვენებისა და დაკრძალვის პრობლემები (1798 წლის 11 იანვარი – 21 თებერვალი), ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ორბელიანის (1802-1869) მემუარები, რომელიც 1867 წლით თარიღდება და მოთხრობილია ორბელიანების ოჯახის 1811 წლის ისტორიას, როცა თბილისში შავი ჭირი მძვინვარებდა. ორბელიანების ოჯახი კახეთში მამიდასთან გაიხიზნა, თუმცა 9 წლის ალექსანდრე შავი ჭირით სწორედ კახეთში დაავადდა და

ორმოცი დღე ებრძოდა ვერაგ ინფექციას. მოგონებაში გადმოცემულია შავი ჭირის იმდროინდელი მკურნალობის ხალხური მეთოდები, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი (მიქაბერიძე 2018: 9-45). რთული და გაუსაძლისი იყო გასული საუკუნის 10-იანი, 20-იანი წლებიც: საზღვარგარეთიდან რიგ-რიგობით ვრცელდებოდა პარტახტიანი ტიფი, შავი ჭირი, ხოლერა, „ესპანური გრიპი“. არსებული ვითარება ამ პერიოდის ქართულ პრესში აქტიურად შუქდებოდა.

ინფექციური დაავადებები ქართულ ვერბალურ და მუსიკალურ ფოლკლორში, ტრადიციებში: (მითოლოგიური გადმოცემები, ზეპირი ისტორიები, მითოლოგიური და სყოფაცხოვრებო პოეზია, სიმღერები, რწმენა –წარმოდგენები, ადათ-წესები):

ადამიანის წარმოდგენები გარე სამყაროზე ქვის ხანიდან მოყოლებული ეტაპობრივად ვითარდებოდა. **ბუნებაზე ზემოქმედების თავდაპირველი მეთოდი მაგიურ – ჯადოქრული იყო**, რაც გულისხმობდა მაგიურ ქმედებებს, მაგიური სიტყვების, საგნების გამოყენებას, მათ შორის მსხვერპლშეწირვას. ავადმყოფობების მიზეზად ადამიანის სხეულში ჩასახლებული სულებს მიიჩნევდნენ და **სიმპათიური მაგიის (ხეწნის, მორჩილებისა და პატივისცემის, შებრალების, თხოვნის) საშუალებით ცდილობდნენ ავადმყოფობისგან თავის გადარჩენას, ავადმყოფობაზე გავლენის მოხდენას**. დროთა განმავლობაში **ადამიანმა ავადმყოფობები ადამიანური თვისებებით აღჭურვა**: დაჰყო მამაკაცებად და ქალებად, შექმნა მათი ოჯახური და იერარქიული ინსტიტუტი, განსაზღვრა მათი საცხოვრებელი ადგილი, დაუკავშირა ისინი მცენარეებს, ცხოველებს, სხვადასხვა საგნებს, ფერებს, მნათობებს, წარმართულ ღვთაებებს. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ინფექციური დაავადებები ღმერთის, ქრისტესა და სხვადასხვა ქრისტიანული წმინდანების დაქვამდებარებაში მოექცა.

ინფექციური დაავადებების საცხოვრისად სამყაროს სამივე განზომილება განიხილებოდა: მიწაზე – ზღვის გაღმა, ქვესკნელში, ცაში (ხალხური პოეზია 1973: 360).

ერთი გადმოცემის მიხედვით მეთევზე უზარმაზარმა თევზმა გაიტაცა იმ კუნძულზე, სადაც ინფექციური დაავადებები სახლობდნენ. მის თვალწინ გადაიშალა მშვენიერი წალკოტი, თავ-

ლის მდინარეები და რძის ნაკადულები. მეთევზემ აქ მისი გარდაცვლილი მეზობლები ნახა, რომლებიც წლების წინ ინფექციურ დაავადებებს თავიანთ ყმებად წამოეყვანათ. მეთევზე გატაცებიდან მეორე წელს იმავე თევზის დახმარებით სახლში დაბრუნებულა (სახოკია 1956: 25-26). მეორე გადმოცემით ერთი კაცი ზღვის ტალღამ კლდის ძირას მიაგდო, კლდეზე ავიდა, მის წინ დიდი მინდორი გადაიშალა, სადაც ანკარა წყარო მოდიოდა. წყაროსთან თოვლივით თეთრი ტიტველი ქალი იდგა და სარეცხს რეცხავდა. ქალი ინფექციური დაავადებების ყვავილისა და წითელას დედა იყო. ქალმა კაცი შვილად მიიღო და სახლში წაიყვანა, გზაზე სხვა სნეულებების სახლებიც აჩვენა, მარტო სურდოს არ ჰქონდ მუდმივი ბინა. ყვავილისა და წითელას სახლის დარბაზის შუაგული იმ ადამიანების თვალებით იყო მოჭედილი, რომლებიც ყვავილმა დააზარალა. როცა ყვავილი და წითელა დაბრუნდნენ, დედამ შვილებს სთხოვა არაფერი ევნოთ კაცისთვის და სახლში დაებრუნებინათ. კაცი ჟამს ჩააბარეს, რომელმაც ის სახლში მშვიდობით მიიყვანა (ნიჟარაძე 1962: 147-148). ინფექციური დაავადებები, „**ბატონები**“ **ორსაფეხურიან იერარქიულ ინსტიტუტში „დიდ“ და „პატარა ბატონებად“ იყვნენ გაერთიანებულნი.** „დიდ ბატონებად“ ითვლებოდნენ შავი ჭირი, ხოლერა და ყვავილი. მეორე ჯგუფს წარმოადგენდნენ წითელა, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა, ყვიანახველა, ყბაყურა და წითურა. თითოეულ მათგანს ჰყავდა ოჯახი, დედა, და-ძმა, ოჯახურ წყვილს – ცოლ-ქმარს წარმოადგენდნენ. თეთრსამოსიანი ქალები და შავსამოსიანი გრძელწვერა მამაკაცები შვიდ წყვილად ჯორებით გადაადგილდებოდნენ. მათ ვერანაირი გეოგრაფიული დაბრკოლება ხელს ვერ უშლიდა: „თეთრი ზღვიდან გიახელით, შვიდი და-ძმანი ბატონი“..., იისა და ვარდის ბაღში ბატონები ბრძანდებიან... ია ვკრიფე, ვარდი ვშაღე... წინ ბატონებს გავუშაღე“. „ბატონების ბაღიაო, ვარდო ნანინაო, თეთრი თუთა ასხიაო... განა მართლა თუთა არი...ბატონები ბრძანდებიან, მათ ვენაცვალეო“ (სახოკია 1956: 24, 27; დონაძე ... 1990: 13-14: ქართული ხალხური პოეზია 1979: 124 – 132). **ბატონების მკურნალობის ხალხურ ტრადიციის განუყოფელი ნაწილი იყო რიტუალური ლექს-სიმღერების შესრულება, რომელიც ჩონგურის ან ფანდურის თანხლებით სრულდებოდა და ორ ჯგუფად იყო-**

ფოდა: ორხმიან „იავნანად“ და სამხმიან „ბატონებოდ“, იგივე „სა-ბოდიშოდ“. მოგვიანებით „იავნანა“ თანამედროვე აკვნის სიმღერად იქცა: საყოფაცხოვრებო ელემენტები – ტექსტობრივი მრავალფეროვნება შეიძინა, თუმცა შეინარჩუნა მისამღერი „იავნანა, ვადო ნანა, იავნანინაო“, სადაც ბატონების საკრალური ყვავილების კვალია შემორჩენილი. „შვიდი“ კი უნივერსალური საკრალური ციფრია. ქუნთრუმას ხალხური სახოლწოდება „ვარდკოხაა“. „კოხი“ ცეცხლგამძლე ქვაა, მას მეორე მნიშვნელობაც აქვს, წვრილ სეტყვას ნიშნავს. ჩვენი აზრით „ვარდკოხა“ სწორედ „ვარდების სეტყვას“ უნდა გულისხმობდეს და ქუნთრუმას დროს ავადმყოფის სხეულზე წვრილი სეტყვის მსგავსი წვრილწინწკლოვანი გამონაყარის მეტაფორული აღწერაა ბატონების საპატივცემულოდ (ორბელიანი 1992: 254, 387; ღლონტი 1984: 308-30). ანტიკურ რომსა და საბერძნეთში ია თავყანისცემის საგანი იყო და ათენის სიმბოლოსაც წარმოადგენდა, სიყვარულს, ერთგულებას, თავმდაბლობას, ღირსებას განასახიერებდა. მას სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა – იის გვირგვინით თავის შემკობა თავბრუსხვევისაგან იცავდა ადამიანს. ევროპულ ფოლკლორში ია სიკვდილთან, გლოვასთან ასოცირდება. ვარდიც პოპულარული მცენარე იყო. მისი არსებობა 35 მილიონი წლიდან დასტურდება, სიყვარულის ღვთაებების აფროდიტას და ვენერას სიმბოლიური ყვავილი იყო. ძველ რომში მას კვდომა-აღდგომის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და ხშირად რგავდნენ საფლავებზე. მითოსურ წარმოდგენებში ია და ვარდი ქვესკნელის დედოფლისა და ქვესკნელი მეფის ყვავილებია, რისი კვალიც ქართულ ხალხურ ჯადოსნურ ზღაპარშიც იძებნება: „იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა“ (ხალხური სიბრძნე 1963: 107-110; კოტეტიშვილი 1961: 325). უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეებს დაავადებების სულების როგორც საამებლად, ასევე მათ წინააღმდეგ საბრძოლველადაც იყენებდნენ. ზემოთ მოყვანილი „ბატონების“ ლექსიდან ჩანს, რომ თუთა ბატონებს განასახიერებდა. ამიტომაც სპეციალურდ მორთული მრავალგანშტოებიანი თუთის ხის ტოტი ბატონებისთვის მისართმევი საჩუქარი იყო. აღსანიშნავია, რომ ბატონების სტუმრობის დროს ოჯახში აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობა იკრძალებოდა. ტრადიციის მიხედვით სამეგრელოში გარდაცვლილი უფროსი

ქალის ოჯახის წევრები ეზოში დარგულ თუთის ხეს ამოთხრიდნენ, დასაფლავების წინ მიცვალებულს თუთის ხის გარშემო შემოატარებდნენ და მის საფლავზე გადარგავდნენ (სახოკია 1956: 36; აბაკელია 2007: 23-40; მინდაძე 2017: 111-124). წმინდა ხედ მუხა, თხილი, ბროწეული, კაკალი და ცაცხვიც ითვლებოდა. ლეჩხუმში ხვამლობის დღესასწაულის დროს (20 ივლისი) წინასწარ შესახელებული კაკლის (სახვამლო კაკას) ხის ქვეშ შლიდნენ სუფრას. სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნიგვზიანი ხმიადი. სახვამლო კაკას მოსავლიანობასთან ერთად ბავშვების ჯანმრთელობას შესთხოვდნენ. გამოჯანმრთელების მიზნით ყივანახველით დაავადებულ ბავშვებს მეხნაკრავი კაკლის ხის ქვეშ აძვრენდნენ (ალავიძე 1951: 129-130). ხევში ბატონებს დანაყილი ნიგვზისგან დამზადებულ პატარა სანთელებს ე.წ. ბაზმებს უნთებდნენ, რომლებიც წვის დროს სასიამოვნო სუნს გამოსცემდნენ (ქართული ხალხური პოეზია 1979: 355). ცაცხვის ხის თაყვანისცემა მთელ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. ის სალოცავის მოვალეობას ასრულებდა. ავადმყოფის ოჯახის წევრები ცაცხვის ხესთან მიდიოდნენ, ყველა ტოტს დაათვალიერებდნენ, თუ ყველა ტოტი მთელი აღმოჩნდებოდა ავადმყოფი მალე გამოჯანმრთელდებოდა (ქისტაური 2012: 47).

ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ, კერძოდ შავი ჭირის დასამარცხებლად გამოიყენებოდა ღვია. ამ უნიკალურ წიწვოვან მცენარეს უძველესი დროიდან სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. მას 50 მილიონი წლის ისტორია აქვს და ყველა კონტინენტზე ხარობს. საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებებით გვხვდება: ტუია, ოდალაჯი, ჭყერი, ღვიო (მაყაშვილი 1991: 75), 600-დან 3000 წლამდე ცოცხლობს, კლავს ბაქტერიებს. ჩვენი წინაპრები ღვიას ტოტებს სახლის კარზე კიდებდნენ, სახლში წვავდნენ და მისი კვამლით „ავ სულებს“ ებრძოდნენ. ალექსანდრე ორბელიანი მემუარებში აღწერს თუ როგორ მკურნალობდნენ ორმოცი დღის განმავლობაში შავი ჭირით დაავადებულ მცირეწლოვან მწერალს: დარბაზში, სადაც ის იწვანაკვერჩხალზე ღვიას აკმევდნენ, აგურზე კი ძმარს, დღეში სამჯერ აიაზმას ასხურებდნენ.

ცალკე განხილვას იმსახურებს ავადმყოფის ოჯახის და ახლობლების ქცევის წესები, რათა სრული კომფორტი შეექმნათ

მათ ოჯახში დროებით ჩასახლებული იფექციური დაავადებების-თვის, სტუმართმოყვარეობა გამოეჩინათ მათ მიმართ, მორჩილება გამოევიწყებინათ, არ განერისხებინათ, მშვიდობიანად დასრულებულიყო მათი სტუმრობა. ავადმყოფს „ბატონებისადმი“ მორჩილების ნიშნად გახვრეტილ ქვას ჰკიდებდნენ, რომელსაც შემდეგ ავადმყოფი ლეიბის ქვეშ ინახავდა. თეთრეული ახალი და სუფთა უნდა ყოფილიყო, საბანი-აბრეშუმის, მუქი ფერის სამოსი იკრძალებოდა, კერაზე ცეცხლი ჩამქრალი იყო, რადგანაც ბატონებს“ ცეცხლი არ უყვარდათ. სახლში საჭმელი არ მზადდებოდა – მეზობლები აწვდიდნენ. მენიუდან ამოღებული იყო ღორის ხორცი, მწარე და ცხარე საჭმელი, ძმარი და ღვინო. მეზობლები ავადმყოფობის სულებს საჩუქრებს მიართმევდნენ: ვარიებს, რომლებსაც ნისკარტი და ფეხის ფრჩხილებს წითლად უღებავდნენ ბატონებს ღია ფერები უყვარდათ. ხალხურ წარმოდგენებში ფერთა კლასიფიკაცია მათი მაგიური ძალის ხარისხით იყო განპირობებული (ხუციშვილი 2010:4-5).

ავადმყოფის მოვლას „ბატონების მსახური“ (მამაკაცი ან ქალი) განაგებდა, რომელსაც ეს დაავადება მოხდილი ჰქონდა და შეეძლო „ბატონების“ გართობა: ცეკვა-სიმღერა, ჩონგურზე დაკვრა, ზღაპრების მოყოლა. „მსახური“ იცავდა სახლის სისუფთავეს, იის ნაყენით ახდენდა სახლის და ეზოს დეზინფექციას. თუ „ბატონები“ ავადმყოფს ყურთასმენას ან თვალის სინათლეს წაართმევდა დაზარალებული სამ წელიწადი დადიოდა იმ ოჯახებში, სადაც „ბატონები“ გაჩნდა და ბატონებისთვის ძღვენი მიჰქონდა. თუ თვალყური არ მოურჩებოდა ზეციურ ღვთაებათა ამქვეყნიურ საბრძანისში ხატში (ჯვარში), ეკლესიაში მიდიოდა ოჯახი და შესაბამის წმინდანს, ღვთაებას მიაგებდა პატივს, რომელიც სწეულებათა მკურნალი იყო. ხალხის წარმოდგენით ზოგი ღვთაება სასჯელად ადამიანს თავად უგზავნიდა ავადმყოფობას. ასეთ სწეულებს ხალხი „ხატის დამიზნებულს“ ან „ხატის დაჭერილს“ უწოდებდნენ. მკურნალ ღვთაებებს პატივს მიაგებდნენ და საქმეში ჩარევას ევედრებოდნენ. თუ ავადმყოფი გარდაიცვლებოდა, მწუხარებას არ იმჩნევდნენ, თავს იდანაშაულებდნენ, „ბატონები“ გავანაწყენეთო და მიცვალებულის დასაფლავების წესს არ იცავდნენ (სახოკია 1956: 23-39). ქართულმა მითოლოგიურმა პოეზიამ შემოგვინახა

ავადმყოფობასთან მებრძოლი ახალგაზრდა გოგონას სახე, რომელიც არ ჰგავს მორჩილ რელიგიურ ფანატიკოსს, თავად ემუქრება სენს: „მე შენ ვერ დამიჩათინებ თუ ვარ ყოჩაღი ქალიო, ... ქურდო! ქურდულათ დამერები, მერალად გაგხსნია ხახაო“ („ცივების ლექსი“, ქართული ხალხური პოეზია 1973: 172-174).

ასტრალური პანთეონის ჩამოყალიბებას თან ახლდა მზე და მთვარის ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობაზე, ზოგადად ცოცხალ ბუნებაზე, ამინდზე გავლენის მქონე მნათობი ღვთაებების ფუნქციური ინსტიტუტის შექმნა. ამის მაგალითები მრავლადაა შემორჩენილი ქართულ შელოცვებში (ცანავა 1994: 472-496; შიოშვილი 1994: 126-231)... „მთვარის დაავადებად“ ითვლებოდა ეპილეპსია, მას „დემონური დაავადებაც“ ჰქვიადა. ქართველები ამ დაავადებას „ბნედას“, „ავ ზნეს“ უწოდებენ. „იადიგარ დაუდში“ (XVI ს.) შემონახული ინფორმაციით მას ავი და ბოროტი სული „ალი“ იწვევდა. მზეს უკავშირებდნენ შაკიკს – „მზის თავის ტკივილს“ უწოდებდნენ. აღნიშნული რწმენა-წარმოდგენების კვალი შაკიკის შელოცვებშია შემონახული: ავადმყოფი მზის ამოსვლამდე შუბლზე იდებდა ტყემლის ტყლაპს, მივიდოდა კაკლის ხესთან და კაკალს ეტყოდა: „რომელსაც უმალ დაგვინახავს მზე, იმას უმალ ასტკივდეს თავიო“. ავადმყოფს კაკალი სიცოცხლეში არ უნდა ეჭამა (შიოშვილი 1994: 77). თუშების წარმოდგენით ცისარტყელა („თითბეჭედა“) ხელზე მუწუკის დაყრას იწვევდა, ამიტომ მისი დანახვისთანავე ხელს დამალავდნენ და იტყოდნენ: „თითბეჭედა დავინახე, თითი კარგა შემინახეო“ (მაკალათია 1983:196).

წარმართული რელიგიური პანთეონის ქრისტიანულით ჩანაცვლების შემდეგ ავადმყოფობები ქრისტიანულმა წმინდანებმა გადაიბარეს, თუმცა წარმართობის კვალი სრულად ვერ წაშალეს. მოხვევები „ყვავილ-ბატონებს“ იოანე ნათლისმცემლის ყვავილს უწოდებდნენ (ქართული ხალხური პოეზია 1979: 355). იგი ღვთის იასაულია, ღმერთის დავალებით ციდან მიწაზე ჩამოდის და ნარჩევ თუშებს მუსრს ავლებს (ქართული ხალხური პოეზია 1973: 171-172). ცნობილი ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე ნაშრომში „ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი ისტორიიდან – ღვთაება ბარ-ბაბარ“ აღნიშნავდა, რომ ქრისტიანულ ხანას წინ უსწრებდა განვითარების გრძელი პერიოდი, რომელიც იდეოლოგიის

ხაზით უძველეს მდიდარ სარწმუნოებებს და კულტებს შეიცავდა. ამით აიხსნებაოდა ის ფაქტი, რომ ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულს წარმართული სჭარბობდა, ქრისტიანული წმინდანების სახელით უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმებოდნენ. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მან შეისწავლა ღვთაება ბარბარეს ტრანსფორმაცია ქართულ სინამდვილეში. ბარბარე / ბარბაღე კათოლიკურ სამყაროში ცეცხლისა და ქარიშხლისაგან დამცველი ღვთაება იყო. სწეულებათა მკურნალი ქართული ბარბარე ციურ ცეცხლთანაც ასოცირდებოდა. წმინდა ბარბარესადმი მიძღვნილი ლოცვა შუა ცეცხლთან ან ამომავალი მზის მხარეს სრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ ფშაველებმა წმინდა ბარბარეს ფუნქცია სათაყვანებელ თამარ მეფეზე გადაიტანეს და მას „ღელეს აქიმ-დედოფალს“ უწოდებდნენ (ბარდაველიძე 2006: 6- 62).

ზეპირი ისტორიები: შავი ჭირის ეპიდემია საქართველოში მე-19 საუკუნეში ტალღებად გავრცელდა(1803-1807; 1811-1812; 1836-1843) ქართლში, კახეთში და დასავლეთ საქართველოშიც შეაღწია. წინამდებარე ისტორია სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება, რომელიც გვიამბო ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის მკვიდრმა, პედაგოგმა მზია ბურჯალიანმა. ამბავი სოფელ ორბელში სოფლის ველებთან მდებარე „**სამმომარას გორას**“ უკავშირდება. მე-19 საუკუნის დასაწყისში ლეჩხუმში შავი ჭირის ეპიდემიის დროს გარდაცვლილებს სოფლის ველების ბოლოს კრძალავდნენ, მოსახლეობა კი სოფლებიდან ახლო-მახლო ტყეებში იხიზნებოდა. მიცვალებულთა სიმრავლის გამო სამარხი გორად იქცა და ხალხმა მას „სამმომარას გორა“ უწოდა. გასული საუკუნის 30-იან წლებამდე (კოლექტივიზაციამდე) ეს ტერიტორია ხელშეუხებელი იყო (ბურჯალიანი 2021: იანვარი). მეორე ისტორია ეხება ზემოთ აღნიშნულ პერიოდში **თბილისის ტიტულარული მრჩეველის, კარანტინის დარგში დანიშნული კომისრის (1812-1825) აზნაურ სტეფანე მიზანდარის (1781-1859) სამოქალაქო გმირობას**, რომელიც განსაკუთრებული მზრუნველობითა, მოქმედებებით გამოირჩეოდა – უშიშრად შედიოდა ოჯახებში, აცალკევებდა შავი ჭირით დასნეულებულებს ჯანმრთელი ოჯახის წევრებისაგან, გადაჰყავდა ლაზარეთებში, საწოლი ადგილების

უკმარისობის გამო იძიებდა თანხებს დაავადებულთათვის ქალაქის შემოგარენში დამატებით კარვების ქალაქის მოსაწყობად. მისი სამსახურებრივი ატესტატიდან ირკვევა, რომ გამოჩენილი თავდადებისთვის კავკასიის მთავარმართებელმა ე. გოლოვინმა წელიწადში 240 ოქროს მანეთი დაუნიშნა. სტეფანე მიზანდარის ფერწერული პორტრეტი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება (მხატვრის ვინაობა საკამათოა). ცნობისათვის, სტეფანე მიზანდარი მიზანადარების ცნობილი მუსიკალური დინასტიის – ალოიზ, ფელიქს და ვალერიან მიზანდარების დიდი პაპა იყო. აღნიშნული ისტორია სტეფანე მიზანდარის მეშვიდე თაობის შთამომავალმა ისტორიკოსმა და მკვლევრმა ლევან მიზანდარმა გვიამბო, რომელმაც მიზანდარების დინასტიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთი უცნობი თავგადასავალი მოუთხრო ჩვენს საზოგადოებას. კიდევ ერთი ზეპირი ისტორია ცნობილ მკვლევარს, სახელოვანი პაპის თედო სახოკიას შვილიშვილს, შუქია აფრიდონისძეს უკავშირდება. მიმდინარე წლის ზამთარში, ღამით, კოვიდ ეპიდემიის გართულებულ პერიოდში, ქალბატონი შუქიას სახლის კარზე ვიღაცამ დარეკა. სანამ კარს გააღებდა ბუნებრივია იკითხა თუ ვინ იყო ამ დროს, როცა ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტს ერიდებოდნენ. მის წინ ორი არასრულწლოვანი ბიჭი იდგა. ერთს ხელში ნახატები ეჭირა. კოვიდ ეპიდემიამ მათი მშობლები უმუშევრები დატოვა და ბიჭმა გადაწყვიტა თავისი ნახატები გაეყიდა და ოჯახს ფინანსურად დახმარებოდა, ქალბატონ შუქიას ნახატების ყიდვა სთხოვეს. მას საფულეში არც თუ დიდი თანხა აღმოაჩნდა და ერთი ნახატი შეიძინა. ბიჭი სთხოვდა გადახდილი თანხის სანაცვლოდ ყველა სურათი აეღო, მაგრამ შუქიამ აუხსნა, რომ სჯობდა დარჩენილი ნახატებით დამატებითი ფული ეშოვნათ ოჯახისთვის. ეს პატარა ამბავი მრავლისმთქმელია და ერთი ეპიზოდია კოვიდ პანდემიის ორწლიანი თბილისური ისტორიიდან. საზოგადოების მრავალმხრივი ინფორმირებულობა ჩვენი მოქალაქეების, მედიცინის თუ სხვა დარგის წარმომადგენლების უნგარო, თავდადებული საქმიანობის შესახებ კოვიდ პანდემიის პირობებში გადაუდებელი აუცილებლობაა. დღევანდელი კოვიდური ცხოვრება პანდემიებთან და ეპიდემიებთან ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიის გაგრძელებაა და აქტუალური თემაა შემოქმედებითად მოაზროვნე ხელოვანთათვის.

დამოწმებანი:

აბაკელია 2007: აბაკელია ნ. *სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული საკრალური ხის სიმბოლიკა ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში*. სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“, I. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.

ალავიძე 1951: ალავიძე მ. *ლექსუმური ზეპირსიტყვაობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1951.

აფრიდონიძე 2021: აფრიდონიძე შ. *ზეპირი ისტორია*. თბილისი: 2021.

ბარდაველიძე 2006: ბარდაველიძე ვ. *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ*. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2006.

ბერაძე ... 2003: ბერაძე თ., სანაძე მ. *საქართველოს ისტორია*, წიგნი 1. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2003.

ბურჯალაიანი 2021: ბურჯალაიანი მ. *ზეპირი ისტორია*. ცაგერი: სოფელი ორბელი, 2021.

დონაძე ... 1990: დონაძე ლ., ჩიჯავაძე ო., ჩხიკვაძე გ. *ქართული მუსიკის ისტორია*, წიგნი 1. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1990.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ. *ხალხური პოეზია*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1961.

მაკალათია 1983: მაკალათია ს. *თუშეთი*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1983.

მაყაშვილი 1991: მაყაშვილი ა. *ბოტანიკური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

მიზანდარი 2021: მიზანდარი ლ. *ზეპირი ისტორია (სტეფანე მიზანდარის სამოქალაქო გმირობა)*. თბილისი: 2021.

მინდაძე 2001: მინდაძე ნ. *რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში*. ქართველური მემკვიდრეობა. V. ქუთაისი: ავ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

მინდაძე 2002: მინდაძე ნ. *ტრადიციული მედიცინა ევრაზიულ სივრცეში*. ქართველური მემკვიდრეობა, VI. ქუთაისი: ავ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.

მიქაბერიძე 2018: მიქაბერიძე მ. *XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა*. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018.

ნიჟარაძე 1962: ნიჟარაძე. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები*, I. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1962.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს. *ლექსიკონი ქართული*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.

სახოკია 1956: სახოკია. *ეთნოგრაფიული ნაწერები*. თბილისი: განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1956.

ქართული ხალხური პოეზია 1973: *ქართული ხალხური პოეზია*. ტ. II. *მითოლოგიური ლექსები*. შემდგენლები: მ. ჩიქოვანი, ნ.შამანაძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ქართული ხალხური პოეზია 1979: *ქართული ხალხური პოეზია*. ტ. VIII. *საყოფაცხოვრებო ლექსები*. შემდგენლები: ფ.ზანდუკელი, ვ.მაცაბერიძე, აპ. ცანავა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

ქისტაური 2012: ქისტაური გ. *წარმართული რელიქტი V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში*. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2012.

ღლონტი 1984: ღლონტი ა. *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1984.

შიოშვილი 1992: შიოშვილი თ. *ქართული ხალხური შელოცვები*. ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1992.

ცანავა 1992: ცანავა აპ. *ქართული მითოლოგია*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1992.

ხუციშვილი 2010: ხუციშვილი ქ. *წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში*. სამეცნიერო ჟურნალი ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.

Bela Mosia

Georgia, Zugdidi

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi, Affiliated Professor

Conspiracy Theories and Folklore Narrative

Summary

Modern world folklore interestingly explores the idea of the folk foundations of conspiracy theories. As a collective phenomenon, conspiracy theories are to some extent related to the history of thought and become interesting in order to study the psychological or emotional state of a nation. It is associated with folk genres: fairy tales, hunting epics, myths, ancient weather management rituals, charms as the result of collective creativity. There is a worldwide tendency to pay more attention to different types of treatments with charms, phytotherapy and other similar remedies than to medicine based on research, facts and experiences. Legends that are most interestingly considered by world folklorists as an interesting genre feature of the real and the fiction.

Key words: conspiracies, folk genres, myths.

ბელა მოსია

საქართველო, ზუგდიდი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კონსპირაციული თეორიები და ფოლკლორული ტრადიცია

ჩვენი წინამდებარე სტატიის მიზანია კონსპირაციის როგორც მოვლენის, ჟანრისა თუ თეორიის ფოლკლორის პერსპექტივიდან დანახვა. კვლევა ინტერდისციპლინურია, იმდენად რამდენადაც ზეპირი გადმოცემები მუდმივად არის რელიგიური მსოფლხედვის, მწიგნობრული ტრადიციის, კულტურულ-ისტორიული პროცესების, სოციალური გარემოსა და სხვადასხვა ფსიქოლოგიური

მდგომარეობის შედეგი, ამდენად მათზე დაკვირვება არასდროსაა ერთ სფეროში მოსაქცევად იოლი. კონსპირაციული თეორიები არა ერთი წიგნის, სამეცნიერო ნაშრომის, ასობით ჟურნალის, გაზეთის, სხვადასხვა ბლოგების თემა გამხდარა. კონსპირაციის კულტურის ახსნა უცდიათ ისტორიკოსებს, პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლებს, ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, ანთროპოლოგისა და ფილოსოფიის მიმდევრებს, ასევე ჟურნალისტებს, პოლიტიკის ექსპერტებს და ამჟამად ის უკვე მსოფლიო ფოლკლორისტა განხილვის თემაა.

ჩვენი კვლევის მეთოდად გამოყენებულია სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული მონაცემების შეჯერების, შედარების მეთოდი. წინამდებარე ნაშრომის მიზანი საჭიროებდა მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომების განხილვას, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით კვლევის შედეგების ანალიზსა და წარმოდგენას.

მითოსი როგორც აზროვნების სისტემა და გაზვიადებული და დაუჯერებელი წარმოდგენები სამყაროში მოვლენებისა და არსების შესახებ ქმნის აზროვნების სისტემას. აზროვნების რა სისტემასთან გვაქვს საქმე, როცა კონსპირაციული თეორიების გარშემო მიმოვიხილავთ მსოფლიო და ეროვნულ მოვლენებს და ვხედავთ მსგავსებას, განსხვავებას, მასშტაბებს, არეალებს, თუმცა სისტემა ისევ იგივე რჩება? ხომ არ არის კონსპირაციებიც აზროვნების ერთგვარი სისტემა, რომელიც ყველგან და ყოველთვის ბუნებრივი მოვლენაა და ის სულაც არ არის საშიში.

სიტყვა კონსპირაცია კარგად განსაზღვრული, გავრცელებული და დამკვიდრებულია ინგლისურ ენაში. „ის მომდინარეობს ლათინური *conspirare* სიტყვიდან და გულისხმობს „ერთად სუნთქვას“ (ბაიფორდი 2011: 20). კონსპირაცია რამდენიმე ადამიანის გაერთიანებაა საერთო შედეგის მისაღწევად, რომელიც უკავშირდება კრიმინალს, მკვლელობას და მისი ფართო გაგებით მსოფლიო სხვადასხვა შეთქმულებას, გადატრიალებას. რა არის ხალხის წარმოდგენით კონსპირაცია? „ზოგერთს სჯერა, რომ არსებობს მოჩვენებითი მსოფლიო მმართველობა, რომელიც წარმოდგენილია პოლიტიკური ელიტის, თავისუფალი მასონური ორგანიზაციის ან რომელიმე საოჯახო კლანის სახით მაგ: უინძორები და

როტშილდები და ისინი ერთად წყვეტენ ეკონომიკურ პოლიტიკას, საომარ თამაშებს, რომლითაც ცდილობენ მოაწყონ თავიანთის სასრებლო მსოფლიო, ხდებიან რა ამ უკანასკნელს ჩვენთვის საზიანოს“ (კონსპირაციული თეორიების ფილოსოფია 2014: 23). კონსპირაციის თანახმად ესენი მოქმედებენ: გარკვეული გეგმით, ნაბიჯ-ნაბიჯ საბოლოო მიზნისკენ. ის ყოველთვის ჯგუფურია და ნაკლებად ინდივიდუალური. მას მართავენ კონსპირატორები, რომლებსაც სურთ დასასრული, მაგრამ არა თავიანთი დასასრული. ამდენად ხშირად ეს შეუსაბამოა. წარმოუდგენელია როგორ შეიძლება დაასრულო საკუთარი დასასრულის გარეშე.

როდიდან იღებს სათავეს კონსპირაციული თეორიები? მსოფლიოს ცნობილი კვლევების მიხედვით მის დასაბამს საფრანგეთის რევოლუციას უკავშირებენ. დღეს არ დარჩა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიოში – არჩევნების შედეგები, ეკონომიკური კრიზისი, საზოგადოების წევრების გარდაცვალება, ტერორიზმი, ბუნებრივი თუ ავია კატასტროფები, პოლიტიკური მკვლევლობები, სამხედრო კონფლიქტები, ბრიტანეთის სამეფო კარის მოვლენები, გავლენიან პოლიტიკოსთა მკვლევლობების სერიები, კომუნისმიდან ანტიკომუნისმამდე, მსოფლიოს უდიდესი ბანკები, მსოფლიოს დიდი ომები, მედიკამენტები და ნარკოტიკები, აზარტული თამაშები, ბიზნესი, მეტეოროლოგიური ანომალიები თუ გრიპის პანდემიები – რომლებიც არ გამხდარა კონსპირაციული სპეკულაციის საგანი. რომლის მონაწილე ხდებიან თვითონ პოლიტიკური ლიდერებიც კი. ისინი ხშირად მედიცინის მიღწევების პარალელურად ჩნდებიან და კონკრეტული მედიკამენტებისა და ექიმების მიმართ უნდობლობის საფუძველი გამხდარან. თითქოს ცალკეული დაავადებების ხელოვნურად წარმოქმნა აუცილებელია, რომ კონკრეტული მედიკამენტის ინდუსტრიას შეეწყოს ხელი. სხვადასხვა ინფექციებთან ერთად კონსპირაციული თეორიები ვაქცინებთან დაკავშირებით დაიწყო 1990-იანი წლებიდან პოლიომეღიტის ვაქცინების გარშემო. კონსპირაციაა რასაც ხალხი ხედავს როგორც საშიშროებას და ამდენად ის ასოცირდება შიშთან. კონსპირაციული თეორიები ჩინეთის ღამურაზე, ბიოიარაღზე, 5G ინტერნეტის შესახებ, ბილ გეიტსის მონოპოლიაზე, კონსპირაციული თეორიები კორონა ვირუსის ტესტებთან და მის საწანააღმდე-

გო აცრებთან დაკავშირებით, შესაძლებელია ადამიანებს ამ თეორიებით სურთ შეამცირონ მოსალოდნელი საშიშროებები. მათ ხშირად უჭირთ დაიჯერონ რომ ცოცხალ სამყაროში მასობრივი მოვლენები შემთხვევით ხდება, ამდენად არიან მიდრეკილნი დაიჯერონ, რომ მსგავსი მოვლენების უკან დგანან „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ და მათვე ეკისრებათ მომხდარზე პასუხისმგებლობა. კონსპირაციული თეორიები ადამიანების კომფორტის ზონაა და ხანდახან მიიჩნევა, რომ მსგავსი თეორიები არც მანერა და არც საშიში. ხშირად საინტერესოც და იუმორისტულიც.

ხანდახან სრულიად მარტივად შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ რა იწვევს სხვადასხვა კონსპირაციებს. სამყაროშიც შემთხვევითი მოვლენები ხდება, ხოლო ადამიანებს აქვთ სურვილი მოვლენები ახსნან არა შემთხვევითობით, არამედ სხვადასხვა მაგიზმით ან იდუმალებით. ფსიქოლოგი ჟან ვილიემ ვან ფროიჯენი ვრცლად მსჯელობს კონსპირაციული თეორიების ფსიქოლოგიის შესახებ და დასკვნის სახით წერს, რომ „კონსპირაციული თეორიები არის ადამიანების ბუნებრივი ტენდენციის შედეგი დაყოს მსოფლიო „ჩვენ“ და საპირისპირო „ისინი“ კატეგორიებად, რომ დაიცვან თავიანთი სოციალური ჯგუფები გარე საფრთხეებისაგან“ (ფროიჯენი 2018: 63). ის მსჯელობს იმის გარშემო თუ რა ტიპის გარემოში შეიძლება გაჩნდეს კონსპირაციული თეორიები და მიიჩნევს, რომ ის სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის შედეგია, ამდენად სხვადასხვა ქვეყნის ხალხს შესაძლებელია განსხვავებული მიდრეკილება ჰქონდეს კონსპირაციებისადმი.

კონსპირაციები და კონსპირაციული თეორიები განსაკუთრებულია რელიგიის თვალსაზრისითაც. ქრისტიანული რელიგია უდიდესი განათლების, რწმენისა და ინტელექტუალური აზროვნების შედეგია, რომელიც ხშირად წარმოუდგენელია მასებში განხორციელდეს რეალურად. ამდენად, ხშირად ბევრი კითხვის ნიშანი რელიგიასა და ღვთის განგებასთან დაკავშირებით თავისთავად მოიზარებს კონსპირაციას, მხოლოდ მშვიდობიანსა და თვინიერს. როდესაც ადამიანებს ვერ აუხსნიათ რატომ ემართებათ კარგებს ცუდი, რატომ ისჯებიან უკეთილშობილესი ადამიანები სხვადასხვა დაავადებითა და აუტანელი გარდაცვალებით, ადამიანებს უბიძგებს დაიჯერონ კონსპირაციები, თითქოს უფლის ან

ემშაკის ნებითაა განსაზღვრული ესა თუ ის მოვლენა და ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ისინი სრულად.

ყოველი ზემოთქმულს ემატება კოლექტიური აზროვნების, კოლექტიური შემოქმედების სფერო, ფოლკლორი. ამჟამად ჩვენი ინტერესის სფეროა კონსპირაცია, როგორც ფოლკლორის სახეობა. თუ ფოლკლორი აღიქმება, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ერთობლიობა, მასთან ახლოსაა კონსპირაცია. კონსპირაცია და კონსპირაციული თეორია როგორც რეალურისა და წარმოსახვითის მაგალითები ლეგენდის ჟანრსაც უახლოვდება. კონსპირაციული თეორიები მიიჩნევა სოციალური ხასიათის თეორიებად, რომელიც არ ეკუთვნის ინდივიდს, არამედ კრებულს, კოლექტივს და თანაც ის ხშირად შეიჭრება ერსა და კულტურაში, გავლენას ახდენს ეროვნულ და კულტურულ მოვლენებზე. კონსპირაციული თეორიების, კორონა ვირუსის გარშემო გავრცელებული სხვადასხვა „ჭორის“ მიღმა ტიმოთი თანგერლინი თავის მოხსენებაში ვრცლად საუბრობს და წერს: „ფოლკლორულ ჭორსა და ლეგენდაზე დაკვირვებით, ჩვენ ვხედავთ, რომ უდიდესი რაოდენობა ნარატივისა გავრცელებული სოციალურ ქსელებში კორონა ვირუსის შესახებ, სტრუქტურით მსგავსია, როგორცაა *ორიენტაცია* (ვინ, რა, სად და როდის), *გართულებული მოქმედება: სტრატეგია* (გამოსავალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად) და *შედეგი* (ამ სტრატეგიის გამოყენება საფრთხის წინააღმდეგ)“ (თანგერლინი 2020: 282). იმავე შრომაში ტიმოთი თანგერლინი წარმოაჩენს შეთქმულების თეორიების სტრუქტურულ ჩარჩოს: „შეთქმულების თეორიების კოტექსტში, წინასწარმა კვლევებმა წარმატებით უჩვენეს, რა მარტივადაა სუბიექტი-ზმნა-ობიექტი წყობა მორგებული რთულ და ფართო მოდელს შეთქმულების თეორიისას“ (თანგერლინი 2020: 284).

კოლექტიური აზროვნება არასდროსაა უცვლელი, რაოდენ ლოკალური და ვიწრო არ იყოს ის. შეთქმულების თეორიები არასდროსაა სრული თხრობა, მაგრამ მუდმივი გამეორება, მუდმივად კოლექტივში გავრცელება მას უნახავს მდგრადობას. ფოლკლორში სიუჟეტების მდგრადობა გამოწვეულია კრებულის კუთვნილებით. სიუჟეტის მდგრადობა სხვადასხვა შეთქმულების თეორიებშიც სწორედ მათი გავრცელების, კოლექტივში ღრმად დამკვიდ-

რების შედეგია. იქ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, ბევრი რამ დავიწყებას მიეცეს (კონკრეტული ფაქტები, პიროვნების შესახებ დეტალები), მაგრამ საერთო უბედურება, მოსალოდნელი კატასტროფა, თავდაცვა და ბუნებრივი თვითგადარჩენის ინსტიქტი მთელ რიგ სიუჟეტებს უნარჩუნებს მდგრადობას. ფოლკლორის ჟანრების მსგავსად აქაც გადარჩება რაღაც მთავარი, მის ირგვლივ კი იცვლება სიუჟეტები. თხრობის მანერა, დინამიკა, ფორმა, თავისთავად საინტერესოა მსგავსი თეორიების ფოლკლორული საფუძვლების კვლევის თვალსაზრისით. ის მოიცავს ინფორმაციას რა გეოგრაფიულ არეალში, ვის მიერ და რა თემის გარშემოა ესა თუ ის კონსპირაცია, შეთქმულება. რიჩარდ როპერმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ კონსპირაციული თეორიები ფოლკლორის, ზღაპრების, მითებისა და ჭორების მსგავსად ვრცელდება, თუმცა აღნიშნა, რომ ეს აიხსნება წარსულით, როცა სიმართლე არ იყო ასე ხელმისაწვდომი, მაგრამ იქვე დასვა კითხვა: როგორ შეიძლება ფოლკლორი, მითები, ზღაპრები, ჭორები აყვავდეს სამყაროში, სადაც სიმართლე ამდენად ცხადი და ხელმისაწვდომია? (როპერი 2008: 11). განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პარალელი. „კონსპირაციული თეორიების არსებითი პრინციპი ის არ არის, რომ ის სინამდვილეში ხდება, არამედ ის, რომ ისინი ისტორიის მამოძრავებელი ძალაა“ (ზაიფორდი 2011: 33-34). ამ თვალსაზრისითაც ის ზღაპრის ფენომენს უახლოვდება. ზღაპრის მთავარი არსი ის კი არ არის, რომ ის, რაც მასშია მოთხრობილი სინამდვილეში ხდება, არამედ ის, რომ ის არის კოლექტივის აზროვნების მამოძრავებელი ძალა. ზღაპრებსაც აქვთ მუდმივად კვლავწარმოქმნის პროცესი. კონსპირაციები ანუ შეთქმულების თეორიები შეიძლება დავეყთ იმის მიხედვით თუ რამდენად შეიძლება ისინი იყვნენ მიახლოებული ფანტაზიის, ყოველდღიური ცხოვრებისა თუ სხვადასხვა ზებუნებრივი არსებების შესახებ წარმოდგენებთან. კონსპირაციების სიუჟეტური დაყოფა ძნელია, იმდენად რამდენადაც მათ სრული სიუჟეტი არც ერთს არ აქვს, მაგრამ ადვილია მათში საინტერესო ფანტასტიური, ყოველდღიური, დაუჯერებელი თუ დამაჯერებელი ელემენტების დანახვა. ამ უკანასკნელით ის ლეგენდებს უფრო უახლოვდება, ვიდრე ზღაპრებს.

კონსპირაციული თეორიების ანალოგებია სამონადირეო ეპოსის ფარგლებში. მონადირეების მიერ აღმოჩენილი უცნაური არსებები. სხვადასხვა არსებები, რომლებიც დადიან ტყეში, ხვდებიან მონადირეებს. სხვადასხვა მითოსურმა არსებამ შექმნა ხანგრძლივი რწმენა ზღაპრული არსებების შესახებ. სხვადასხვა პარანორმალური მოვლენა. გარდაცვლილთა სულების, ეშმაკებთან წილნაყარი ქალების, ზებუნებრივი მოვლენების შესახებ ფოლკლორული მასალები. ადამიანები საკმაოდ ხშირად ბრაზდებიან ამინდზე, როდესაც შვებულების ან დასვენების დროს აღმოჩნდება, რომ ამინდმა არ გაამართლა. ასეთ დროს ხშირია ჩივილი ბედის, გაუმართლებლობისა და თანამედროვე მსოფლიოში უკვე სხვადასხვა სააგენტოების მიმართაც, რამეთუ ხალხის წარმოდგენით ისინი იწვევენ წვიმას, თოვლს, ამინდს მართავენ ხელოვნურად კონკრეტულ ადგილას კონკრეტული მიზნისთვის და ეს ხშირად საპირისპირო ამინდს იწვევს ცალკეულ გეოგრაფიულ ადგილებში. ამინდის მართვის რიტუალები არ არის ახალი. ზევსი (საბერძნეთი), იუპიტერი (რომაული) და თუნდაც ქართული ელია ამინდის მმართველები არიან და ადამიანები ხშირად მათით ხსნიდნენ ამინდის ცვლილებას და მათგან გამოითხოვდნენ სასურველი ამინდის მართვას. საინტერესოა კონსპირაციები სხვადასხვა ჯადოებისა და თილისმების შესახებ, რომლებსაც ხშირად სასიყვარულო მიზნით მიჯნურები მიმართავენ. ადამიანებს სჯერათ, რომ ერთი შესაძლებელია სიყვარულის სამიზნე გახდეს მეორის მხრიდან ჯადოს, თილისმის ან დასალევი სახით მიცემული სითხეების გავლენით, მათივე რწმენით საჭიროა ჯადოსა და თილისმის, რომლებიც უმეტესად უხილავია, მოხსნის რიტუალებისა და საიდუმლო საქმიანობის წარმართვა. აღნიშნული კონსპირაციები 21-ე საუკუნისთვისაც ისევეა დამახასიათებელი, როგორც სამონადირეო ეპოსის სიუჟეტებისთვის. მონადირის ქალ-ღმერთს გამიჯნურებული მონადირე სასიყვარულო საიდუმლოს ინახავდა. საჭიროა მიპარვით სასიყვარულო ურთიერთობისას ქალ-ღმერთისთვის რძის შესხურება, მისთვის თმის მოკვეთა რომ მას მაგიური ძალა დაეკარგა. ამ ტიპის სიუჟეტებისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ზებუნებრივი არსე-

ბებისაგან საფრთხის მოლოდინში რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბება ტყისა თუ წყლის მეფე ქალების შესახებ.

სხვადასხვა კონსპირაციები მოზარდების მხრიდან მოწყობილი საიდუმლო სერობების შესახებ სასაფლაოებზე, რომლებიც მიეწერება ცალკეული სექტანტური მოძრაობის რიტუალებს. მსგავსი ტიპის მასალას ვხვდებით წარსული ისტორიიდან, როცა სხვადასხვა ეპიდემიის გავრცელებას აბრალებდნენ ადამიანს ან ადამიანთა დაჯგუფებას და მათ როგორც ეპიდემიის მიზეზებს ცეცხლში წვავენენ. კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ სახლთუხუცესი რატის მელის ტვიფართ დადაღვის მიზეზს ჟამიანობას მიაწერს. ისევე როგორც ჟამის სვირინგების გამოჩენა მიეწერა ფარსმან სპარსს, რისთვისაც დადაღეს მწვალეული და ეშმაკთან წილნაყარობით ბრალდებული ფარსმანი. ფოლკლორში ხშირია ქალების მაქციაობის კონსპირაცია, როცა ქალი კატის სახით მაქციაა და ხშირად ჯადოქრობაშია ბრალდებული. ჯადოქრები, კუდიანები, მაქციები და სხვადასხვა ზებუნებრივი ძალის მატარებელი ადამიანები ისჯებოდნენ ცეცხლში დაწვით. თანამედროვე კონსპირაციები აღნიშნულ სისასტიკეს არ იცნობს. ცალკეული სასამართლო პროცესები მხოლოდ არკვევენ რამდენად შეიძლება მათი ბრალდება იყოს რეალური.

როდესაც კონსპირაციული თეორიების ფსიქოლოგიურ ფაქტორებს განიხილავენ, ხშირად უსვამენ ხაზს ადამიანებში გავრცელებულ ტენდენციას უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სხვადასხვა ტიპის მკურნალობის მეთოდებს შელოცვების, ფიტოთერაპიის და სხვა მსგავსი საშუალებებით, ვიდრე მედიცინით, რომელიც კვლევებს, ფაქტებსა და გამოცდილებებს ემყარება. საინტერესოა პასუხი კითხვაზე: შელოცვებისადმი ნდობა გაპირობებულია მედიცინის არარსებობით თუ საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ მოვლენასთან – არ ვენდო, რაც არ ვიცი? თუ მე არ ვიცი მეცნიერების, ფაქტებისა და კვლევების შესახებ, შესაბამისად არ ვენდობი მას. მაშინ როგორ შეიძლება ენდოს შემლოცველს, როცა მისი ზებუნებრივი ძალაც უცნობია ჩემთვის? შელოცვების მსგავსია დამოკიდებულება ექსტრასენსების მიმართ. ისინი სულიერი მკურნალები არიან და ხშირად მძიმე ონკოლოგიური პაციენტები ამტკიცებენ, რომ ისინი განიკურნენ მათი დახმარებით, თუმცა მათ

ვერ აუხსნიათ რამ განაპირობა სხვადასხვა სიმსივნის რემისია, რაც ხშირად სრულიად ბუნებრივადაც ხდება.

ძალიან საინტერესოა კონსპირაციული, შეთქმულების თეორიების მრავალფეროვნების საკითხი. კვლევამ დაგვანახა, რომ ისინი შეიძლება ფანტაზიის სფეროს, კონკრეტული ადამიანის გარშემო გაზვიადებებს, ზებუნებრივ არსებებს, კონკრეტული საფუძვლის მქონე ისტორიულ მოვლენებს, მაგიის სფეროს, მოიცავდნენ. რამდენიმე მათგანი უფრო გამძლე აღმოჩნდა დროსა და სივრცეში, ზოგიერთი მხოლოდ მოკლე დროში და კონკრეტულ არეალში შეიძლება არსებობდეს. ბევრ მათგანს ახასიათებს კონკრეტული ჯგუფებისადმი მიკუთვნების ტრადიცია. ადამიანები, როგორც ჩანს, ეპოქალური განვითარების ფონზეც კი არიან მიდრეკილნი კოლექტიური აზროვნებისკენ, აქვთ ტენდენცია მიეკუთვნონ გარკვეულ ჯგუფებს, რომლის უკან დგას თავდაცვის, ურთიერთგატანის, თვითგადარჩენის, საფრთხის თავიდან აცილების სურვილი. კონსპირაციული თეორიები სამყაროს სამივე სკნელს წვდება და თანაბრად მოიცავს საშიშროებას მიწიდან, ზეციდან თუ ქვესკნელიდან. რაც ნაკლებია რეალური ცოდნა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მით მეტია ტენდენცია კოლექტიური აზროვნება დაუბრუნდეს წარსულს, თვითდაგარჩენისა და თავდაცვის, სამყაროს მოწყობის ფანტასტიურ გზებს. კორონა ვირუსისგან თავდაცვის საშუალებად ხშირად ისმოდა ხალხური ბატონებისგან თავის დაცვის მსგავსი პოზიტიური განწყობის შემცველი მოწოდებები როგორც მედიცინის ისე სახელმწიფო ლიდერებისაგან, რომლებსაც ხალხი მიმართავდა, მათ შორის იყო: პოზიტიური განწყობის შექმნა, ნაკლები მიმართვიანობა მედიკამენტებისადმი, რომლის მიზეზი ხშირად პაციენტის შინაგანი ძალების გააქტიურება იყო, თუმცა ხშირად ხალხის მხრიდან აღიქმებოდა, როგორც ბატონებისგან თავის დაცვის აუცილებელი პირობა. შეთქმულების თეორიების წრე შემდეგნაირად შეიძლება შევკრათ: საფრთხე – თავის დაცვა – ჩვენ (კრებული).

თუ კარგად ვაკვირდებით კონსპირაციული ანუ შეთქმულების თეორიების სისტემას, ყველგან ერთია თვითგადარჩენა, თავდაცვა, დამნაშავეისა თუ დამნაშავეთა ჯგუფის დასახელება, კონკრე-

ტული პირების გარშემო მოსაზრებების აგება, მხოლოდ ადგილი, დრო, სივრცე და მოქმედება განსხვავებული. ანუ მას აქვს მყარი და დროებითი ელემენტები. აქაც იჩენს თავს აკრძალვის დარღვევის შედეგად მიღებული სასჯელის იდეა, რომელიც ხშირად რელიგიითაცაა ნაკარნახევი, თუმცა რელიგიური და ფსიქოლოგიური თუ ხალხური საფუძვლები ცოდნის დეფიციტითაა გაპირობებული. მეცნიერება კი ამარცხებს ყოველივეს.

დამოწმებანი:

ზაფორდი 2011: Byford J. *Conspiracy Theories*. A critical Introduction by Jovan Byford, Palgrave Macmillan, 2011.

თანგერლინი 2020: Tangerlini T. *Conspiracy in the time of corona: automatic detection of emerging COVID-19 conspiracy theories in social media and the news*, article in Journal of Computational Social Science. November, 2020.

კონსპირაციის თეორიები ამერიკის ისტორიაში 2003: *Conspiracy Theories in American History an Encyclopedia*, volume 1, A-L, Edited by Peter Knight, 2003.

კონსპირაციული თეორიების ფილოსოფია 2014: *The Philosophy of Conspiracy Theories*. Matthew R. X. Dentith, Published Palgrave Macmillan, 2014.

ნიუტონი 2006: Newton M. *The Encyclopedia of Conspiracies and Conspiracy Theories*. 2006.

პროიჯენ 2018: Prooijen J.W. *The Psychology of Conspiracy Theories*. Routledge, Taylor & Francis Group, London and New York: 2018.

როიპერი 2008: Roeper R. *Debunked! Conspiracy Theories, Urban Legends, and Evil Plots of the 21st Century*. Chicago: Review Press 2008.

უზეროლი ... 2019: Weatherall C. and J. O. *The Misinformation Age. How False Beliefs Spread*. New Haven & London: Yale University Press, 2019.

უშინსკი 2020: Uscinski. *Conspiracy Theories A Primer* by Joseph E. Uscinski. 2020.

ჰოდაპი ... 2008: Hodapp Chr., Kannon A. V. *Conspiracy Theories & Secret Societies for Dummies* by Christopher Hodapp and Alice Von Kannon, Wiley, 2008.

გულუბრყვილობის სოციალური ფსიქოლოგია 2019: *The Social Psychology of Gullibility. Fake News, Conspiracy Theories, and Irrational Belief*, Edited by Joseph P. Forgas and Roy F. Baumeister, published by Routledge, Published by Cambridge University Press 2019.

Ketevan Sikharulidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Morbidity and Epidemic in Caucasian Peoples' Myths and Religious Beliefs

Summary

This paper is focused on the Caucasian people's similar mythological perceptions about disease and epidemic. Ethnographic and folklore materials show the magic elements in the traditional treatment of infectious diseases. All of the diseases were personified and the rituals were addressed to each of them personally. People in the Caucasus believed that the disease bringers would siege the village like an enemy. So, they fought against an epidemic by performing special collective ritual: they would hold a prayer procession and make a furrow around the village, thus trying to keep the disease in containment and prevent its spread.

Key Words: Mythology, epidemic, rituals, disease treatment.

ქეთევან სიხარულიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავადობა და ეპიდემია კავკასიელთა მითოლოგიურ-რელიგიურ კონტექსტში

ძველი ადამიანების ცხოვრება უმუალოდ უკავშირდებოდა მთელი სამყაროს წრე-ბრუნვას. რაც კი გააჩნდათ, ყველაფერი ღვთაების ბოძებულად მიაჩნდათ, როგორც სიკეთე, ისე სიძნელეები. მათი წარმოდგენით, სამყაროში ყველაფერს თავისი გამრიგე ღვთაება ჰყავდა, მათ შორის ავადმყოფობებსაც.

კავკასიელთა ხალხური სამედიცინო კულტურა მოიცავს როგორც სამკურნალო, ისე რიტუალურ პრაქტიკას. კავკასიის ტერიტორიაზე პალეოლითის ხანიდან მოყოლებული, ყველა არქეოლოგიური ეპოქის განათხარ მასალაში უხვად გვხვდება სამედიცინო იარაღი და ჭურჭელი, ნამკურნალები ძვლები, ქირურგიული იარაღი (მინდაძე 1981: 5).

ძველად კავკასიელებს სწამდათ, რომ ავადმყოფობას უგზავნიდა მათზე გამწყრალი ღვთაება ან ავი სული ეძალებოდა. ამიტომ მიმართავდნენ მაგიურ-რელიგიურ საშუალებებს. ეს არ ნიშნავდა, რომ ავადმყოფს არ წამლობდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მკურნალობას არ ექნებოდა შედეგი, თუ ღვთაებას არ მოიმაღლიერებდნენ. სნეულების აღსანიშნად უფრო გავრცელებული იყო ტერმინი „ავადმყოფობა“. იგი კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ წარმოდგენებს ასახავს. თუ კარგად ყოფნა სიკეთეში არსებობას გულისხმობდა, ავადობა ნიშნავდა ადამიანის ავი სულების ტყვეობაში ყოფნას, ანუ მის სხეულში ავი სული, ავი ძალა იყო შეჭრილი. ყველა დაავადება პერსონიფიცირებულად ჰყავდათ წარმოდგენილი.

ავადმყოფობის თუ ეპიდემიისგან თავის დასაცავად ხალხმა შეიმუშავა მრავალფეროვანი საშუალებები. მათი ფორმა და მოცულობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი ღვთაება ითვლებოდა ამა თუ იმ დაავადების გამომწვევად და ნაკარნახევი იყო მითოლოგიური წარმოდგენებით. ყველაზე უფრო დატვირთული ამ მხრივ ინფექციური დაავადებებია. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ მათი მკურნალობა არ იცოდნენ და იმედს ძირითადად მაგიურ საშუალებებზე ამყარებდნენ. გადამდებ და ეპიდემიურ დაავადებებს აღნიშნავდნენ „სახადის“ სახელით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ერთხელ გადატანის შემდეგ იგი აღარ შეეყრება ადამიანს. ქართველი მთიელები მას „ღვთის ვალს“ უწოდებდნენ. ბატონების საგალობლის „იავნანას“ ზოგიერთ ვარიანტშიც სახადი ღვთიურ დაავადებად მოიხსენება. წეს-ჩვეულებებს უპირატესად ოჯახებში ასრულებდნენ, რადგან ამ მოგზაურ ღვთაებებს და მათ დედას – ნანას თავიანთ სტუმრებად თვლიდნენ. საწესო ლექსის მისამღერში ნანა იხსენიება თავისი ატრიბუტებით – ითა და ვარდით. ეს მისამღერი – „იავ ნანა, ვარდო ნანა“ – ქალღმერ-

თისადმია მიმართული და თავის დროზე მისთვის განკუთვნილ ვედრებას წარმოადგენდა (ბარდაველიძე 1957: 86-87)

ბატონების მობრძანებისას თითოეული ოჯახი ხდებოდა მათი სალოცავი ადგილი, ავადმყოფის საწოლი კი – საკურთხეველი. სახადები სულიერ არსებებად ჰყავდათ წარმოდგენილი, რომლებიც დროდადრო მოველინებოდნენ ადამიანებს. ისინი ადამიანის სხეულში შედიოდნენ და გამონაყართ (ნანას ყვავილებით) ამცნობდნენ ამას. ფაქტობრივად, ბატონები დაავადებად არც მიაჩნდათ. ვისაც ბატონები არ შეხვდებოდა, ის დაწუნებულად ითვლებოდა – ანგელოზები არ დაუბრძანდა, არ მოეწონათო.

ავადმყოფის სურვილი განუხრელად სრულდებოდა, რადგან მისი პირით ღვთაებები საუბრობდნენ. ფერად ტანსაცმელს იცვამდნენ ისინი, ვინც ავადმყოფს უვლიდა. მათი სახლი იყო ბატონებისა და მათი დედის დროებითი სამყოფელი. მათ კარგად უნდა დახვედროდნენ და გაეცილებინათ კიდეც. ბატონებისადმი მიძღვნილ რიტუალში ჩართულია ცეკვა, რომელსაც ასრულებდნენ ოჯახის წევრი ქალები – დედა, ბებია, დეიდა. ბევრი რიტუალის აუცილებელი ელემენტია ცეკვა. მისი სიმბოლური და რიტუალური ფუნქცია მეტად მრავალფეროვანია. იმის გამო, რომ ცეკვა გარკვეულ რიტმს ემორჩილება, იგი ხელს უწყობს სამყაროს ორგანიზაციასა და ციკლურ მოწესრიგებას (ალავერდაშვილი 2005). ხალხის წარმოდგენით, საფერხულო სიმღერებსა და ცეკვებს სასწაულმოქმედი ძალა მიეწერებოდა და მათ სამკურნალო თვისებაც გააჩნდათ. თავისი წარმოშობით ყველა ცეკვა საკრალური იყო და იქმნებოდა მითოსურ წინადროში, მითოსური წინაპრის თუ ღვთაების მიერ (სიხარულიძე 2006: 66).

ქრისტიანობის გავლენით საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ბატონების წინამძღოლად ბარბარე ითვლებოდა, დედა ქალღმერთის ერთ-ერთი გვიანდელი იპოსტასი. ბატონებთან დაკავშირებულ წესებს დღესაც ასრულებენ და ამ ტრადიციას ცოტა ხნის წინ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

კავკასიის სხვა ხალხებშიც შემორჩა ბოლო დრომდე ავადმყოფობებსა და ეპიდემიებთან დაკავშირებული რიტუალები ან მათი ფრაგმენტები. საქართველოში ამ მითოსურ სახეებზე გარკვე-

ული გავლენა ქრისტიანობამ იქონია, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის წეს-ჩვეულებებშიც შევიდა ისლამის ელემენტები, მაგრამ რიტუალების სტრუქტურა მაინც ინარჩუნებდა ძველ, წარმართობისდროინდელ სახეს.

ოსების რწმენით, ყვავილის ავადმყოფობას განასახიერებდა ღვთაება „ალაურდი“, რომლის კულტის ფრაგმენტები დიდხანს შემორჩა ხალხის ყოფაში და მას ბევრი საერთო აქვს ბატონების რიტუალთან. ალაურდები, როგორც ბატონები, მრავლობით რიცხვში იხსენიებიან. ქართველების მსგავსად, ამ წეს-ჩვეულებას ქალები ატარებდნენ, რომლებიც ცდილობდნენ ღვთაების მომადლიერებას, გამოხატავდნენ სიხარულს მათი მობრძანების გამო. როცა ბავშვი ყვავილით გახდებოდა ავად, დედის მეგობარი ქალები იკრიბებოდნენ ოჯახში, აცხობდნენ კვერებს, რომლებზეც საკმევებს დებდნენ, ცეკვით წრეს უვლიდნენ და სიმღერით ადიდებდნენ ალაურდებს (ოსური ზეპირსიტყვიერება 2005: 28).

ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ავადმყოფობის ღვთაება იყო უნ-ნანილგ (ან უ-ნანა). უ არის ავადმყოფობა, ნანილგ – დედა ანუ ავადობათა დედა. იგი მისანი დედაბრის სახით წარმოედგინათ, რომელიც ავადობას ავრცელებდა. სადაც გამოჩნდებოდა მაღალი, ხმელ-ხმელი ქალი ძონძებში, იქ უსათუოდ იფეთქებდა ეპიდემია და ამას უკავშირებდნენ უ-ნანას ბოროტ ნებას. ცდილობდნენ მისი გულის მოგებას, მსხვერპლს სწირავდნენ, უწოდებდნენ „ოქროს წმინდანს“. ეპირფერებოდნენ, რომ ესიამოვნებიანათ მისთვის და კეთილად განეწყობთ ადამიანებისადმი.

დეღესტანში ავარელების მითოსურ პერსონაჟთა შორის იყო ავადმყოფობის ქალღვთაება როდხულაი, ავი და ადამიანებისადმი მტრულად განწყობილი. ხალხის წარმოსახვით, როდხულაი მაღალი, ძონძებში ჩაცმული ქალია, შებრუნებული ტერფებითა და ფეხზე ხშირი შავი თმებით. იგი სალამოობით ჩამოდიოდა რომელიმე სოფელში. მისი დამნახავი ადამიანი ავადდებოდა, აციებდა და კვდებოდა (ხალიდოვა 1984: 186).

ნოღაელები ეპიდემიის დროს აწყობდნენ რიტუალს, რომელსაც „ჯასაკი“ ან „კურმანლიკი“ ერქვა. მას ატარებდნენ ქალები. არჩეული ორი-სამი ქალი ჩამოივლიდა სოფელს და აგროვებდნენ შემოწირულობებს. დანიშნულ დღეს აულის ყველა ქალი შეიკრი-

ბებოდა მდინარესთან, გააჩაღებდნენ კოცონს და იწყებდნენ მზადებას; აცობდნენ, ხორცს ხარშავდნენ, მწვადს წვავდნენ. მოწვეული სასულიერო პირები წარმოთქვამდნენ ვედრების ლოცვას. ამის შემდეგ ქალები ჯგუფებად ნაწილდებოდნენ და მთელ საჭმელს იყოფდნენ. სასულიერო პირებს საუკეთესო ნაჭრებს უდებდნენ. ძვლებსა და ნარჩენებს წვავდნენ ან მიწაში მარხავდნენ, რომ ძაღლებს არ შეეჭამათ და არ წაებოდათ წმინდა დღესასწაული.

მამაკაცები ჯასაკში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ თუ ეპიდემია გამძაფრდებოდა, მაშინ კი მთელი საზოგადოება იკრიბებოდა განსაკუთრებული რიტუალის ჩასატარებლად. არავინ გადიოდა მინდვრის სამუშაოებზე. ერთობლივად იყიდდნენ შავ ძროხას და მიდიოდნენ მდინარესთან. შეკრულ ძროხას ორმოსთან აწვენდნენ. საერთო ლოცვის შემდეგ ძროხას დაკლავდნენ ისე, რომ სისხლი ორმოში ჩადიოდა, სადაც შემდეგ მის შიგნეულობასა და ძვლებს მარხავდნენ. ამ დროისათვის მომზადებული იყო გუთანნი, რომელშიც ექვსი ხარი ება და ძველი ხმალი. მთელ საქონელს სოფელში შერეკავდნენ, ხოლო წმინდა (შავი) ძროხის ტყავით პროცესია მოძრაობას იწყებდა. ორი ახალგაზრდა მოლა ყურებში ხელს წაავლებდა ძროხის ტყავს და მას სიმღერით წინ მიათრევდნენ. მათ უკან გუთანს გაჰქონდა ღრმა ხნული, ხოლო ერთი მოლა ხმლის წვერით ხაზავდა ხნულს. ამ პროცესიას მიჰყვებოდა მთელი სოფელი, რომელიც შეძახილით პასუხობდა ყურანის კითხვას. ხნულით შემოხაზავდნენ მთელ სოფელს და მდინარესთან ბრუნდებოდნენ, სადაც საზოგადო სადილი იმართებოდა (სიხარულიძე 2006: 70).

საზოგადო რიტუალი იმის ილუსტრაციაა, თუ როგორ კრავდნენ მონაწილეები წრეს სოფლის გარშემო. გუთნითა და ხმლით გაკეთებული ხნულით შემოიხაზა საკრალური სივრცე, რომლის ცენტრში მოექცა დაავადებული ადგილი – მთელი სოფელი (ისე, როგორც ავადმყოფის საწოლი ხდებოდა ბატონების ფერხულის ღერძი) და ამ საშუალებით ცდილობდნენ მის გაწმენდას.

ჩერქეზეთში ეპიდემიის, კერძოდ, ქოლერის განდევნისთვის ატარებდნენ რიტუალს, რომელიც ძალიან ჰგავს ნოღაელთა ზემოთ აღწერილ წეს-ჩვეულებას. ამოარჩევდნენ ერთ მართალ და მორ-

წმუნე მოხუცს, რომელსაც თავის სიცოცხლეში არაფერი მოუპარავს. შემდეგ სასულიერო პირის თანდასწრებით დაკლავდნენ ხარს, ტყავს მოხუცს დააჭერინებდნენ მარჯვენა ხელში, მარცხენაში – ჯოხს. მოხუცს უკან მიჰყვებოდნენ აულის უზუცესები და სასულიერო პირები, მათ უკან კი მოსახლეობა მისდევდა. შემოუვლიდნენ სოფელს ისე, რომ სწორ ოთხკუთხედს მოხაზავდნენ. პროცესიას წინ მიუძღოდა ხარებშებმული გუთანა, რომლის სახნისითაც ხაზავდნენ ოთხკუთხედს, ხოლო მის გვერდებზე ტოვებდნენ შუალებებს, ანუ ქოლერას უტოვებდნენ გზას, რომ ის სოფლიდან წასულიყო. ამის შეემდეგ მეჩეთში ილოცებდნენ, წინასწარ ნაყიდ საქონელს დაკლავდნენ, ალაჰს შესწირავდნენ, დანარჩენს კი ღარიბებს ურიგებდნენ. ეს მეორდებოდა სამი დღის განმავლობაში, ოღონდ სახნისის გარეშე აკეთებდნენ წრეს.

ავადმყოფობასთან დაკავშირებულ კავკასიელთა წეს-ჩვეულებებში შერეულია როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური სარწმუნოების ელემენტები, მაგრამ მათში არის საგულისხმო დეტალები, რომლებიც არქაული რიტუალის რუდიმენტებია. ეს წარმოდგენები საკმაოდ გამძლე აღმოჩნდა და დიდხანს შემორჩა ხალხის მეხსიერებას. ხალხური ტექსტების გვიანდელი ჩანაწერებიდანაც ჩანს, რომ სნეულებას, ეპიდემიას ღმერთი უგზავნის ადამიანებს მათი ცოდვების გამო და მთავარი მკურნალიც ღმერთია. ავადმყოფობა (ციება, ცხელება, ქოლერა) პერსონიფიცირებულად არის წარმოდგენილი XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილ ხალხურ ლექსებშიც. 1898 წელს „აკაკის კრებულში“ დაიბეჭდა ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი „ციების ლექსი“, რომელიც ახალგაზრდა ქალისა და ციების პაექრობაა. ამ გაბაასებიდან ჩანს, რომ ციება პერსონიფიცირებულია და მისგან ადამიანის დამცველი ღმერთია. ქალი ასე მიმართავს ციებას:

„მე შენ ვერ დამიჩათინებ, თუ ვარ ყოჩალი ქალია,
მყავს შემწედა და მფარველად ჩემი ხატი და ჯვარია“.
(ქპ 1973: 174)

პ. უმიკაშვილის ჩაწერილ ვრცელ ხალხურ ლექსში „ხორველა“ დაწვრილებითაა აღწერილი მე-19 საუკუნის შუა ხანებში თბი-

ლისში ქოლერის ეპიდემიის გავრცელება. ამ გვიანდელ ლექსშიც ეპიდემია წარმოდგენილია, როგორც ღვთის სასჯელი, რადგან ადამიანებმა დაივიწყეს ქრისტეს მცნებები:

„ჩვენი ცოდვით მოგვეწია შუა მარიობის თვესა,
რისთვისა და ამისთვისა, თუ რომ გული გაგვიგებსა:
არა სწამდა დაი ძმასა, მეზობელი – მეზობელსა...
ამისთანა ყოფაქცევა აღარ მოსწონს ქრისტე ღმერთსა.
„ჩემის ხელით დაწერილი სახარება ძირსა ძევსა,
სთქვა თუ, ხელი წამოუსო, სულ გავწყვიტო ამ ერთ დღესა“.

საყურადღებოა, რომ ამავე ლექსში ქოლერა პერსონიფიცირებული არსებების სახეს იღებს, რომლებიც, ძველი წარმოდგენების მსგავსად, ალყაში აქცევენ ქალაქს:

„სამწილად დადგა ხორველა, სამად ანგარიში ქნესა.
ერთსა ერგო ქაშავეთი, ხევის პირი ჩაუბესა;
მეორესა – ავლაზარი, ხიდის ყური ჩაუბესა;
მესამესა – განჯისკარი, აზანოებ ჩაუბესა,
გარშემოფარგლეს ქალაქი, კაცი აღარ გაუშვესა“.
(ქპ1973: 182)

როგორც ვხედავთ, ხალხი ეპიდემიას აღიქვამდა, როგორც მტრის შემოსევას, რომელიც ალყაში აქცევდა სოფელს, ქალაქს. რადგანაც ეს მტერი უხილავი იყო, მასთან გამკლავებას მხოლოდ ღვთაებრივი ძალის მეშვეობით თუ შეძლებდნენ. თავად სწეულეზანი პერსონიფიცირებული სულების ან ღვთაებების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომლებიც მითოლოგიურ-რელიგიური სისტემის წევრები იყვნენ. ამიტომ მათთან ურთიერთობის წესებიც ამ სისტემით იყო ნაკარნახევი.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ კავკასიაში ძველთაგანვე შემუშავდა ავადმყოფობასა თუ ეპიდემიასთან ბრძოლის მსგავსი საშუალებები, რაც ერთგვაროვანი მითოლოგიური წარმოდგენებით იყო ნაკარნახევი.

დამოწმებანი:

ალავერდაშვილი 2005: ალავერდაშვილი ქ. *წრიული რიტუალური ფერხულების სიმბოლიკისათვის ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით*. მსე, XXV, 2005.

ბარდაველიძე 1957: Бардавелидзе В. *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен*. Тбилиси: из-во Академия Наук Грузинской ССР, 1957.

მინდაძე 1981: მინდაძე ნ. *ქართული ხალხური მედიცინა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

ოსური ზეპირსიტყვიერება 2005: *ოსური ზეპირსიტყვიერება*. თბილისი: კავკასიური სახლის გამომცემლობა, 2005.

სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ. *კავკასიური მითოლოგია*. თბილისი: კავკასიური სახლის გამომცემლობა, 2006.

ქსზ 1973: *ქართული ხალხური პოეზია*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ხალიდოვა 1984: Халидова М. *Мифологические образы в устной прозе народов Дагестана*. Махачкала: „Мифология народов Дагестана“, 1984.

ლიტერატურის სწავლების მეთოდების
ცვლილება (უნივერსიტეტებსა
და სკოლებში) პანდემიის პირობებში
Adjustment of Literature Teaching Methods
(at Universities and Schools) under Pandemic Conditions

Irina Natsvlishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Problems and Opportunities to Teaching Literature
in a Modern „Online School“**

Summary

The pandemic created difficult challenges for the teaching process, which had to transfer to the so-called online regime. Despite the fact that modern technologies allow for such communication, it is significantly complicated by the lack of relevant material-technical base and digital teaching resources for specific subjects. From this viewpoint, teachers of Georgian language and literature faced special challenges. It became necessary to not only modify teaching methods, but also to create digital resources.

It is an important fact that the new form of learning-teaching made it possible to tightly integrate digital technologies with it and targeted their usage for the student development.

Key words: teaching process, online regime, digital technologies.

ირინა ნაცვლიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ლიტერატურის სწავლების პრობლემები
და შესაძლებლობები თანამედროვე
„ონლაინსკოლაში“**

კაცობრიობის ისტორიული მეხსიერება ხანგრძლივი პანდემიების შესახებ არაერთ და ზოგჯერ საკმაოდ ინფორმაციულ ცნობას ინახავს, თუმცა ესოდენ მდიდარი გამოცდილება თანამედროვე სწრაფად განვითარებადსა და ცვალებად სამყაროში მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოდგენაში გვეხმარება და პროცესების მართვის რეალურ, ადეკვატურ გზამკვლევადაც, ბუნებრივია, ვერ გამოდგება.

ახალი ვირუსის, SARS-cov-2-ის, იმავე COVID-19-ის, უპრეცედენტოდ მასშტაბური გავრცელების შედეგად შექმნილმა პანდემიურმა გარემომ, ზოგადად, მთელ მსოფლიოში და, ცხადია, საქართველოშიც, საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროსთან ერთად, მოულოდნელი და რთული გამოწვევების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო სისტემაც, სასწავლო პროცესი, რომელიც საყოველთაო კარჩაკეტილობის პირობებში ე.წ. ონლაინრეჟიმში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ამგვარი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, დისტანციურ სწავლებას მნიშვნელოვნად ართულებს მრავალი სამედიცინო ხასიათის უკუჩვენება თუ ფსიქოემოციური ფაქტორი, ხშირ შემთხვევაში – სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა, პედაგოგთა გაზრდილი სამუშაო დატვირთვა, აგრეთვე, სპეციალური ციფრული სასწავლო რესურსების სიმწირე კონკრეტულ დისციპლინათა ფარგლებში და მათი სწავლების სპეციფიკაც.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული პრობლემების წინაშე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები აღმოჩნდნენ. თუკი საბუნებისმეტყველო, მათემატიკურ, სახელოვნებო თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში მზა უცხოენოვა-

ნი ინტერნეტრესურსები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევდნენ პედაგოგებს, ქართული ენა-ლიტერატურის მიმართულებით ამგვარი შესაძლებლობა, ცხადია, არ არსებობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ლიტერატურის გაგება-გააზრების, მისი უმთავრესი ხიზლის გაცნობიერებისა და შემეცნების პროცესში უშუალო, ცოცხალი, დინამიკური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, დისტანციურ ფორმატში საინტერესო, შედეგზე ორიენტირებული ინტერაქტიური გაკვეთილების წარმართვისთვის აუცილებელი გახდა არა მხოლოდ სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების მოდიფიცირება, არამედ ციფრული რესურსების შექმნაც; სხვადასხვა ინტერნეტპორტალისა და პროგრამის იმგვარ შესაძლებლობათა ძიება, რომელთა პრაქტიკული გამოყენება სწორედ ლიტერატურის სწავლების მიზანსა თუ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას მოემსახურებოდა. ყოველივე ამისთვის კი დროც იყო საჭირო და, ცოდნისა და უნარების მობილიზების კვალდაკვალ, თუნდაც სულ მცირე გამოცდილების შეძენაც. ამიტომ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების პანდემიური ონლაინრეჟიმის პირველ ეტაპზე უდავოდ დიდი როლი შეასრულა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად, ფაქტობრივად, მყისიერად დაწყებულმა მასშტაბურმა პროექტმა „ტელესკოლამ“, რომელიც, მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ დროისთვის, გულწრფელად მიიზიდა ქართველი მაყურებლის უდიდესი ნაწილი და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების გავლენიანი ორგანიზაციის, OECD-ის, ჩარჩო-დოკუმენტში ის კორონავირუსის გამო შექმნილი გამოწვევების დასაძლევად განათლების მიმართულებით საუკეთესო პროექტადაც კი დასახელდა (https://globaled.gse.harvard.edu/files/geii/files/framework_guide_v2.pdf). პარალელურად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკუთრივ აბიტურიენტებისთვის ვებინარების სახით წარმატებით განახორციელა მეორე ციფრული პროექტიც – „ვებსკოლა“, რომელიც პანდემიური კარჩაკეტილობის პირობებში მნიშვნელოვნად დაეხმარა ეროვნული გამოცდების ზღურბლთან მდგარ მეთორ-

მეტეკლასელებს. მიუხედავად ეპიდემიური ვითარებისა თუ სხვა ფაქტორების გამო შექმნილი არაერთი სირთულისა, კმაყოფილი ვარ, რომ ვიყავი ორივე დასახელებული პროექტის მონაწილე. „ტელესკოლაც“ და „ვებსკოლაც“ ჩემთვის იყო ახალი გამოცდილება, შესაბამისი ახლებური ვითარებისა, სწავლების ახალი მეთოდოლოგიის ძიების გზაც და, აქედან გამომდინარე, პროფესიული ზრდის საშუალებაც.


რაც შეეხება მთელი ქვეყნის მასშტაბით გახსნილ ონლაინ საკლასო ოთახებს, რომლებიც დღეისთვისაც კი, კორონავირუსის თითქმის ორი წლის მიწურულს, საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდობის არცთუ ისე მცირე ნაწილისთვის, პერიოდულად კი, ეპიდემიური ვითარების გამწვავების ფაზაში – ყველასთვის, სამწუხაროდ, ზოგადი განათლების მიღების ერთადერთ სივრცედ რჩება, Microsoft office-365-ის პროდუქტების, ძირითადად კი TEAMS პროგრამის საშუალებით ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის შესაძლებლობას იძლევა, როგორებიცაა, მაგალითად: სასწავლო მასალების ელექტრონული მიწოდება, შესრულებული დავალებებისა და რეფლექსიების სწრაფი ურთიერთგაცვლა, ინდივიდუალური და ჯგუფური მიმოწერა, დამატებითი შეხვედრების ორგანიზება და ა.შ., ის მაინც ელექტრონული მოწყობილობების ეკრანების ჩარჩოებით მკაცრად შემოსაზღვრული, ჩაკეტილი და სიცოცხლეს მოკლებული გარემოა, რომელშიც, მეტაფორულად რომ ვთქვათ, თუნდაც მცირეოდენი მზის სხივის შეტანა მასწავლებლის კომპეტენციასა და უნარებზეა დამოკიდებული. ამიტომ ასეთ ვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი არ გახდეს რუტინული და პირიქით, უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა თავისუფლებისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი, რისთვისაც, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგი საშუალება ონლაინკონფერენციებისა და დისკუსიების ორგანიზებაა, აგრეთვე, ისეთი იმიტირებული თამაშებისა, როგორებიცაა: ტექსტური შეტყობინებებით მოყოლილი ამბები, ფოტოკოლაჟის საფუძველზე დაწერილი მოთხრობები, ლიტერატურულ პერსონაჟთა ფეისბუქპროფილები და სხვ. ციფრული რესურსებით სწავლების თვალსაზრისით, მინილექციის საპირწონედ, რომელიც

ერთ-ერთი მიღებული სტრატეგიაა თანამედროვე პედაგოგიკაშიც, ონლაინსწავლების დროს მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს მიზნობრივად შესთავაზოს სხვადასხვა საპრეზენტაციო პროგრამით თავის მიერ შექმნილი თუ youtube-ს მასალებზე დაფუძნებული ვიდეოვირტუალური მოგზაურობა მწერლის ან ტექსტის ეპოქაში, სახლმუზეუმებში, ხელნაწერთა გალერეაში და ა. შ.

როდესაც ხოლერა ბაქოში გავრცელდა, გაზ. „ივერია“ ქალაქში შექმნილ მდგომარეობაზე ინფორმაციას აქვეყნებდა. იმ დროს, ბევრი რამე აიკრძალა ბაქოდან შემოტანილი, თბილისის რკინიგზის მმართველობამ კი ყუთებით პურები გაუგზავნა თბილისელ მემანქანეებს, რომ ბაქოში ჩასულებს პური არ ეყიდათ.

ვოდვევილის მესამე ეპიზოდში წარმოდგენილია თბილისელი სომეხი ვაჭრის შაშლამიანცისა და იორამს შორის საუბარი, რომელიც საბოლოოდ ჩხუბით დამთავრდა. უსიამოვნების მიზეზი ვაჭრის მიერ იორამის გვარის დაუწყუნამ გამოიწვია („რეტიანი“ ასეთი თავადის გვარი მეუცხოვებო – უთხრა), რამაც იორამი საშინლად გააღიზიანა. ამას დაემატა ისიც, რომ ვაჭარს ბინის ფასი ეძვირა და იორამს ქირის დაკლება მოსთხოვა.

პიესაში, ხოლერის გარდა კიდეც ერთი ნამდვილი ამბავია ნახსენები, რომელსაც იორამთან საუბარში სომეხი შაშლამიანცი გაიხსენებს. საქმე სომეხთა დაღუპვის ტრაგიკულ მოვლენას ეხება, რომელმაც მაშინ მთელი თბილისი შეძრა.

შაშლამიანცი ამბობდა: „ნათლისღება დღეს ხომ გაგეგონებათ, ვანქის პირდაპირ, ხიდი ჩაიმტვრა და შიგ ორასამდე სომეხი ჩაიტანა და ჩაახშო, მერე ვაჭრობა დაეცა, მერე ქვეყნის პირველი კაცი არჩრუნი* გარდაიცვალა“ (გუნია 1893: 239). 6 იანვარს წყლის კურთხევისას, მადათოვზე გადებული ხის ხიდი ჩატყდა და 500 მდე სომეხი თან ჩაიტანა, მათ შორის ბევრი დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით, გაზ. „ივერია“ წერდა: „ნათლისღების დღეს ტფილისში 100-მდე სომეხი გაუბედურდა.. მეთერთმეტე საათი იქნებოდა, როცა სომეხთა სამღვდელოების კრებულმა წყლის კურთხევის წესი შეასრულა მადათოვის კუნძულის ბოლოს მტკვრის დიდ ტოტზე... ვანქის ტაძრისკენ ეკლესიის პირდაპირ ხიდს ლაწანი გაუვიდა და ჩატყდა და 500 მდე კაცი ჩავარდა...“ (ივერია“ 1892: N4). სხვათაშორის, ამ დღეს ქართულ დასს დანიშნული ჰქონია წარმოდგენა, რომელიც გადაუდიათ „ნიშნად გლოვისა და მწუხარებისა“.

* გრიგოლ არჩრუნი, სომხური გაზეთ „მშაკის“ რედაქტორი, პუბლიცისტი.

პანდემიის პირობებში, ადამიანებს გარკვეული უნარ-ჩვევები შეუძენიათ. პულვიზატორის ხმარება, წამდაუწუმ წამლების მიღება. დაავადების მიმართ გამძაფრებულმა შიშმა მოსახლეობა დააბნია და პანიკაში ჩააგდო. იორამი ამბობდა: „ეგ ხოლვერა ხომ ხოლვერაა, მაგრამ ეს რაღაც ახალი ჭირი და სენი გაჩენილა – „პანიკა“, რომ ჰქვია, ეს რაღაც ოხრობა და ჯანდაბაა!“ ამ მხრივ, პიესაში განსაკუთრებით გამორჩეული ტიპაჟია, ახალგაზრდა, უსაქმური ყმაწვილი ქრისტოფორე კენკიაშვილი, რომელიც მუდმივად წამლებიან შუშებს დაატარებს, ვინაიდან ჰგონია, რომ ხოლერისაგან დაიცავს. ამ შუშებს ის ახალი მოდის დუხებს ეძახის, თუმცა სინამდვილეში სხვადასხვა სახის კაპლებია: ვალერიანის, ბოტკინის, ეფირნი მორფისა და ა შ. თავად ამ შუშებს წამდაუწუმ ყნოსავს, შაქარს კაპლებს ასხამს და ისე მიირთმევს. ახალგაზრდა ყმაწვილს თავში აბდა-უბდა აზრები უტრიალებს. ვინც ცუდად ხდება ყველა ხოლერიანი ჰგონია, სჯერა, რომ დაავადებულ ადამიანებს საავადმყოფოში კლავენ. მისი მონათხრობი ამბავი მგზავრობის თაობაზე, სრულ სიგიჟეს წარმოადგენს. სადღაც ყური მოუკრავს, რომ „სტანციაზე“ მისულ მგზავრებს ამიშვლებენ და ორთქლში ფუფქავენ, ტანსაცმელს კი კორბოლის მჟავაში ავლებენ. ჭორ-მართალის ერთმანეთში არევა, პანიკური შიშის დათესვა, უსარგებლო, აბსურდული რჩევების მიცემა და ჭორების გავრცელება პანდემიის მთავარი მახასიათებელი იყო, რასაც გარკვეულ წილად „ივერიაც“ უწყობდა ხელს, რომელიც ყველა სახის ინფორმაციას აქვეყნებდა, იქნებოდა ეს ექიმებისა თუ დილეტანტთა მოსაზრებები. მაგ. რჩევის სახით, „ივერია“ წერდა: „უნდა ერიდონ სოდის წყლის სმას; ლიმონადის სმა სასარგებლო არ არის. ღვინო უნდა სვან წითელი, ბოთლებში ჩასხმული ადრევე, სანამ ხოლერა გაჩნდებოდა, ვინც მიჩვეულია ლუდი დალიოს, მხოლოდ ცოტა და კარგად დადუღებული. კვასი სჯობია რომ არ დალიონ, ნურც მაროქს მიირთმევენ... საზრდო უნდა იყოს ადვილად მოსანელებელი..უნდა სჭამონ ცოტცოტა და ხშირად. საზრდო და სანოვაგე კარგი მოხარშული და კარგი შემწვარი უნდა იყოს“... (ივერია 1892: N135). სტატიაში, სხვა რჩევებსაც ვხვდებით მოსახლეობის ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ სამზარეულოს ჭურჭელს, როგორი

სურსათი იყოღონ და ა. შ. რჩევები ხშირად ერთიდაიგივე შინაარსის შემცველია. მაგ. წერილში „ხოლერა ბაქოში“ სომეხი მკურნალი მოსახლეობას ურჩევდა, რომ გადაჭარბებული ჭამა-სმა მავნებელი იყო ჯანმრთელობისთვის... ძლიერ მავნებელი ყოფილა ხოლერის დროს ხილი, წნილი, კიტრი, ბოლოკი, ნესვი, სუქანი ხორცი... ღვინო წითელი უნდა დაილიოს წყალ-წყალ ნარევი“ და ა. შ. (ივერია 1892: N121) ამგვარად, „ივერიის“ ფურცლებზე მოყოლილი ისტორიები, საეჭვო რჩევები თუ სამართლიანი შენიშვნები სრულ თანხვედრაში იყო პიესის სულისკვეთებასთან. პანდემიური გარემოს შექმნა, რომელშიც არაფერი იყო მოგონილი, სიტუაციების დაძაბვა, შესაძლოა ზოგჯერ გაზვიადებული, ვოდევილში რეალურად იყო გადმოცემული.

პანიკური განწყობა, დაბნეულობა და შიშის განცდა პიესის ფინალურ ეპიზოდშიც შენარჩუნებულია. თავადი იორამი, რამდენიმე ადამიანთან შეხვედრის შემდეგ, გადაწყვეტს, რომ ბინა ახლგაზრდა, ლამაზ ქალს მაკრინე კვალკვალაძისას მიაქიროს, რომელთანაც არშიყოფა უნდა, მაგრამ ქალს ქმარიც ჰყავს და კავალერიც ქრისტოფერის სახით. ქალის „ევროპულად“ ცხოვრების წესი მოსწონს იორამს და ნატრობს, რომ მასაც შეეძლოს იგივეს გაკეთება, მაგრამ ცოლის ეშინია. პიესაში ჩართულია მცირედი საარშიყო ეპიზოდი, რომელიც პიესას შინაარსის თვალსაზრისით, დიდად არაფერს მატებს. მალე, სომეხი ვაჭრის მეუღლის მაქთაღას დახმარებით გაირკვევა, რომ მაკრინე და მისი კავალერი თაღლითები არიან, რომ ბინაში ფულს არ გადაიხდიან და იორამს ატყუებენ. საბოლოოდ, იორამს არჩევანის გაკეთება აღარ უწევს, ვინაიდან მისი ცოლი-ხორომანი კლიენტს თავად იპოვის და დაჩას მიაქირავებს.

პიესის ბოლოს დაქირავების მსურველები კვლავ იორამის სასტუმროში იკრიბებიან. ნავთის გამყიდველი თათარი და სომეხი ვაჭარი, რომლებმაც ბინა ვერ იშოვეს, მზად არიან იორამს ბევრი ფული გადაუხადონ, ოღონდ დაჩა მიაქირავონ. იორამს კი მათი თავიდან მოცილება უნდა, რაშიც მსახური მოსიკო დაეხმარება. მუცელზე ხელს მოიკიდებს და იყვირებს: „ვაიმე მიშველეთ, მუცელი!“

ყველანი დაფრთხებიან და ყვირიან: „არიქა, თავს უშველეთ ხოლერაა!..“

ვოდევილი ხუმრობა „ხორველობა“ დაწერიდან მალევე დაიდგა. სეზონის გახსნისთვის, სექტემბრის თვეში თითქოს ხოლერის გავრცელებამ იკლო, ამიტომ უნდოდათ, 27 სექტემბერს, ხოლერის მოსპობის აღსანიშნავად, სიონის ტაძარში სამადლობელი პანაშვიდი გადაეხადათ, მაგრამ 4 ოქტომბრისთვის გადასდეს, ვინაიდან კიდევ რამდენიმე კაცი დაავადდა.

27 სექტემბერს, სეზონის გახსნაზე მუდმივმოქმედმა თეატრმა, ორი ახალი ქართული პიესა შესთავაზა საზოგადოებას: ა. ბენაშვილის „თელაველი ოტელი“ და ვ.გუნიას „ხორველობა“ (ორი სპექტაკლის ერთ საღამოს წარმოდგენა, ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო). ვოდევილში ასახულმა მოვლენებმა, ნაცნობმა სიტუაციებმა, პერსონაჟთა კომიკურმა საქციელებმა და სასაცილოდ აღწერილმა ეპიზოდებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. პრემიერის დღის შესახებ, 29 სექტემბრის ახალ ამბებში, გაზეთი „ივერია“ წერდა: „27 სექტემბერს, ქართულმა დრამატულმა დასმა პირველი წარმოდგენა გამართა. ა.ბენაშვილის „ოტელი“ და გუნიას ვოდევილი „ხოლერობა“ წამოადგინეს, როგორც მოსალოდნელი იყო ხალხი კარგა ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. არტისტები მწყობრად თამაშობდნენ. ეტყობოდათ, რომ პირველი წარმოდგენისთვის შრომა არ დაემუდრნათ. ა. ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტელი“ საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და ავტორი რამდენჯერმე გამოიწვიეს და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. გუნიას ვოდევილმა „ხორველობამ“ ხალხი ძლიერ აცინა“. სპექტაკლი 11 ოქტომბერსაც გაიმართა, ამჯერად „ხორველობასთან“ ერთად ვალერიან გუნიამ კიდევ ერთი ახალი პიესა შესთავაზა მაყურებელს კომედია „ზოგი ჭირი მარგებელია“ გადმოკეთებული 3 მოქმედებად.

„ხორველობა“ სხვადასხვა ქალაქებსა და წლებშიც იდგმებოდა, ძირითადად მას სცენისმოყვარეები წარმოადგენდნენ საქველმოქმედო მიზნით, რაც პირველ რიგში სიუჟეტის სიმარტივეით იყო განპირობებული. ერთ-ერთი წარმოდგენა, 1896 წელს ახალ-სენაკში ნატო გაბუნიას ხელმძღვანელობით უთამაშიათ,

* მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის მსახიობი. მას მიუძღვნა ა. ცაგარელმა პიესა „ხანუმა“.

წყალ დიდობისა და დიდი თოვლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. ხაშურშიც წარმოუდგენიათ მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ, „ბილეთები კი ნისიად გაუყიდიათ“ (ცნობის ფურცელი 1899: N8350).

თბილისურ სეზონს მალე ქუთაისის თეატრის სეზონის გახსნა მოჰყვა. პირველი სპექტაკლი 11 ოქტომბერს გაიმართა. თეატრმა, კლასიკა შესთავაზა მაყურებელს. გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, კოტე მესხისა და ეფემია მესხის მონაწილეობით. „ახლავე კი შევძლებთ, ვგონებ ხოლერისაგან შეშინებულ-დადარდიანებული გული თეატრში სიარულით გავართოთ“ – წერდა 15 ოქტომბრის „ივერია“.

ამ პერიოდის მანძილზე, ვიდრე ქვეყანაში ხოლერა არსებობდა, თეატრალური ცხოვრების რიტმი არ შეცვლილა. არც რაიმე საგანგებო რეჟიმი შემოუღიათ, არც სპექტაკლები მოუხსნიათ. თბილისსა და რაიონებში კულტურულ-თეატრალური ცხოვრება არ შეწყვეტილა. ამ 6 თვის მანძილზე არაერთი თეატრალური პრემიერა შედგა, დაიწერა ახალი ქართული პიესები, გაიმართა ბენეფისები, ჩატარდა თეატრალური საზოგადოების სხდომა, ერთი სიტყვით თეატრალური პროცესები ჩვეულებრივად მიმდინარეობდა.

თეატრალურ დასებს, არც მნიშვნელოვანი თარიღები დარჩენიათ უყურადღებოდ. მაგ. რუსულმა დასმა ფორკატის ხელმძღვანელობით, ამერიკის აღმოჩენის 400 წლისთავს მიუძღვნა სადღესასწაულოდ სპექტაკლები. ბარრეს ხუთმოქმედებიანი ფერია პროლოგითურთ: „ქრისტოფორე კოლუმბი ანუ ამერიკის აღმოჩენა“ (ივერია 1892: N223), რომელშიც მთელი დასი იღებდა მონაწილეობას. ფორკატის^{*} ხელმძღვანელობით რუსული დასი აპირებდა წარმოდგენის გამართვას, საზაფხული თეატრში ქ-ნ სტრეპეტოვას მონაწილეობით, რომელიც 10-12 წარმოდგენისთვის იყო მოწვეული.

ასევე ფორკატის მოლაპარაკება დაუწყია, იტალიიდან საბალეტო დასის ჩამოსაყვანად.

* ვ.ლ.ფორკატი – ანტრეპრენიორი, მსახიობი, თბილისში ჩამოვიდა თავისი დასით 1887 წელს, 1892-93 წლებში. სათავეში ჩაუდგა თბილისის ოპერის თეატრის ანტრეპრიზას.

სპექტაკლებს მართავდა სომხური დასიც, მიუხედავად იმისა რომ სომხური თეატრის კომიტეტს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და დასს დახმარება შეუწყვიტა, კომიტეტის საამმა წევრმა განიზრახა თავისი ხარჯით განეგრძოთ წარმოდგენების მართვა.

ქართულ თეატრში ტრადიციულად გაგრძელდა ბენეფისების მოწყობა. 9 დეკემბერს წარმოადგინეს კოტე ყიფიანის საბენეფისოდ გუნიას პიესა „და-ძმა“ და ვოდევილი „არც აქეთ არც იქით“. ვალერიან გუნიას საბენეფისოდ გაიმართა 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა „მოლალატე“, კომედია „ჩვენი დროის ქალები“ და დრამა „სულით ღატაკნი“ (ივერია 1892: N260). მსახიობი ლადო მესხიშვილი მიუწვევიათ საიმპერატორო თეატრის სცენაზე დრამატული როლების სათამაშოდ (ივერია 1892, N225). დაიწერა ახალი პიესები (მაგ.გამოურკვეველი ოცნებანი, ჩვენი დროის ქალები, ორივეს დადგმა ქართულ დასს გადაწყვეტილი ჰქონდა), დაიდგა ახალი სპექტაკლები („მოლალატე“, „სულით ღატაკნი“, „თელაველი ოტელო“, „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“ და სხვა). ზოგიერთ სპექტაკლს წარმატებაც ჰქონდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ქართულ თეატრსა და დრამატურგიაში ღირებული არაფერი შექმნილა და სეზონიც საკმაოდ მდორედ მიედინებოდა. ყველა ახალ სპექტაკლს, რომელიც ამ დროისთვის იდგმებოდა, გაზეთი „ივერია“ ეხმაურებოდა და მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას, ბეჭდავდა რეცენზიებს. რეცენზენტები ზოგჯერ მკაცრად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, როგორც სპექტაკლის, ასევე პიესის მიმართ. მაგალითად, როდესაც ბელოვის მელოდრამა „დანაშაული და სასჯელი“ დაიდგა, რეცენზენტმა მისი შინაარსი უარყოფითად შეაფასა. პიესა მოლალატე ცოლის ისტორიას მოგვითხრობს. მთავარი მოქმედი პირი კორა ღალატობს ქმარს და უდანაშაულო კაცს ციხეში აგზავნის. რეცენზენტის აზრით, ასეთი შინაარსის პიესა ქართული საზოგადოებისთვის სრულიად შეუფერებელი იყო და მნიშვნელობას მოკლებული. „ისეთი ხასიათის ქალებს, როგორიც აქვს კორას, ევროპის დიდ ქალაქებში თუ შეხვდებით პარისში ან ლონდონში. დასავლეთ ევროპაში დიდ წარმატებასთან ერთად ზნედაცემულობაც დიდია და ამ ნაკლს ცივილიზაციისას გვიხატავს ბელოვის მელოდრამა..(ივერია 1892: N207). როგორც ვხედავთ ცოლის მიერ ქმრის ღალატი და მასზე ვერაგული შუ-

რისძიება, წერილის ავტორმა ევროპულ მოვლენად აღიქვა. ამის გარდა, რეცენზენტი თვლიდა, რომ მიუხედავად მსახიობთა (სვიმონიძე, აბაშიძე, გედევანოვი, განსაკუთრებით კი კორას როლის საუკეთესოდ შემსრულებელი ავალიშვილი) კარგი შესრულებისა, პიესა არ იყო შესაფერისად დადგმული, არც დეკორაციები და არც ტანსაცმელი ვარგოდა.

თეატრალური წარმოდგენების პარალელურად, ხოლერის პერიოდში სხვადასხვა სახის სპორტული და კულტურული ღონისძიებები ეწყობოდა. მაგ. 27 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს გაიმართა დიდი დოლი დიდუბის მინდორზე. ცხინვალში პატარა ლიახვზე ხიდის გასაკეთებლად მოეწყო გასართობი საღამო, ჯერ ითამაშეს სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში,“ შემდეგ კი გაიმართა ჭიდაობა. აქტიურად მუშაობდა წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა, გამოსაცემად მზადდებოდა ლერმონტოვის „მწირი“, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“. აკაკი წერეთელმა, ნოტარიუსით დამტკიცებული ხელწერილით 1892 წლის 16 ოქტომბერს, ამხანაგობას გადასცა თავისი ნაწარმოებების სრულიად გამოცემის უფლება, სხვებს კი აეკრძალა აკაკის ნაწარმოების გამოცემა ან კრებულში ან ცალკე წიგნად, სხვა შემთხვევაში დაჯარიმდებოდა. გაიხსნა ახალი სასტუმრო მადათოვის ქუჩაზე „ქართული პურ-მარილი“...

მიუხედავად მდარე თეატრალური სეზონისა, ამ პერიოდის სათეატრო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მოსკოვის საოპერეტო დასისაგან სპექტაკლების გამართვა, რომელის ხელმძღვანელობაც დრამის მსახიობმა მაკო საფაროვამ ითავა.

გაზეთი „ივერია“ წერდა: „ჩვენი ბანკის თეატრი იჯარით აიღო მაკო საფაროვამ, რომელმაც მოსკოვიდან უნდა მოიწვიოს საოპერეტო და სადრამო დასი“ (ივერია 1892: N199). უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება ყოველთვის დიდი მოყვარული იყო მუსიკალური სადამოებისა. 1851 წლიდან, როდესაც თბილისში იტალიური ოპერა შეიქმნა, მაყურებელი დიდ ინტერესს ავლენდა ამ ჟანრის მიმართ. თბილისში, სამუსიკო და სალიტერატურო სადამოები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მაგ. 1892 წლის 18 იანვარს ხუთ განყოფილებიანი საღამო გაიმართა. ითამაშეს ოპერეტა ჟონანისა „ქორწინების წინა დღე“, ვასო

აბაშიძემ შეასრულა კუპლეტები, ქ-ნმა ძნელადემ იმღერა არია ოპერიდან „რუსლანი და ლიუდმილა“. „ოპერისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ აფიშაზე გაჩნდა წარწერა „სადრამო და საოპერეტო“ წარმოდგენა. ხშირად დრამის მსახიობები არათუ თავისი ბენეფისთვის ირჩევდნენ ნაწყვეტებს ოპერებიდან, არამედ საოპერეტო წარმოდგენაც კი დადგეს (1882 წლის 24 ნოემბერს,) ჟაკ ოფენბახის „მეჯლისი იტალიელებით“, რომელიც ქართულ ენაზე წარმოადგინეს.

პანდემიის პირობებში, ამ თვალსაზრისით ოქტომბრის თვე იყო გამორჩეული. 1892-1893 წლის სეზონში, როცა მაკო თეატრის ანტრეპრენიორი გახდა, არაერთი მომღერალი დასი ჩამოიყვანა. მაკოს დასმა პირველი წარმოდგენა 1892 წლის 15 ოქტომბერს გამართა სტრაუსის 3 მოქმედებიანი კომიკური ოპერა „ყარაჩთა ბარონი“. ივერიის რეცენზენტი სპექტაკლის ქებასთან ერთად, აკრიტიკებდა მსახიობთა ოსტატობას, ხოროს შესრულებას, რომელსაც „ხმა შეუწყობელი, შეუთანხმებელი ჰქონდა“ (ივერია 1892: N220). 18 ოქტომბერს, არწრუნის თეატრში კიდევ ერთი ოპერეტა ითამაშეს. ლეკოკის „ხელი და გული“. ბოენსის და ლეანოვის შესრულებით. სპექტაკლს წარმატება მოყვა. მეორე დღეს, 21-ოქტომბერს, ბანკის თეატრში წარმოადგინეს ზუპკერის სამმოქმედებიანი ოპერეტი „ბოკაჩიო“. გაზეთები „კავკაზი“ და „ივერია“ აშუქებდა სპექტაკლების ხარისხსა და მომღერალთა შესრულებას. მსახიობი ქ-ნი ბოენსი და ბ-ნი ბიაზი გამორჩეული ყოფილა. სპექტაკლში „ბოკაჩიო“ რეცენზენტმა დაიწუნა ქალების ხორო და ურჩევდა ადმინისტრაციას, რომ ხოროსთვის მეტი ყურადღება მიექცია. მართალია, ზოგიერთი მომღერალის გამოსვლას რეცენზენტთა კრიტიკა მოჰყვა (ზოგიერთ მსახიობს როლები არ სცოდნია), მაგრამ მთავარი იყო, რომ თბილისელი მაყურებელი მუსიკალურ სპექტაკლებს დიდი ინტერესით ესწრებოდა. განსაკუთრებით, ეს ეხებოდა საოპერეტო ჩამოსულ დასებს. მაგ. 1893 წელს 10 ახალი საოპერო სპექტაკლი გაიმართა, რომელზედაც ყველა ბილეთი გაყიდულა.

დრამატული საზოგადოება თვალყურს ადევნებდა ოპერეტის დასის საქმიანობას, მომღერალმა ბარიტონმა კაზიმირ ცხომელიძემ (ივერიელი), რომელიც ხშირად მართავდა საოპერო სადამო-

ებს, 11 ოქტომბრს, სხდომაზე დასვა საკითხი მუსიკალური სპექტაკლების გამართვის შესახებ. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენების მართვა თავის თავზე აეღო დრამატულ საზოგადოებას. საზოგადოების თავჯდომარემ გიორგი თუმანიშვილმა, ამის თაობაზე უარი განაცხადა, ვინაიდან წესდების მიხედვით, დრამატულ საზოგადოებას არ შეეძლო სამუსიკო საღამოების წარმოდგენების მართვა. დრამატული საზოგადოება, ამ პერიოდშიც აქტიურად აგრძელებდა თავის საქმიანობას. წესისამებრ, ჩატარდა წლიური კრება, აირჩიეს კომიტეტის წევრები, განიხილეს ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე საკითხები.

პანდემიის არსებობამ ხელი ვერ შეუშალა თეატრალური პროცესების წარმართვას. შემოდგომის და ზამთრის სეზონმა ნორმალურად ჩაიარა. იმ დროინდელი მონაცემების მიხედვით, რეპეტიციების ჩატარებისა თუ მაყურებელთა დასწრების შეზღუდვების ან რაიმე რეგულაციების შესახებ არ გვაქვს ინფორმაცია. ეს ეხებოდა, როგორც დედაქალაქს, ასევე რაიონებსა და სოფლებს.

ამგვარად, პანდემიის პირობებში თეატრალური ცხოვრებაში, ცვლილებები არ შეინიშნებოდა. ამ 6 თვის მანძილზე დაიდგა ახალი სპექტაკლები, გაიმართა ბენეფისები, დაიწერა პიესები, გამოიცა ახლი წიგნები, მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მაკო საფაროვას მიერ რუსული საოპერეტო დასის ჩამოყვანა, რომელსაც საზოგადოება დიდ თანაგრძნობას უცხადებდა. გაიმართა დრამატული საზოგადოების სხდომა. ერთი სიტყვით, თეატრალური ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა...

დამოწმებანი:

გუნია 1893: გუნია ვ. *დრამები და კომედიები*. თბილისი: 1893.

ვაჟა-ფშაველა 1892: *ფიქრები ხოლერის გამო*. ივერია, N207, 1 ოქტომბერი. 1892.

ივერია 1892: „ხოლერის შესახებ“. ივერია, N130, N131, 125, N129, N 120, N127. 1892.

ივერია 1892: „ხოლერა ბაქოში“. ივერია, N121, 12 ივნისი. 1892.

ივერია 1892: *ახალი ამბების რუბრიკა*. ივერია, N11, N17, N205, N4, N135, N199, N 203, , N223, N221, N 225, N224. 1892.

ივერია 1892: ნათლისღების დღეს მომხდარი უბედურება ტფილისში. ივერია, N4, 8 იანვარი. 1892.

ივერია 1892: დარიგება ხოლერის დროს. ივერია, N135, 28 ივნისი. 1892.

ივერია 1892: ქართული თეატრის მატთანე. ივერია, N208, 3 ოქტომბერი, 1892.

ივერია 1892: საოპერეტო დასის პირველი წარმოდგენა. ივერია, N220, 17 ოქტომბერი. 1892.

წერეთელი 1892: წერეთელი ა. ხოლერა მესტირული შაირები. ქუთაისი: 1892.

Tsira Kilanava

Georgia, Tbilisi

Ilia State University

**„The Awakening of the Person Hidden Inside“:
Representation of the Epidemic in “Mikela”
by David Kldiashvili
(visualization of spatial and social relations)**

Summary

The epidemic is represented in “Mikela” in two manifestations: As an organizing principle of the space determined by the disease and in terms of the representation of the model of social relations.

To analyze the given issues, the textual data showing the disease and the relation to it were identified in the narrative (mainly through the narrator’s report and through the characters’ speech); moreover, the practice of organizing the space was specified based on the passages showing the characters’ action space, and the social network of “Mikela” was reconstructed through the relation to other characters. The value system that forms the basis of the characters’ relationships was revealed. Diagrams were used to classify the textual data, which were created using simple online tools.

Key words: David Kldiashvili, epidemic, space, value, diagram.

ცირა კილანავა

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„შიგნით დამალული ადამიანის გაღვივება“:
ეპიდემიის რეპრეზენტაცია დავით კლდიაშვილის
„მიქელას“ მიხედვით
(სივრცისა და სოციალურ ურთიერთობათა ვიზუალიზება)**

შესავალი

ქართულ ლიტერატურაში განსახოვნებული მრავალფეროვანი თემატიკიდან ერთ-ერთი უძველესია ფიზიკური ავადმყოფობა. აღნიშნულ საკითხს ჯერ კიდევ მე-5 საუკუნის „შუშანიკის წამებაში“ ექცევა დიდი ყურადღება (ეპოქის მსოფლმხედველობრივი საფუძვლების შესაბამისად, მოწამის დასწეულება იმთავითვე გულისხმობს მის სულიერად გაძლიერებას). დასახელებული საკითხისადმი ინტერესი არ კლებულობს მომდევნო ხანების მხატვრულ ნარატივებშიც (შდრ. დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, შიო არაგვისპირელის, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, გურამ გეგეშიძის, ბესიკ ხარანაულისა და სხვათა ნაწარმოებები). მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მიქელას“ (1904 წ.), რომელიც მწერლის შემოქმედების პირველ ეტაპზეა შექმნილი და წარმოადგენს მე-19 საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული მოთხრობათა ციკლის დასასრულს: „მიქელა“ აგრძელებს და კრავს „შერისხვასა“ (1893 წ.) და „მსხვერპლში“ (1894 წ.) თემატიკებულ საკითხებს: დეინდივიდუალიზებულ და დეჰუმანიზებულ ურთიერთობებს, მატერიალური და სულიერი სიღარიბის საშინელებას, მოულოდნელი/უარყოფითი მოვლენის მიმართ არარაციონალური დამოკიდებულების პრობლემურობას. დასახელებულის გარდა, „მიქელა“ საყურადღებო ნაწარმოებია ეპიდემიის რეპრეზენტაციის, სნეულებით განპირობებული სივრცის ორგანიზების პრაქტიკისა და სოციალურ ურთიერთობათა მოდელის განსახოვნების თვალსაზრისით.

დასახელებული საკითხების საანალიზოდ მოთხრობაში იდენტიფიცირებულია სწეულებისა და მისდამი დამოკიდებულების ამსახველი ტექსტური მონაცემები (ძირითადად – მთხრობლისა და პერსონაჟთა მეტყველების დონეებზე), მთავარი პერსონაჟის სამოქმედო არეალის ამსახველი პასაჟების საფუძველზე დადგენილია სივრცის ორგანიზების პრაქტიკა და დანარჩენ პერსონაჟებთან მიმართებით რეკონსტრუირებულია მიქელას სოციალური ქსელი; აღნიშნულის საფუძველზე, გამოვლენილია სხვებთან მისი დამოკიდებულების ღირებულებითი მოდელიც. საამისოდ გამოყენებულია დიაგრამირების მეთოდი და მონაცემთა კლასიფიკაციის/ვიზუალიზების მარტივი ონლაინინსტრუმენტი.

ძირითადი ნაწილი

„მიქელაში“ მოვლენების განვითარების საწყის ეტაპად წარმოდგენილია ოჯახში დატრიალებული ტრაგედია – გაურკვეველი, ავტორის მიერ სახელუდებელი მიზეზით მოხუცმა „სულ მოკლე ხანში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვან ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მათა“ (კლდიაშვილი 2014: 1). ღვთისადმი/უზენაესისადმი/ღვთაებისადმი/უფლისადმი (მოთხრობაში ყველა ეს სახელდება მოცემული) ტექსტში სამგზის ხაზგასმული მორჩილებითა და მოთმინებით ნასაზრდოები დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ოჯახის ამოწყვეტისა და მიცვალებულთა მაცხოვრებლის/ მომგონებლის დაკარგვის შიშმა (ერთი წინადადების ფარგლებში სიტყვა „შიში“ სამგზისაა გამოყენებული) მიქელას აქტიურობისკენ უბიძგა: უფროსი შვილიშვილის, სპიდონას, უცნაური ავადობისა და უმცროს შვილიშვილ ნესტორას გახიზვნის შემდეგ „მასში თითქოს გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა თავისი გრძნობებითა და წადილებით“ (იქვე: 2). ამ „შიგნით დამალული ადამიანის“ გამოღვიძება რამდენიმე ეტაპად წარიმართა: პირველი იყო მიქელას დეპრესია, რომელიც ჩვეული საქმიანობისადმი სრული გულგრილობით გამოიხატა: ერთთავად ეზოში, ხის ძირას, მჯდო-

მი საგონებელში ჩავარდნილი მიქელას საქმეებიც მთლიანად რმალ „მაიას დააწვა კისერზე“ (იქვე); მეორე ეტაპზე მიქელა წავიდა მძახლების ოჯახში თავისი უმცროსი შვილიშვილის სანახავად, მათგან გაიგო უბედურების (ოჯახის ამოწვეტის) თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ; მესამე ეტაპზე იმედმოცემული მიქელა შეუდგა საქმეს:

1. სახლის გასაწმენდ-გადასადგმელად საჩხერეში მოელაპარაკა ჟამგამოვლილ (!) ალექსი ბოჭორიძეს (რძლის თქმით, მეზობლები ავადობის შიშით ახლოსაც არ ეკარებოდნენ მიქელას ოჯახს);

2. უფროსი შვილიშვილი სპიდონა გადაიყვანა ეზოს კუთხეში, ღობესთან, ცალკე კარავში, რომლის მოსამზადებლადაც შორი მთიდან ორჯერ ჩამოიტანა ურმით წნელი (ამ ეპიზოდში, მთხრობლისეული შეფასებების სახით, ექსპლიციტურ დონეზე, ორგზისაა ხაზგასმული მიქელას გულცივობა);

3. ჟამგამოვლილ ალექსისთან ერთად დღე-ნახევარში დაარღვია ორივე სახლი, ალექსის მიერ საგულდაგულოდ დაფხეკილი და დამდულრული ფიცრები სათითაოდ ზურგით გადაიტანა თავის ძველ ნამოსახლარზე; პარალელურად, შემორაგვა (შემოღობა)/გამოყო თავისი და სპიდონას სივრცეები;

4. ახალ (გაწმენდილ და ძველ ნამოსახლარზე გადატანილ) სახლში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მაქსიმალურად ერიდებოდა სპიდონასთან სიახლოვეს: გამოუყო ცალკე ჭურჭელი, რომელსაც სპეციალურად მიჩენილი ჯოხით აწვდიდა ავადმყოფ შვილიშვილს.

რას მივიღებთ, თუკი ზემოთ კლასიფიცირებულ ტექსტურ მონაცემებს მოვაცილებთ კონკრეტულ მოცემულობებს და განვაზოგადებთ? კორონაპანდემიის გამოცდილების მქონე საზოგადოებისთვის ესაა ვირუსთან გამკლავების საბაზისო ქცევის სტადარტი: უცხო ავადმყოფობასთან შეჯახებისას დაბნეულობა/დეპრესია, ავადმყოფისა და ჯანმრთელი ადამიანების განცალკევება, ახლობლის/ძვირფასი ადამიანის ნახვის/მასთან სიახლოვის სურვილი, გამოცდილი/სანდო ადამიანისგან რჩევის მიღება და დეზინფექცია-იზოლაციის პრაქტიკის დანერგვა. დასახელებული ნიშნების მიხედვით, მიქელას მიერ გადადგმული ნაბიჯები, დღევანდელი გამოცდილებით, ჯანდაცვის პროტოკოლის მო-

თხოვნებს ითვალისწინებს. მაგრამ ეს „შიგნით დამალული ადამიანის გაღვიძების“ მხოლოდ გარეგნული ნიშნებია. მათ მიღმა კი პიროვნული ურთიერთობების კომპლექსური საკითხი დგას.

როგორია მიქელას სოციალური ქსელი? მოთხრობის მიხედვით (და ეს ლოგიკურიცაა, სათაურიდან გამომდინარე) – ყველაზე კომპლექსური. მას, როგორც მთავარ გმირს, ექსპლიციტურ დონეზე სოციალური ურთიერთობა აქვს მოთხრობის თითქმის ყველა პერსონაჟთან, მათ შორის და, უპირველეს ყოვლისა, – ღმერთთან. როგორია, ეს ურთიერთობები? თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობების საფუძველი მიქელას (დიდი ალბათობით, შესაძლებელია მისი განზოგადება) მსოფლმხედველობრივი წარმოდგენებია – მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა და არა – სიტუაციით განპირობებული გადაწყვეტილებები.

ეს წარმოდგენები ეფუძნება სააქაოსა და საიქიოს შესახებ ბინარულ ოპოზიციას, საიქიოს პრიმატიულობით. საიქიო/მარადიული ცხოვრებაა ამქვეყნიური არსებობის ორიენტირი; ცოცხალ ადამიანთა მთავარი საზრუნავი გარდაცვლილთა სულების პატრონობა და მათი „აქედან ხელისწყობა“ (კლდიაშვილი 2014: 3). ეს არაერთხელაა აღნიშნული ტექსტში: „ღრმად სწამდა ეს მიქელას, მადლობას სწირავდა უფალს და მზად იყო დაევიწყნა უბედურება, რაკი ამათში (იგულისხმებიათ შვილიშვილები – ც.კ.) ხედავდა ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და **თავისი გამწარებული სულის მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ.** (...) და სწორედ მაშინ, როცა მიქელა იმედს მიეცა, ამ რწმენით დამშვიდებული იყო, რომ **მისი სიკვდილის შემდეგ ესენი ეყოლებოდნენ მისი სულისთვის მზრუნველებად** (...). მისი ოჯახის ამომავალი ახლა ისეთ სუსტ ძაფზე ეკიდა, როგორც იყო მისი უმცროსი შვილიშვილი, პატარა ათის წლის ნესტორა; **ამდენი სულის მომვლელ-პატრონად, როგორც ესაჭიროებოდა ოჯახის მიცვალებულთ და თვითონ მიქელასაც მისი სიკვდილის შემდეგ** (...)...მოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა, შიშმა, რომ **ამდენ მიცვალებულთა სულის მოსამსახურედ** აღარავინ დარჩება ოჯახში, გაურბინა თავში მიქელას და მოხუცებულს უცნაურად დაცეცხლა. (...) საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას კი მთლად იმ კუთხის დედა-

კაცები შემოედგნენ. ესენი თვალცრემლიანები ეკითხებოდნენ იმათ იქაურ ყოფაზე, კითხულობდნენ – ეგებ რამეს ითვლევინებოდნენ – ან თუ **სამსახური მეტი ეჭირვებოდეთ, ან წირვა-ლოცვა, ან აკლდეთ შესაწირი, აკლდეთ აქედან ხელისწყობა** და მათი სული წუხდეს და გასაჭირში იმყოფებოდეს **უგუნურ და მიუხდომელ ამქვეყნად დარჩენილ მათ პატრონთა** გამოისობით (...) ამოწყვეტის კარზე ვარ მიყენებული, ერთი ბაღანა დამრჩა, **ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხოვნებელიც** (...) მისი ჭირი წამილია!.. **ჩემი სულის მაცხოვნების**. იყვეს... – და მოხუცებულმა ისევ ღრმად ამოიოხრა. – მისი ჭირის სანაცვლო ვიყვე, **ჩვენი სულის მაცხოვნების!**..“ (იქვე: 1-3, 17).

დამოწმებული პასაჟებიდან ცხადი ხდება, რომ მიქელა (და მოთხრობაში განსახოვნებული მთელი საზოგადოება) ვერ ხედავს კონკრეტულ ადამიანს, როგორც გაუმეორებელ ინდივიდს, უნიკალურ პიროვნებას, ცოცხალ ადამიანში ხედავს მხოლოდ (!) პასუხისმგებლობას, რომელიც, არჩევანის შესაძლებლობის უგულვებლყოფით, მას სოციუმში აკისრია – ესაა ოჯახის მიცვალებულთა პატრონობა, დასახული ადამიანად ყოფნის უმთავრეს მიზნად. დასახელებული კონვენციური ღირებულება, როგორც მოთხრობაში ჩანს, გამორიცხავს ცოცხალ ადამიანებთან პიროვნულ ურთიერთობას. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ვლინდება ერთი წლით საიქიოდან გამობრუნებულ სპიდონასთან მიქელას დამოკიდებულებაში, რომელიც რამდენიმე საფეხურადაა წარმოდგენილი:

1. თავდაპირველად სპიდონას დაავადებამ **თავზარი დასცა** მიქელას,

2. შემდეგ, როცა ეგონა, შვილიშვილი მოუკვდა, „გონება არეული მოხუცი **მზადებას შეუდგა**, ესეც ისე გაეტანა ურმით, როგორც წინანდელი მიცვალებულები“ (იქვე: 1),

3. „მაღე სპიდონამ, **მოხუცის სასიხარულოდ**, ისევ ამოისუნთქა“ (იქვე),

* ის საყურადღებო გარემოება, რომ მოთხრობის მთავარ პერსონაჟსა და მის მძახალს მიქელას და გაბრიელი ჰქვიათ, სახელდების დონეზეც ადასტურებს სიკვდილის *ფენომენის* მნიშვნელობას (პრიმატს) მოცემულ ტექსტში. აღნიშნულ პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგიის შესახებ ვრცლად იხ. ავალიანი 2005.

4. სპიდონას ერთი წლით საიქიოდან გამობრუნების ამბის შეტყობისთანავე „მოხუცებული აირია, მოუსვენრობას მიეცა (...) ეს მოხუცებული ახლა სრულიად გამოიცვალა, **სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქოს გაიდვიბა შიგნით დამალულმა ადამიანმა თავისი გრძნობებითა და წადილებით**“ (იქვე: 2),

5. „გადადებული“ სპიდონას სახე მიქელას ცნობიერებაში **სრულად ჩაანაცვლა** შორს მყოფი უმცროსი შვილიშვილის, ნესტორას, მონატრებამ,

6. მძახლის რჩევის (სახლის გაწმენდისა და ძველ ნამოსახლარზე გადატანის) სისრულეში მოსაყვანად მზადებას მიქელა სახლში დაბრუნებისთანავე შეუდგა და არ გაითვალისწინა ერთწლიანი ვადა, რომლითაც, სპიდონასავე თქმითა და ყველას რწმენით, საიქიოდან გამოაბრუნეს უფროსი შვილიშვილი: „**ერთი წელიწადი რას ვუყურო?** – წამოიძახა მიქელამ (...) **სპიდონას კარავში გევიყვან**, კარავს გოვუკეთებ და გევიყვან შიგ“ (კლდიაშვილი 2014: 7-8),

7. „სპიდონა, შენ კარავში უნდა გახვიდე! – **რადაც განსხვავებული კილოთი, გულცივად მიმართა მან** ყმაწვილს. – სახლი უნდა გავეწმინდო (...) ჰო! ეგერ გაგიკეთე!.. ადექი.. ადექი !.. – ისევ **გულცივად ჩასძახა** მიქელამ“ (იქვე),

8. „ამ მუშაობამ თითქმის სრულიად მიავიწყებინა მიქელას კარავში გაყვანილი შვილიშვილი. **თანდათან უკლებდა მიხედვას, თვალყურის დევნას; ხშირად მშიერსაც სტოვებდა** (...) **ერთ დღეს მიქელამ სრულიად უწყლოდ დატოვა იგი.** (...) მოიხედა და, რა დაინახა სპიდონა, გაჯავრებით გამოექანა შვილიშვილისკენ. – რა გინდა შენ აქ? – მიაძახა მას. რა გინდა აქ? წადი!“ (იქვე: 11-12),

9. „ბერმა კაცმა **უცნაური საქციელი** დაიჭირა ფარღალალა კარავში მარტოდ დარჩენილ ყმაწვილთან. რაკი გადადგმულ სახლში შევიდა მიქელა, მან **მორიდება დაუწყო** სპიდონას, **ახლოს აღარ ეკარებოდა შვილიშვილს**“ (იქვე: 12),

10. „იგი (იგულისხმება სპიდონა – ც.კ.) ზეზე მდგარ მკვდარს უფრო მიემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალს. **მიქელაც ამჩნევდა ამას, მაგრამ არ წუხდა**, რადგან იცოდა – ბიჭი წლის გასულს უსათუოდ საიქიოს გასაბრუნებელი იყო და **ვერას უშველიდა, მისი ფიქრით**“ (იქვე: 12),

11. გვიან შემოდგომაზე დაწყებული ძლიერი წვიმა სპიდონას სასიკვდილოდ ემუქრებოდა. ამ დროს რძალ მაიასა და მეზობელ ანთიმოზას შეხსენებაზე, სპიდონასთვის მიეხედა, მიქელას პასუხი პიროვნული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა იყო: „**რა ვუყო ახლა მე! (...)** **რა ვუყო ახლა მე! (...)** **რა ცოდვა უნდა დაგვედვას, ამ ღამის წერა ყოფილა, თუ რამ მოუვიდა და ისაა!** – უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა მოხუცმა“ (იქვე: 13-14),

12. ღვარცოფში ფარდალალა კარავში მიტოვებულ სპიდონას რამდენჯერმე გადასძახა მიქელამ: „სპიდონა, ე, ბიჭო, სპიდონა, **არ შეგეშინდეს, ბიჭო!** ახლავე მოვალ კიდო, ახლავე! (...) ბიჭო, სპიდონა! სპიდონა! ბაბუა! (...) **სპიდონა, ბაბუა! გესმის?**“ (იქვე: 16),

13. სპიდონას დროზე ადრე გარდაცვალებით გაკვირვებული მაიას შენიშვნაზე, ერთი წელი ხომ არ გასულაო, მიქელამ უპასუხა: „**ალბათ, შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგია რა ვადა დაუნიშნეს...**“ (იქვე)

14. გარდაცვლილ სპიდონასთვის წესის ასაგებად მოსული მღვდლის წინაშე (რომელიც „ძლიერ შეუწყრა მიქელას შვილი-შვილის დატანჯვისათვის და ემუქრებოდა პასუხისგებაში მიცემას“) ასე იმართლა თავი მიქელამ: „**თავათ აშობდა, რომ ვადით იყო გამობრუნებული, შენი ჭირიმი... მაინც ეს დღე მოელოდა მოკლე ხანში... ხელიდან წასული იყო... ამოწყვეტის კარზე ვარ მიყენებული – ერთი ბაღანა დამრჩა. ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხოვრებელიც... გოუწმენდელ სახლში რავა შემომეყვანა... რა ვიცი, იმასაც რომ შემთხვეოდა რამე! ცხრა მთას იქით მყავს გადამალული შიშით, არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო! რახანია, თვალთ არ დამინახავს... შედით ჩემს მდგომარეობაში!**“ (იქვე).

მართალია, სპიდონასადმი მიქელას დამოკიდებულებაში პერიოდულად ჩნდება ჰუმანურობის ნიშნები (შდრ. მე-3 და მე-12 პუნქტები), მაგრამ მთლიანობაში, და რაც მთავარია, ერთი წლით საიქიოდან გამობრუნების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე (შდრ. მე-4 პუნქტი) მიქელაში გაიღვიძა „შიგნით დამალულმა ადამიანმა“, რომელმაც შემდეგ უზენაესის ნების აღსრულებისა და ამოწყვეტისაგან ოჯახის დაცვის სახელით, ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც კი გააკეთა, თვითგადარჩენას მიუძღვნა: ოჯახის წევ-

რთა მოულოდნელი გარდაცვალებით თავზარდაცემული მიქელა დარჩენილ ორ შვილიშვილს თავისი სულის მომვლელებად სახავდა (შდრ. მოთხრობის მესამე აბზაცი), პატარა ნესტორას ოჯახის მომავლად და გვარის ამოწყვეტისგან გადარჩენის ერთადერთ იმედად სახელდებდა (შდრ. მისი საუბარი მძახალ ტუფიასთან), მომაკვდავი სპიდონა მის ცნობიერებაში მალევე სრულად ჩაანაცვლა ნესტორამ, რომელიც მისგან არ მოითხოვდა მოვლა-მზრუნველობას (ნესტორას გახიზვნის იდეაც კი არ იყო მიქელასი; ეს მაიას, ბავშვის დედის, გადაწყვეტილებით მოხდა). სამაგიეროდ, ის, ვინც მთლიანად მის კეთილ ნებასა და პატრონობაზე იყო დამოკიდებული, მიქელამ არ/ვერ მიიღო სწორედ იმ მიზეზით, რომლითაც მისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჯანმრთელი, „საიმედო“ (მოთხრობლისეული აღნიშვნით) შვილიშვილი – 10 წლის ნესტორა იყო მისი (მიქელას) სულის მომვლელი და არა უბრალოდ, ბავშვი, რომელიც უნდა გადარჩენილიყო; მღვდლის მისამართით ნათქვამ მის სიტყვებშიც საგულისხმო ასპექტები იკვეთება: სპიდონას მიმართ გამოვლენილი გულგრილობა მან ორი საფუძვლით ახსნა: 1. თავად სპიდონას ნათქვამით ერთი წლით გამოზრუნების შესახებ და 2. მისი პატრონისა და სულის მაცხოვრებელი უმცროსი შვილიშვილის უსაფრთხოების ფაქტორით. მისი სიტყვის ბოლო მონაკვეთში აღნიშნული კი, რომ შვილიშვილი ცხრა მთას იქით გადამალა და დიდი ხანი იყო, რაც არ ენახა, სრულ სიცრუეს წარმოადგენდა: ნესტორა გვერდითა („მახლობელ“) სოფელში იყო (იქ მისვლა და დაბრუნება მიქელამ ერთ დღეში მოასწრო); ბავშვი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, მისი ინიციატივით არ გაუხიზნავთ; რაც მთავარია, დიდი ხნის უნახავი არ ჰყოლია ბაბუას უმცროსი შვილიშვილი (მისი მონახულებიდან სულ ცოტა ხანში გადაიტანა სახლი ძველ ნამოსახლარზე. მას კი მალევე მოჰყვა შემოდგომის გადაუღებელი წვიმა, რომელსაც შეეწირა კიდევ სპიდონა).

უბედურებით თავგაბეზრებულმა და ფორმალური რელიგიურობის სქემატურობით ცნობიერებადამახინჯებულმა მიქელამ ვერ გაიაზრა, რომ ის ერთი წელიწადი, რომლითაც სპიდონა გამოაზრუნეს საიქიოდან (იხ. „შვილიშვილმა მიქელას გამოუცხადა, რომ საიქიოს ვიყავიო, მაგრამ რადგან ჩემი იქ წასვლის ბორჯი არ მო-

სულა, ერთი წლით გამომაბრუნეს უკანაო“ (კლდიაშვილი 2014: 1), მისი, როგორც პიროვნების, ბოლო გამოცდა/შესაძლებლობა იქნებოდა, გაქვავებული სტატუსებისა და სოციალური პასუხისმგებლობების მიღმა დაენახა ცოცხალი ადამიანი; ადამიანი, როგორც მიზანი და არა – საშუალება.

მოთხრობის სხვა პერსონაჟებთან მიქელას დამოკიდებულება-შიც ჩანს ის სქემატურობა, რომელიც მას, როგორც უბედურებით გამწარებულ ადამიანს, არ აძლევს საშუალებას, საკუთარი თავისა და გასაჭირის მიღმა დაინახოს მეორე/სხვა, რომლის აღმოჩენის აუცილებლობაზე მოთხრობაში ყურადღება რამდენჯერმე გამახვილებული. საკითხის მნიშვნელობის ხაზგასასმელად აქ ვიმოწმებ მხოლოდ იმ პასაჟებს, რომლებიც უშუალოდ სპიდონას უკავშირდება: „ბიჭი ხმას არ იღებდა, როცა მიქელამ მიატოვა იგი, შეფორთხდა შიგნით კარავში და მუხლებმოკვეთილივით მოიკეცა თავის ახალ საწოლზე, სახემწუხარემ, დაღონებულმა. **თავად იცოდა, რომ აღარ იყო ამა სოფლისა, მაგრამ მაინც გული ეჩაგრებოდა, რომ უკვე ხელს იღებდნენ მასზე, რომ ოჯახიდან რიცხავდნენ.** დაწვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოიწია – **სული უწუხდა** (...) თავდაპირველად ძლიერ ეოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა – თითქოს იგი ჭირიანი ყოფილიყო, მაგრამ მერე ამასაც შეურიგდა; იგი მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა, მისგან რამე არ გაჰყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა და **მან კიდევ გაამართლა თავის გუნებაში მოხუცი, რომელიც ასე შეუბრალებლობის გზას დაადგა** იმისათვის, რომ წლის თავზე საიქიოს გაბრუნებოდა, ითმენდა ყველაფერს და თან დღითიდღე დნებოდა, ქრებოდა“ (კლდიაშვილი 2014: 8, 11). დამოწმებულ პასაჟებში ხაზგასმული ფრაზები მიუთითებს არა მხოლოდ მიქელას ადამიანურ მოვალეობასა და დანაშაულზე, არამედ აჩვენებს სპიდონას შინაგან მდგომარეობასაც – მზაობას, შეუბრალებელ ბაბუაში დაინახოს მისი მიუღებელი საქციელის გამამართლებელი მოტივი – შიში და აპატიოს მას.

რაც შეეხება ფრაზას – „თითქოს იგი ჭირიანი ყოფილიყო“ – ის ერთგვარ ეჭვს აჩენს მოთხრობაში განსახოვნებული ავადმყოფობის რაობის თაობაზე. არის კი ნამდვილად ეპიდემია ის, რაც აღწერილია ტექსტში და რაც ხსნის კიდევ პერსონაჟთა მხატვრულ

სახეებს? ტექსტურ მონაცემთა კლასიფიცირების საფუძველზე, დასმულ შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. მართალია, დაავადების კონკრეტული სახელი მოთხრობაში არაა ნახსენები, მაგრამ დასტურდება ორი საიდენტიფიკაციო ტიპის ინფორმაცია:

1. **დაავადების ნიშნები:** გაფერმკრთალემა-გაყვითლემა, ზოგადი სისუსტე და ლეტალური შედეგი; დაავადების გავრცელება (მოთხრობის მიხედვით, რეგიონში მსგავსი გამოცდილების მქონე რამდენიმე ოჯახი იყო); 2. **პრევენციის გზები:** დეზინფექცია (სახლის საფუძვლიანი გაწმენდა-დამდუღვრისა და გადატანის, ასევე – ავადმყოფისთვის სპეციალური ჭურჭლის მიჩენის გარდა, ამას ადასტურებს მძახლების სახლში მიქელას სტუმრობის ეპიზოდიც, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი პროცედურა – „ტანისამოსის დაბერტყვა. შეჩერდა, გაიხადა ჩოხა, მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალამნები, გაბერტყა ესენი, ჩაიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შედგა ფეხი მოყვრის ოჯახში“ (კლდიაშვილი 2014: 4) და იზოლაცია (ეს უკანასკნელი დეტალურადაა აღწერილი ეზოს ბოლოს, კარავში, სპიდონას გადაყვანითა და მისი დასაფლავების ეპიზოდში).

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თავად ანალიზის მეთოდის შესახებ: საკონფერენციო თემატიკის მიხედვით განისაზღვრა საკვლევი თემა – „მიქელაში“ რეპრეზენტირებული ეპიდემია, რომელიც მოთხრობაში ორი ნიშნით აღმოჩნდა განსახოვნებული – სივრცის ორგანიზებისა და სოციალურ ურთიერთობათა დონეებზე. ორივე მიმართულებით იდენტიფიცირებული ტექსტური მონაცემები (ზოგ შემთხვევაში – ინტერპრეტაციებით) თავდაპირველად გადავიტანე cogsls.it ონლაინ-პლატფორმაზე (იხ. დანართი). ამან საშუალება მომცა, სურათი მეტნაკლები სისრულით ობიექტურად დამენახა, შემდეგ ინფორმაცია სასტატოდ დამეხარისხებინა და გამომეკვეთა ძირითადი ტენდენციები.

დასკვნა

დავით კლდიაშვილის ადრეულ ნაწარმოებ „მიქელაში“ რეპრეზენტირებულია ფიზიკური ავადმყოფობა (ტექსტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ეს უნდა იყოს ეპიდემია) და დეზინფექციის/იზოლაციის/სივრცის ორგანიზების გზით მასთან გამკლავების პრაქტიკა. ლიტერატურულად განსახოვნებული პრევენციის პრაქტიკა თვისებრივად თანხვედბა კორონაპანდემიის პირობებში საერთაშორისოდ აღიარებულ ქვეყის სტანდარტს. ეპიდემია, როგორც მოვლენა, წარმოდგენილია მთავარი პრობლემის – „შიგნით დამალული ადამიანის გაღვიძების“ – წარმოსაჩენად. კლდიაშვილი, მოთხრობის მოცულობითი სიმცირის მიუხედავად, ახერხებს ბოლომდე გახსნას მთავარი პერსონაჟის ტრაგიკული მხატვრული სახე და აჩვენოს გარეგნული რიტუალებისა და მხოლოდ ტრადიციადქცეული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით მცხოვრები ადამიანის ცნობიერება, რომელიც მოცულია თვითგადარჩენის იდეით. ამ იდეის ფონზე მას ეკარგება მთავარი – მეორე ადამიანის დანახვის უნიკალური შესაძლებლობა.



დამოწმებანი:

ავალიანი 2005: ავალიანი ლ. *დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი*. თბილისი: გამომცემლობა „თეთრი გიორგი“, 005.

კლდიაშვილი 2014: კლდიაშვილი დ. *მიქელა*. ერთი შედეგის ბიბლიოთეკა. <https://saba.com.ge/reader/book/2268>

coggle.it (ონლაინინსტრუმენტი)

დანართი



Gocha Kuchukhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„Balcony Culture“ of COVID Epoch

Summary

In the beginning of the pandemics, in the social media entire world observed people on their balconies singing songs of different genres (sometimes they lacked professionalism but mostly they sang with great love).

The fact that all performances had the same signs, as reflected on the **performance manner, style**, attracts attention: there was apparently seen the sense of **missing, desire of live communication and support**, consequently, we offer the question: is it possible that at a time of pandemics there emerged some **kind of movement** that has existed for certain time only and that, **conditionally**, we called **“the balcony culture of COVID epoch”**.

Key words: covid epoch, culture.

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

კოვიდის ხანის „აივნური კულტურა“

პანდემიის დასაწყისში სოციალური ქსელებიდან მთელი მსოფლიო ხედავდა თავიანთი სახლების აივნებზე გადმომდგარ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს ასრულებდნენ (ზოგჯერ – არაპროფესიონალურად, მაგრამ უმეტესწილად – დიდი სიყვარულით).

საერთოდ, კრიზისულ პერიოდებში ის ხელოვნება იწევს ხოლმე წინ, რომელსაც მაღალს ვუწოდებთ; ვფიქრობთ, საჭიროა, სოციოლოგებმა გაარკვიონ, ძირითადად რომელ მუსიკას უსმენდა ამ დროს ხალხი, – სოციალური ქსელებიდან ჩანდა, რომ ძალიან ხშირად ვერდის, პუჩინის, მოცარტის და სხვათა ოპერებიდან ასრულებდნენ სახლებში გამოკეტილი, სლოგან – **stay home**-ის ერთგულად დამცველი ადამიანები არიებს, ალბათ აღმოჩნდება, რომ **ამ კრიზისის დროსაც კლასიკამ წამოიწია წინ**, რომ ხსენებულ ქსელებში გავრცელების რაოდენობით ძლიერი „კონკურენცია“ გაუწია მან მასკულტურას; **მაღალი სულიერი კულტურა ერთგვარ შემწედ მოვევლინა ამ დროს ადამიანებს.**

გვინდა, ყურადღება გადავიტანოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც რელიგიური მოსაზრებებით არიან განმარტოებულნი, – საინტერესოა, **შეინიშნება თუ არა რაიმე საერთო მათსა და პანდემიით ჩაკეტილსა და კლასიკურ მუსიკაში ნუგეშის მიძენელ ადამიანთა შორის**, ხომ არ არის საფიქრებელი, რომ გარკვეულწილად მსგავსია ის ძალა, რომელიც ორსავე შემთხვევაში შემწის როლს ასრულებს მრავალთათვის.

ჰაგიოგრაფიაში ხშირად იხატებიან ადამიანები, რომლებიც სენაკებში არიან განმარტოებულად გამოკეტილნი, მაგრამ არ იტანჯებიან ამით, ვგულისხმობთ ანაქორეტ მონაზვნებს, რომელთაც მთელი ყურადღება სულიერი სამყაროებისაკენ აქვთ მიმართული და, აქედან გამომდინარე, სულიერად ამ სამყაროებში მყოფებად აღიქვამენ თავს, ისინი მთელ წუთისოფლურ ყოფას, ადამიანის მოკვდავობას მიიჩნევენ კრიზისის ფაქტად და ცხოვრების თავიანთებური წესით **სულიერი წიაღების რეალურობაში დარწმუნებასა და ამით სიკვდილის შიშის დამარცხებასაც ცდილობენ.**

ჰაგიოგრაფიაში აღწერილი ანაქორეტები ფიზიკურად ცალცალკე ცხოვრობენ, მაგრამ სულიერად ღმერთთან და ანგელოზებთან არიან, ამ ლიტერატურაში დახატული მონაზვნები ღვთისმშობლის ნათელს გრძნობენ და შეიძლება ითქვას, რომ სულიერად ერთად იმყოფებიან ეს მონაზვნები; ჰაგიოგრაფიაში შეხვდებით განმარტოებით მცხოვრებ ბერს, რომელმაც იცის, თუ როგორ არის, რა სულიერ მდგომარეობაშია სხვა მარტომყოფელი, ასეთ მონაზონს წინასწარ ეუწყება ხოლმე, რომ, ვთქვათ, რომელიმე სხვა

დიდი ბერი უნდა ეწვიოს თავის ფიზიკურ სამყოფელში (მაგ., „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ მარტო მცხოვრებ ბერ ჯუდედიოსს ღვთაებრივი ხილვით ეუწყა /„ჩუენებად იხილა არა თუ ძილსა შინა, არამედ ცხადად“/, რომ გრიგოლი და სხვა ბერები მივიდოდნენ იმ ადგილას, სადაც თვითონ იმყოფებოდა და გრიგოლის მიერ მონასტრები აშენდებოდა, ასე მოხდა იმიტომ, რომ „ჩუეულებად აქუნდა ღმრთისამიერისა ხილუისად, ეგრეთვე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის ღირსებად და ადგილისა მის მიგებად მისა“ – ძეგლები 1964: 253), განმარტოებულმა ზოგჯერ ისიც იცის, რომ მოშორებულ სენაკში მცხოვრებ ბერს ანგელოზები დაჰხარიან და ბოროტი ძალებისგან გამოიცილებს, მოახლოებულ მტერსაც წინასწარ ხედავს ხოლმე იგი (ბერმა მატომ სულიერი ხილვით „ცნა“, რომ ქურდები მივიდოდნენ მასთან ღამით, რის გამოც „დღისივე დაჰმზადა მათოჯს პური“ და როცა მივიდნენ „მპარავნი“, ამ სიტყვებით შეეგება მათ: „გრწმენინ ჩემი, შვილნო, წმიდად ღმრთის-შშობელი გიბრძანებს არა ვნებად ჩემდა, არამედ მოვედით და ჭამეთ პური, რომელი განგიძადაე თქუნ“; ერთი ქურდი მაინც აპირებდა ბერის გაძარცვას, მაგრამ დაისაჯა, – „მუნთქუესვე დაეცა იგი“, მაგრამ, როცა სხვა „მპარავთა“ თხოვნით განკურნა იგი მონაზონმა, ყველა ქურდმა მოინანია საქციელი; – ძეგლები 1964: 284...); წმიდანთა „ცხოვრებებში“ არის ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ ტოვებს ამ ქვეყანას ესა თუ ის ბერი, მისგან ფიზიკურად შორს მყოფი მონაზონი კი ხედავს, რომ ცათა სიმაღლეთაკენ მიემართება ეს ამ ქვეყნიდან აღსრულებული ბერი, რომელსაც ანგელოზები ეხვევიან გარს და ღვთის სასუფევლისაკენ მიაცილებენ მას (გავიხსენოთ იგივე ბერი „მატომს“ გარდაცვალების ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, – ძეგლები 1964: 285...). ჰაგიოგრაფიის მხატვრული სამყაროს გავლენით თუ დაწერს, პროზაიკოსს შეუძლია, ბრწყინვალე სურათები შექმნას: მაგალითად, დახატოს უდაბნო, ან – მთა, რომლებშიც კელიებია განთავსებული და რომლებშიაც ფიზიკურად განმარტოებული მონაზვნები ცხოვრობენ, და – ზეციური ქალაქი, სადაც სულიერად ერთად იმყოფებიან ეს მონაზვნები და ანგელოზთა გვერდით მყოფნი ურთიერთობენ ერთმანეთთან.

წუთისოფლისგან შორს არის დიდი მონაზონი, სულიერ სამყაროში იმყოფება, გაჰყურებს იგი წარმავალ სოფელს, ხედავს იქ მცხოვრებ დებსა და ძმებს, რომელნიც წუთიერი სიამოვნებებისთვის იბრძვიან, სულიერად ჩაძინებულებად მიაჩნია უმეტესი მათგანი და ლოცულობს მათთვის; იქით, წუთისოფელში, ისეთ ნათელ ადამიანებსაც ხედავს, რომელნიც, ერში ცხოვრების მიუხედავად, მუდამ ღმერთისკენ იყურებიან, შინაგანი მონაზვნები არიან და თავის თანამოსაგრეებად ესახება ისინი. ამგვარი მონაზვნისთვის ზეცა და სულიერი სამყაროა რეალური, ქვეყნიურ სოფელს ერთ დიდ ილუზიად აღიქვამს, თავისუფლებასა და ნეტარებას გრძნობს ამ სულიერ სამყაროში და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ბრძოლაც უხდება ხორციელ ლტოლვასთან და იზიდავს წუთისოფელი, მაინც ასატანია მისთვის ფიზიკური ჩაკეტილობა; ზოგიერთ ანაქორეტს შეუძლია, ფიზიკური სამყაროსათვის მოკვდინებულს დაემსგავსოს, წარმოიდგინოს, რომ მიწაზე საფლავია მისი და სულიერად კი ღვთის სასუფეველში იმყოფება; ქართულ ჰაგიოგრაფიაში ამგვარ ანაქორეტად წარმოდგენილია, მაგალითად, წმიდა შიო მღვიმელი, რომელიც მღვიმეში ჩავიდა... ფიზიკურად თავს იმარხავს შიო, ისე ჩადის იმ მღვიმეში, როგორც – სამარეში... ლოცვით აცილებენ მას ამ ქვეყნიდან სხვა ბერები; ემშვიდობება მათ და მთელ ფიზიკურ სამყოფელს შიო, სხეულს „საფლავში“ ტოვებს და ზეციური სასუფეველისაკენ მიიწევს სულით, ფიზიკურად „იმარხება“, მაგრამ სულიერად ცოცხლდება, წუთისოფლისთვის მოკვდინებული, ცათა სიმალღეთაკენ აღმავალ კიბეს მიუყვება სულიერად (მის მიერ ღვთისადმი მიმართული სიტყვებია: „დავიდევ მე ნეფსით მღვმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა“... „ნუსადა ვემსგავსო შთამავალთა მღვმედ ჯოჯოხეთისა, არამედ აღმოიყვანე საჰერობილისაგან ბოროტისასა სული ჩემი აღსაარებად სახელისა შენისა“... „არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა და განსუენებად ჯორცთა, ვიდრემდის ვპოო ადგილი უფლისაჲ საყოფელი ღმრთისა იაკობისი“), მისი ამაღლებული სულის დანახვას დიდი ბერები შეძლებენ (ნაწარმოების ეს ადგილი, ვფიქრობთ, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება, იქნას აღიარებული, – ძეგლები 1971: 288-289).

ანაქორეტები ნებით იტყვევებენ თავს ფიზიკურად, სურთ, რომ ფიზიკური ცხოვრებისაგან განრიდებით სულიერ თავისუფლებას, სულიერ სამყაროებს მიეახლონ.

თუნდ, ათეისტის თვალთახედვით შეხედონ მსგავს მოვლენებს, თუგვინდ, თეისტის თვალთ ადვიქვათ ისინი, იმ ფაქტს ვერავინ უარყოფთ, რომ მორწმუნის ფანტაზიით წარმოსახული თუ რეალურად არსებული სულიერი სამყაროდან სასიცოცხლო ძალას ღებულობს ადამიანი, მისგან ეძლევა სიცოცხლისათვის საჭირო საზრდო.

დიდი ანაქორეტისთვის მშობლიური საცხოვრისი სულიერი, ზეციური სამყარო, მამა ღმერთისეული სახლია, რასაც, ცხადია, ვერ ვიტყვით ისეთ მორწმუნეებზე, რომელნიც მონაზვნობისათვის არ არიან შინაგანად მოწოდებულნი და იმიტომ ცხოვრობენ სენაკებში, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მორგებიან ქვეყნიურ ცხოვრებას, – ან გაჰქცვიან წუთისოფლურ სიძნელეებს, ან ვინმეს გაუხდია იძულებულნი, მონაზვნებად აღკვეცილიყვნენ, ან რაიმე სხვა მიზეზით აურჩევიათ მონასტრული ყოფა... რა გამოსავალს პოულობს მონასტერში იძულებით გამოკეტილი ადამიანი?

თუ მართლა არ არის მოშორებული ამქვეყნიურ საზრუნავს, თუ ძალით ჩაუკეტავთ მისთვის ყოველდღიური საზრუნავისთვის კარი, მაშინ, შესაძლოა, ციხეში ყოფნასაც დაემსგავსოს მათი ცხოვრება, უჭირთ ასეთებს გამოკეტილად ცხოვრება, მაგრამ სულიერად მაინც მტკიცედ დგანან და ამაში, ლოცვის გარდა, მაღალი ხელოვნება, ვთქვათ, პოეზია ეხმარება მათ.

აქ გვინდა გავიხსენოთ ვანის ქვაბებში მონაზონი ქალების მიერ კედლებზე მიწერილი წარწერები, რომლებსაც მკვლევარები XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ (ონიანი 1959: 35-36...).

როგორც შერმადინ ონიანი აღნიშნავს: ერთ-ერთი მონაზონი – „ანა რჩელაშვილი ჩივის იმის გამო, რომ ვერ გაიხარა ვერც ჩაცმით, ვერც ჭამა-სმითა და ნათესავ-მეგობრებით“ და განიცდის თავის მძიმე ყოფას: „რა ვქნა, მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად ქმნილ. შევზარებვიარ სიკვდილსა შემადწუნებელსა“ (ონიანი 1959; 7: 35); სხვა მონაზონი, – „გულქანი გადმოგვემს, რომ ის იყო გაუთხოვარი, არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ქალი და საამისოდ იმოწმებს თავის მნახველებს, „ჩემნი მნახავნი არ გამამტყუ-

ნებენ-ო“» (ონიანი 1959; 7: 35); შერმადინ ონიანის აღნიშვნით, „ხვარამზე შტელიშვილი და ბატონი გოზლალა შეყვარებულები ყოფილან და ძალით განუშორებიათ ერთმანეთისათვის. წარწერაში კვითხულობთ: „...ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოზლალას ჩემისა და იმის გამყრელობასა, ესეც უნდოდა, ვაიმე თუ ერთმანეთს სიკვდილის და სულთ ამოსვლის დროს არ დაეხვდეთ, შეგვიბრალეთ. ღმერთმა გამიგონოს, რომე, როდესაც მე და გოზლალა აქა მოვედით, ცნობა დაგვეპანტა, ბევრი ვიტირეთ ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალეთ... ვაიმე გულთაგან დამდნარსა“» (ონიანი 1959: 35); შერმადინ ონიანი წერს, რომ „ვინმე სარა დის პირით მოკითხვას უთვლის თავის „დიდს იმედს“, რომელშიც ის მიჯნურს უნდა გულისხმობდეს: „სარა ვიკადრებ დაო ულუყმო (?). მერმე დარბაზს, ჩემს დიდს იმედს, ბევრი მოკითხვა“; მონაზონი ქალი, სახელად – თუმიანი ასე მიმართავს მიჯნურს: „მოკვედ უშენოდ, აღარ ცოცხალ ვარ, ვაიმე, უშენოდ რა მადლებინებს...“ (ონიანი 1959; 7: 35); მკვლევარის თქმით: „ერთი სიტყვით, მონაზონ ქალებს დიდი სითამამე გამოუჩენიათ და ვანის ქვაბთა მონასტრის ცივი კედლებისათვის აშკარად გაუნდვიათ თავიანთი თბილი გულის საიდუმლო. მათი წარწერები გამსჭალულია უაღრესი გულწრფელობითა და უშუალოებით. ისინი წერდნენ იმიტომ, რომ არ შეეძლოთ, არ ეწერათ; წერდნენ არა აუდიტორიისათვის, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი გულის დარდები მოეოხებინათ“ (ონიანი 1959: 35)...

შერმადინ ონიანი **პანდემიის თემასაც ეხმიანება**, იგი ჯერ იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ „წარწერები შესრულებულია XV-XVI საუკუნეებში“, იხსენებს იაყუბ ყანის ორგზისსა (1485-1486; 1488 წწ.) და შაჰ-თამაზის რამდენსამე ლაშქრობას (XVI ს-ის პირველი ნახევარი), შემდეგ იმ ფაქტზე გადააქვს ყურადღება, რომ ამ ლაშქრობათა გამოძახილი არ არის ასახული მონაზონ ქალთა წარწერებში, რომ „ამგვარი საკითხების მიმართ მონაზონ ქალებს სრული ინდეფერენტიზმი გამოუჩენიათ და თავიანთი წარწერები შემოუფარგლიათ მათი ცხოვრების პირადული ამბებით“ და, რადგან მათი ქმედება შავი ჭირისაგან გადამალულ ბოკაჩოსულ პერსონაჟებს აგონებს, წერს: „აქ უნებლიედ გვახსენდება დიდი იტალიელი მწერლის ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“. ფლო-

რენციაში შავი ჭირის მძვინვარების დროს 1348 წელს სიცოცხლის გადარჩენის მიზნით შვიდ ქალიშვილს სამი მამაკაცის თანხლებით დაუტოვებია ქალაქი და თავი შეუფარებია ბუნების წიაღისათვის, სადაც ისინი ერთობოდნენ სხვადასხვა საინტერესო ამბის მოყოლით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ მსგავსად სამშობლო ქვეყნის განსაცდელის ჟამს მონაზონ ქალებს ვანის ქვაბთა მონასტერში ერთმანეთის მიმართ მეტად ინტიმურად განწყობილი ქალთა საზოგადოება შეუქმნიათ იმ განსხვავებით, რომ ამ საზოგადოებაში არცერთ მამაკაცი არ ერია“ (ონიანი 1959: 35).

შ. ონიანის ნაშრომში მონაზონ ქალთა არაერთი ლექსია განხილული: ერთ-ერთ ლექსს კალიგრაფიის გათვალისწინებით გულქანისად მიიჩნევს ამ ნაშრომის ავტორი (ონიანი 1959: 36); ლექსი ღვთისმშობლისადმია მიმართული: „ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უშურველი, / შენ აღვოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, უთვალველი, / მე სამოელ ტანჯვად მაწვევს, უშიში და უკრძალველი, / მწეო ჩემო, შენ მიშველე, გამოქსნასა შენგან ველი. / მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან, ძალნი დასნი, / ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი“ (ონიანი 1959: 36-37)...

ანა რჩეულაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფი დაუწერია შეცვლილი სახით (შ. ონიანის აზრით, ცვლილებების მიზეზი ისაა, რომ მახსოვრობით წერდა ანა): „ქ. ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა თ(უ)ალნი ძლ(ი)ვ შემომცდება, / გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან, / მაშიგან ორნი გუშავნ(ი) ნაბადსა არ დაცდება, / მათსა შემბელსა დაჯოცენ, ცეცხლურებრ მოედებ(ი)ან, / ჩემო ნუ მოხვალ ჩემზედა, სხუ(ა)თა მებრძოლთა წ(ე)სითა, / ნურცა მე მომკლ(ა)ვ ჭირითა ამისგან უარესითა, / დამთმეთა, დაგთმობ ჭირითა ამისგან უარესითა“ (გვ. 37); ამ მონაზონს ასეთი იამბიკო მიუწერია კედელზე (შერმადინ ონიანის აღნიშვნით, ლექსი ლექსიკური თუ აზრობრივი შეცდომებითაა დაწერილი, რაც ცხადჰყოფს, რომ ანა არ უნდა იყოს მისი ავტორი): „ქრისტე ღმერთო, / საბრალოთა / შემახვეწო, / მწყალობელო, / თვალფერათო, / ზღუდგანთქმულო, / შენი სახე, / ზღუდგანთქმულო / ღმრთობის ხატო; / შენი ჭირი / მე, ბატონო, / ღმრთობის ხატო; / მე შენს სახელ- / ხსენებასა / სადა ღირს

ვარ, / კურთხეულ ხარ / დიდებულო / ღმრთობის ხატო!..“ (ონიანი 1959: 37)...

ვანის ქვაბებში არის ლექსები, რომლებიც თუმიანს მიუწერია კედელზე. ეს ლექსები ცნობილია ფოლკლორში. შ. ონიანის თანახმად, ისინი ფოლკლორულია და თუმიანს არ უნდა ეკუთვნოდეს (მკვლევარს ექვევება, რომ ვანის ქვაბებიდან გავრცელებულიყო ისინი ხალხში): აღდგომის დღეს თუმიანს ასეთი წარწერა გაუკეთებია (ტექსტის ზოგი ადგილი ხალხური ლექსის მიხედვით შ. ონიანის მიერ არის აღდგენილი): „ქ. წვრილად ნახვეწო ისარო, ქალაქს ნა[ღებო ინითა], / ყირმიზი რკალის პერანგი გაცვია ოქროს ღილითა; / ნეტავი [შენთან მამყოფა], შენთან გამაძლო ძილითა, / მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა“ (ონიანი 1959: 39); სხვა ლექსი: „ზეცას გაველ, ზეცა ვნახე და მარსკვლავთა მოვეძრახე, / ძირს ჩამოველ შამბის პირსა ოღვა წვრილად გამოვსახე; / შენ ჯარშია ვერა მიცან, მე სიკვდილი თვალთ ვნახე, / შენ რა მოხველ, ღმრთისა მადლმა, მე ლახვარზე გული ვახე“ (ონიანი 1959: 39); ყურადღებას იქცევს მკვლევარის სიტყვები, რომ ზემოთ მოხსენებული წარწერა („ქ. წვრილად ნახვეწო ისარო...“) „თუმიანს აღდგომა დღეს შეუსრულებია“; მისი აღნიშვნით, საინტერესო ფაქტია, რომ „აღდგომა დღეს მონაზონი ქალი ღვთისმსახურების ნაცვლად გართულია სატრფიალო ლექსების წერით“, მკვლევარი დასძენს: „როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია...“ (ონიანი 1959: 39).

თუმიანს ასეთი ლექსიც მიუწერია კედელზე (ამ ლექსის სხვა ვარიანტი, შ. ონიანის აღნიშვნით, XV საუკუნის „კარაბადინზე“, როგორც ეს ქრისტიანე შარაშენიძეს აქვს შენიშნული, XVI საუკუნეში შესრულებულ მინაწერშიაც გვხვდება; არსებობს სხვა, – ხალხში გავრცელებული ვარიანტიც): „აწ, მზეო, შენსა გაყრილსა დამვიწყდა სოფლის ლხინი მე, / ვით მმართვეს, ეგრე გასრულვარ, სისხლის ცრემლითა ვტირი მე, / ნეტარ ღირს ვარმცა, მენახოს შენი ლამაზი პირი მე, / ნუ დამივიწყებ, ღონეო, შენის თვალისა ჭირიმე“ (ონიანი 1959: 40).

გვინდა, ორიოდე სიტყვით იმ საკითხს შევეხოთ, რომ, როგორც ვნახეთ, შ. ონიანი „დეკამერონსა“ და ვანის ქვაბთა მონასტრის მონაზვნებს შორის პარალელს ავლებს, ერთმანეთს ადარებს ბო-

კაჩოსეულ პერსონაჟებსა და ქართველ მონაზვნებს. როგორც ითქვა, მკვლევარი იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ინტიმური განცდები ორსავე შემთხვევაში თამამად არის გამომჟღავნებული და იგი განმასხვავებელ ნიშნებსაც კარგად ამჩნევს, – პანდემიის გამო განცალკევებულსა და სახალისო ამბავთა მთხრობელ ბოკაჩოსეულ პერსონაჟებსა და ვანის ქვაბებში გამოკეტილ მონაზვნებს შორის მართლაც არის გარკვეული მსგავსება და ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი კი ისაა, რომ ქართველ მონაზონ ქალებთან ერთად მამაკაცი არ იმყოფება; აქვე დავამატებდით, რომ სხვაობა სხვა მხრივაც შეინიშნება: – ვანის ქვაბთა მონასტრის ქალთა ლექსები ღვთისმშობელსაც ეძღვნება და – მის ძესაც, ეს მონაზვნები ცოდვათა შენდობას შესთხოვენ უფალს, „დეკამერონისეული“ პერსონაჟები თუ ძალზე თამამ ინტიმურ ფანტაზიებსა და მხოლოდ სხეულებრივი განცხრომის სულიერებაში დანთქმით ცდილობენ ეპიდემიისაგან აღძრული შიშის დავიწყებას, ვანის ქვაბებში მცხოვრები ქალები იმ მიჯნურებს იხსენებენ, რომლებთანაც ოჯახების შექმნაზე ოცნებობდნენ და თავიანთ სუფთა სიყვარულს მისტირიან, აშკარად ჩანს, რომ ვანის მონაზვნებს ქაჯეთის ციხეში გამოკეტილ ნესტან-დარეჯანს აგონებს თავიანთი ყოფა, ისინი „ვეფხისტყაოსნისეულ“ სტროფებსაც წერენ, ნესტან-დარეჯანის სიტყვებითაც ახასიათებენ საკუთარ მდგომარეობას („ციხეს ვზი ეგ ზომ მაღალსა...“) და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ თამამად გამოხატავენ ეროტიკულ განცდებს, ვერ ვიტყვით, რომ სხეულებრივი განცხრომის მორევისაკენ დაშვებით ცდილობენ თავდავიწყებას და მძიმე ფიქრთაგან გათავისუფლებას (მონაზვნებისგან, ბუნებრივია, სხვაგვარი საქციელი არც იყო მოსალოდნელი); აქ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ეს მონაზვნები იძულებით ჩაკეტილებს გვანანს, ცხადია, შიო მღვიმელსა და დავით გარეჯელს ვერ შევადარებთ მათ, მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ მათთვისაც სულიერებაა უმთავრესი, ფიზიკური გაჭირვების ჟამს ცათა სიმალღეებისა და სუფთა სიყვარულისაკენ მიემართება მათი ყურადღება და სულიერებისაგან მომწყვეტი ფიქრებისაკენ მიდრეკით არ ცდილობენ დამშვიდებას; რენესანსული ეპოქის დასასრულის მიჯნაზე ცხოვრობენ ისინი და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რენესანსული სულიერე-

ბის შთაგონებით წერენ; რენესანსული ცნობიერება სულისა და სხეულის ერთმანეთთან ჰარმონიაში მოყვანას გულისხმობს; რენესანსული ცნობიერების მქონე ადამიანი, ჩვენი თვალთახედვით, სულიერად ძალიან არის ამაღლებული და **მის წარმოსახვაში** ადამიანური არსება უკვე ისეთ დონეზეა შეცვლილი, რომ დაწყებულია სხეულის „გასულიერების“ პროცესი, ადამიანი შინაგანად ცათა სიმაღლეთაკენაა მიდრეკილი და მის აღქმაში სული და სხეული, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღარ არის ერთმანეთთან დაპირისპირებული, „ბოროტების საფუძვლად“ აღარ აღიქმება სხეული და ქრისტიანი ადამიანისათვის ძნელი გასაგები აღარაა, თუ რად არის ქორწინება ეკლესიის მიერ ერთ-ერთ საიდუმლოდ წარმოდგენილი (სათქმელს ოდნავ გადავუხვევთ და ვიტყვით, რომ „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ რენესანსული ცნობიერების საწყისები იკვეთება ზოგჯერ, ვთქვათ, – იმ ადგილას, რომელშიც ნათქვამია: „*ჯორცთა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა ჯორცთათჳს და ესე მკდომნი არიან ურთიერთას*“; – ძეგლები 1964: 257...), რენესანსული ადამიანისათვის ცოლ-ქმრული, ფიზიკური სიახლოვე ღვთაებრივ ბედნიერებად განიხილება და, თუ ამ თვალთახედვით შევხედავთ იმ ფაქტს, რომ აღდგომის დღეს სატრფოსთან სიახლოვეზე ოცნებობს ვანის მონასტერში მცხოვრები მონაზონი, მაშინ არაქრისტიანულს ვერაფერს დავინახავთ მასში, – რენესანსული ადამიანისათვის ადვილი გასაგებია, რომ სულიერად ამაღლებული და ერთმანეთისათვის დაბადებული ქალ-ვაჟის მიერ ერთურთის პოვნა და მათი შეერთება წმიდა საიდუმლოს ღვთაებრივად აღსრულება და ადამიანური სრულქმნის ერთ-ერთი საშუალებაა (პავლე მოციქული დაუქორწინებლობას ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ დაქორწინებულობასაც საღვთო საქმედ განიხილავს; იხ. I კორინთელთა: 8-16) და, თუ ქრისტეს აღდგომა მკვდრებით ადამიანის აღდგომისა და განახლების წინასახეა, მიჯნურთა მიერ ერთი-მეორის პოვნა ასევე ღვთაებრივ მოვლენად განიხილება და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დიდმარხვის შემდეგ, აღდგომის დღეს, მიჯნურს დაუწეროს ადამიანმა სასიყვარულო სიტყვები; ნესტანისა და ტარიელის შეყრის სურათი თუ აგონდებოდა თუმიანს („*მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა*“... „*მათ ერთმანერთსა აკოცეს,*

დგანან ყელ-გარდაჭდობილნი./ კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბაგეთათ პობილნი“...) მაშინ, როცა ამ სიტყვებს წერდა: – „ნეტავი“... „მაგ შევარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა“...

სიტყვას ძალიან აღარ გავაგრძელებთ, განმეორებით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, ჩვენი აზრით, რენესანსული ცნობიერება აქვთ ვანის მონაზონ ქალებს (რენესანსული ცნობიერებისანი არიან ამბავთა მთხრობელი პერსონაჟებიც „დეკამერონიდან“, თუმცა, მათ მიერ მოთხრობილი ამბები სხეულებრივი განცხრომის გზით სულიერად ქვემოთ ეზიდება ადამიანს) და ყურადღებას იმ გარემოებაზე გადავიტანთ, რომ, **მიუხედავად იმისა, ძალიან რომ უჭირთ სენაკში გამოკეტილობასთან შეგუება და იძულებით ჩაკეტილებს გვანან, ისინიც სულიერ სიმადლეთაკენ ლტოლვაში ხედავენ შვებას; ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ მაღალ კულტურას ადამიანთა დიდი ნაწილისათვის გარკვეულწილად ნუგეშისმცემელი, დამამშვიდებელი ძალა აქვს, სანამ რთულ პირობებს შეეჩვევიან („თანაცხოვრებას“ ისწავლიან), პირველ ხანებში მაინც მისით ცდილობს ბევრი ოდნავი შვების შეგრძნებას, მძიმე ყოფის დასაწყისში მაინც სულიერ შემწეედ ევლინება მათ მაღალი კულტურა, უადვილებს იგი ყოფას.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეგვიძლია ვუპასუხოთ ზემოთ დასმულ კითხვას და მივიჩნიოთ, რომ პანდემიის გამო ჩაკეტილსა და კლასიკაში ნუგეშის მძებნელ ადამიანებს **უდავოდ აქვთ საერთო, – ორივეს მაღალსულიერება ასაზრდოებს**, მაღალი სულიერებაა ის ძალა, რომელიც ნუგეშს ანიჭებს მათ, – **ანაქორეტებს სამოთხის არსებობის იმედით ავსებს სულიერი ამადლებულობის განცდა, ამ განცდით შექმნილ კულტურას კი დასწებობების საფრთხის გამო სახლებში დარჩენილთა გამხნეება შეუძლია, სულიერი ამადლებულობის განცდაა ის ძალა, რომელიც რელიგიაშიც ამყდავენებს თავს და მაღალ მუსიკაშიც, – მუსიკის გზით შექმნილი ეს სულიერება იმედითა და ნუგეშით აძლიერებს ადამიანს.**

მუსიკას, რომელსაც „თავისი ენა“ აქვს და ბგერებით „მეტყველებს“, ცხადია, ამადლებული განწყობილების შექმნაც ძალუძს და – „გულგარულისაც; სოციალურ ქსელებსა“ და რეალობაში ხილული ადამიანების მიერ ხშირ შემთხვევაში კლასიკური მუ-

სიკის შესრულების ფაქტმა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ მდარე ხელოვნებამ უმეტესწილად დაკარგა ამ დროს ზემოქმედების უნარი და ნაკლები ფასი ეძლეოდა მას, ვფიქრობთ, „კოვიდის ხანის“ დასაწყისში გამოჩნდა კარგად ის განსაკუთრებული ძალა, რომელიც კლასიკას აქვს, – კრიზისის დასაწყისში უმეტესობამ ინტუიტიურად მიმართა მაღალ სულიერებას და ცხადი გახდა ისიც, რომ აუცილებელია, საყოველთაო ზრუნვის საგანი იყოს იგი და **სახელმწიფო კი მოვალეა იზრუნოს მასზე**, – ეს, მით უმეტეს, **მცირერიცხოვან სახელმწიფოებს, მცირერიცხოვან ხალხებს ეხება**, – იმიტომ, რომ საბაზრო ეკონომიკა, მასკულტურისაგან განსხვავებით, ვერ ინახავს მაღალ კულტურას და დაკნინების საფრთხე ემუქრება მას.

ახლა რაც შეეხება ჩვენი მოხსენების მთავარ სათქმელს:

კოვიდის ხანის დასაწყისში ძირითადად აივნებიდან შესრულებულ მუსიკას **საერთო ნიშნები** ჰქონდა, რაც **მანერაზე, სტილზე** ისახებოდა: ამ ნაივურ შესრულებაში ხშირად მკაფიოდ იხატებოდა ერთმანეთის **მონატრების გრძნობა, უშუალო, ცოცხალი ურთიერთობებისა და გამხნეების სურვილი**, გამოკვეთილად იყო დამახასიათებელი ყველა ეს განცდა... რამდენადაც ინდივიდუალიზმის ნიშნებიც არ დაუკარგავს ამგვარ შესრულებას, ჩვენ არ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, – შეიძლება, თუ არა, რომ ფოლკლორული მიმდინარეობის აღმოცენებაზე ვისაუბროთ, მაგრამ **ფართოდ გავრცელებისა და საერთო ნიშნების არსებობის ფაქტი** გვაძლევს საფუძველს, ერთგვარი ახალი, სპონტანურად დაბადებული მიმდინარეობის შესახებ ვიმსჯელოთ, – ვფიქრობთ, პანდემიის დასაწყისში ჩვენს თვალწინ წარმოიშვა **ფოლკლორულთან მიახლოებული**, მაგრამ **ინდივიდუალიზმის ნიშნებით აღბეჭდილი ერთგვარი ახალი მიმდინარეობა**, დროის ძალზე მცირე მონაკვეთში **ერთგვარი ტრადიციის სახეც მიიღო** და ცოტა ხანს იარსება მან იმიტომ, რომ **ასეთი მიმდინარეობის სიცოცხლისუნარიანობას ყოფითი მიზეზი განაპირობებს და არა – თავად ხელოვნების რავგარობა** (თუ თავად ახალმა მუსიკალურმა მხარემ არ მიიზიდა მსმენელი, ჩვეულებრივ გარემოში ვერ იცოცხლებს ასეთი ხელოვნება), დროის მცირე პერიოდს გაუძლო, მაგრამ, ჩვენი აზრით, გამოვლინდა ერთგვარი მიმდინარეობის აღმოცენების ნიშნები და,

როცა პანდემიის ხანის ისტორია დაიწერება, არაა შეუძლებელი, ოდესმე მძიმე გარემოში აღმოცენებულმა „აივნურმა კულტურამაც“ დაიკავოს ამ ისტორიაში თავისი მცირე, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ადგილი.

ამრიგად, ვფიქრობთ, შეიძლება **დაისვას კითხვა**: – არის თუ არა შესაძლებელი, მივიჩნიოთ, რომ პანდემიის დროს წარმოიშვა **ერთგვარი მიმდინარეობა**, – ის, რამაც მხოლოდ დროებით იარსება და რასაც შეიძლება, **პირობითად „კოვიდის ხანის აივნური კულტურა“** ეწოდოს.

დამოწმებანი:

ონიანი 1959: ონიანი, შ. *ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია*. ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, № 7. თბილისი: 1959.

ონიანი 1960: ონიანი, შ. *ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია*. ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება № 8. თბილისი: 1960.

მეგლები 1964: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის მეგლები*, I, დასაბუჟდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: 1964.

მეგლები 1971: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის მეგლები*, III, დასაბუჟდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, გ. კვიციანიძემ და ც. ქურციკიძემ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.

Manana Kvataia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**On the Modern Artistic
and Allegorical Reflection of Catharsis**

Summary

In ancient Greek mysteries and religious holidays, catharsis meant the liberation of the body from any harmful matter, the soul – from vices. Since the end of the 19th century, catharsis has been used in psychology as a concept expressing the process of individual or group emotional release. A modern, original reflection of the concept is found in the allegorical novel “Blindness” (1995) by Jose Saramago, the Portuguese writer, Nobel-prize winner. In the “Blindness”, a city is struck by an inexplicable epidemic of unknown origin. Jose Saramago’s “Blindness” shows us the ruthless, brutal world of creatures that have lost their sight. These men (with the exception of one woman), along with the loss in sight, they also lose their spiritual vision. The symbolism of the novel explains the author’s intention: through liberation from vices, through catharsis, humans return to their original state, divine essence.

Key words: reflection of catharsis, Jose Saramago’s “Blindness,” The symbolism of the novel.

მანანა კვათაია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**კათარზისის თანამედროვე მხატვრულ-ალეგორიული
რეფლექსირებისათვის**

ძველ ბერძნულ მისტიკრიებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე კათარზისი სხეულის მავნე მატერიისაგან, სულის მანკიერებისაგან გათავისუფლებას გულისხმობდა. ტერმინი მოდის ბერძნული

სიტყვიდან „კათარზის“, რაც „განწმენდას“ ნიშნავს. დეფინიციით, ის არის რეპრესირებული ემოციების გამოხატვის პროცესი, რომელსაც შედეგად მოსდევს ფსიქოლოგიური დაძაბულობისა და მასთან დაკავშირებული სიმპტომების შემცირება. ჰერაკლიტე ცეცხლს, პითაგორელები მუსიკას სულის განწმენდის საშუალებად მიიჩნევდნენ. პლატონი და არისტოტელე კათარზისის ცნების ქვეშ მოიაზრებდნენ ვნებათა გადაღახვას ხელოვნების მეშვეობით, მათი გამოხატვის შედეგად. არისტოტელეს მიხედვით, ტრაგედია მაყურებლის თანაგანცდასა და შიშს იწვევს და, ამგვარად, წმენდს მის სულს, აღზრდის და ამაღლებს მას. ანტიკურ ფილოსოფიასა და ესთეტიკაში კათარზისი აფექტებისაგან სულის განწმენდას უკავშირდება.

მე-19 საუკუნის ბოლოდან კათარზისის ფსიქოლოგიაში იყენებენ, როგორც ინდივიდუალური ან ჯგუფური ემოციური განტვირთვის პროცესის გამოხატველ ცნებას. მისი, როგორც თერაპიის საშუალების, ფორმალური გამოყენება ზიგმუნდ ფროიდისა და ვენელი ექიმის, იოსებ ბრეიერის სახელს უკავშირდება. ისტერიის ფსიქოლოგიური მიზეზებისა და თერაპიის მეთოდების ერთობლივი კვლევის ეს მეთოდი ეფუძნებოდა დავიწყებული, განდევნილი ემოციების, განცდების ჰიპნოტურ მდგომარეობაში გახსენებასა და აღდგენას. ფროიდისა და ბრეიერის კვლევის შედეგები გამოქვეყნდა მათ ერთობლივ წიგნში „ისტერიის კვლევა“ (1895). ავტორთა დასკვნით, პაციენტთა ისტერიული სიმპტომები განპირობებულია ცხოვრებისეული შთამბეჭდავი, მაგრამ დავიწყებული მოვლენებით – ტრავმებით. ფროიდის მოსწავლე, ვენელი ფსიქიატრი ვილჰელმ რაიხი ემოციური კათარზისის პარადიგმით დაინტერესდა და ის მისი თეორიის ცენტრალური ნაწილი გახდა. რაიხი ფსიქოთერაპიაში თანამედროვე კათარზისული მეთოდის შემომღებად ითვლება. ემოციური კათარზისი გარკვეულ რესტავრაციას ან განახლებას იწვევს. კათარზისის განიცდიან ტრავმული ან სტრესული მოვლენის შემდეგ და ის პიროვნების ცხოვრების პოზიტიურ ცვლილებას ასახავს.

თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში კათარზისის კონცეპტის მხატვრული რეფლექსირების თვალსაზრისით გამორჩეულია დისტოპიური რომანი „სიბრმავე“ (1995), რომლის ავტორია პორ-

ტუგალიელი მწერალი-ნობელიანტი ჟოზე სარამაგუ (ჟოზე დე სუზა სარამაგუ. 1922-2010). ამ რომანში ავტორი „თეთრი დაავადების“ ეპიდემიას აღწერს, რომელმაც უსახელო ქალაქი მოიცვა. მისი სიმპტომები ამგვარია: თვალეზზე თეთრი აფსკის (ბისტის) გაჩენა, გარესამყაროს საგნებსა და მოვლენებს რომ ფარავს. გადამდები დაავადება მოულოდნელად იწყება და სწრაფად ვრცელდება. დროთა განმავლობაში მხედველობის უნარს რომანის ყველა პერსონაჟი კარგავს (ექიმი-ოკულისტის ცოლის გამოკლებით). დაბრმავებულ ადამიანებს ხელისუფლება ქალაქგარეთ, მიტოვებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებს და ჯარს მიუჩენს. დაავადების პირველი უსინათლო მსხვერპლი ჰყვება, რომ თვალეზზე ლიბრი გადაეკრა, თითქოს რძის ზღვაში ჩაიძირა. ის გაოცებულია, დაბრმავებისას სხვები სიბნელეში იძირებიან, მე კი სითეთრეს ვხედავო.

„სიბრმავე“ ალეგორიული რომანი-იგავია, რასაც ხაზს უსვამს ნაწარმოებში სახელებისა და დასახელებათა არარსებობა. ტექსტი ხშირად უხეში, ფიზიოლოგიური აღწერებითაა დატვირთული. ნაწარმოებში ავტორის სარკაზმი აშკარად ჩანს.

სარამაგუს პროვიდენციურ რომანს დღევანდელი მკითხველისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს. მრავალი საუკუნეა, ეპიდემიებისა და პანდემიების ჟამს ადამიანები მოულოდნელი განსაცდელისაგან გამოსავალს ეძებენ. შემოქმედნი, ანტიკურობიდან დაწყებული, პანდემიის თემას აშუქებენ და, ამავე დროს, მათთვის ეს არის საშუალება, „დიდ თემებზე“ რომ იმსჯელონ. სარამაგუს „სიბრმავე“ უეცრად დაბრმავებულ, დაუნდობელ არსებათა სამყაროს წარმოადგენს. ამ ადამიანებს (ერთი ქალის გამოკლებით) ფიზიკურთან ერთად სულიერი მზერაც წართმეული აქვთ. ალეგორიული რომანის სიმბოლიკა ხსნის ავტორის ინტენციას: მანკიერებებისაგან გათავისუფლების, კათარზისის გზით ადამიანები პირველქმნილ, ღვთაებრივ არსს დაუბრუნდებიან. რომანის ავტორი ადამიანებს შეახსენებს, რომ კაცობრიობას ეპიდემიებზე მეტად გულგრილობა ანადგურებს. ამგვარი საზოგადოება დასაღუპადაა განწირული.

ადიარებულ პორტუგალიელ მწერალს მაგიური რეალიზმის წარმომადგენლად მიიჩნევენ. ამასთან, კრიტიკოსები მიუთითებ-

ბენ, რომ მისი პროზის ლაიტმოტივი კაცობრიობის თანასწორობისა და ჰუმანიზმის იდეა გახლავთ. ტექნიკურ საშუალებებზე დამოკიდებული გლობალიზაციის ეპოქის ადამიანი ბუნებასთან, ირგვლივ მყოფ ადამიანებთან კავშირს წყვეტს და თანდათან მორალურ თუ სულიერ სიბრძავეში იძირება.

სარამაგუ რთული, წინააღმდეგობრივი მსოფლმხედველობით გამოირჩევა. 1969 წლიდან ის პორტუგალიის კომუნისტური პარტიის წევრი იყო, საკუთარ თავს ათეისტსა და პესიმისტს უწოდებდა. პორტუგალიის საზოგადოებაში მას ხშირად აკრიტიკებდნენ, განსაკუთრებით, „იესოს სახარების“ (1991) გამოქვეყნების შემდეგ.

მწერალი გასული საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალ ავტორად ითვლება. ის თვითნასწავლი გახლდათ, ღარიბ ოჯახში დაიბადა და საშუალო განათლებაც ვერ მიიღო, ტექნიკუმი დაამთავრა და შრომით საქმიანობას ეწეოდა. ევროპაში სარამაგუს აღიარება მოუტანა რომანმა „მოგონებები მონასტერზე“ (1982), რომელმაც ვატიკანი დიდად აღაშფოთა, მაგრამ, ამავე დროს, ავტორმა მიიღო ნობელის პრემია შემდეგი ფორმულირებით: „ის იყენებს იგავებს, გამყარებულს წარმოსახვით, თანაგანცდითა და ირონიით და საშუალებას იძლევა, გავიგოთ ილუზორული რეალობა“. ვატიკანთან მწერლის დაპირისპირება „იესოს სახარებამ“ გააღრმავა. სარამაგუ იძულებული გახდა, საცხოვრებლად ესპანეთში გადასულიყო. ეს წიგნი 25 ენაზე ითარგმნა, ვატიკანმა ის ასე შეაფასა: „ღვთის დამემობი წიგნი, რომელიც ისტორიულ სიმართლეს დასცინის“.

ჟოზე სარამაგუ, როგორც ორიგინალური ავტორი, მოგვიანებით აღიარეს. მას უთქვამს: „პლანეტა მარსამდე უფრო იოლად მიაღწევ, ვიდრე ჩვენს თანამედროვეთა გულებს შეძრავ“. სარამაგუს ბორხესს, კორტასარს, მარკესს ადარებენ, თუმცა, როგორც მიუთითებენ, თვითონ მწერალს სერვანტესი და გოგოლი ადაფრთოვანებდა. კრიტიკოსი ჰაროლდ ბლუმი შემოქმედს „პორტუგალიელ გენიოსს“, „ახალ შექსპირს“ უწოდებდა და წერდა: „სარამაგუს გენია უჩვეულოდ მრავალმხრივი იყო“.

ნობელიანტი მწერლის რომანებში ხშირად წარმოუდგენელი ისტორიული სიტუაციებია აღწერილი. რომანისტის სტილი გამორჩეულია: ძალზე გრძელი წინადადებები, სასვენი ნიშნების

თავისუფალი გამოყენება და ა.შ. მის ტექსტებში „ცნობიერების ნაკადის“ გამოძახილს ხედავენ. ასევე, მისი სტილის თავისებურებად „ალტერნატიული რეალობის შექმნის“ მცდელობა მიიჩნევა.

„სიბრმავის“ მთავარი გმირები გახლავთ ხუთი დაბრმავებული ადამიანი და ერთი ქალი, რომელიც ხედავს (ექიმის ცოლი). სწორედ ამ ქალმა მოახერხა, ადამიანების მცირე ჯგუფი განსაცდელი საგან ეხსნა. ბოლოს ყველა დაბრმავებულს მხედველობა ერთბაშად დაუბრუნდა: მათ თვალი ჯერ სულიერად აეხილათ – მაშინ, როდესაც მდგომარეობის საშინელება გაიაზრეს და ერთმანეთის ფასი გაიგეს, თანაც ისე, რომ არც უფიქრიათ, გარეგნულად როგორ გამოიყურებოდნენ. კარანტინის ჯოჯოხეთის გადატანის შემდეგ გმირები დარწმუნდნენ, რომ სიბრმავეზე უფრო დიდი უბედურება თვალის ახელა შეიძლება იყოს, რადგან უმაღლვე წარმოიქმნება მწვავე აუცილებლობა ცხოვრების შეჩვეული წესის შეცვლისა.

რომანის გაგრძელება, სახელწოდებით „თვალის ახელა“, სარამაგუს რვა წლის შემდეგ დაუწერია. ნაწარმოებში იგივე პერსონაჟები გვხვდებიან. ქალაქელები არჩევნებზე უხალისოდ მიდიან, რადგან ახსოვთ, რომ ეპიდემიის ჟამს ხელისუფლებამ ისინი ბედის ანაბარად მიატოვა. მათი უმეტესობა ბიულეტენს შეუუსებელს ტოვებს. მთავრობა პანიკაშია და დამნაშავეთა დასჯას კანონიერი მეთოდებით ცდილობს. ჟოზე სარამაგუ ორივე წიგნში მწვავედ აკრიტიკებს არსებულ სისტემას, რადგან, მისი სიტყვით, „ბიუროკრატია ყოველთვის ბრმაა“.

პორტუგალიურად სარამაგუს ამ წიგნების სათაურები ყოფილა: „ესე სიბრმავეზე“, „ესე თვალის ახელაზე“. მკვლევართა შეხედულებით, სათაურის თარგმნისას დაკარგული ეს სიტყვა ხსნის როგორც სტილს, ისე იმ თავისუფლებას, რომელიც ახასიათებს გადმოცემის მსგავს ფორმას. რომანების გმირებს სახელები არა აქვთ, ისინი პიროვნებიც კი არ არიან, არამედ – მოქმედების ინსტრუმენტები, რომლებიც საჭირო სახეს ქმნიან, რათა ჩვენს გონებაში იდეა მოამწიფონ.

ავტორი რომანს ახლობელ ადამიანებს – ჰილარისა და საკუთარ ქალიშვილს, ვიოლანტას – უძღვნის. „სიბრმავეს“ ეპიგრაფად აქვს შეგონებათა წიგნის ფრაზა: „ვისაც თვალი აქვს, იხილოს, და ვინც იხილავს, შეიცნოს“.

რომანის დასაწყისი დრამატული კოლიზიებით გამოირჩევა. „ზებრაზე“ მწვანე შუქნიშანი ანთია, უამრავი ავტომობილი წითელი შუქის მოლოდინში გზაჯვარედინთან შეჯგუფებულია. მწერალი დეტალურად აღწერს, როგორ აინთება მწვანე შუქი, ერთბაშად დაიძრებიან მანქანები, თუმცა შუა ნაკადში ერთი ავტომობილი უძრავად დგას. ტროტუარზე გროვდება ხალხი, ხელებს იქნევენ, ასიგნალებენ, მაგრამ ამაოდ. აღმოჩნდა, რომ მანქანის მძღოლი დაბრმავდა. კაცს გარეგნულად არაფერი ეტყობა: „ორივე თვალი მთელი და უვნებელი აქვს, გუგები – ბრჭყვიალა, სკლერა – ქათქათა, ფაიფურივით“. შეგროვილი ხალხი თანაგრძნობით იმსჭვალემა. უსინათლო მამაკაცი სახლში წაყვანას ითხოვს, თვალეზზე ლიბრი გადაკვრია, „თითქოს რძის ზღვაში ჩავიძირეო“, – ეუბნება ირგვლივ მყოფებს. „მამ, ეს სიბრმავე არ არის.. რომ ბრმავდებიან, როგორც ამბობენ, სიბნელეს ხედავენ“ (სარამაგუ 2019: 3), – პასუხობს მას მძღოლი.

სიბრმავე – გამოუცნობი დაავადება – დაავადებულებთან კონტაქტში მყოფ სხვა ადამიანებსაც სწრაფად გადაედებათ. სარამაგუს შენიშვნით, „ეპიდემიის დროს ბრალი არავის მიუძღვის, ყველა მსხვერპლია“ (სარამაგუ 2019: 47). სახლში მიყვანილი პირველი უსინათლო მისთვის უჩვეულო გარემოში აღმოჩნდება: „ყველაფერს სრული სითეთრე ფარავდა. იცოდა, რომ შინ იყო, თავის ბინასაც გრძნობდა სუნით.. მაშინ იმასაც კი ფიქრობდა, რომ სინათლე, რომელშიც ბრმები ცხოვრობენ, სხვა არაფერია, თუ არა სინათლის არარსებობა... ახლა კი, პირიქით, ამ დამაბრმავებელ და ყოვლისმომცველ სითეთრეში ჩაძირული, გრძნობდა, რომ ეს სითეთრე კი არ ფარავს, არამედ შთანთქავს არა მხოლოდ ფერებს, არამედ თვით საგნებსაც, ისევე, როგორც ადამიანებს, რომლებსაც ღრმად უხილავს ხდის“ (სარამაგუ 2019: 5).

ახალი დაავადების სიმპტომები გაუგებარია ექიმი-ოკულისტისათვის, თუმცა პაციენტის გულმოდგინე გასინჯვის შემდეგ ის დაასკვნის, რომ პირველ დაბრმავებულს თვალეზზე არანაირი პათოლოგია არ აღენიშნება. უჭირთ დაავადებულის დიაგნოზის დასმა, მსჯელობენ: ცერებრალური ამავროზი ხომ არ არისო. ექიმის აზრით, ეს ამავროზის საპირისპირო მოვლენა უფროა: იქ სრული უკუნეთი სუფევს, აქ კი სრული სითეთრე, ან იქნებ

– თეთრი ამავროზიც არსებობსო. თვალის სხვა პათოლოგია – ანოზიაც გამორიცხეს: ამ შემთხვევაში პაციენტი ყველაფერს ისევე დაინახავდა, როგორც ადრე. ოკულისტი, ისევე, როგორც უსინათლოსთან რამდენიმე კონტაქტირებული ადამიანი, ასევე მოულოდნელად დაბრმავდება. ერთადერთი, ვისაც უცნობი დაავადება არ ეკარება, ექიმის ცოლია, რომელიც სიბრმავეს მოიგონებს, ქმრის გვერდით რომ იყოს და მას გასაჭირში გვერდით დაუდგეს.

ავტორის ინტენციის ასახსნელად კონცეპტუალურია რომანის ის მონაკვეთი, სადაც მწერალი მრავალი ადამიანისაგან უკუგდებულ სინდისის კატეგორიაზე მსჯელობს. „სინდისის ცნება, ამდენი უგნური რომ არ იმჩნევს და, უფრო მეტიც კი, საერთოდ უარყოფს, მაინც არსებობს და მუდამ არსებობდა.. დროთა განმავლობაში, თანაცხოვრების გამოცდილებასა და გენეტიკური გაცვლის ნაყოფს რომ ვეზიარეთ, ბოლოს და ბოლოს, სინდისი მოვათავსეთ სისხლის შემადგენლობაში, ჩვენს ცრემლებში და, უფრო მეტიც, თვალები სარკედ ვაქციეთ, შიგნით შებრუნებულ სარკედ, ასე მოურიდებლად რომ უარყოფს იმას, რის დამტკიცებასაც ამაოდ ცდილობს ზაგე“ (სარამაგუ 2019: 17).

შიგნით შებრუნებული სინდისის სარკეში რეალობაც გამრუდებულად ირეკლება, რაც მრავალ მანკიერებას უდებს სათავეს და ზეციური სასჯელიც არ აყოვნებს. რომანის მიხედვით, წამიერი და მოულოდნელია მსჯავრი პირველი უსინათლოს მანქანის ქურდისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ სიბრმავე გრიპის მსგავსი დაავადება არ არის და არ გადაედება, მაგრამ ოცდაათი ნაბიჯიც არ აქვს გადადგმული, რომ უეცრად ბრმავდება.

მწერლის პოზიცია იკვეთება რომანის დასასრულს. ექიმი-ოკულისტი, რომელსაც ბოლოს, ისევე, როგორც სხვებს, თვალი აეხილება, ამბობს: „მაინც რატომ დავბრმავდით, არ ვიცი, მაგრამ იქნებ ოდესმე გავიგოთ მიზეზი.. მგონი, კი არ დავბრმავდით, არამედ ბრმები ვიყავით და ახლაც ბრმები ვართ, ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ“ (სარამაგუ 2019: 334).

„სიბრმავის“ ერთ ეპიზოდში ოკულისტთან რიგში მდგომ შავსახვევიან კეთილ მოხუცს, კატარაქტას მოშორება რომ სურდა, პირველი უსინათლო შეებრალება, თუმცა მალე მოხუციც მხედ-

ველობას კარგავს. ბრმაველება რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, შავსათვალიანი ქალიშვილი, რომელსაც მხოლოდ კონიუნქტივიტი სჭირს. მედიცინაში მეტ-ნაკლებად ერკვევა ექიმის ცოლი, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ სიბრმავე გადამდები დაავადება არ არის, თუმცა, როგორც ითქვა, მცირე ხნის შემდეგ რომანის ხსენებული პერსონაჟებიც იმავე გამოუცნობი დაავადებით ავადდებიან.

ოკულისტის ცოლი, რომელიც მხედველობას ინარჩუნებს, აცხადებს, რომ ვალდებულნი არიან, სიბრმავის ეპიდემიის თაობაზე ხელისუფალთ, უპირველესად კი ჯანდაცვის სამინისტროს შეატყობინონ, რათა ამ არნახული ეპიდემიის ლოკალიზებისათვის გადაუდებელ ზომებს მიმართონ. მინისტრი ოკულისტს მადლობას უხდის „პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის“, რითაც ხელისუფლებას საშუალება მიეცა, სიტუაცია სათანადოდ გაეკონტროლებინა. კლინიკის დირექტორთან მოყვანილი ბიჭუნაც დაბრმავდა: ის ასევე მხოლოდ სითეთრეს ხედავს.

რაც მთავარია, გაურკვეველი დარჩა დაავადების მიზეზი, ანუ ეტიოლოგია თეთრი სენისა, რომელსაც არაკეთილხმოვანი სიბრმავე უწოდეს და, რამდენადაც ახალი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ვაქცინა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, გადაწყვიტეს, ყველა დაბრმავებული და მათთან კონტაქტირებული ყველა პირი კარანტინში, ერთ ადგილას მოექციათ, რათა ინფექციის გავრცელება და მსხვერპლთა რაოდენობის გაზრდა თავიდან აეცილებინათ.

მწერლის შენიშვნით, ეპიდემიებისადმი მსგავსი მიდგომა დასაბამს იმ დროიდან იღებს, როდესაც უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ხომალდებს, სხვადასხვა დაავადება რომ ჩამოჰქონდათ, ნავსადგურში არ უშვებდნენ და ორმოციოდე დღე ზღვაში რეიდზე ტოვებდნენ, რათა ენახათ, მერე რა იქნებოდა.

მინისტრის მოსაზრებით, კარანტინი შეიძლებოდა არა მხოლოდ ორმოცი დღე, არამედ ორმოცი კვირა, ან ორმოცი წელიც გაგრძელებულიყო. ხელისუფლება მსჯელობს, როგორ შეარჩიოს საკარანტინე სივრცე: იქნება ეს პროფილის შესაცვლელად გამზადებული ფსიქიატრიული საავადმყოფოს ცარიელი შენობა, სამრეწველო ბაზრობების პავილიონები, თუ სალიკვიდაციო ჰიპერმარკეტი, ყაზარმები და ა.შ. უპირატესობა პირველ მათგანს

– ფსიქიატრიული საავადმყოფოს ცარიელ შენობას – მიანიჭეს, რადგან მას მთელი პერიმეტრზე მასიური გალავანი და მოძველებული, თუმცა, მათი აზრით, გამოსაყენებელი ინფრასტრუქტურა ჰქონდა. აქ პირქუშ შენობაში მოთავსებულ დაავადებულებს ჭიმკართან პატრულიც დაუყენეს.

რომანში ავტორი ერთადერთი თვალხილულის – ოკულისტის ცოლის – მიერ დანახულ ფსიქიატრიული საავადმყოფოს აუტანელ გარემოს ხატავს. იქვე, კარზე მიმაგრებული დინამიკი იზოლირებულებს სამთავრობო ინსტრუქციებს ზედმიწევნით აცნობს. ექიმის დასკვნით, ამ განკარგულებათა მკაცრი შინაარსი მოწმობს, რომ კარანტინში გამოკეტილი დაავადებულები ცოცხლად ამოქოლეს. უმკაცრეს გარემოში მოხვედრილი ადამიანები ავადმყოფობას ერთმანეთს აბრალებენ.

თავდაპირველად მიტოვებული ფსიქიატრიული საავადმყოფოს კარანტინში სამი მამაკაცი და სამი ქალი აღმოჩნდა, თუმცა საჭმელი (რძე და ორცხობილა) მხოლოდ ხუთ კაცზე იყო გათვლილი, ჭიქების, თეფშებისა და კოვზების გარეშე. იზოლირებულ დაბრმავებულებს უჭირთ სადილის დარიგება, პირადი ჰიგიენის დაცვა, მიცვალებულებს ვერ მარხავენ, საავადმყოფოს ზღურბლთან კი ჯარისკაცები მორიგეობენ. მათი ავტომატების ჯერი ავადმყოფებში ნამდვილ პანიკას იწვევს. ექიმის თვალხილული ცოლი, დაბრმავებულებს ხშირად მხსნელ ანგელოზად რომ ევლინება, ორგანიზებული ქმედების აუცილებლობაზე საუბრობს.

მალე ეპიდემიის მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება: კარანტინში გამოკეტილ უსინათლოთა რიცხვი 240-მდე ადის, რაც ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბედკრულ ბინადართა მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავს. ერთადერთი ნათელი წერტილი მათთვის მოხუცის რადიომიმღებია, რომლითაც წვალებით, ფრაგმენტულად იტყობენ გარესამყაროს სიახლეებს, მათ შორის, ეპიდემიის მასშტაბების თანდათან გაფართოებას. რადიოს ინფორმაციით, ავარია შემთხვევია ცარიელ ავტობუსს, რადგან მისი მძღოლი უცერად დაბრმავებულა; ლაინერი ავიაკატასტროფაში მოყოლილა ხომალდის მეთაურის დაბრმავების გამო და ა.შ. რადიო იტყობინება, რომ ეპიდემია ელვის სისწრაფით ვრცელდება.

რომანში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დატრიალებული მიკროაპოკალიფსის სასტიკი სცენებია წარმოდგენილი. ჩნდება ხანძარი, არ ინდობენ, უკიდურესობამდე ამცირებენ ერთმანეთს ადამიანები, ისპობა, ფეხქვეშ ითელება ყოველგვარი ადამიანური ღირებულება, პერსონაჟებს არა აქვთ სახელები, გვარები, იდენტობა.

ტოტალური სისასტიკის ფონზე სიმპტომურია ექიმის ცოლის სიტყვები: „გაიხსენეთ, რა დღეში ვიყავით მას მერე, რაც საგიჟეთში გამოგვამწყვდიეს, დამცირების ყველა საფეხური გამოვიარეთ, ფსკერზე დავეშვით, რომლის მერე აღარც არაფერია, და სიმდაბლის ზღვარს მივადღიეთ... ახლა ყველა თანასწორნი ვართ სიკეთისა და ბოროტების წინაშე“ (სარამაგუ 2019: 279).

გამორჩეულად ტრაგიკულია უმწეო ბრმათა შორის თვალხილულად დარჩენილი ექიმის ცოლის ხვედრი, რასაც მოწმობს მისი სიტყვები: „თქვენ ხომ არ იცით და არც შეიძლება იცოდეთ, რას ნიშნავს, უსინათლოთა სამყაროში ბრმა იყო, დედოფალი კი არა ვარ, მხოლოდ ის ვარ, ვინც იმისთვის გაჩნდა, რომ ნახა ყოფიერების მთელი საშინელება, თქვენ გრძნობთ ამას, მე კი ვხედავ კიდეც“ (სარამაგუ 2019: 279).

შავსათვალისანი ქალიშვილის შენიშვნაზე – „მხოლოდ შენი თვლების წყალობით ვართ ცოცხლები“ – ექიმის ცოლი პასუხობს: „სამყარო სავსეა ცოცხალი უსინათლოებით“. ამ გამორჩეული ქალბატონის რწმენით, უკვდავი არავინაა, მაგრამ „არც სულ უსინათლოები უნდა ვიყოთ“. ექიმის ცოლისათვის თავად სიცოცხლეა დღესასწაული: „ახლა ერთადერთი სასწაულის მოხდენა შეგვიძლია და ეს სასწაულია ის, რომ ვიცოცხლოთ.. დღიდან დღემდე ფრთხილად ვატაროთ ეს ნაზი ქალბატონი სიცოცხლე, ვითომ უსინათლოა და არ იცის, საით წავიდეს, ან იქნებ ასეცაა, იქნებ მართლა უსინათლოა და ჩვენ მოგვენდო მას მერე, რაც გონება მოგვცა“ (სარამაგუ 2019: 301). მრავლისმთქმელია კარანტინის ჯოჯოხეთგამოვლილი შავსათვალისანი ქალიშვილის მაქსიმა: „სრული ჭეშმარიტებაა, რომ უსინათლოზე უარესია ის, ვისაც არ უნდა, რომ ხედავდეს“.

ნაწარმოებში კონცეპტუალური დატვირთვა ენიჭება ეკლესიის სცენას. ექიმი და მისი მეუღლე სულიერ სიბრძნევსთან დაკავშირებით თავიანთ პოზიციას გამოხატავენ. ქალი შენიშნავს,

რომ ეკლესიაში ყველა გამოსახულებას თვალები აქვს ახვეული: „იქნებ რომელიმე მორწმუნემ რწმენა დაკარგა, როცა გაიგო, რომ სხვებივით დაბრმავდებოდა, ან იქნებ აქაურმა წინამძღვარმა გადაწყვიტა, რაკი უსინდისო მრევლი ჯერ ვერ ხედავს წმინდანებს, სამართლიანობა მოითხოვს, რომ წმინდანებმაც ვერ დაინახონ უსინათლო მლოცველები, მაგრამ გამოსახულებები ისედაც ვერ ხედავენ“. ამაზე ექიმი მეუღლეს პასუხობს: „ცდები, ისინი ხედავენ იმათი თვალებით, ვინც მათ შესცქერის, და მხოლოდ ახლა დაბრმავდა ყველა“ (სარამაგუ 2019: 310).

რომანში ავტორი დროის კონცეპტს ორიგინალურად გაიაზრებს: „წინასწარ ვერასდროს მიხვდები, ვინ რისი გამკეთებელია, უნდა აცალო, დროს დრო მისცე, დრო ყველაფერს განაგებს, ჩვენს წინააღმდეგ თამაშობს და ყველა კოზირი მის ხელშია“ (სარამაგუ 2019: 324). დრო დავადებულთა სიბრმავის მკურნალიც გამოდგება. ერთად გადატანილი უბედურების, ზნეობრივი კათარზისის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დგება. რომანის მიხედვით, თავდაპირველად თვალი პირველ უსინათლოს აეხილა, რომელიც ფხიზლობს, პირველი სწორედ ის დაინახავს, თვალებს აახელს და ჯერ ცოლს, შემდეგ ყველა დაბრმავებულს შემოილივით გადაეხვევა. მეორე, ვისაც მხედველობა დაუბრუნდება, შავსათვალისანი ქალიშვილია. მას „მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს, თითქოს მხედველობა სადღაც შიგნით კი არ უნდა აღდგენილიყო, არამედ გარედან უნდა შესულიყო თვალებში. უცებ თქვა, მგონი, ვხედავო“ (სარამაგუ 2019: 331).

უკვე გამთენიისას თვალი ექიმს აეხილა და ცხადი გახდა, რომ მხედველობა ყველას დაუბრუნდებოდა და ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო. მწერლის თქმით, „ეს დღესასწაული ქალაქში მზის ამოსვლას ჰგავდა“. გამოჯანსაღებული ადამიანები სუფრასაც საზეიმოს შლიან, რომელსაც „სიხარული ამშვენებდა და არავინ წუწუნებდა და, ისინიც კი, ვინც ჯერ კიდევ უსინათლო იყო, იცინოდა, თითქოს უკვე ახელილი თვალები მისი ყოფილიყო“.

რომანის ბოლოს პარადოქსული მომენტი დგება, მას შემდეგ, რაც ყველა დაბრმავებულს თვალი აეხილა, ექიმის ცოლის ჯერაც დადგა. ახლა ის ჩაიძირა თვალისმომჭრელ რძისფერ სინათლეში. მან „ზეცას ახედა და სრული სითეთრე დაინახა.. შიშმა თვალები

ძირს დაახრევინა. ქვემოთ კი ქალაქი ისეთივე დარჩა, როგორც იყო“ (სარამაგუ 2019: 334).

სიმბოლოლოგთა განმარტებით, თეთრი – სინათლის აბსოლუტური ფერი, უმანკოების, ჭეშმარიტი მსხვერპლის უბიწოებისა და ღვთაებრიობის სიმბოლოა. ის ზეგარდმო სიბრძნის ფერია, შავისაგან განსხვავებით, რომლის სიმბოლიკა ძირითადად სიკვდილს, სიბნელეს, ბოროტებას, მწუხარებას უკავშირდება. სულხან-საბას თქმით, „ბნელი უხედველი გარემოა, არა სახელდებული“. რმეს აღორძინების, სიცოცხლისა და უკვდავების სიმბოლოდ გაიაზრებენ. ინდური „ვედების“ მიხედვით, ყოველივე არსებული სამყაროში ღმერთებმა „პირველადი რძისაგან“ შექმნეს. ვფიქრობთ, ფერების სიმბოლიკის გააზრება ჟოზე სარამაგუს რომანის მთავარ სათქმელს ხსნის: მოვლენილი კოსმიური განსაცდელის დამღევის, მანკიერებებისაგან გათავისუფლების, კათარზისის გზით ადამიანები პირველქმნილ, ღვთაებრივ არსს დაუბრუნდებიან.

დამოწმებანი:

სარამაგუ 2019: სარამაგუ ჟ. *სიბრმავე* (თარგმნა ნ. ვაშალომიძემ). ბათუმი: 2019.

Lili Metreveli

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Blindness – An Epidemic in the Text (According to Jose Saramago’s „Blindness“)

Summary

„Blindness“ is a dystopian novel by the famous Portuguese Nobel Prize-winning writer Jose Saramago. In the text, like other post-apocalyptic texts, an indefinite chronotope is conditional on the time and place of the development of the action.

In the novel, the future of the world is suddenly changed by an unusual pandemic, people go blind without any pre-existing symptoms, the

authorities start isolating the contact persons and placing them in quarantine spaces. With biblical allusions, symbols and archetypal models, the author tries to present the faces of the characters as well as the author's intention and the main idea of the text.

Key Words: Blindness, An epidemic.

ლილი მეტრეველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიბრმავე – ეპიდემია ტექსტში (ჟოზე სარამაგუს „სიბრმავის“ მიხედვით)

„სიბრმავე“ ცნობილი პორტუგალიელი ნობელიანტი მწერლის ჟოზე სარამაგუს რომანია. ის 1997 წელს გამოქვეყნდა და New York Times-ის ბესტსელერთა სიაში მაშინვე მოხვდა. 2008 წელს ფერნანდო მერიელისმა გადაიღო ამავე სახელწოდების ფილმი. საინტერესოა, რომ ჟოზე სარამაგუს თავდაპირველად არ სურდა ეკრანიზაციაზე უფლებების გაცემა, თუმცა პროდიუსერებმა დაარწმუნეს, რომ ფილმში არ იქნებოდა დაკონკრეტებული ქვეყანა და ქალაქი.

მკვლევრები სარამაგუს რომანის ჟანრის განსაზღვრისას განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ, ნაწილი მას ფრანც კაფკას ალეგორიულ/მეტაფორულ ტექსტებს ადარებს, ზოგიერთი გაბრიელ გარსია მარკესის მაგიურ-რეალიზმთან აკავშირებს, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი პერსპექტივიდან კი სარამაგუს „სიბრმავე“, შესაძლოა, დისტოპიურ, პოსტ-აპოკალიპტურ ნარატივების რიგებშიც მივაკუთვნოთ.

რომანში სამყაროს მომავალს მოულოდნელად თავს დამტყდარი უჩვეულო ეპიდემია ცვლის, ადამიანები ყოველგვარი წინასწარი სიმპტომების გარეშე ბრმავდებიან, ხელისუფალნი კონტაქტში მყოფი პირების იზოლირებასა და მათ საკარანტინე სივრცეებში განთავსებას იწყებენ. რჩება ერთადერთი თვალხილული – ექიმის

ცოლი – რომლის თვალითაც ვხედავთ არსებული რეალობის დეკონსტრუირებისა და ახალი, სასტიკი უსინათლოების სამყაროს, ფორმირების პროცესს, საზოგადოების კატაკლიზმურ დაკნინებას, დემორალიზებული, დეჰუმანიზებული ბრბოს ინსტინქტურ მოქმედებას, გარემოს განადგურებას.

მნიშვნელოვანი აქცენტია, რომ ტექსტში განუსაზღვრელი ქრონოტოპია, პირობითია მოქმედების განვითარების დრო და ადგილი. არ ვიცით პერსონაჟთა სახელები, ჩვენ მათ მხოლოდ აღწერით ვიცნობთ: ექიმი, ექიმის ცოლი, გოგონა შავი სათვალთ, ჭორფლიანი ბიჭი, მოხუცი მამაკაცი თვალში შავი ლაქით, ძალი ცრემლებით. უსახელო პერსონაჟთა შორის ერთ-ერთი ირონიულად შენიშნავს: „ბრმებს სახელები არ სჭირდებათ“.

საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მწერლის კრეიგ ნოვას დაკვირვება დაბრამაჟების მომენტში სარამაგუს ტექსტის პერსონაჟთა პარადოქსული ემოციური გულგრილობის (ნეიტრალური ემოციების) შესახებ: „ავტორი იგნორირებას ახდენს პერსონაჟთა ემოციების, უჩვეულო მდგომარეობა განიხილება, როგორც ბუნებრივი... ესაა სიცილით მოთხრობილი მე-20 საუკუნის კომმარი და ის მახსენებს ფრანკ კაფკას, რომელიც სიცილით ღრიალებდა მეგობრებისთვის საკუთარი ამბების მოთხრობისას“ (ნოვა 1998: Do2 <https://www.washingtonpost.com/wp-srv/style/books/reviews/blindness1009.htm>).

რომანი საავტომობილო გზაზე მოძრავი, შუქნიშანზე მწვანე შუქის მომლოდინე მძღოლის დაბრამაჟებით იწყება, დაბრმავებულ მძღოლს გამვლელი სახლში უსაფრთხოდ მიყვანაში ეხმარება და მანქანას პარავს. მომდევნო დღეს პირველად დაბრმავებული კაცის ცოლს ქმარი ექიმთან მიჰყავს უჩვეულო სიბრმავის გამო-საკვლევადა, რამდენიმე დღეში ბრმავდება როგორც პირველად დაბრმავებული კაცის ცოლი, ისე მანქანის ქურდი, ექიმი და ექიმის მომლოდინე ყველა პაციენტი. ქალაქში ადამიანები ბრმავებიან უმიზეზოდ, იწყება სიბრმავის ეპიდემია, ჯანდაცვის მოხელეები ქმნიან სპეციალურ საკარანტინე სივრცეს, რომელშიც ბრმებს იზოლირებულად ათავსებენ და შეიარაღებულ სამხედროებს მათ მეთვალყურეობას ავალებენ, კარანტინიდან თავის დაღწევის მსურველებს კი სიკვდილით სჯიან.

კარანტინი ადამიანთა არსებობის ახალ სოციალურ მოდელად ფორმდება. სიბრმავე გვევლინება როგორც ადამიანის პირადი უიღბლობის, დემორალიზების, ისე სოციალური კატასტროფის მეტაფორად. ტექსტში დახატულია ბნელი, შემზარავი სამყარო, კარანტინში არსებობა ქაოტურია, იწყება წამალსა და საკვებზე ვაჭრობა, იქმნებიან გავლენის ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ ვითარების კონტროლს იარაღით, ძალადობით, გაუპატიურებით. კარანტინში ცხოვრება სულ უფრო მეტად ემსგავსება თომას ჰობსისეულ ბრძოლას ძალაუფლების მოპოვებისა და გადარჩენისთვის, სამყაროს, რომელიც ბრმა ტერორით, ბრმა სიძულვილითა და ბრმა სიყვარულით იმართება. სიკეთე, სიყვარული და ჰუმანიზმი, როგორც ღირებულება, მნიშვნელობას კარგავს. ეთიკური და მორალური პრინციპების იგნორირება თვითგადარჩენის ერთადერთ პირობად იქცევა. საკარანტინე სივრცე მეტად ემსგავსება საკონცენტრაციო ბანაკს, სადაც შეიარაღებული ადამიანები სუსტების/დაზარალებულების სიკვდილს მარტივ გამოსავლად მიიჩნევენ. სიცოცხლის კოლაფსი – ახალი რეალობის საფუძველი ხდება.

ვითარებას მეტად დრამატულს ხდის აპოკალიპტური მომავლის განცდა: ცნობები სრულად დაბრმავებული სამყაროს შესახებ: კარანტინი ს ახალი ბინადრები ჰყვებიან ამბებს მოულოდნელი დაბრმავებით გამოწვეული ავტოკატასტროფების, თვითმფრინავების ავარიული ვარდნის შესახებ. სიბრმავე რომანში სრულ დესტრუქციას განაპირობებს. ეპიდემია ქვეყნის სოციო-პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ კულტურული რეალობის დეკონსტრუქციის მძლავრ ფაქტორად იქცევა და აყალიბებს ჩვეულებრივი სამყაროს ალტერნატიულ, დისტოპიურ რეალობას.

საინტერესოა, რომ ტექსტში კარანტინის რღვევას ორ დაბრმავებულ ბანდას შორის კომიკური ბრძოლა იწვევს, კარანტინიდან გამოსული ადამიანები მიტოვებულ ქალაქში ბრუნდებიან, დაბრმავებული მოქალაქეები დაუმარხავ მკვდრებს, განადგურებულ მანქანებს, გამარცვულ მაღაზიებს შორის დახეტიალობენ, ეძებენ საკუთარ სახლებს და ვერ პოულობენ, იკვებებიან ძაღლებით და ყორნებით, ბრმათა ქალაქში ყველა იკარგება. ტექსტში ჟოზე სარამაგუ გვიჩვენებს სოციალური ცხოვრების სრულ კრახს, კოლაფსს.

ახალი ქალაქი გადაქცეულია ქოტურ სივრცედ. დაბრუნება ქალაქში თითქოს გვაგზავნის ცივილიზაციამდე არსებულ პირველყოფილ საზოგადოებაში, თუმცა, ამ შემთხვევაში პოსტაპოკალიპტური სივრცე, შესაძლოა, გავიაზროთ როგორც თანამედროვე, გადაქანცული მეგაპოლისის მეტაფორა, ამოფრქვეული სამყაროს ალეგორია.

სასოწარკვეთილი ადამიანებისთვის გადარჩენის რწმენას აჩენს მოულოდნელი წვიმა. წყალი გვეველინება ხსნის სიმბოლოდ. როგორც ამერიკელი მკვლევარი ენდრიუ მილერი თავის გამოკვლევაში „ნულოვანი ხედვა“ აღნიშნავს:

„[რომანში] ძლიერი წვიმის შედეგად ადამიანები საკუთარ თავსაც წმენდენ და სხვებსაც, რაც გადარჩენის შესაძლებლობას ტოვებს, ეს იყო მწერლის მცდელობა თავი აერიდებინა საბოლოო სიბრმავისთვის, ბნელი სიბრმავისთვის (Dark blindness), როცა სამყაროში სრულად გაქრებოდა სიყვარული და ისტორიები (Stories)“ (მილერი 1998: <https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/books/98/10/04/reviews/981004.04millert.html>)

გადარჩენილი პერსონაჟები, ექიმის ოჯახი და მისი მდგმურები, ტრავმული გამოცდილების მიუხედავად, საკუთარი მცირეოდენი რესურსის გაზიარებით ცდილობენ საფუძველი ჩაუყარონ ადამიანთა შორის განსხვავებულ ურთიერთობებს, შექმნან ახალი სოციალური მოდელი, რომელიც სიკეთის რწმენას დაეყრდნობა/დაეფუძნება, მაგრამ შეძლებენ კი ისინი იპოვონ საკუთარ თავში ძალა, იყვნენ სოლიდარულნი და ააგონ ცივილიზაციის ახალი ბასტიონი? იქცევა კი ექიმის სახლი ტექსტში ერთგავრ „ნოეს კიდობნად“, რომელმაც სამყაროს/კაცობრიობის მომავალი უნდა გადაარჩინოს? ავტორის პოზიცია დასმულ საკითხზე არაერთგვაროვანია: ჩანს, ერთი მხრივ – იმედი, რომელიც ძალიან მყიფეა, მეორე მხრივ, კი ირონიული ქვეტექსტი, სკეპსისი აბსურდული რეალობის მოლოდინის მიმართ.

და მაინც, რაზეა ჟოზე სარამაგუს „სიბრმავე“? როგორ აიხსნება სიბრმავის/დაბრმავების ფენომენი ტექსტში? კაცობრიობის მომავლის ალეგორიულ წინასწარმეტყველებად უნდა მივიჩნოთ რომანი? თუ სოციალური წესრიგისადმი ადამიანების დამოკიდებულებაზე მამხვილებს ავტორი ყურადღებას და მიუთითებს სამყაროს განადგურების იმ სახიფათო პერსპექტივაზე, რომელიც სისტემის

შერყევის შემთხვევაში გაჩნდება? ან იქნებ წიგნი სამყაროში კეთილი ადამიანების არსებობის იმედს ემყარება, რომლებიც ყველაზე კატასტროფულ ვითარებაშიც არ დაკარგავენ სიცოცხლის რწმენას და იბრძობენ კაცობლიობის გადარჩენისთვის?

მკვლევრები დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. კრეიგ ნოვას აზრით, „დანახვის, შემჩნევის უნარი, მორალი, წესრიგი და ადამიანურობის განმსაზღვრელი სხვა ღირებულებები, ცივილიზაციის გარეშე არ არსებობს“ (ნოვა 1998: DO2 <https://www.washingtonpost.com/wp-srv/style/books/reviews/blindness1009.htm>).

სარამაგუს ტექსტის კომენტატორი და მკვლევარი ბობ ქარბეტი მიუთითებს რა მწერლის ექსპერიმენტულ სტილზე, მისი სხვა რომანების („იესოს სახარება...“) ესთეტიკის გათვალისწინებით, ასკვნის: „სიბრმავე ტექსტში ჩვენ უნდა გავიაზროთ არა როგორც ალეგორია, არამედ, როგორც ალტერნატიული რეალობის კვლევა“ (ქარბეტი 2001: <http://faculty.webster.edu/corbetre/personal/reading/saramago-blindness.html>) ამერიკელი ანალიტიკოსი – ჯორჯ სნედეკერი – სარამაგუს რომანის ინტენციის განსაზღვრისას, პარალელს ავლებს ალბერტ კამიუს „შავ ჭირთან“ და აღნიშნავს: „კამიუს მსგავსად სარამაგუ ეპიდემიას იყენებს სოციალური და პოლიტიკური რყევების გამოსაკვეთად, ორივე ავტორი ყურადღებას ამახვილებს კრიზისების ფონზე ადამიანის რეაქციაზე.“ ამავე დროს მკვლევარი ნაწარმოების იდეაზე მსჯელობისას აქცენტს აკეთებს რა „დანახვისა“ და „გაგების“ ცნებების იდენტურ მნიშვნელობაზე, საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს: რომანში სიბრმავე გაგების/შეცნობის უნარის დაკარგვის მეტაფორად უნდა მივიჩნიოთ.

„დაბრმავებული“ საზოგადოების აბსურდული მდგომარეობის გასააზრებლად სნედეკერი მიმართვას ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სახელმწიფოს მე-7 თავის იმ ეპიზოდს, რომელშიც აღწერილია გამოქვაბულში მყოფი ადამიანების ილუზორული ყოფა. ადამიანების, რომლებიც ცეცხლის სინათლის ნაცვლად მხოლოდ მის ჩრდილებს ხედავენ, ადამიანების, რომლებიც სიმულირებულ რეალობაში არსებობენ და მნიშვნელოვნად შორდებიან ჭეშმარიტებას (სნედეკერი 1997: [558](http://faculty.web-</p></div><div data-bbox=)

ster.edu/corbetre/personal/reading/saramago-blindness.html) სიბრმავეს ტექსტში პარადოქსულ მოცემულობად აფასებს ენდრიუ მილერიც და მას „ხედვის შეუძლებლობის ალეგორიად“ მიიჩნევს (მილერი 1998: <https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/books/98/10/04/reviews/981004.04millert.html>).

ჩვენი აზრით, სიბრმავეს მეტაფორის გასააზრებლად პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, რომანის ეპიგრაფს შეგონებათა წიგნიდან: „ვისაც თვალი აქვს, იხილოს, და ვინც იხილავს, შეიცნოს“ (სარამაგუ 2014: 7) – და, მეორე მხრივ, ტექსტის მთავარი პერსონაჟის – ექიმის ცოლის – სიტყვებს, რომლებსაც ის ფინალურ ეპიზოდში წარმოთქვამს: „მე არ მგონია, რომ ჩვენ დავბრმავდით, ჩვენ ყოველთვის ბრმები ვიყავით და ახლაც ბრმები ვართ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ; ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ“ (სარამაგუ 2014: 299) ბუნებრივია, ორივე ციტატი მიუთითებს არა მხედველობის უნარის დაქვეითებაზე, არა ფიზიკურ სიბრმავეზე, არამედ, ცხადია, გონების თვალთ დაბრმავებაზე.

ჟოზე სარამაგუ რომანში თანამედროვე სამყაროს ყველა საშინელებას – საკონცენტრაციო ბანაკებს, სოციალურ უთანასწორობას, ბიუროკრატias, მილიტარიზმს, ტექნოკრატias, ძალადობას, შიმშილს, ომს, ტერორიზმს – დაუნდობლად ამხელს და მთავარ ბრალს ადამიანს უყენებს. სწორედ ადამიანია პასუხისმგებელი კაცობრიობის ყველა სასტიკ დანაშაულზე, რადგან ის ხედავს და ეგუება, თითოეული ჩვენგანის შემრიგებლური პოზიცია, კომფორტიზმი, დუმილი, თავის არიდება, ქვეცნობიერი თუ ცნობიერი „სიბრმავე“ სხვა არაფერია, თუ არა დანაშაული. და, რა თქმა უნდა, ამ აზრით ჩვენ ბრმები ვართ, თვალხილული ბრმები!

დამოწმებანი:

მილერი 1998: Miller A. Zero Visibility. Books. New York Times on the web. – <https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/books/98/10/04/reviews/981004.04millert.html>;

ნოვა 1998: Nova C. Blindness by Jose Saramago. Book Reviews. The Washington Post Company. – <https://www.washingtonpost.com/wp-srv/style/books/reviews/blindness1009.htm>;

სარამაგუ 2014: სარამაგუ ჟ. „სიბრმავე“. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2014.

კორბეტი 2001: Corbett B. *Blindness* by Jose Saramago. Translated from the Portuguese by Giovanni Pontiero from the 1995 *Ensaio somber a Cegueira*. London: The harvill Press, 1997. Coments of Bob Corbett – <http://faculty.webster.edu/corbetre/personal/reading/saramago-blindness.html>;

სნედეკერი 2001: Snedeker G. *Between Metapor and Referent: Reading Saramago's „Blindness“*. *Blindness* by Jose Saramago. Translated from the Portuguese by Giovanni Pontiero from the 1995 *Ensaio somber a Cegueira*. London: The harvill Press, 1997. Coments of George Snedeker – <http://faculty.webster.edu/corbetre/personal/reading/saramago-blindness.html>.

Lela Tsiphuria

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Epidemic in Georgian Prose and Cinema: Film Versions of Stories by David Kldiashvili and Vazha-Pshavela

Summary

The Georgian experience of the epidemic is depicted from two different perspectives in two stories from the end of the 19th century and early 20th century: *Miqela* by David Kldiashvili and *Cholera Rescued Me* by Vazha-Pshavela.

Kldiashvili's story served as a basis for the film *Miqela* (1964) adapted and directed by Eldar Shengelaia; while the plot of Vazha-Pshavela's story was used by the scriptwriter and film director Pavle Charkviani in his film *Some Troubles Are Helpful* (1984).

The paper discusses the changes and the forms of adaptation of the literary text suggested by the filmmaker.

Key words: MShengelaia, *Miqela*, screening, drama, comedy

ლელა წიფურია

საქართველო, თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეპიდემია ქართულ პროზასა და კინემატოგრაფში: დავით კლდიაშვილის და ვაჟა-ფშაველას მოთხრობების ეკრანიზაციები

მხატვრული პროზის ინტერპრეტაცია აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და კინომცოდნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება. ქართული კინოს, ისევე როგორც მსოფლიო კინოს უმნიშვნელოვანეს ნიმუშთა შორის დიდი წილი ეკრანიზაციებია, რაც მდიდარ მასალას გვაძლევს შესაბამისი დაკვირვებებისთვის.

წინამდებარე სტატიაში კვლევის საგანია ეპიდემიის თემაზე შექმნილი ქართული პროზის ორი ნიმუშის – დავით კლდიაშვილის მოთხრობის „მიქელასა“ და ვაჟა-ფშაველას მოთხრობის „ხოლერამ მიშველა“ – ინტერპრეტაცია ქართულ კინემატოგრაფში. სტატია ლიტერატურული ნაწარმოებების სინთეზური ხელოვნების ნაწარმოებებად ქცევის პრობლემას ეხება, რაც თავისი არსით ინტერმედიალობის საკითხებთან გვაკავშირებს.

ლიტერატურული ტექსტის აუდიოვიზუალურ ტექსტად ტრანსფორმირება თანაბრად შეიძლება იქცეს განსხვავებული დარგების სპეციალისტების კვლის საგნად. მეოცე საუკუნის მეცნიერთა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის თემაა უკუპროცესიც – აუდიოვიზუალური ხელოვნების ზეგავლენა ლიტერატურაზე, თუმცა ეს უკანასკნელი სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. მეოცე საუკუნის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების, რენე უელეკისა და ოსტინ უორენის სახელმძღვანელოდ აღიარებულ ნაშრომში „ლიტერატურის თეორია“ მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების ურთიერთკავშირზე: „ხელოვნების სხვადასხვა დარგს, სულ ერთია, პლასტიკური (ანუ გამომსახველობითი, ვიზუალური – მხატვრობა, ქან-

დაკება, კინო) ხელოვნება იქნება ეს, ლიტერატურა თუ მუსიკა, განვითარების საკუთარი გზა აქვს, ინდივიდუალური ტემპითა და ინდივიდუალური შინაგანი სტრუქტურით. მათ შორის არსებული მუდმივი კავშირი უეჭველი ფაქტია, მაგრამ ის არ უნდა აღვიქვათ, როგორც ზეგავლენა, რომელიც მხოლოდ ერთი მხრიდან მომდინარეობს და განაპირობებს ხელოვნების სხვა დარგების განვითარებას; ჩვენ გვმართებს მათი განხილვა, როგორც დიალექტიკური ურთიერთობის რთული სისტემისა, რომლის მოქმედებაც ორმხრივია: ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეზე, და პირიქით – მეორიდან პირველზე“ (უელეკი 2010: 196–197). დიალექტიკური ურთიერთობის სისტემაში თავდაპირველად შექმნილი ნიმუშის სხვა დარგის ნიმუშად ტრანსფორმირებისას ინტერპრეტაციის განსხვავებულ ფორმებთან გვაქვს საქმე, რასაც დღეს ინტერმედიალობის თეორიაც იკვლევს. ჩვენი ნაშრომის ფოკუსია პანდემიის თემაზე შექმნილი ლიტერატურული თხზულების, პროზის ტექსტის ინტერპრეტაცია აუდიოვიზუალურ ტექსტად.

კინო – ან ტელევიზიის შექმნის შემთხვევაში პროზაული თხზულების მიხედვით სცენარი იწერება. სცენარი ერთგვარად შუალედური, მედიაციური ხასიათის ტექსტია ლიტერატურასა და კონემატოგრაფს შორის, რომელშიც პროზაული ტექსტის ეპიზოდებიც უპირატესად ქმდითობის ნიშნით შეირჩევა. ჟანა ნურმანოვა აღნიშნავს: „ფილმის სცენარი შეიძლება პრეტექსტად იქნას განხილული, ხოლო თავად ფილმი პოსტ-ტექსტია. ამრიგად, პრეტექსტი წარმოადგენს ტექსტს, რომელიც წინ უსწრებდა ფილმს, ხოლო პოსტ-ტექსტი, როგორც ლიტერატურული ნაშრომი შექმნილია უკვე არსებული ტექსტის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კინო სცენარი არის გარდამავალი ტექსტი ლიტერატურასა და კინოს შორის“ (ნურმანოვა 2012: 256).

პროზის ინტერპრეტაცია აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში, ლიტერატურული პირველწყაროს პერსონაჟთა ურთიერთობის სისტემის აუდიოვიზუალური ხელოვნების ენაზე ტრანსფორმირება, ერთი მხრივ, ლიტერატურული ტექსტის შემადგენელი ნაწილის – პერსონაჟთა დიალოგებისა თუ მონოლოგების აუდიოტექსტად გარდაქმნას გულისხმობს, მეორე მხრივ, ლიტერატურული ტექ-

როგორც მოსალოდნელი იყო, ეპიდემიის ახალი ტალღა საქართველოს სულ მალე დაატყდა თავს, შემოდგომაზე ის ტფილისის საპატიმროებშიც გავრცელდა, რის გამოც დროებით აიკრძალა პატიმრების მიღება ცენტრალურ ორთაჭალის ციხეში, შეიზღუდა პაემნები, მოხდა საექვო პატიმრების იზოლირება, ბრალდებულებისთვის კვირაში სამჯერ დაინიშნა აბანო, ციხის ხელმძღვანელობას კი დაევალა, შეძლებისდაგვარად, მათი სუფთა თეთრეულით უზრუნველყოფა.

გაზეთების ინფორმაციით, ოქტომბერში ქოლერას შავი ჭირის დაავადება დაემატა. თუმცა, ოქტობრის შემდეგ, ტფილისში არ-

სებული ეპიდემიური ვითარების შესახებ პრესაში ცნობები აღარ გამოქვეყნებულა, რასაც ორი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: შემოდგომაზე დაავადებათა გავრცელებამ იკლო, ან ქვეყანაში მიმდინარე იმ პოლიტიკური მოვლენების გამო, რომლებსაც სულ მალე ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა, ქოლერისა და შავი ჭირისთვის არავის ეცალა.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ძალზე საინტერესოა 1921 წლის აგვისტოში, დამოუკიდებელი საქართველოს დატოვების შემდეგ, სტამბოლიდან პარიზის გზას დამდგარი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების პერიოდულ ორგანოში, ჟურნალ „თავისუფალ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატია „საბჭოთა საქართველოში ქოლერის ეპიდემია მძვინვარებს“:

„თუ დაპირების ასრულება (პურის და საქონლის) ასე უჭირთ ბოლშევიკ მოღალატეებს, სამაგიეროთ მათ უხვათ შემოაქვთ რუსეთის დაუშრეტელი „სიმდიდრე“ ხოლერა, ჭირი, სნება, ხურვება და სხვა ათასგვარი გადამდები სნეულებანი. იარაღი და საშუალება ამათი შემოტანის და გავრცელების არა ერთია, მრავალია: სიბინძურე, რომელიც მათ გადმონერგეს რუსეთიდან, წითელი ჯარი, რომლითაც აავსეს საქართველოს ქალაქები და სოფლები, მათ უკან ადევნებული ლტოლვილები და მრავალი სხვა.

ამ შემთხვევაში ბოლშევიკების „ნამუშევარი“ ზომაზე მეტათ „ნაყოფიერი“ გამოდგა. ხოლერა მოედო არა მარტო ქალაქებს, არამედ ისეთ სოფლებსაც, რომელნიც მთის კალთებზე და გაფანტულათ არიან გაშენებული. განა გაგონილა ოდესმე ხოლერა რაჭის მთებში, ან ცხინვალის ხეობაში? მაგრამ დღეს არც ერთი კუთხე არ არის საქართველოში, სადაც წითელი არმიის ბინძური რაზმი არ შესულიყოს და თან ყოველი სენი არ შეეტანოს. განაწამები, დამშეული ხალხი, გათელილი წითელ არმიელის მყრალი ჩექმებით, მისგანვე მოტანილი უსაშინლესი სენის მსხვერპლი ხდება...

ქალაქებში, სადაც მცხოვრებლები ხელოვნურათ შეაქუჩეს ერთათ და შეყარეს ვიწრო ბინებში ბოლშევიკების კომისრებმა, ხოლერა თავის მსხვერპლს ხომ აუარებელს პოულობს. და აქაც იგი პირველ ყოვლისა სცელავს მუშათა და დაბალ ინტელიგენციის

წრეებს, ესე იგი სოციალისტურს და დემოკრატიულ ელემენტებს, რომელთა სახელით თითქოს მოქმედებს „მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა“.

რა, რა არ ჩაიდინეს ამ მაღალი სახელწოდებით მუხანათმა კომუნისტებმა, რუსეთის ანარქიას გადააბეს საქართველო და შიგ რუსეთის ჯოჯოხეთი დაატრიალეს. ამას ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ქართველი ხალხი! იგი კვნესის, გმინავს და ერთს მოითხოვს: მოგვაშორეთ ეს სულთამხუთავები! მოგვეციტ საშვალეზა ჩვენ თავს მოვუაროთ. და ეს ხმა უნდა გაგონილ იქნეს!“ („თავისუფალი საქართველო“ 1919: 7).

ამრიგად, მოტანილი პრესის ინფორმაციებითაც ცხადია, რომ ეპიდემიური ვითარება წარსულშიც დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს მოსახლეობას. მისი თავიდან არიდება საჭიროებდა იმგვარ სამედიცინო თუ სოციალურ პოლიტიკას, რომლის გატარებაც ქვეყანაში რთული იყო. ჯერ კიდევ არ არსებობდა ვაქცინაციის ისეთი სტანდარტი, როგორც სიტუაციის სრულად დასტაბილურებას მოახერხებდა.

მართალია, ვითარება მომდევნო ათწლეულებში შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ სრულად ეპიდემიებისგან განთავისუფლება მსოფლიოს დღემდე ვერ მოუხერხებია, არც საქართველოსთვის გამხდარა უცხო მსოფლიო პანდემიის ფონზე ადამიანების ჯანმრთელობის მძიმე ფორმებთან ბრძოლა. წარსულის გამოცდილება და პანდემიურ სენთან ბრძოლის ხალხური ფორმების გამოყენება გაზრდის შესაძლებლობას ამგვარი ვითარების სტაბილიზაციისა და ეფექტური პრევენციისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

„ბორბა“ 1920: გაზეთი „ბორბა“, 1920, №39.

ერთობა 1919: გაზეთი „ერთობა“, 1919, № 40)

ერთობა 1919: გაზეთი „ერთობა“, 1919, № 43)

თავისუფალი საქართველო 1921: ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, 1921, №7

ივერია 1892: გაზეთი „ივერია“, 1892, №176

ივერია 1892: გაზეთი „ივერია“, 1892, №183

- ივერია 1892:** გაზეთი „ივერია“, 1892, №187
ივერია: 1902: გაზეთი „ივერია“, 1902, №167).
იმერეთი 1913: გაზეთი „იმერეთი“, 1913, №13).
იმერეთი 1913: გაზეთი „იმერეთი“, 1913, №31).
იმერეთი 1913: გაზეთი „იმერეთი“, 1913, №33).
იმერეთი 1913: გაზეთი „იმერეთი“, 1913, №38
კვალი 1900: გაზეთი „კვალი“, 1900, №43
კვარაცხელია 188: კვარაცხელია მ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკული მოღვაწეობა, 2017.
სახალხო საქმე 1918: გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, №307.
სახალხო საქმე 1918: გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, №275.
სახალხო საქმე 1918: გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918, №279.
საქართველოს რესპუბლიკა 1919: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №180.

Maia Tsertsvadze

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

„Illness of the Poor“, Georgian Writers and Georgian Literature

Summary

Among the disasters that befell Georgia were dangerous and incurable infectious diseases (plague, cholera, tuberculosis...) which claimed the lives of some of its best sons and daughters.

Sulkhan-Saba Orbeliani found a Georgian equivalent and defined tuberculosis as the disease of the thin, the fleshless.

The list of Georgian writers who lost their lives due to this disease is quite long: Solomon Dodashvili, Archil Jorjadze, Daniel Chonkadze, Mamia Gurieli, Iakob Gogebashvili, Egnate Ninoshvili, Chola Lomtadze, Sergey Meskhi, Sandro Tsirekidze, Shalva Karmeli, Lili Meunargia, Lado Asatiani...

The paper is dedicated to Georgian writers who contracted tuberculosis and died and the ways of self-reflection of the disease in their writings.

Key words: “Illness of the Poor”, tuberculosis, Georgian writers who lost their lives due to tuberculosis, ways of self-reflection of tuberculosis in Georgian literature.

მაია ცერცვაძე

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ღარიბების ავადმყოფობა“, ქართველი მწერლები და ქართული მწერლობა

მრავლისმნახველი ისტორიის მანძილზე საქართველოს თავს დატეხილ უბედურებებს შორის საშიში და კარგახანს უკურნებელი ინფექციური დაავადებებიც (შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი...) იყო, რომლებიც მის საუკეთესო შვილებს უღმობლად ასალმებდა სიცოცხლეს. მათ რიცხვში არიან ისეთი მოაზროვნენი და მწერლები, როგორებიცაა სოლომონ დოდაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, დანიელ ჭონქაძე, მამია გურიელი, იაკობ გოგებაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, სერგეი მესხი, სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი, ლილი მეუნარგია, ლადო ასათიანი...

„ღარიბების დაავადებად“ ცნობილ ტუბერკულოზს, იგივე ჭლექს, სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ქართული შესატყვისი მოუძებნა და ასე განმარტა: *ჭლექი – სიმჭლის სენი*, ანუ გამხდართა, ხორცმოკლებულთა სნეულება. „ძლიერ სენად“ მოიხსენია ის თავის ლექსში ლადო ასათიანმა.

„ძლიერ სენზე“ რეფლექსირება გვხვდება ქართველი მწერლების ტექსტებში, მხატვრულში თუ დოკუმენტურში – დღიურებში, ჩანაწერებში, პირად წერილებში...

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენება ტუბერკულოზით სნეულ და გარდაცვლილ ქართველ მწერლებს, მათ ნაწერებში დაავადების თვითრეფლექსირებასა და ამ თემატიკის ამსახველ სხვა ტექსტებს ეძღვნება.

1832 წლის შეთქმულების მასალებში სხვა დოკუმენტებთან ერთად დაცულია ვიატკაში გადასახლებული და იქაურ საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიაში გადამწერად გამწესებული დიდი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ფილოსოფოსისა და მწერლის სოლომონ დოდაშვილის (1805-1836) სწეულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. როგორც ცნობილია, ის იქ ჭლექის უმძიმესი ფორმით დაავადდა. ამ დოკუმენტებს შორისაა სამედიცინო შემოწმების ოქმი, რომელიც მოწმობს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გამწვავებას: „მედიცინას არ გააჩნია არავითარი უტყუარი საშუალება ასეთი რთული და ხანდაზმული სენის განსაკურნავად, განსაკუთრებით აქაურ ჩრდილოეთის ჰავის პირობებში“ (გოზალიშვილი 1935: 516). აქვეა დაცული სოლომონ დოდაშვილის წერილი ვიატკის გუბერნატორისადმი, რომელსაც ის სთხოვს იმპერატორთან შუამდგომლობას რუსეთის რომელსამე სამხრეთ გუბერნიაში გადაგზავნის თაობაზე. წერილში ვკითხულობთ: „ძლიერ, ძლიერ ავად ვარ. პოლონელმა ექიმმა, რომელიც მე მწამლობს, გამომიცხადა, რომ თუნდაც ამჟამად გამომიკეთდეს ჯანმრთელობა, მომავალ ზამთარს თუ მე ისევ აქ დავრჩი, – ვეღარ გავუძლებ ჩრდილოეთის ჰავის გავლენას, რაც ყოველთვის საზიანოდ მოქმედებდა ჩემს ჯანმრთელობაზე, დაამაბუნებს მას სრულიად და მეც და ჩემი ოჯახიც განვიცდით უდიდეს უსიამოვნებას; ეს მე მან დაბეჯითებით მითხრა. თქვენო აღმატებულება! თქვენი ქველმოქმედებისა და კაცთმოყვარეობის გამო, დარწმუნდებით რა ბ. ექიმის ნათქვამის სინამდვილეში, ვიმედოვნებ, არ დააყოვნებთ შუამდგომლობას, სადაც ჯერ არს, რათა გადაყვანილ ვიქნე სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში...“ (გოზალიშვილი 1935: 513-514). სამწუხაროდ, ეს თხოვნა დაგვიანებული აღმოჩნდა და ძალიან მალე სოლომონ დოდაშვილი სრულიად ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში ვიატკის საპრობილეში გარდაიცვალა.

ჭლექს ემსხვერპლა ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და მესაიდუმლე ქალი, მისი წერილებისა და ლექსთა კრებულის მიძღვნის ადრესატი, მისივე თანაგიმნაზიელი მეგობრის ლევან მელიქიშვილის საცოლე მაიკო ორბელიანი (1816-1849), რომლის ავადმყოფობას პოეტი ახსენებს 1842 წლის 31 ოქტომბრის

პირად წერილში: „შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემარათა...“ (ბარათაშვილი 2015: 104).

ჭლექით გარდაცვლილ მწერალთა სოლომონ დოდაშვილის, იაკობ გოგებაშვილის და არჩილ ჯორჯაძის ავადობის პერიპეტეიები მაღალმატერულად აისახა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებში: „მისიონერი“, „ბურჯი ეროვნებისა“ და „წერილები იტრიის წისკვილიდან“. პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ წიგნებში კი ავტორმა ყურადღება გაამახვილა იმ უდრეკობასა და შეუპოვრობაზე, რომლითაც ბავშვობიდანვე ტუბერკულოზით დაავადებული ეს დიდი მეცნიერი ებრძოდა სენს და არანაირ განსაცდელში არ ზოგავდა თავს, როცა კი იგი მის ქვეყანას სჭირდებოდა. ამ თავგანწირვის საუკეთესო მაგალითია ერთი ეპიზოდი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანიდან, რომელიც რევაზ გაბაშვილის მოგონებებმა შემოგვინახა და რომელშიც აღწერილია, თუ როგორ მიემგზავრებოდა ის მასთან ერთად საზღვაო გზით, საშინელ ღელვასა და ქარიშხალში პატარა იალქნიანი ნავით ბათუმიდან ტრაპიზონის კონფერენციაზე არაოფიციალურად, სადაც საქართველოს საზღვრების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო (გაბაშვილი 1992: 192-193). იმ დროს მას ორივე ფილტვში გახსნილი ჰქონდა ჭლექის პროცესი. პავლე ინგოროყვას ამ საქციელით აღფრთოვანებული ოთარ ჩხეიძე ამ სახიფათო მოგზაურობაზე ერთ-ერთ ესეიში წერდა: „...მოხრილი ადის, მოხრილი ჩამოდის, პორტუგელის სიმძიმითა, ფიქრის სიმძიმითა, სუსტი სხეულითა, ძლიერი სული როლა იმაგრებს, მეტი არაფერი, მეტი არაფერი – ძლიერი სული“ (ჩხეიძე 1968: 329).

განსაკუთრებით დაუნდებელი აღმოჩნდა „ღარიბების ავადმყოფობა“ „ცისფერყანწელებისადმი“. მას შეეწირნენ ორდენის წევრები, სრულიად ახალგაზრდა, 24 წლის შალვა კარმელი (1899-1923) და 29 წლის სანდრო ცირეკიძე (1894-1923). გულმოკლული ვ. გაფრინდაშვილი წერდა: „ერთი წლის განმავლობაში სამი მსხვერპლი **ჭლექის** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – მ. ც.) და თვითმკვლელობის: საგანელი, ლილი მეუნარგია და შალვა კარმელი“-ო (გაფრინდაშვილი 1923: 1) (აქ თვითმკვლელობა ეხება პოეტ გიონ საგანელს (გიორგი საგანელიძე), ის და ლილი მეუნარგია ერთი

წლის გარდაცვლილები არიან, სანდრო ცირეკიძე კი ჯერ ცოცხალია – მ. ც.).

„ცისფერყანწელთა“ პოეტურ და პროზაულ ტექსტებში ფართო გამოძახილი ჰპოვა ჭლექის თემატიკამ, მასზე რეფლექსირებამ. გარდა მაღალმხატვრული ლექსებისა, რომელთა ავტორები არიან ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, უადრესად საინტერესოა „ცისფერყანწელთა“ ის წერილები, რომლებიც ნაადრევად აღსრულებული მათი მეგობრების შალვა კარმელისა და სანდრო ცირეკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ გაზეთ „რუბიკონის“ 1923 წლის მე-3 და მე-12 ნომრებში დაიბეჭდა.

ტუბერკულოზით დაავადდა ტიციან ტაბიძის საცოლე, შემდეგ კი მისი მეუღლე ნინო მაყაშვილი. თავის მემუარებში ის იგონებს ავადმყოფობის დღეებს, რომელსაც აბასთუმნის სანატორიუმში ატარებდა და იმას, თუ როგორ ამხნევებდნენ და თავს ევლებოდნენ ამ მძიმე დღეებში მას ტიციანი და მისი მეგობრები. **„ტუბერკულოზი** შემეყარა. ტიციანი ძალიან შემფოთებული იყო და ექიმებთან დამატარებდა, ვისაც კი იცნობდა... ექიმებმა აბასთუმნის სანატორიუმში გამეზავნეს. ჩემთან ერთად წამოვიდნენ ტიციანი და პაოლო... ხაშურში პაოლო ჩავიდა და ქუთაისის მატარებელზე გადაჯდა. გვითხრა, რომ დილით ბორჯომში გვიპოვიდა. ბაზაზე, საიდანაც ავადმყოფები აბასთუმანში აჰყავდათ, ტიციანს ოთახი მისცეს, მე კი მის გვერდით ქალთა პალატაში მომათავსეს. დილით პაოლო გამოგვეცხადა და თან ვალერიანიც მოიყვანა... ტიციანი და მისი მეგობრები პარკში მასეირნებდნენ... საღამოს კი ყველანი შევიკრიბეთ ტიციანის ოთახში, სხვა ავადმყოფებიც მოვიდნენ, მთელი ოთახი გაივსო, და პაოლომ ლექსების კითხვა დაიწყო... არასოდეს დამავიწყდება, როგორ წაიკითხა ვალერიანმა ჩემდამი მოძღვნილი ლექსი „ავადმყოფ კოლომბინას“... მეორე დღეს აბასთუმანში გავემეზავრე. სანატორიუმში ჯერ ჩასული არ ვიყავი, რომ ტიციანის, პაოლოს, ვალერიანის და ლელის (იგულისხმება ლელი (ლევან) ჯაფარიძე – მწერალი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრი – მ.ც.) დეპეშა მივიღე, მალე გამოჯანმრთელებას მისურვებდნენ (11 ოქტომბერი, 1918)“ (ტაბიძე 2016: 66-69).

ტიციან ტაბიძის პოეტურ სტრიქონებშიც, 1921 წლით დათარიღებულ ლექსში „ნინა მაცაშვილს“ ჰპოვა გამოძახილი საყვარელი ქალის ავადობამ: „შენს წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას,/შენს **ტუბერკულოზს** და სინაზით ავად გამხდარ ხმას!/ ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა“ (ქართული პოეზია... 1982: 507).

პაოლო იაშვილმა ლექსი უძღვნა მწერალ იონა მეუნარგიას ჭლეკით ნაადრევად გარდაცვლილ პოეტ ქალიშვილს ლილის, („ლილი მეუნარგია“, 13.10.1922), ვისაც, შალვა კარმელის მსგავსად მეოცნებე ნიამორს უწოდებდენ „ცისფერყანწელები“: „პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,/პატარა ფილტვებს მიეპარა **ჭლეკი** და ხველა.../ჩამოწყდი როგორც ყვავილი ტყემლის,/შენ, რომ იყავი საიდუმლო და ჭიანჭველა“ (იაშვილი 2004: 55). ლექსის სტრიქონები იმდენად სულისშემძრელი იყო, რომ მან გრიგოლ რობაქიძეს შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „ეს ლექსი ჩემთვის ყველგან და ყოველთვის უნაზესი დარჩება სათუთი მიახლოებით სიკვდილთან“ და კიდევ: „ძვირფასი პირის „სიტკბილე“ ამაზე შორს ვერ წავა, შეუძლებელია, რომ ამ ლექსმა არ აგატიროს“-ო, წერდა „ცისფერყანწელთა“ დიდი მეგობარი წერილში „დაბრუნება მიწასთან“ (რობაქიძე 2012: 531).

ვალერიან გაფრინდაშვილის სონეტი „მამია გურიელი“ ეძღვნება ტუბერკულოზით გარდაცვლილ პოეტს. მამია გურიელის ცხოვრების მეტად ტრაგიკულ გზასთან ერთად უაღრესად გულისმომკვლელია მისი აღსასრულიც, რომელიც ამ სახელგანთქმულ არისტოკრატს, გურიის მთავრების შთამომავალს დაუდგა ქუთაისში, ბალახვანთან, ერთ დროს მისი მოსამსახურის ბაბაღე ჭყონიას ფიცრულ სახლში. სონეტის სტრიქონები ადრესატის სწეულებასა და გარდაცვალებაზე ავტორის პოეტური რეფლექსირებაა, სადაც მისი ლიტერატურული სკოლისათვის ნიშანდობლივი ავადმყოფობის აპოლოგია იკითხება: „დაწყველილ მგოსანს მოველინა ბრწყინვალე **ჭლეკი**/და ის გადასცა საოცრების კეთროვან ხელებს,/რომ ეღვარებდეს მისი ხველა ამონაჭექი./მტრედისფერ სატრფოს უდაბნოში ვერ მოიშველებს./მას, როგორც ვერლენს, დაუხუჭავს თვალებს მეძავი –/მისი წყლულების საშინელი მონათესავე“ (ქართული პოეზია ... 1982: 181).

სნეულეზასთან იგივე მიმართება გამჟღავნებულია ვალერიან გაფრინდაშვილის კიდევ ერთ ლექსში, 1922 წელს დაწერილ „ბოჰემის მონოლოგში“, სადაც თვითმკვლევლობასთან და სიგიჟესთან ერთად განდიდებულია ჭლექიც, როგორც საპატიო და სასურველი ხვედრი პოეტისა: „სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა/გარდა ჭლექისა!/დღეგრძელ მალარმეს მირჩევნია ისევ ლაფორგი./პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა:/სიგიჟე, ჭლექი და თვითმკვლევლობა./სალამი შენ-ტროტუარის პოეტო!/მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა./მისთვის ვიწამე სამუდამოთ ეს კარიერა-/სიგიჟე, **ჭლექი**, ალკოგოლი და თვითმკვლევლობა!/სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!“ (გაფრინდაშვილი 2010: 32).

ვალერიან გაფრინდაშვილის ამ სტრიქონებთან უნისონშია ტიცინი ტაბიძის რეფლექსია, რომელიც მან შალვა კარმელის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში გამოხატა: „რაც არ უნდა მისტიური იყოს სიკვდილი და საშიში პარადოქსული შედარება, მაინც მართალია პოეტი, რომელმაც აღიარა პოეტის კარიერად ეს ტირიქმა. – „თავის მკვლევლობა, **ჭლექი** და სიგიჟე“... **ტუბერკულოზი** აკეთილშობილებს სიკვდილს, ეს გულგრილი გადასვლა ყოფნის გადაღმა – თვითონ თემაა პოეზიის...“ (ტაბიძე 1923: 1).

1923 წლის 25 იანვარს, ღამის პირველ საათზე ქუთაისში ჭლექით გარდაიცვალა განსაკუთრებული ხმის პოეტი შალვა კარმელი (გოგიაშვილი). მას მეგობრები „პოეზიაში ჩუქურთმების ოსტატს“ უწოდებდნენ და ეს ჩუქურთმები საბედისწერო სნეულეზასა და მისით გამოწვეულ რეფლექსიებსაც აღწერს. „ალბათ ძნელია ფამილარობა თუნდაც შემოქმედებით იმ კომმარულ სენტან, რომლის სახელია თვითმპყრობელი **ტუბერკულოზი**“-ო, – წერდა მასზე ვალერიან გაფრინდაშვილი (გაფრინდაშვილი 1923: 1).

ამ „კომმარულ სენტან“ მიმართებით გავიხსენოთ პოეტური ნიმუშები 1921 წელს გამოცემული შალვა კარმელის წიგნიდან „ბაბილონი“: „ქარვის ტირილი“ (1918) „გასვენებები“ (1919), „გამოტირილი ჩემზე“ (1919), „დარდი ვაგზლების“ (1920), „მგლოვიარე პრინცესები“, „მკვდარი ბრიუგე“ (1920), „ყვითელი მესსა“ (1922), „სანბენიტო“ (1923).

„...ვწყველი ანგელოსს, მეშინია – არ მიმიკაროს./დავიღუპები – ფრთაგაშლილი ზღვაზე იკაროს./ისე კი ბედი კორიანტელს არ ამაცილებს./ვებრძვი ჰაერში მოთამაშე **ქლექის ბაცილებს**“ („გასვენებები“);

„...სპეკალ ქვებივით ედევენება ცრემლი ცრემლს მწუთხე!../უცნობი ფარდა ჩემ ხელებმა ვეღარ გახია./საბრალო დებო! რად წახვედით უძილავ კუთხეს?!/შავ ყორნებსავით დაგტირიან და გემახიან!/აღარ მეღირსა განკურნება **ქლექიან ფილტვის...**/ო, ჩემი სული ემაფოტზე მთვარისკენ ილტვის“ („გამოტირილი ჩემზე“ (ჩემი ორი დის წმინდა ხსოვნას);

„...ძვირფას კრთომაში, ყვითელ კრთომაში/დღეს მაისები არ ახსოვს არვის./ქვირვ ქალად მიდის შემოდგომაში/ჩემი ტირილი **ქლექიან ქარვის...**“ („ქარვის ტირილი“);

„...**ქლექიან პრინცად** გული მიცემდა./მაღალ ტამარში თქვენთან მესსაზე,/მე რეკვიემი აღმომიცენდა – /ჩემს მგლოვიარ ნაზ პრინცესაზე!..“ („მგლოვიარე პრინცესები“);

„...ზმანებაშია ეს ყველაფერი.../ახლა ვაგზოლები მაწვალეებს გრძელი,/და მენატრება **ქლექით ნაფერი**/ შეყვარებული ქალწულის ხელი...“ („დარდი ვაგზოების“);

„...გუშინ ვაგონში ფერმკრთალები შიშობნენ **ქლექზე**./ისროდა ველებს სექტორებად უცხო მედისკე,/მე კი მათრობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი: „მიმქონდა ხსოვნა ელენესი იმერეთისკენ...“ („მკვდარი ბრიუგე“).

„...ღრუბელი მიდის, დღეა მზიანი./დაო, ანგელოს, ჰაერი თბება/და ჩემი სული ციებანი/შერიგებული დღეს მართლა კვდება./ გადასდე შუშა – წამლით, ფხვნილებით,/გავყვეთ ფრინველებს და ტყის რქიანებს,/შორი ქალაქის ქვაფენილები/მაინც დაგცემენ **ჩვენ – ქლექიანებს...**“ („ყვითელი მესსა“);

ორიგინალური მხატვრული სახეებიტაა გაწყობილი ლექსი „სანბენიტო“. ვალერიან გადრინდაშვილის შეფასებით „მისი აქამდის დაუფასებელი შედეგრი „სანბენიტო“ – ქლექის ამღერებაა“: „სდგას ემაფოტი მთვარის ფაქიზი,/ცოდვილი სულნი სადაც იწვიან./მივალ ამაყად გულშენაქეზი/და სანბენიტო გადამიცივია!/ მაღალ კოცონთან სდგანან მწყობრები/ყველას თავები დაუზნეჯია./თქვენ ჩემო ძმებო და მეგობრებო:/**ინკვიზიტორი ჩვენთვის**

– **ჭლექია!**წაიღონ ჩემგან – ღვთის წყეულიდან,თუ რამე დარჩათ გასაქვითელი.../თორემ ჩემ ყვითელ ცივ სხეულიდან/აღარ დარჩება ფერფლიც ყვითელი!..“

შალვას სიკვდილი უდიდესი ტრაგედია იყო როგორც ოჯახისთვის, რომელსაც მანამდე კიდეც ორი შვილი ჰყავდა დაღუპული, ასევე მისი მეგობრებისთვის. მათ თანამოკალმის ხსოვნას წერილებთან ერთად ლექსებიც უძღვნეს.

ქართველთა დიდი მეგობრის, სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანიის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსში „ოვანეს თუმანიანი“ (1923), რომელიც გაზეთ „პოეზიის დღე“-ს 1923 წლის №2, 6 მაისის ნომერში დაიბეჭდა, გრიგოლ რობაქიძე შალვა კარმელს საკუთარ მცირეწლოვან ქალიშვილთან, სახადით გარდაცვლილ ალექსანდრასთან – ალკასთან ერთად ახსენებს და ოვანესის აზრდილს მათთან მოკითხვას აბარებს: „ვიცი: იქნები საფლავის ხნულთან/გულდათუთქული – ჩვილთა მფარველი./ოვანეს, ტკბილო! მიიკარ გულთან/ჩემი ალკა და შალვა კარმელი“ (რობაქიძე 2012ა: 86).

მეგობარი პოეტი ვასო გორგამე მას გამოეთხოვა ლექსით „შალვა კარმელი“, რომელიც ჟურნალ „ილიონის 1923 წლის №4, აპრილის ნომერში დაიბეჭდა (ლიტერატურული ჟურნალები ... 2011: 692).

შალვა კარმელის სიკვდილიდან მალევე, იმავე წლის 15 ივნისს ტუბერკულოზმა მოუსწრაფა სიცოცხლე კიდეც ერთ „ცისფერყანწელ“ პოეტს სანდრო ცირეკიძეს. მათივე ორდენის წევრი, პოეტი შალვა აფხაიძე გამოსათხოვარ წერილში ემოციურად აღწერს მისი ხანმოკლე სიცოცხლის დღეებს და ჭლექით სწეული მეგობრის შთამბეჭდავ პორტრეტს გვიხატავს: „სანდრო ცირეკიძე იყო თანასწორი ძმათ შეფიცულთა შორის. ის ჭლექიანი დაყვებოდა და თან დაქონდა გელათის სიწმინდე და სიმშვიდე... სისხლში და ხველაში ამზადებდა ის გამოკვლევას ბაგრატიის ტაძრის შესახებ... საჭირო არ არის ახლა იმ განწირულ წერილების გამოტანა, რომლებსაც გვწერდა ის მაშინ ახლო მეგობრებს. ყოველი ხმა თითქოს საფლავიდან მოდიოდა. „მიშველეთ! მიშველეთ! ძმებო, ვკვდები“. ასეთი იყო ყოველივე წერილის ეს ტრაგიული აკკორდი... შემდეგ წერილებს მოყვა თვით სანდრო: მის თვალებში

უკვე სიკვდილი იყო ჩასული, უნდოდა კი სიცოცხლე... ვედარ გაუძლო. ჭლექმა მეორე ფილტვიც გაუნადგურა, სისხლი, აღარ ყოფნიდა ჰაერი და გარდაიცვალა წყნარად..." (აფხაიძე 1923: 1)

შალვა კარმელის პოეზის დარად დიდი სიმძაფრით გაიჟღერა ამ თემატიკამ ლადო ასათიანის შემოქმედებაში. გარდა იმ საყოველთაოდ ცნობილი ლექსებისა – „წარწერა ერთი სამარის ქვისა“, უსათაურო „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო“, „აბასთუმანი – ხაბაზთუბანი...“, რომლებშიც პოეტი თავის სენზე მხატვრულად რეფლექსირებს და ქმნის უძვირფასეს და დაუვიწყარ სტრიქონებს და სახეებს, ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის უაღრესად ღირებულია სიცოცხლის ბოლო პერიოდში პოეტის მიერ გაკეთებული ჩანაწერები და მეგობრებისთვის გაგზავნილი (უმეტესად აბასთუმნიდან) პირადი წერილები. მათში მოხაზან „ადრე წასული კაცის ფიქრები“ – სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის საშინელი დაავადებით გამოწვეული მელანქოლია, ავადმყოფობის ანამნეზი და ქრონიკა, ნალველი მოსალოდნელი აღსასრულის გამო.

ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ამონარიდებს ამ ჩანაწერებიდან და წერილებიდან:

„აბასთუმანში პატარა სახლი, ტყის პირას, ორი ქალი და ჩემი ცხოვრება“; „66 ½ – კილო 1942 წ. – 15 მაისი. მეცვა ჟილეტი, შავი ბლუზა, თბილი ფუფაკა და შავი კოსტუმი. 66 კილოს აკლდა 10 გრამი. 10 გრამი. 1942 წ. 20 მაისი, უჭმელად. დილა. მეცვა იგივე“; „სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე მინდა ყოფნა, თითქოს მალე დავხუჭავ თვალებს და ვედარ ვიხილავ თბილისის ზეცას“ (ასათიანი 2008: 352, 370).

ნიკა აგიაშვილისადმი: „...მე, დაწყველილი ლადო ასათიანი – ერთი კვირაა, რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში აბსოლუტურად მარტომ – სულ წიგნებთან, არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო, ძვირფასო, და, აბა შენ იცი, ცრემლებს თუ დაღვრი. როცა ჩამოხვალ, შენ ნახავ ჰეგზამეტრებით წარწერილ ეპიტაფიას ჩემი სამარის ქვაზე... თბილისი, 1942 წელი, 24 სექტემბერი“ (ასათიანი 2008: 524).

„...ჰე, უნიკალური ნიკალაი! ბევრი, ძლიერ ბევრი რამ მინდა გავაკეთო... მაგრამ ... „როდისღა, ჩემო მოჭირნახულევ?“ ამ ამბებს ერთი კაცის ძან ხანგრძლივი სიცოცხლეც კი არ ეყოფა, მე კი... „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, მაგრამ რასაც მოვასწრებ, ვეცდები...“ თბილისი, 1942 წელი, 16 დეკემბერი“ (ასათიანი 2008: 529).

„...რომ იცოდე, როგორი გაზაფხულია თბილისში...მე კი... ძლივსღა დავლოღავ... ბოტანიკურ ბაღშიაც ველარ გავდივარ, – რა გამანედლებს?!“

უკვე აყვავდა გლიცინიები მწერალთა სახლის ვერანდაზე. ვზივართ ბაღში და ვუსმენთ ცოცხალ კლასიკოსთა დინჯ ბაასსა და მოგონებებს. ხანდახან აივნიდან კონსტანტინე გამსახურდია გადმოგვხედავს და გადმოგვძახებს: „ვეფხვებო!“ „ჭაბუკებო!“ და კაი გამარჯობას გვეტყვის, როგორც შემშვენოს კაცურ კაცს. მაგრამ ვინღაა „ჭაბუკი“ და „ვეფხვები“? ...

საერთოდ ველარ ვძლებ შინ მყოფი, ვიწრო ოთახში, თითქოს კუბოში ვარ ცოცხლად მდებარე, მზის მონატრული რომ მოვკვდე, ნეტავი ამაზე უარესი თუ იქნება ის კუბო. ამის ბრალია, ალბათ, რო თითქმის ყოველ ღამითა და დღისითაც, როცა ოდნავ წავთვლებ, სულ თავანდილი კუბოები მეზმანება... თბილისი, 1943 წელი, 20 მარტი“ (ასათიანი 2008: 530, 533).

კოტე ხიმშიაშვილისადმი: „...მოგეხსენება, აბასთუმანში (ხაბაზთ უბანში) ვმარტვილობ, ზამთარი არაა, გაზაფხულია, საერთოდ „გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში“... ისე, მიუხედავად იმისა, რომ დიდი გართობის მოყვარული ჩაუქი არ ვარ, მაინც მომწყინდა... მომწყინდა, მმაო, მომწყინდა და რა ვქნა ახლა, არ ვიცი, რა მომწყინდა, აქ ყოფნა თუ ...“

ეხ... კოტეჯან, რა ვიცი, რა მოგწერო... რა უნდა მოგწერო, როცა ქვეყნის გადაბრუნებაზე ვოცნებობდი და ახლა აბასთუმანში ვზივარ ტუბინსტიტუტში...! აბასთუმანი, 1941 წელი, 6 მარტი“ (ასათიანი 2008: 542, 543).

აკაკი გაწერელისადმი: „...უიმედოდ, უპერსპექტივოდ, უხალისოდ მიდის ჩემი ცხოვრება და განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაშია ჩემი სიცოცხლე...“

მე, დაწყებული ლადო ასათიანი, უკვე მესამე თვეა აგერ, რაც აბასთუმანში ვარ. სწორი რომ ვთქვათ, ახლა არა მიშავს. ვლაფავ სულს. დავრჩები აგვისტოს ბოლომდე, თუ ჭიქა-ქუხილმა ადრე არ ამაკრეფინა გულა-ნაბადი... აბასთუმანი, 1942 წელი, 18 ივლისი“ (ასათიანი 2008: 549-550).

ალექსანდრე ქუთათელისადმი: „...მომწყინდა აბასთუმანში ყოფნა, დავყრუვდი და დავმუნჯდი, საშა ბატონო. მალე უნდა გამოვიქცე, თორემ, ძალზე გავნერვიულდი. არც მიხდება, შენ წარმოიდგინე... ან როგორ მომიხდება, ჩემი საქმე წასულია... საშინელი დღე დამაყარა ცხოვრებამ...“

წავიდა ჩემი ყმაწვილკაცობა... განა ასეთი ახალგაზრდობა მინდოდა? განა ამას ვნატრობდი?.. თბილისი, 1942 წელი, 24 სექტემბერი“ (ასათიანი 2008: 550-551).

საგულისხმოა პოეტის თანაკურსელსა და მეგობარ შოთა ქურიძესთან გაგზავნილი წერილის ერთი ფრაგმენტი, სადაც ის თავის თავს „შალვა კარმელის ბედის ადამიანს უწოდებს“. გვინდა ხაზი გავუსვათ მისი ამ განცდის პროვიდენციალურობას მიუხედავად იმისა, რომ წერილის დაწერის დროისათვის მას ჯერ არა აქვს დადგენილი ტუბერკულოზის დიაგნოზი:

„ჰოდა, მზის სიახლოვე და ცხოვრების მხარე, შენ რომ მასწავლიდი და მასწავლი. მინდა ვისწავლო, მაგრამ ვისწავლი? ალბათ. რა ვიცი? ვისწავლი (სხვანაირია ეს წერილი, სხვანაირი ვარ მეც, ეხლა და საერთოდ, შენი მეგობარი. შალვა კარმელის ბედის ადამიანი, კარგათ დაიხსომე ეს სიტყვები შოთა – შალვა კარმელის)... 1935 წელი, 1 აგვისტო“ (ასათიანი 2008: 501)

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ირმა რატიანის მიერ მოწოდებული ლადო ასათიანის ბიოგრაფიისათვის საგულისხმო და მნიშვნელოვანი ცნობა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ. ცნობა ეყრდნობა ქალბატონი ირმას ბიძის, ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოს პროკოფი რატიანის მონათხრობს. იგი, ვინც იმავე პერიოდში მკურნალობდა აბასთუმანში, როცა იქ ლადო ასათიანი იმყოფებოდა, მიიჩნევს, რომ პოეტი არ იყო სნეული ამ დაავადების მძიმე ფორმით და ის შეიძლებოდა განკურნებულიყო კიდეც, თუკი ნაადრევად არ გამოიქცეოდა სანატორიუმიდან, სადაც მისი

ლადი ბუნებისათვის უაღრესად დამთრგუნველი და სულისშემ-
ხუთავი ატმოსფერო სუფევდა და იქაურ პირობებს ცოტა ხანს
კიდევ გაუძლებდა.

ჩვენ თვალი გადავავლეთ ერთ დროს კაცობრიობისთვის
უკურნებელი სენით, „ღარიბების ავადმყოფობად“ სახელდებულ-
ლი ტუბერკულოზით დაავადებული და გარდაცვლილი ქართვე-
ლი მწერლების ბიოგრაფიების ეპიზოდებსა და ნაწერებს, სადაც
ისინი ან მათი თანამოკალმენი ამ სენზე მხატვრულად რეფლექ-
სირებენ. მომეტებული ყურადღება დავუთმეთ პოეტურ ტექსტებს,
რომლებშიც მეტი ექსპრესიით გაიჟღერა ამ სევდიანმა თემატი-
კამ. კვლევა ამ მიმართულებით შეიძლება კვლავაც გაგრძელდეს.

დამოწმებანი:

ასათიანი 2008: ასათიანი ლ. *ასათიანური*. თბილისი: ქართული ლიტერა-
ტურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატანი“, 2008.

აფხაიძე 1923: აფხაიძე შ. „სანდრო ცირეკიძე“. გაზ. „რუბიკონი“, №12, 3
თებერვალი, 1923, <http://niamorebi.ge/tsirekidze/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4/>

ბარათაშვილი 2015: ბარათაშვილი ნ. *პირადი წერილები*. მოამზადა, შესავალი,
კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო
მაია ცერცვაძემ. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015.

გაბაშვილი 1992: გაბაშვილი რ. *რაც მახსოვს*. ქართული ემიგრანტული ლი-
ტერატურის მრავალტომეული „დაბრუნება“. ტ. 3. თბილისი: გამომცემლობა
„გულანი“, 1992.

გაფრინდაშვილი 1923: გაფრინდაშვილი ვ. „შალვა კარმელი“. გაზ. „რუბიკონ-
ი“, №3, 3 თებერვალი, 1923, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/108806/1/Rubi-koni_1923_N3.pdf

გაფრინდაშვილი 2010: გაფრინდაშვილი ვ. *100 ლექსი*. თბილისი: „ინტე-
ლექტი“, 2010.

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ. *1832 წლის შეთქმულება*. ტ. 1. ტფი-
ლისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935.

იაშვილი 1923: იაშვილი პ. „კარმელი მართალი“. გაზ. „რუბიკონი“, №3, 3 თებერვალი, 1923 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/108806/1/Rubikoni_1923_N3.pdf.

იაშვილი 2004: იაშვილი პ. *საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად*. წიგნი პირველი. თბილისი: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, 2004

კარმელი 2000: კარმელი შ. *ბაბილონი*. თბილისი: გამომცემლობა „დედაენა“, 2000.

ლიტერატურული ჟურნალები ... 2011: *ლიტერატურული ჟურნალები 10-20-იანი წლები*. წიგნი მეორე. თბილისი: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, 2011.

რობაქიძე 2012ა: რობაქიძე გრ. *ნაწერები*. წიგნი I. თბილისი: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, 2012.

რობაქიძე 2012ბ: რობაქიძე გრ. *ნაწერები*. წიგნი III. თბილისი: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, 2012.

ტაბიძე 2016: ტაბიძე ნ. *ცისარტყელა განთიადისას – ტიციანი და მისი მეგობრები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016.

ტაბიძე 1923: ტაბიძე ტ. „შალვა კარმელი“. გაზ. „რუბიკონი“, №3, 3 თებერვალი, 1923 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/108806/1/Rubikoni_1923_N3.pdf

ქართული პოეზია ... 1982: *ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად*. ტ. 12. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1982.

ჩხეიძე 1986: ჩხეიძე ო. „მეგობრული შარჟი“. წიგნში: „რკალი“ – ლიტერატურული წერილებისა და ესეების კრებული. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986.

Zoia Tskhadaia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Poetic Text – an Eternal Paradigm of Existential Meaning

Summary

From time immemorial up to the present day, mankind has been shaken by various human fears and trials: wars, natural disasters, pandemics ... Much has been preserved by the poetry from the history of life and death: in epics, myths, legends, epitaphs ...

Today, when the world's greatest concern is new pandemic, poetry continues to fulfill its function in suppressing negative emotions, maintaining inner strength, vitality, spiritual harmony. To overcome new „pandemic“, that „killer of people“ (Saba), the Georgian literary periodicals of 2020-2021 pay attention to the newest poems written by contemporary Georgian poets, which evidence that „the pandemic has given rise to a new wave of themes“ (B. Kharanauli).

Key words: new pandemic, poetry, literary periodicals.

ზოია ცხადაია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოეტური ტექსტი – ეგზისტენციური საზრისის მარადიული პარადიგმა

„დრო... სევდიანი ლიტერატურის“.

ნიკა ჯორჯანელი

ადამიანის და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით შემოქმედი ადამიანის ბუნებაში, აღიარებულია, ე.წ. სარეზერვო ფიზიკური და ფსიქიკური ძალების არსებობა, რომელსაც ის, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ავლენს განსაცდელის ჟამს. თავისი მინიმალის-

ტურობით, მხატვრული ეფექტებითა თუ მობილურობით ამის გამორჩეულ პარადიგმად შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური ტექსტი;

უხსოვარი დროიდან დღემდე მრავალგვარმა ადამიანურმა შიშმა და განსაცდელმა შეადრწმუნა კაცობრიობა: ომებმა, სტიქიურმა კატაკლიზმებმა, პანდემიებმა... რამდენი რამ შემოინახა პოეზიამ სიკვდილ-სიცოცხლის ისტორიიდან: ეპოსებში, მითებში, ლეგენდებში, ეპიტაფიებში.

ცნობილია ანატორის – ხევსურეთის ულამაზესი ნასოფლარის ისტორია. მიხა ჭინჭარაული გზამკვლევეში „შატილი – 2008“ წერს: „სოფელი ანატორი მდებარეობს საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ ხევსურეთში (პირიქითა), მდინარე არღუნისა და მუცოს წყლის შესართავთან; შატილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-3 კილომეტრში.

XVIII საუკუნეში ამოწყდა ზემოთ ნახსენები სოფელი ისე, რომ ერთი ადამიანიც არ გავიდა მეზობელ სოფლებში, რაღაც ინფექცია, აქაურად „ჟამი“ მოედო სოფელს და რაკი დამმარხავი და აკლდამამდე მიმყვანი აღარავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორლები თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში... ასეთი თვითდამარხვა კაცობრიობისათვის ალბათ უცნობია და ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების სათანადო შესწავლასა და შეფასებას ელოდება“. ძალიან საგულისხმოა მკვლურის ეს დასკვნა. ასეთივე საინტერესო ინფორმაციებს (ისტორიებს) გვაწვდიან პროფესორი ამირან არაბული და პოეტი ეთერ თათარაიძე ამ ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით. ერთ-ერთი თუშური ნარატივიდან ვგებულობთ თუშეთის სოფელ დართლოს ჟამით ამოწყვეტის ამბავს... თავისი ფეხით მისულნი ყველა ასაკის ქალ-ვაჟი, ბალები გაავსებენ პირთამდე დართლოს აკლდამებს... დართლო დაილევა.

„სიკვდილს დავცინითო“ და მღეროდნენ თურმე...

სიკვდილს ვაშინებთო და მღეროდნენ თურმე შვილმკვდრები, ამოწყვეტილები... კორონაზე უფრო მძიმე ცხოვრებას ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ. ჩვენც გავალთ ბოლოში“ (თათარაიძე, „სიკვდილდამცინავი საქართველო“).

ნაშრომის თანმიმდევრულობას დავარღვევთ და ბარემ აქვე გავცნოთ ეთერ თათარაიძის პოეტურ ტექსტებსაც, რომლებშიც

თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულება გამოიხატა ამ შემზარავი მოვლენისადმი, რომელმაც მსოფლიოს გადაუარა და ჯერ კიდევ არსად არ აპირებს წასვლას.

ჰო, მეაც იმ ჩიტს ვლგევარ,
მდუმარ ბაღში რო გალობს
გულამოგლეჯილ,
დაყრუებულ სოფელში
მეც ლექსით ვიკურნებ
გულამოფლეთილ,
ყურის მგდებელ გამწყდარ თვარ.

მისივე: „რა ავადაა ქვეყანა, რა ავადაა ხალხ, რა ავადაა სამზეო, დახვ-მოხვევი თალხ“... ორსტრიქონიანი ემოციური ლირიკური ჩანახატი: „გადამტკნარებულ ყაყაჩოებით ცეცხლ მოხკიდებია უფერო დღეებს“ (თათარაიძე ე., ლიტ. გაზეთი, №13, 3-16 VII).

პოეტის საბოლოო სათქმელს მისივე წერილიდან ამონარიდით დავასრულებთ: კორონაზე მძიმე ცხოვრებას ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ (გულისხმობს წინაპრებს, ზ.ც.), ჩვენც გავალთ ბოლოში“...

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეწირული თუში პოეტი ადამ ალვანელი (ბობდიაშვილი) თავის ვრცელ ლექსში „ჩემი მემკვიდრეობა“ ცოცხალ სურათს გვთავაზობს იმ წარსულიდან, როცა შავი ჭირით სნეული თაობები (თუშების ისტორიას გულისხმობდა, ზ.ც.), სასიკვდილოდ განწირულები, თავიანთი ნებით წვებოდნენ აკლდამაში და „ძვლების გროვაში ტანჯვით კვდებოდნენ“.

...აქ იყო-მეთქი, ჭირით სნეული
აკლდამაში რომ თვითონ წვებოდა,
ცოცხლად აჩრდილად გადაქცეულ
ძვლების გროვაში ტანჯვით კვდებოდა...
ბედს დასცინოდა შთენილი მარტოდ,
ოხვრა ეკიდა ნოტიო თაღებს...
მოჩანს კლდეებში აკლდამა ფართო

და მდუმარე კარს დუმილით ვაღებ
აი, შევდივარ წელში მოდრეკით,
ძვირფას სახსოვარს სიჰზე ვალაგებ,
ვინ იცის, სად არ მოუკლავს ლეკი
ამ დაობებულ თითის ფალანგებს...
ო, განისვენეთ, მარად მდუმარი
მიწის კედელი გეხუროთ შავად,
მე აქ მოვსულვარ, როგორც სტუმარი,
მემკვიდრეობის მოსაკითხავად...
(„ჩემი მემკვიდრეობა“, 1939 წ.)

დღეს, როცა სამყარო შეაშფოთა ახალმა პანდემიამ, პოეზია კვლავ ასრულებს თავის ფუნქციას ნეგატიური განცდების დასათრგუნად, შინაგანი სიმტკიცის, სასიცოცხლო უნარის, სულიერი ჰარმონიის შესანარჩუნებლად. ახალი „ჟამი“, „კაცის მკვლელის“ (საბა) დასაძლევად, 2020-2021 წლების ქართულ სალიტერატურო პრესაში („ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“, „არილი“) ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თანამედროვე ქართველი პოეტების (ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, ბათუ დანელია, ნიკა ჯორჯანელი, ნუგზარ ზაზანაშვილი, ნინო დარბაისელი, ეთერ თათარაიძე, ნომადი ბართაია, მანანა ქურდაძე, სოსო მეშველიანი, ვახტანგ ჯავახიძე, დოდო ჭუმბურიძე) ახალი ლექსები, რომლებიც დასტურია იმისა, რომ „პანდემიამ თემები წარმოშვა“ (ბ.ხარანაული).

ყველაზე მძიმე ჩვენი საზოგადოებისათვის იყო 2020 წლის გაზაფხული, თავისგადასარჩენი მოწოდებით – „დარჩი შინ“, როცა ოთხკედელში გამოკეტილი გაჰყურებ ქალაქის სივრცეს და ლამის ყურთან ჩაგესმის კორონების ზუნი.

ღამე უცნაურად ჩუმი გახდა.
დედამიწამ ჩაისუნთქა და ვეღარ ამოისუნთქა...
ზაფრა დაფარფატებს და
უვარსკვლავებრ ცას ამაოდ გახედავ
სიმშვიდისათვის.
მთელი ღამე გესმის ჰაერში კორონების ზუნი...

გათენდება და – უცვლელი კადრები
მეთორმეტე სართულის ავნიდან:
უმრავად დგანან მანქანები.
სამყარო სიჩუმეშია ჩაქვავებული.
არავის არსად არ ეჩქარება...
კარებზე მიგვიწერეს: „დარჩი შინ“...
დედამიწამ ჩაისუნთქა და ველარ ამოისუნთქა.
ერთადერთია ყვითელჟილეტიანი მეეზოვე ქალი, რახილი,
ჭიამაიასავით ლამაზი,
სისხამ დილით ნათელი რომ შემოაქვს
ამ სიჩუმეში და უხმოდ განიშნებს:
დილა მშვიდობისა, გათენდა...
(ზ. ც.)

ჩვენს მცხოვან პოეტს, პოეზიაში „ცრემლიანი სიცილის“ ოს-
ტატს, ვახტანგ ჯავახიძეს იუმორისა და ნაცადი ირონიის (ამჯე-
რად – ბედის ირონიის) ნაზავით უცდია ამ საყოველთაო განსაც-
დელის შემსუბუქება შვების და ღიმილისმომგვრელი ლექსით,
„კორონავირუსი ანუ დაეტიე სახლში!“

მინდა მუდამ ვიქართველო და არასდროს ვირუსო,
რას გვერჩოდი, ჩინეთიდან მოგზავნილო ვირუსო,
ვინ ვოლტერი გაიხსენა, ვინ დიდრო და ვინ – რუსო,
ვინც სახლში არ დაეტიოს, წიხლი მოხვდეს ვირისო!

მე თუ მკითხავთ, არ მაქვს ალტერნატივა,
ვინაიდან ნაღდი კანდიდატი ვარ.
(„ლიტ. გაზეთი“, №9, 2020 22 V. გვ. 1).

ამ დახშულობის, ჩაკეტილობის ჟამს ღია სტურუას ერთი ლექ-
სი მოვიძიეთ, რომელშიაც მწარე განცდაა იმისა, რომ დრომ ადამი-
ანები ისე გააჩუმა, უკვე „დამიწებულს“ დაამსგავსა, არადა, ისევ
ცოცხალი ხარ. ამიტომაც იტყვის მშვენიერ სატკივარს:

რამდენი უპასუხოზა,
რამდენი სართული თავზე,
საძირკველი გტკივა,
ჯერ მიწა ხომ არა ხარ,
დუმბილს მაინც სწავლობ.
გარედან ვინც გეხება, ისინიც არ დააფრთხო.
ამაზე უარესია, ფანჯრიდან რომ გაიხედავ
და ვერავის ეტყვი, რა კარგი ამინდია!

რეალური და ირეალური ერთმანეთში განზავებულა ბათუ
დანელიას ლაქსებში „მგზავრობა თვითიზოლაციისას“. ტექსტი
პუნქტუაციის გრემე იმ სულიერ ფორიაქს მიანიშნებს, რომელსაც
პოეტი განიცდის ამჟამად, ლექსის წერის დროს და ზოგადადაც...
ტრაგიკული ირონიის ნიშნით...

სასტუმრო ოთახიდან სამზარეულომდე
71 ნომერი ავტობუსით ვმგზავრობ
საძინებელ ოთახამდე – 37-ით
აბაზამდე 101-ით
ლოჯიამდე – 3 მარშრუტკით
და უკანაც ამავე ნომრებით ვბრუნდები
და ასეთ მგზავრობაში ვარ
მთელი დღის განმავლობაში
მგზავრობის გადასახდელიც არ მაქვს
მხოლოდ კედლიდან
მეუღლის სურათი შემომჩივის
ფანჯრები გააღე თორემ
მანქანების გამონაბოლქვით
გაივსო ოთახები და
არ გაიგუდო.

(2020, 31.VII, ლიტ. გაზ. №15, გვ. 5)

არადა, ამ დროს მანქანები საერთოდ არ მოძრაობენ ქუჩაში.
ყველაფერი მოჩვენებითია, ლანდური, ამიტომაც – ირონიული.

მურად მთვარეშვილს ამ გაჩერებულ დროში გამოსავლად უკან – ძველი, სევდანარევი გრძნობებისკენ გახედვა აურჩევია სიმშვიდისათვის:

... ამ გასაოცარ, დათაფლულ წუთებს
გულში უთქმელი ნაღველით ვადნობ,
აპრილის ღამეს ცრემლებით ვუთევ
და სიყვარულის აბზაცებს ვდარდობ.
(„ლიტ. გაზ.“, №10, 29.V.2020)

„მარტო არ დამტოვო ამ შუალაქში, ამ ჟამიანობისთვის გამ-
ზადებულ ქალაქში“... დოდო ჭუმბურიძის ეს ვედრება უფალს
მიემართება, ყოველთა მფარველს. რწმენის ამ ძალით ცდილობს
ავტორი სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას დაცარიელებულ,
მდუმარე სივრცეში, ქალაქში – გუშინ რომ ყურისწამლებად
ხმაურიანი იყო.

... ცარიელი ქუჩები, მოედნები, ბაზრები,
უდაბნოს დუმილი, ძნელად გასაგები,
შიშა და ნაღველს უჩინრად მიასებს,
ფილტვი იხურება და გული ცივდება,
მრავალჯერ დაფლეთილი მაინც რომ მჭირდება,
მარტო არ დამტოვო ამ ბნელში იესო!

ნინო დარბაისელის „პრიმავერა“ („ლიტ. საქართველო“, №20,
2020, 23.IX) კორონავირუსის „რენესანსული“ სილამაზის წარმო-
სახვაა, ფორმა სრული და ფერადოვანი, მიმზიდველი და სი-
ცოცხლით სავსე, მაგრამ ეს არ არის იმ შეგნებით ნათქვამი, „შიში
რომ შეიქმს სიყვარულს“, არც „მოუარეთ ბატონებსა“ (მოსაფე-
რებლად)... ეს სარკასტული მოფერებაა გაზაფხულივით ფერა-
დოვანი ჯოჯოხეთისა:

ო, პრიმავერა.
ო, კორონა.
თან კი რამდენი სიკვდილი მოგაქვს,
ხოლო მანამდე რამდენი შიში.

ასე შემოდის პოეტურ ტექსტებში სრულიად არაპოეტური სიტყვები, რომლებიც შექმნილი დრამატული სიტუაციის ირონიული გამოხატვის ფუნქციას ასრულებენ: „კლასტერი“, „რისკ-ჯგუფი“, „კომენდანტის საათი“, „თერმოსკრინინგი“, „სიყვარული პანდემიაში“, „გამოტოვებული გაზაფხული“, „დატრენინგება“, „ხელების დაბანა“, „პირბადე“, „ვაქცინა“, „თვითიზოლაცია“.

სოფო წულაიას სამი ახალი ლექსი კორონავირუსზე („ლიტ. გაზეთ.“ 2020, №14, 3 VII, გვ. 8): „ჩვენი კლასტერი“, „სიყვარული ჟამიანობის დროს“ და „შიშშილი“ კიდევ უფრო მტკივნეულად გამოხატავს როგორც კონკრეტული პიროვნების, ასევე – ზოგად საფიქრალს, რომელიც გაამძაფრა ახალმა ჟამიანობამ. „ჩვენ ახლა ერთი კლასტერი ვართ“, – ასე იწყება ლექსი. ეს „ერთი კლასტერი“ ერთი ოჯახია: დედ-მამა და შვილი. მათთვის მხოლოდ საკუთარი ოჯახი და შვილი არაა განსაცდელი, რადგან „აიფონიდან ამოკენკილი ბოლო ამბებით“ უმძიმდებთ განწყობა (როგორც მთელ საქართველოს):

იტალიაში ბოლო მონაცემებით 25 000-ზე მეტი გარდაცვლილია
და ეს ციფრი წამების ინტერვალით იცვლება,
დედაშენიც იტალიაშია,
დედაშენი რისკ-ჯგუფშია,
მაგრამ შენი 19 წლის შვილის ბედი უფრო გაღელვებს,
ამერიკაში რომ დარჩა,
დღეში ერთხელ გვირეკავს და ცდილობს, დაგვატრენინგოს
– ხელები ხშირად დაიბანეთ!

ნიკა ჯორჯანელის ლექსები („ლიტ. გაზეთი“, „არილი“...) კიდევ ერთი ცოცხალი წარმოსახვაა იმ მოულოდნელი ვითარებისა, რომელშიც ვცხოვრობდით: კომენდანტის საათი, როცა სიგარეტზე გასვლაც კი დანაშაულია, თუ გამოგიჭირეს, უნდა ამტკიცო, რომ ნამდვილად ახლა იყიდე სიგარეტი, აჩვენო, რომ ერთი ღერი აკლია შენს კოლოფს... მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. „ჩხრეკა“ გრძელდება და საინტერესო აღმოჩენაც სიურპრიზად ელოდება „მჩხრეკელს“ თუ მკითხველს:

მაგ დაჰმუჭნილ წითელ თოფჩაში რა გაქვს,
ასე საგულდაგულოდ რომ მალავ,
მთლად ნეკნებს უკან?
ეგ მაჩვენე.
ამ წითელ თოფჩაში?
ამ წითელ თოფჩაში ტკივილი და რწმენაა...
...გულის ძირთან მაქვს შეხორცებული ორივე.
(უსათაურო, „ლიტ. გაზეთი“, 19-15.VII. 2021).

ნიკა ჯორჯანელის ლექსები (მთელი ციკლი) დაიბეჭდა ჟურნალ „არილი“ (2020, №4).

მის სათქმელს გლობალური, საყოველთაო სატკივარის დამლა ატყვია. შეიძლება, კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე უფრო დიდი ტრაგედიები, პანდემიები დასტყდომია თავს, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას ის უმძიმებს განსაცდელს, რომ ყოველი წუთის და წამის ინფორმაციებთან აქვს წვდომა: ვინ სად კვდება, როგორ, რა ვითარებაში, დიდია თუ პატარა. ამიტომაც შორს მიდის მგრძნობიარე ადამიანის ფიქრები. ასე უჩნდება პოეტს სურვილი, რომ ამოთქვას სიტყვა „ყველა მსხვერპლის პატივსაცემად“.

... დაიწეროს ყველა მსხვერპლის პატივსაცემად
ყველა დროის საუკეთესო ლექსი მთვარეზე!
რომელიც მოჩანს ღრუბლებიდან,
როგორც ღამის საბრალო გული,
სამყაროსავით ფართო ინფარქტით
გადახლეჩილი.

(უსათაურო, „არილი“, 2020, №4, გვ. 11).

ნიკა ჯორჯანელის ტექსტის გულისტკივილის საგანი ისიც გამხდარა, რომ ამ ჯოჯოხეთურ რეალობაში არსებობს არანაკლები გულსატკეპნიც – ბაზრის შესასვლელთან შავებიანი მოხუცი რომ დაიჩვილებს ადმინისტრაციის თანამშრომელთან:

... შენ ის გინტერესებს,
სიცხე მაქვს თუ არა,
და იმას რად არ მკითხავ, ხუთი პურის და ერთი
თევზის საყიდელი თანხა მაინც თუ მაქვს;
იმას რად არ მკითხავ,
მაქვს თუ არა საერთოდ რამე,
რაც შეიძლება უფალმა გამიმრავლოს,
რამე მაინც, შვილო,
სიცხის არქონის გარდა.

(„არილი“, 2020, №4. „თერმო სკრინინგი“, გვ. 14)

საინტერესო სათქმელი აქვს ნუგზარ ზაზანაშვილს (ლიტ. გა-
ზეთი, 2021, 19.III) ლექსში „არჩევნების დღე“: „არ წავალ-მეთქი,
მაგრამ მაინც წავედი ამ გაგანია კოვიდის ჟამს: სახე პლასტიკის
ფართ დავიცავი, პირი პირბადით და გამოვცხადდი საარჩევნო
უბანზე“... 1990-იანი წლებიდან არ გამოუტოვებია თურმე. „რა-
ტომ? – თავისსავე ამ კითხვას ირონიით და იმ სიმართლით უპა-
სუხებს, რომელიც, ალბათ ბევრისთვის საცნაურია.

შინჩაკეტილ, „უჟამურობის ჟამით“ დათრგუნვილ ყოფას იმე-
დით ავსებს მანანა ქურდაძის უსათაურო ლექსი („ლიტ. გაზე-
თი“, 2020, №19), ამდენ ვერლიბრში (გამონაკლისების გარდა)
ამუსიკებული – რითმით და რიტმით:

უჟამურობის ჟამი,
ჟამიანობის რისხვა,
მუხის ხე დვას და არის
და რკოს ყოველთვის ისხამს...
გადაივლის და წავა,
ულიმიტოა ყოფა...
შველაა და აზჯარი,
ყვიფლიბანდების ჯარი,
ჟამიანობის რისხვა,
უჟამურობის ჟამი,
გადაივლის და წავა.

ასეთივე იმედის მშვენიერ ეიფორიაშია შინგამოკეტილი ნომადი ბართაია, როგორ შველის თურმე ადამიანს პოეტური წარმოსახვის უნარი, რომელიც გათქმევიანებს:

თანდათან წყდება წელში
მარტი,
თუ დამიჯერებთ,
ხმაც მესმის წვდომის
საცაა მოვა აპრილიც ახლა,
ვიღაცას კიდეც უნახავს მგონი.

(უსათაურო, „ლიტ. საქართველო“, 11 IX, 2020)

ასეა, როცა გამოკეტილი, თუნდაც შენს საყვარელ სახლში, განსაკუთრებულად ფრთხილობ, მით უმეტეს, ბატონი ვახტანგ ჯავახიძის არ იყოს, თუ „რისკ-ჯგუფში“ ხარ... რა დაგრჩენია? – მოთმინებით უნდა იჯდე „შენი ნიჟარის ქარიშხალში“ და იქიდან ეფერო სამყაროს და გაზაფხულს, რომელიც ვერ ნახე 2020 წელს:

რა პატარა ყოფილა მოსაფერებლად
მთელი სამყარო...
რა ახლოს ყოფილა სხვისი ჭირი...
რამხელა ბედნიერება გვქონია:
გულში ჩახუტების უფლება...
„ფრთხილად!“ (ხილული თუ უხილავი შეგონება)...
და ზიხარ ახლა შენი ნიჟარის ქარიშხალში
და ფიქრობ:
ისევ ისეთი ლამაზი იყო
გამოტოვებული გაზაფხული?!

(ზ.ც. 27. IV. 2020, „დარჩი შინ“)

შინ ჩაკეტვიდან ერთი წლის შემდეგ საერთო მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, მაგრამ მაინც „თავისუფლებაში გასულის“ სიხარულს გამოხატავს ლელა მგელაძის ლექსი (უსათაურო, „ლიტ. გაზეთი“, 25.VI.2021): „ჟღურტულებენ ჩიტები / რა საყვარლად, / რა ტკბილად, / რა კორონა, / რა ვირუსი, / რა ჭირი და ბაცილა...“

/ ჩამომძახებს – / თქვენმა შიშმა / ოხ რამდენი გვაცინა.../ მზე გაცოცხლდა, / გაზაფხულდა, / უკვდავების ვაქცინა“.

ბესიკ ხარანაულისთვის ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ე.წ. იზოლაციის პერიოდი, იმდენად უხვია, იმდენად საინტერესო, რომ ის უკვე ცალკე მსჯელობას ითხოვს. თავისი დიდებული „არტ-გომურიდან“ გაჰყურებს შეცბუნებულ, შეშინებულ სამყაროს და „სიკვდილს აშინებს“. „ვარ იზოლაციაში, ვსარგებლობ ბოროტად და ვწერ და ვწერ... სრულიად პანდემიამ თემები წარმოშვა, იმასთან ახლო ვყოფილვარ. ეტყობა, ბევრი რამე შეიცვალა. რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს. ყოველ დილას ვიღვიძებ და ვფიქრობ, რაც ხდებოდა, ძალიან ორგანული იყო... დიახ, „სიკვდილს აშინებს“, „სიკვდილს დასცინის“ პანდემიის დროს ნათქვამი „სიმღერებით“: „ეჰ, ბესარიონ, შენზე იმღერე, ყველასთვის გამოვა“...

„სიყვარული პანდემიაში“ ჭირში მყოფი კაცის საღალღობო, ამჯერად კონვენციური ფორმით:

შემოდგომაა,
ქარი ფანჯრებს ფოთლებს მიაშლის,
რა შეძლოს კაცმა
შეუძლებელ პანდემიაში.
გარეთ ვერ გადის,
ფიქრები რომ აფრთხოს ნიავეში,
შინაც არ უნდა,
ყველაფერი არევია შინ...
... დაივიწყებდა კაცი თავსაც,
წიგნს ილღიაში.
თუკი შეძლებდა
სიყვარულსაც პანდემიაში...
... იტყოდა იყოს პანდემია,
რა მიშავდება
დაბმული ძაღლი
ჯაჭვისაგან უფრო ავდება

(„ლიტ. გაზეთი“, 2020, №28)

„რისხვის ვირუსი“ („ლიტ. გაზეთი“, 2021, 18.II) ვრცელი ტექსტია, რომელშიაც საყურადღებოა პოეტის მინიშნება, რომ „მოთქმით გალობა“ და „სიმღერით ტირილი“ სინონიმებია, რომელიმე ყელში თუ წამიჭერს, ნება მიბოძეთ, სახე აგარიდოთ“... კრიტიკულია ლექსის პათოსი და ეს ქართულ საზოგადოებას მიემართება, „წაკიდებულ მამლებივით“ რომ მიძგილაობენ: „სერზე კი მელასავით დაყურსული ოკუპანტია. ყოველნო ქართველნო, ეს ის დროა, როცა ვეფხვის ტყავივით ქართულ რუკას ურუმებმა კალთა წაკბიჩეს...“

„ლიტერატურულ გაზეთში“ (2020, 27.XI, გვ.10) დაიბეჭდა დავიდ ტოსკანას „პანდემია და აღორძინება“ (მთარგმნელი ლანა კალანდია), რომელიც სწორედ ამ უჩვეულო და მძიმე დროისთვის არის ნათქვამი: „ლიტერატურას, წიგნს, კითხვას ცოლ-ქმრული ფიცი უნდა დავუდოთ, რომ ვუერთგულებთ ჯანმრთელობასა და სწეულებაში, ჭირსა და ლხინში, კეთილდღეობასა და გაჭირვებაში, პანდემიის ჟამს თუ მის გარეშე... ლიტერატურის კლასიკა ითხოვს ყველაზე ძვირფას – დროს... ცხოვრება დროა... პანდემიამ ბევრს მოუსწრაფა დრო, მაგრამ, ცხადია, თქვენ თუ ამ სტრიქონებს კითხულობთ, ესე იგი, ამქვეყნად ხართ. რა ვუყოთ დარჩენილ დროს?... ვირუსმა სხვა აზრი უნდა შესძინოს ჩვენს არსებობას, უფრო მეტად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოკვდავი ვართ, რად-გან სიკვდილია ის, რაც ცხოვრების აზრს გვაპოვნინებს და წამიერებას დაგვაფასებინებს“... შემდეგ ავტორი იხსენებს დოსტოევსკის მაგალითს. სიკვდილით დასჯა ციმბირში ექვსწლიანი გადასახლებით რომ შეუცვალეს... მანამ დრო არ დაუკარგავს და უამრავი შედეგრი შექმნაო... შეიძლება ვთქვათ, ჩვენს რეალობაში დრო დაფასდა. შედეგვრები თუ ვერ შევქმენით, „პანდემიამ რაღაცები გვასწავლა“ (ბ. ხარანაული).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

